ჯოჯოხი

ფრიდონ ხალვაშის ბიუსტი ბათუმში
მოქანდაკე თეიმურაზ მახარაძე

1 2024

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

9 770134 345001 24001

ჭოროხი

გამოცემის 66-ე წელი | იანვარი-თებერვალი | №1 | 2024 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2024

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

როინ აბუსელიძე – ლექსები 3
ზურაბ შაშიკაძე – მოთხრობები 13
სულხან წულუკიძე – ლექსები 27
სალომე მიქაძე – მოთხრობები 33
გიორგი ტულუში – ლექსები 44
ნინი ჩხარტიშვილი – მოთხრობები 55
ნინო ჭელიძე – ჩანახატები 67
მარიამ მსხალაძე – ლექსები 79

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნინო დარბაისელი – გალაკტიონოლოგიური ოპუსები 82
მემორია 98
ირმა ვადაჭკორია – ალბერ კოენი – „დედაჩემი“ 102

წერილები

გურამ ჩაგანავა – მგლის კულტის კროსკულტურული (სოციალურ-ფსიქოლოოგიური) პარალელები ინდოევროპულ, თურქულ და ქართულ ცივილიზაციებში 107
ალექსანდრე ჯიბლაძე – ეჰ, ჩემო ნუგზარ! 124

რეინ აბუსელიძე

სინანულის წერილი

პისტი (რწმენა)

მე მოგიყვები ისტორიას ნამდვილს, ადრინდელს,
რადგანაც ხშირად მესიზმრება კეთილი პისტი,
რადგან ისე ვარ, თითქოს დანით სხეულს მათლიდნენ,
მაგრამ აქამდე არ მესმოდა რატომ და რისთვის...
ახლა დავრწმუნდი, რომ ეს წლები შვილებად გვექცა,
სამი შვილი გვყავს, სამი გოგო, სამი ზვარაკი,
თუმცა ჩვენს თავზე ჩამოიქცა, ძვირფასო, ზეცა
და სიზმრის ყალიბს შეადუღებს ეს ლაპარაკიც!..
მაგრამ ამგვარად, ამნაირად უნდა გაგეშვი?
და მაინც, როგორ გამიმეტე დასავიწყებლად,
მე გიკოცნიდი ჭორფლიან მხრებს ცისფერ ღამეში,
შენს მუცელში რომ ელპიდია ფეთქვას იწყებდა.

ელპიდი (სასოება)

ამ სასოებას ნეტა გულთან როდის მიიტან,
(როდის შეკრთება უპატრონო ძაღლი ხმაურზე)
რა სიხარული გაზიარებს შენ იმ ტკივილთან,
რომელსაც მარტო უძლებდი და ვეღარ გაუძელ.
ჩვენი ელპიდი, სიფრიფანა, ცისწამწამება,
მის სპეტაკ სხეულს – ბინძურ ხელებს ნეტა ვინ ახებს?
ანდა რამდენად სარწმუნოა – წმინდა მამებმა –
რაც რჯულის წიგნში სასოებით შემოგვინახეს,

რომ ლეგენდებიც ისე მძიმე, ისე ბასრია,
უფალი მუდამ გვაკვირდება თითქოს ციდანაც,
თუ სიცოცხლეში გვაწამებენ – რაღა აზრი აქვს,
სიკვდილის შემდეგ რომ შეგვრაცხონ გმირად, წმინდანად?

აღაპი (სიყვარული)

აღაპი, მთელი სიყვარული და თავგანწირვა,
საუკუნენი, წამებები, თანაფარდობა,
ყველაზე ცუდი ისაა, რომ მე ის კაცი ვარ,
რომელმაც ქალი სიყვარულთან მარტო დატოვა.
ახლა კი ნანობს, რომ თავადვე არის მიზეზი,
დასტირის შვილებს – გამოვლილ წლებს და თუ სალბუნად
რაც კი რამ იყო – ურთულესი, უმარტივესი,
ყველა გზა სცადა, მაგრამ ბედმა ტანჯვა არგუნა –
სამარადისო, საუკუნო, რადგან ახსოვდეს,
დაპირებები, ზოგჯერ მყარი, ზოგჯერ საცილო,
რომ არვინ შერჩა, ვისაც იგი თავს შეაცოდებს,
ძველი ტკივილი პურივით რომ გაუნაწილოს.

სოფიო (სიბრძნე)

როცა მე მოვკვდი, ყველაფერი მას შემდეგ მოხდა,
თუმც გრძელდებოდა ჯოჯოხეთის მწარე თამაში,
შენ კი იყავი, ცისთვალება, თეთრი და კოხტა,
მწვანე მინდორში, მწვანე ჩრდილში, მწვანე კაბაში.
მე მოგიგონებ და გიწამებ მუდამ ღმერთივით,
ვიწამებ თვალებს, მწიფე სხეულს, შენს თმებს – ფერფლისფერს,
გაფერმკრთალდება ყვავილებით გადაპენტილი
ეს სიყვარულიც, ეს ტკივილიც, ეს ენკენისთვეც.
ვიცი, ჩვენს შვილებს, ანუ ამ წლებს – სევდით ვმოსავდი...
დაპირებების ზღვაში მყავდი, რაც შენ გაწბილებს!..
თუმც იმედი მაქვს, ერთ დღეს, წმინდა სოფიოსავით,
შენც მოაგროვებ ჩემს საფლავთან იმათ ნაწილებს.

ხარკი

ასეთ ცხოვრებას მე სამოთხეს არ დავარქმევდი,
ალბათ, წინასწარ რომ ვერ ვჭვრეტდე მძიმე ეპოქას,
ბევრი თუ არა – ეს მცირედი მიწის ნაკვეთი,
ერთ ვაშლის ხეს და ჩვენს პატარა ერთ შვილს ეყოფა.

შემდეგ კი ოფლში მოზელილი პურის ცომივით,
მოგიტან სიზმრებს, შეპირებულ მინდვრის ლიანებს,
შენ კი იქნები ჩემს ნეკნებთან წამოწოლილი
და მეორე შვილს შობის დილით იმშობიარებ.
ასე წამოვალთ სამოთხიდან, მკვიდრნი სამოთხის,
დაგვრჩება უკან ვაშლის ხე და ზეცის დიდება,
გზადაგზა ცოდვებს შვილებივით თითზე ჩამოთვლი
და მზე სახეზე სირცხვილივით მოგეკიდება.
სირცხვილის მზეებს მოვიფერთხავთ ისევ გზადაგზა,
მიჩვეულ ნაყოფს მომაწოდებ მშრალი ხელებით,
შემდეგ გავცდებით დედამიწას, წარსულს, ათასგვარ
ლოცვებს, პლანეტებს, გამოგონილ სისულელეებს.
მოხდება წარღვნაც, საუკუნის უამინდობა,
უარს ვერ მეტყვი შენს ადამს და ცამდე მინდობილს,
როდესაც შვილებს გავაყოლებთ ნოეს კიდობანს,
ხოლო მე და შენ მარტო წავალთ ჩვენი კიდობნით.
ერთ ვაშლის ხეს და ჩვენს პატარა ერთ შვილს ეყოფა,
ბევრი თუ არა – ეს მცირედი მიწის ნაკვეთი,
ალბათ, წინასწარ რომ ვერ ვჭვრეტდე მძიმე ეპოქას,
ასეთ ცხოვრებას მე სამოთხეს არ დავარქმევდი!...

ამ ქალაქში (ბათუმს)

ამ ქალაქში ჩაიძირა ჩემი ბავშვობა.
ის ჩაიძირა ისე,
როგორც იძირებიან ფეხზე სიმძიმეგამობმული ადამიანები
თვითმკვლელობისას,
ჩუმად და არავის დასანახად.
მისი ცრემლები შეერია ზღვას და
ზღვა გახდა უფრო მარილიანი.
ამ ქალაქში ჩაიძირა ჩემი პირველი სიყვარული,
ის უნივერსიტეტის ფანჯრიდან გადახტა და გაძვრა ცისარტყელის ქვეშ,
როგორც ცურვისას შორს გასული კაცი,
წყალზე გულაღმა მწოლიარე რომ ბრუნდება უკან
და ნაპირისაკენ ხშირ-ხშირად მოიხედავს
„თუ მივაღწევო“ –
ისეთი იყო.
ვერ გადარჩა...
შეერია ზღვას და ზღვა გახდა უფრო წებოვანი,
უფრო შავი.
ამ ქალაქში ჩაიძირა ჩემი ბავშვობის მეგობარი,

ის ჩაიძირა ყველა იმ ბედნიერ წუთთან და
სიცილის ზარებთან ერთად,
რომელსაც თოვლში ცხელი შოთის პურივით მინაწილებდა.
მისი სული თოლიებმა აკენკეს,
წვეთ-წვეთობით მიუტანეს ზღვას და
ზღვა გახდა უფრო თბილი.
ამ ქალაქში ჩაიძირა მამაჩემი,
როგორც ადრე ვთქვი,
სიკვდილს ვერ შეასწრო თოვაში,
იგი იყო ისეთი ახალგაზრდა, როგორც – მინდოდა,
იგი იყო ისეთი კეთილი, როგორც – ტირიფი,
იგი იყო ისეთი მაღალი, როგორც – ცა,
მაგრამ შეერია ზღვას და
ზღვა მოხუცდა.
ეს ქალაქი მძირავს მეც,
მისხალ-მისხალ...
მას ფეხაკრეფით შემოაქვს ღამე,
სამახსოვრო ბარათებივით
ლექსებს მაწერინებს და არასოდეს მაპატიებს ალბათ,
რომ მე არ შემიძლია ისეთად დავიმახსოვრო,
როგორზეც სიამაყით გვიყვებოდნენ ხმატკბილი ადამიანები
და ჩვენც გვიყვარდა.
ქალაქი – სადაც ზღვა შორიდან აღარ ჩანს,
ქალაქი – რომელიც ცათამბჯენებში ჩაიძირა.

ქოხის და სარკის იგავი

ის შევა ქოხში, სადაც ერთი მყიფე სარკეა,
ქოხში რეალურს ემიჯნება ძველი იგავი:
უნდა ჩახედო სარკეს გულში, რომ გაარკვიო,
როგორ იყავი, სად იყავი ან ვინ იყავი,
შემდეგ ლექსებიც გარემოსფერ ნიღბებს ირგებენ,
ჰო, პოეზიაც აღარ დარჩა ნაღდი, არიეს,
სთვლემდა პოეტი წინა ღამის ნამორიგევი,
რომ ვერ დაუსხლტა ენის კაუჭს, ენის ბარიერს.
ვერ აითვისა უცხო სიტყვის ზუსტი აქცენტი
და წყლიან თვალებს მთვარეების ბილბორდებს აკრავს,
მსუყე ჯამაგირს რომ ჰყოფნოდა – შეეძლო, მაგრამ...
ბინა, სიმშვიდე, სამსახური... არ აქვს არც ერთი.
უყურებს სარკეს, ის აჩვენებს თითქოს ბოლო დღის
ამბებს, ამინდებს, ისტორიას, ტკივილს გახედნილს,
უყურებს სარკეს და ამშვიდებს პოეტს მხოლოდღა,

გრამითაც რომ არ ეშინია მასში ჩახედვის,
ადრე დაიწყო უსასრულო სევდის კანტატა,
დღეს მის თვალებში ძველ იმედებს ვინღა იპოვის?!
მას ხომ უბრალოდ ცელქი გოგო შეუყვარდა და
გულუბრყვილობით დაიკიდა ფეხზე დიპლომი...
და შერჩა მხოლოდ ერთი ცალი სულის მაიკა
და მოგზაურობს პლანეტაზე ფიქრის ჩემოდნით
და ფიქრობს ყველა სულელია ვინც კი my god-ს,
ვერ გამოხატავს მშობლიური – ღმერთო ჩემოთი.
მაგრამ ხანდახან ხმაურს იწყებს მისი ამბოხიც,
ვერ ეგუება ამდენ ნათევს, ნათმენს, ნაჭვარტლევს,
ის ეძებს იმედს ლექსის მიღმა, მიღმა ამ ქოხის...
სადაც დატოვა „შორეული ცის სილაჟვარდე“.
ეს ქოხი ადრე დიდი იყო, თვალებჩაცვენილ
და გამწარებულ ღმერთს იტევდა, ზრდიდა, მალავდა,
მაგრამ იმდენად დაიღალა ქოხი ჯვარცმებით,
კი არ განევრცო, შემცირდა და დაპატარავდა,
სარკე კი ჰყვება გასულ ამბებს, სარკე მხნედ არი,
ირგვლივ მრავალი სიკვდილია, ცრემლი, ასე რომ –
თუკი არსებობს ამ სოფელში ერთი ცხედარიც,
ეჭვგარეშეა, იმ სოფელმაც რომ იარსებოს.
იწყება თოვლი, მობუზულან გარეთ ხუნდები,
დაჰყურებს მიწის უძრაობას შურით მდარე ცა,
იგი გამოვა ამ ქოხიდან, თუმც შებრუნდება,
შებრუნდება და –
სარკეს დალეწავს!

გაუგზავნელი წერილები

(მე, შენ, ღმერთი)

I

როცა ქუჩები ხმაურისგან ვეღარ გფიქრობენ,
სახელდახელოდ,
სანუგეშოდ,
როცა ქუჩები
აივსებიან სიმშვიდით და
სუსხის მიკრობებს,
ძრწოლის მიკრობებს გაფეთებენ
და ეურჩები –
ქალაქს,
რომელმაც შეიწირა შენი ლირიკა
დაუკითხავად,

უსაფუძვლოდ,
ამავე ქალაქს,
ვგონებ, არ ახსოვს,
სიკვდილიც რომ მან გაგირიგა,
ან იქნებ ახსოვს
და მეძავი ქალივით მალავს –
პასუხებს, წარსულს,
იმ კითხვებზე რომლებსაც სვამენ,
სულ ერთნაირად,
სულ იგივედ,
და სულ აგდებით.
მეც ჩემს პოეტში დიდი ხანი ვეძებდი
სხვა მე-ს,
ახლა არ ვეძებ,
მაგრამ ვერა და ვერ ვლაგდები
თიხაში, სადაც ჩაეტია ნაზარეველი,
მაშინ, როდესაც დაათენდა
ბოლო პროზელიტს,
იდგა ბოსელი სინათლეში
და სარეველას
იცლიდა ზეცა,
დედამიწა,
ღამე,
ბოსელი...
და ზედმიწევნით დაიხვეწა
ზიზღის ეთიკა,
ცოდვის ეთიკაც ზედმიწევნით,
თუმცა ხარაკირს,
(როგორც გმირობის უტყუარ და ბოლო ეტიკეტს)
ისე ვხედავდი,
ისე ვგრძნობდი,
მწამდა,
ახლა კი
გათელილია ყველა მთა და
ყველა ფერდობი,
სიზმრებით,
ხოხვით,
ოცნებებით,
ჭენებ-ჭენებით,
ვიცი, რთულია დაიჯერო
კაცის ღმერთობა,
მაგრამ ჩვენ ღმერთის კაცობასაც
არ ვიჯერებდით...

II
და იმ დროს, როცა ხმაურისგან ველარ გფიქრობენ
ქუჩები და შენ ამ ხმაურში
მარტივად ფიქრობ,
ხალხზე,
რომელიც ნოესავით შემოიგროვე
ირგვლივ და მიკროკიდობანიც არა გაქვს,
მიკრო –
იმედს რომ თავი დავანებოთ,
იმედს. არადა –
პასუხს ელოდნენ ბავშვებივით
იმ დღეს კითხვები.
უფლის ენაზე საუბარი დაგვეზარა და
თუ ვლოცულობდით,
ვლოცულობდით,
ჩვენი სიტყვებით.
ასე შევცვალეთ უნებლიეთ
მთელი ბიბლიაც,
ეს იგივეა დავივიწყოთ,
არანაკლები –
ხელით დაწერილ სტრიქონებს რომ
მეტი ხიბლი აქვთ,
ვიდრე სტრიქონებს –
ძირითადად ვორდში აკრეფილთ.
აქ იკამათო, ეს იმდენად სისულელეა,
რომ ეკამათო მიცვალებულს,
საფლავს, სახელებს
და სანამ სიტყვით დასერილი სასულეები,
ხატებთან ბოლო „მაპატიეს" ამოახველებს,
დავრჩები მზესთან,
რომლის სხივიც იქცა პრიზმებად,
(ერთ დროს თბილები, კეთილები და გულუხვები)
ჩვენც ამ ბოლო დროს
არაფერი არ გვესიზმრება,
თუ გვესიზმრება –
შიში გვიპყრობს და წყალს ვუყვებით...

III
და ეს წერილიც იზრდებოდა თურმე შიშივით,
შემდეგ ეს შიში მაგ თვალებშიც
მარტივად იშვა,
შენ შეგიძლია რადიოთი ჩართო შიშინი,

რომ არ შეგიპყროს
მარტოდმარტო დარჩენის შიშმაც.
ჩვენ ვთამაშობდით დიდობანას,
შემდეგ სრულიად
აუღელვებლად ვაჯავრებდით
მკვდრებსა თუ მკვიდრებს
და რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ უფრო რთულია,
ჩვენი ბავშვობა ვითამაშოთ, ძვირფასო,
ვიდრე –
ცხოვრებაში რომ არასოდეს
არ ვითამაშოთ!..
რომ არასოდეს არ მოვირგოთ
ერთი ნიღაბიც,
მაგრამ კაცი ხომ ვერ გაუძლებს
ამდენ ქარაშოტს,
ამდენ ტკივილს და
თუ ოდესმე ერთად ვიყავით,
ველარ ვიჯერებ,
როცა ვხედავ როგორ ფატრავენ,
დღეები დღეებს,
როცა ვხედავ...
(უბრალოდ, როცა
ლექსების წერა ავიჩემე) წერაც ადრეულ
წარსულში უფრო მაგონებდა,
ძვირფასო, ლოცვებს,
ლოცვებს, რომლებიც ერთიანად
გავიზეპირეთ,
ველარ გავიგე – ვის რა ვუთხრა,
ვის რა ვედავო,
ჩვენ ამოვგმანეთ ის კედელი
და ის ჯებირი,
რომლის გადაღმაც ქრისტე იყო საყოველთაო.
ასე სრულდება ეს ბარათი,
არ ვეურჩები
და რა ხანია შევეჩვიე სუსხის
მიკრობებს,
თუმც ყოველ დილით მახსენდები,
როცა ქუჩები,
როცა ქუჩები
ხმაურისგან ველარ გფიქრობენ.

გულა შინვარიმ

სად გაიფანტა
მინდვრისფერი თვალების ფერფლი,
გულა შინვარიმ?
დაბერდნენ შენი თანატოლები,
უცებ დაბერდნენ.
სად, რომელ ცეცხლში
იწვის ახლა ფორთოხლისფერი
შენი თავშალი?
რა ალაყაფში გაგატარეს
ცელქმა მიზნებმა?
შენ კვლავ ათი წლის გოგონა ხარ,
შენ ხარ სიზმარი,
ძილისპირულზე დედამიწას რომ
ესიზმრება.
სად გაიფანტა
მინდვრისფერი თვალების ფერფლი,
გულა შინვარიმ?
შენს ნატერფალზე ამოსულ იებს
ვინ რწყავს სისხამზე,
რომელი ბიჭი გიწერს ლექსებს,
ცალ ხელში თოფით, ცალშიც კალმით,
ვის უსველდება უპეები ზამთრის ღამეში,
ნეტავ შენი ცა ისევ ისხამს მზეს?
თუ ჯერ კიდევ არ გადიკარა
ომის ღრუბელმა...
სად გაიფანტა
მინდვრისფერი თვალების ფერფლი,
გულა შინვარიმ?
გახსოვს,
მამა რომ სათევზაოდ ემზადებოდა,
როგორ გაყევი ერთ დღეს ჩუმად
და დაიკარგე,
დარჩი მარტოკა მთელი ღამით
ტბის განაპირა,
როგორ გეხურა თავშალივით
იმ ღამით ის ცა,
როგორ აივსო შენი ცრემლით
ტბის ფოსოები,
როგორ ჩაიმსხვრა შენი მზერა
ტბაში, რომელიც –

მეორე დილით – მწვანე ტბად იქცა...
სად გაიფანტა
მინდვრისფერი თვალების ფერფლი,
გულა შინვარიმ?
შენი თმის ჩანჩქერს ვინ ჩაჰყვება
ახლა ფსკერამდე?
ვინ ამოკრიფავს მისხალ-მისხალ
წარსულს განძივით,
ან ვინ მოგაწვდის თბილი პეშვით დაკარგულ დღეებს,
ვის შეუძლია ნეტავ გულში შენი დატევა?
შენ ხარ სამშობლო,
შენ ხარ დედა,
შენ ხარ სიზმარი,
ათი წლის ბავშვში ჩატეული
ქალის ხატება!

სიზმარი

წუხელის სიზმარს სოფელში ვახლდი
და მთელი ღამე ასე გავიდა,
ისევ იქ დამხვდა ჩვენი ხის სახლი,
ოწინარი და ელო მამიდა.
მდინარეს ბოთლი ჩაჰქონდა დაბლა,
ვიღაც ელოდა წერილს დაბლავე,
ისევ იქ დამხვდა მსხლის ხეც და დაფნაც,
შემდეგ მამა რომ დავასაფლავეთ.
შემდეგ ჰაერი მეჩვენა ხისტი,
მეზობლის ბიჭი კვიცებს ხედნიდა,
მამიდამ თმებში დამალა ქრისტე,
გადმოგდებული მინარეთიდან
და იგრძნო რამდენ ტკივილს ვითმენდით,
ჩემი და მტრედებს საკენკს უყრიდა,
მე ლექსებს ვწერდი, ხოლო რითმები
ამოდიოდა კვამლად ბუხრიდან.
მერე შენც გნახე მინდორში ტიალ,
მურა მოგვსდევდა კუდის ქიცინით,
ზვინში დილამდე ვიკოტრიალეთ
და ცას ესმოდა ჩვენი სიცილი.
რომ გამეღვიძა, იდგა ცისმარე,
მზე დაჰყურებდა ქალაქს ზემოდან
და მე მომინდა, რომ ეს სიზმარი
წუხელის შენაც დაგსიზმრებოდა...



ზურაბ შაშიკაძე

არც ქიშვარდი, არც დაუთი

(რეალური ამბავი)

ხასან მოთაძე ბათუმთან ახლოს ცხოვრობდა. ცოლი ჰყავდა და შვილი, საადეთი. საადეთს საშუალო სკოლა სამიოდე წლის წინ დაემთავრებინა. ოჯახი ცხოვრობდა შეძლებულად, ძალიან შეძლებულადაც. ჰქონდათ ციტრუსების უზარმაზარი ბაღი, რომელიც ყოველწლიურად ბარაქიან მოსავალს და დიდ შემოსავალს იძლეოდა. ხასანი ბათუმში ტაქსისტად მუშაობდა. ბრეჟნევის პერიოდში ტაქსისტობაც მეტად სარფიანი საქმე იყო.

უკვე შეჭარმაგებული, მარტოხელა ქიშვარდი კი ხასანის სოფელში სამიოდე თვის წინ გამოჩნდა. მან საცხოვრებლად კრასნოდარში გადასული ერთი კოლმეურნისაგან მდიდრულად გაწყობილი სახლ-კარი შეიძინა. ქიშვარდი ქართველი კი იყო, მაგრამ არც მას უთქვამს და ვერც ვერვინ დაადგინა, წარმოშობით ის საქართველოს რომელი კუთხიდან იყო. ხანდახან აქა-იქ თუ იქა-აქ ბოროტი ხმები გამოჟონავდა, ქიშვარდი ახალგაზრდობისას უზარმაზარი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში გამოჩნდებოდა ხოლმე, რაღაც აფიორას ჩაიფიქრებდა, ხალხს ფულს დასცანცლავდა და მერე უკვალოდ იკარგებოდაო. საკავშირო მილიცია მას დიდი ხანია დაეძებდა, მაგრამ უშედეგოდ. ეს მოუხელთებელი კაცი ყველგან სხვადასხვა პასპორტით და სხვადასხვა სახელითა და გვარით ჩნდებოდა და ქრებოდაო. გარეგანი გარდასახვის უნარიც გასაოცარი ჰქონდაო. ხასანის სოფელსაც ის ქიშვარდის სახელით კი გაეცნო, მაგრამ არავის სჯეროდა, რომ ის მართლაც ქიშვარდი იყო.

სამუშაოს შემდეგ ყოველთვის შინისაკენ მიიჩქაროდა ხასანი, საყვარელი ცოლ-შვილისაკენ. ახლაც საკუთარი ცინცხალა „ვოლგით“ ბათუმიდან სახლისკენ მიდიოდა. მანქანით კი მიდიოდა, მაგრამ მაინც ფეხები უკან რჩებოდა. იცოდა, დღეს ოჯახი მას მგვლოვიარესავით დახვდებოდა.

ვეებერთელა რკინის ჭიშკარი ბოლომდე გააღო და მანქანა ფერადი ფილებით გაწყობილ ეზოში შეაგორა. გაუკვირდა, ცოლიც და შვილიც ეზოში რომ დახვდნენ. არც სახეზე ეტყობოდათ მაინცდა მაინც გლოვის დიდი ნიშანი. იცინოდნენ კიდეც. მათ ხასანს მანქანიდან ხეირიანად გადმოსვლაც არ აცალეს, ისე მიახარესავით: დღეს ჩვენთან ჩვენი ახალი მეზობელი ქიშვარდი იყო, ხასანთან აუცილებელი საქმე მაქვს და საღამოთი, როცა მოვა, მნახოსო.

ხასანს გაუკვირდა, კაცს რომელსაც ხეირიანად არც კი ვიცნობ, ასეთი საჩქარო რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთანო. რაკი ქიშვარდის სახლი ხასანის სახლთან ახლოს იყო, ხასანმაც ფეხით ჩასეირნება გადაწვიტა.

ქიშვარდმა ხასანი თავის ეზოში, დიდი პალმის ქვეშ გაწყობილ ფანჩატურში მიიწვია. სკამებზე ჩამოსხდნენ თუ არა, ქიშვარდი, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, მთავარ სათქმელზე გადავიდა.

– ჩვენი სოფლის მაღაზიის წინ, სადაც უსაქმურები იკრიბებიან, დღეს, შუადღეზე, ცოტა ხნით შევჩერდი. შენზე ლაპარაკობდნენ. გავიგე, თქვენი შვილი საადეთი მესამე წელია ბიოლოგიის სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებს აბარებს, გამოცდებზე არასდროს ჩაჭრილა, მაგრამ ყოველთვის ერთი თუ ორი ქულა აკლდება და კონკურსში ვერ გადისო. ხასანი იფიცება, ყველაფერს გავიღებ და ერთადერთ შვილს უსწავლელს არ დავტოვებო, მაგრამ ვერც ცოდნამ, ვერც ქრთამმა და ვერც პროტექციამ ვერაფერი უშველაო. ახლაც ასე მომხდარა. გუშინ ჩარიცხულთა სიები გამოუქვეყნებიათ და კვლავ ერთი ქულა დაკლებიაო. პატივცემულო ხასან, იქედან პირდაპირ თქვენს სახლში გამოვიარე. თქვენი ცოლ-შვილი მგლოვიარეებივით დამხვდნენ. დაადასტურეს, ხასანი მზადაა არაფერი დაიშუროს ამ საქმის მოსაგვარებლადო. მე მათ დავპირდი, რომ აუცილებლად დავეხმარებოდი. ჯერ ეჭვით შემომხედეს, მერე კი იმედი მიეცათ და ძალიან გაიხარეს.

ეს კაცი როგორ შესძლებს ჩვენს დახმარებასო, ერთი გაფიქრება კი გაიფიქრა ხასანმა, მაგრამ არაფერი უკითხავს, თავი შეიკავა.

– მე უკვე ველაპარაკე თბილისში. ხვალ ოთხ საათზე მინისტრთან უნდა ვიყოთ მისაღებში. გათენებისთანავე შენი მანქანით მივდივართ თბილისში. – მოკლედ დაასრულა ქიშვარდმა და შეთანხმების დასადასტურებლად ხასანს ხელი გაუწოდა.

– ბაშ უსტა! – მოკლედ უპასუხა ხასანმაც და თანხმობის ნიშნად ხელზე ხელი დაურტყა.

მეორე დილით ქიშვარდის ეზოსთან მანქანით მისული ხასანი გაკვირვებული დარჩა. უკვე ასაკშეპარებული, მაგრამ ულამაზესი შესახედაობის, წვრილი, საროსავით წელში აღმართული ქიშვარდი, ერთ ღამეში საოცრად შეცვლილიყო. გახუნებული ქუდის ქვეშ უწესრიგოდ გამოშვერილი ჭაღარა თმები მოუჩანდა, წელში მოხრილიყო, კოპლებიან პერანგზე აშკარად სახელოებდამოკლებული და ნიდაყვებთან გაცრეცილი პიჯაკი ეცვა. გახუნებული ფართხუნა შარვალი ისე მკაცრი ხაზით იყო გაუთოებული, ბუზი რომ დაჯახებოდა, თავს წააცლიდა. ფეხებზე, სიძველისაგან ოდნავ დაბრეცილ „ნარიყალას“ ფეხსაცმლებს, კრიალი გაუდიოდათ.

ქიშვარდი მანქანის წინა სავარძელში ჩაჯდა. ხასანს მიესალმა.

– ვახსენოთ ღმერთი და დავიძარით! – ბრძანებასავით თქვა ქიშვარდმა. – გაკვირვებული ნუ მიყურებ და არც არაფერი მკითხო. ის მითხარი, მამაშენს რა ერქვა?

– დაუთი.

– რა უცნაური სახელები გაქვთ აჭარლებს, საადეთი, ხასანი, დაუთი. კიდევ კარგი, მახსოვრობას არ ვუჩივი. ხასან, თბილისამდე დიდი მანძილია, თუ შეიძლება, ბევრი მელაპარაკე, მომიყევი თქვენსა და თქვენიანების შესახებ. ერთსაც გთხოვ, ძალიან მიყვარს თქვენებური საუბრის მოსმენა და შენც შეეცადე, ისე მესაუბრო.

მაგას რავა დაგამადლიო, გაიფიქრა ხასანმაც და თბილისამდე ენაგაკრეფილ რადიოსავით ირაკრაკა კუთხურ-აჭარულად.

მინისტრს რა უნდა ვუთხრაო, მხოლოდ ახლა გაახსენდა ხასანს, როცა უკვე მინისტრის მისაღებში შევიდნენ. ქიშვარდი გულთმისანი იყო:

– შენ რა უნდა უთხრა, მინისტრთან მე შევდივარ, შენ კი არა! შენ მისაღებში დამელოდე!

წელში ოთხად მოკეცილმა ქიშვარდმა მინისტრის კაბინეტის მძიმე კარი კიდევ უფრო მეტი სიმძიმით შეაღო.

– შეიძლება, უმფოსო? – კარებში საბოლოოდ შესვლამდე დაბალი ხმით იკითხა ქიშვარდმა, ქუდი მოიხადა და რაგბის ბურთივით ცალი ხელით მკერდზე მიიხუტა.

– მობრძანდი, ძიაკაცო! – უზარმაზარი კაბინეტის სიღრმეში, უზარმაზარი ოვალური მაგიდის ბოლოს, ცალკე, ასევე უზარმაზარ ოთხკუთხა მაგიდასთან ბრგე კაცი იჯდა.

– აგერ, ახლოს, ამ სკამზე დაბრძანდით და მომიყევით, რაზე შეწუხებულხართ.

მინისტრი მასთან შემომსვლელის ხაზგასმული ზრდილობიანობა-თავმდაბლობით და ნათქვამის კილოთი იმთავითვე მიხვდა, რომ კარებში მთიელი აჭარელი კაცი იდგა. მინისტრი ცნობილი ფილოლოგი იყო და ძალიან კარგად იცოდა საქართველოს ყველა კუთხის დიალექტი, აჭარული კი განსაკუთრებით, რადგან ბიძაშვილი ჰყავდა გათხოვილი ზემო აჭარაში.

ქიშვარდი იატაკზე ფეხების შესამჩნევი თრევით მაგიდასთან ძლივს მილასლასდა, სკამთა დიდი რიგიდან მითითებული სკამი მორიდებით გამოსწია და სანახევროდ ჩამოჯდა მასზე.

– აჭარიდან ბრძანდებით, ხომ? – თავისი მიხვედრილობის გადამოწმება მაინც გადაწყვიტა დამხვდურმა.

ქიშვარდმა ორივე ხელი ყურებთან მიიტანა და სანახევროდ დახურული ხელისგულები მინისტრისაკენ ლოკატორებივით მიმართა. მინისტრი მიხვდა, ჩამოსულ-შემოსულს სმენის პრობლემები ჰქონდა.

– ამ ბოლო დროს, პაწაი ყურს დამაკლდა და... – დაიმორცხვა ქიშვარდმა.

– მომიყევით, მომიყევით, ვინ ბრძანდებით და რაზე შეწუხებულხართ, – დაიყვირა ისედაც ხმამქუხარა მინისტრმა და მას შემდეგაც სულ ყვირილით ლაპარაკობდა.

– მე დაუთ მოთაძე ვარ, აჭარიდან, – დინჯად წარმოთქვა კაბინეტის შემოსასვლელიდან უკვე დაუთად ქცეულმა ქიშვარდმა, ანუ დაუთ-ქიშვარდმა თუ ქიშვარდ-დაუთმა, – თლათ წმინდა ქართულით ვერც ვლაპარიკოფ და ყუსურზე ნუ დიმიხედავთ, პატივცემულო მინისტერო.

– გისმენთ, ყურადღებით გისმენთ, – მხოლოდ წამიერად ჩაერთო მინისტრი.

– მთაში დევბადე და გევზარდე. მთაშივე ვაპირეფ სიკტილს. მთელი ცხოვრება წელებზე ფეხს ვიდგამდი, მაგრამ მწირია ჩვენს მთაში მიწა. ოჯაღში ნლიდან ნლამდე თავი ძლივს გაგვქონდა. მერე ვითომ ცოტათი მოვმძლავრდით. მოვმძლავრდით და ჩემი შვილი, ხასანი, დავასახლე. ქალიც ჩვენებური მუუყვანე. ჩემსავით ნუ იმწვალებს-მეთქი და ბათუმთან ახლოს მიწა მივაღებინე. იქაური მიწა მთისას არ გავს, ნოყიერია. იაარები შუქურ, ხასანიც მე დემემგვანა, შრომაში დუუზარებელია. ააჭეჭელა და ააყვავილა იქავრობა. მშვენიერი მანდარინის ბაღი მოაშენა. დიდი, ყალესავით სახლიც დაიდგა. მარტო ერთ რამეში გამოდგა თემბელი, ერთი შვილი ყავს, ჰემაც გოგო, საადეთაი. მასზე ამოდის ბზე და თვარე. მეც ბევრი მეხვეწა, ბაბი, რა გინდა ამ მივარდნილ მთაში, აქ რა დაქჩენია, გადმოდი ჩვენთან და სიბერე ტკბილად გაატარეო. ჰამა, ჩვენი ძველები იტყვოდენ, მთის ჩიტი მთას შააკდებაო...

დაუთი (სჯობს ახლა ასე მოვიხსენიოთ) შეჩერდა, თუმცა ხედავდა, რომ მინისტრი მთელი გულისყურით უსმენდა.

– გისმენთ, გისმენთ, განაგრძეთ!

– აქ, უკვე თქვენთან შემოსულსაც კი, ჯერ გადაწყვეტილი არ მქონდა, ბოლომდე გამებედა, თუ არა ჩემი სათქმელი. როიცხა რომ, ამისთვის ამხელა გზა გამევიარე, წუხელ თეელი ღამე მატარებლის საერთო ვაგონში უძილოთ გავატარე. სამინისტროსაც კითხვა-კითხით ძლივს მოვაგენი. გაგიკვირდათ, ჰელბეთ, ასეთი შვილი თუ ყავს, თბილისში ბერიკაცი ასე უპატრონოდ რაფერ გამუუშვაო. რაშია საქმე, ახლავე მოგახსენეფ. ჩემმა ბადიშმა, ხასანის საადეთამ, სამი წელია რაც შკოლა დაამთავრა. შკოლაში კარგი მოსწავლე იყო. მემრე, ჩვენდა საბელაოდ, დეიჩემა, მაიცადა მაიც ჩვენთან ყველაზე ძნელად მოსაწყობი გიობ... ბიოგ...

– ბიოლოგიის!

– აგაშენეფს ღმერთი, ბიოლოგიის სპეციალობა უნდა დავამთავროო. სამი წელია აბარებს მისაღებ გამოცდებს ამ სპეციალობის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე. ყოველთვის

კარგ ნიშნებსაც ღებულობს, ჰამა, ამბობენ რაცხა კონკურსია თუ ჭირი, იქ ვერა და ვერ გავიდაო. წელსაც ერთი ქულა დააკლდაო. დერდმა ჩამომიხმო ბადიში, დედამისმაც, ჰაცხანაა, შავები-ნა ჩეიცვას. მგლოვიარეთა შემხედვარეს, ხასანსაც ძველებურად ოჯაღისაკენ არ მუუხარია... ძალიან გავწუხდი. ვუთხარი, შვილო, ამბობენ, მინისტერი ძალიან კარგი კაცია, განსაკუთრებით ჩვენიანების დამფასებელი. ცა და ქვეყანას იცნობ. ჩადი თბილისში, შეეხვეწე თავრობას, ბელქი დეგეხმარონ-მეთქი. თუ არ შექცხვება, ავდგები პარხალი ბერი და მე ჩევალ-მეთქი. მითხრა, არა, ბაბი, მაი საქმე მასე არ გაკეთდებაო. შენ კი ჰანდა წეხვიდე. ის მაკლია, ახლა ხალხი ვაცინოო. ყელი არ გამომჭრა, არსად უჩემოდ ფეხი არ გაადგაო. მე კი გულმა მაიც არ მომითმინა და...

– ერთი წუთით, ბაბუ! – წამოცდასავით მინისტრს და ამ საქმეში გამობრძმედილმა ქიშვარდმა (სჯობს ახლა ასე მოვიხსენიოთ) დაინახა, რომ მინისტრმა აპარატის ღილაკს საჩვენებელი თითი მიაჭირა. მისაღებიდან მდივანი გოგონა შემოცქრიალდა. მინისტრმა პატარა ქაღალდის ფურცელზე მას რაღაც დაუწერა. ახლავეო, თქვა მდივანმა და იმ ქაღალდიანად უკანვე წაცქრიალდა. ქიშვარდ-დაუდი (სჯობს ახლა ასე მოვიხსენიოთ) მიხვდა, რომ მინისტრმა მდივანს ფაქტების სასწრაფოდ გადამოწმება დაავალა.

განაგრძეთ, გისმენთ, ჩემო ბატონოო, მინისტრმა.

– ...ეიდა, გულმა არ მომითმინა და წუხელი ხასანაის უჩუმათაი თიფლისში გამოვპარე. ჰეჩაც არ ველოდი თქვენგან, ამხელა მინისტერისაგან ასეთ გულიანობას, ასეთ თიბილ დახვედრას. გული გიმინათდა...

ამ დროს მდივანმა გოგომ შემოსვლა ითხოვა, მინისტრის მაგიდასთან მიცქრიალდა, მაგიდაზე ქაღალდის ფურცელი დადო და უკანვე წაცქრიალდა. ქიშვარდი (სჯობს ახლა ასე მოვიხსენიოთ) მიხვდა, მდივანმა მინისტრს საადეთ მოთაძის შესახებ ინსტიტუტიდან გამოხმობილი ცნობები მიაწოდა.

– დაგეხმარები, ძიაკაცო, ყველანაირად დაგეხმარები ბადიშზე ასეთნაირად მზრუნველო ბაბუ! – ქაღალდზე თვალის გადავლების შემდეგ აღტაცებით უთხრა მინისტრმა ქიშვარდ-დაუთს.

– ნენეეეე, ეს ჩემ ჭატა ყურებს რა ესმის! დაგეხმარეებიო? მთელს ჩემს საახლობლოს გავაგებიებ, რა კარქობით მიმიღეთ, რაფერ მომეფერეთ, რაფერ დამაფასეთ და დამაიმუდეთ! სიცოცხლის ბოლომდე გამყვება თქვენი ლამაზი სიტყვები. და განა არ ვიცი, რომ ჩემი ხასანი მართალია და რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა? ჰამა, მიბრძანეთ, რაფერ მომეთმინა და არ ჩამოვსულიყავ, მემრე რძალსა და ბადიშზე რა თვალებით შემეხედა?

რას მიქვია არაფერი გამოვა, მე თქვენ ვინ ggონივართო, კინაღამ წამოიყვირა და კინაღამ ფეხზე წამოხტა მინისტრი.

მაგრამ მინისტრი იყო და მოთმინება მართებდა.

* * *

მეორე საღამოსაც ხასანმა თავისი ეზოს ვეებერთელა რკინის ჭიშკარი ბოლომდე გააღო. გააღო მაგრამ მანქანა ფერადი ფილებით გაწყობილ ეზოში ვერ შეაგორა. ეზოში ახლა მას მარტო ცოლი და შვილი კი არა, უამრავი მეზობელ-ნათესავებიც დახვდნენ. საადეთი გამოფრინდა და მამას კისერზე შემოეხვია. სხვებმა კი ხასანს ხმაშეწყობილად აუწყეს: დღეს, შუადღეზე ინსტიტუტიდან დეპეშა მოვიდა, საადეთ მოთაძე მინისტრის ბრძანებით ბიოლოგიის სპეციალობაზეა ჩარიცხული და სესიებზე უნდა გამოცხადდესო.

უმჩატესი

ერთი თანაკურსელ-თანაჯგუფელი მყავდა.

ჭიდაობდა.

ჭიდაობდა და ექიმთან მივიდა.

ექიმი ახალგაზრდა კაცი იყო.

– ექიმო, რაიმე საშუალება თუ არსებობს, გულ-მკერდიდან თმა რომ მომაცილო? – დიდი მორიდებით ჰკითხა მან ამ ახალგაზრდა ექიმს.

– კი, როგორ არა, აბა, მაჩვენეო – ექიმმა.

აჩვენა.

– ეს რა თმაა ისეთი, ასე რომ შეგაწუხაო – ექიმმა.

– ვჭიდაობ, ჭიდაობისას მეწიწკნება და ხელი მეშლებაო – ამანაც.

ექიმმა ირონიულად ახედ-დახედა პაციენტს და ირონიულადვე შეეკითხა: რომელ წონაში ჭიდაობო.

– უმჩატეს წონაში, 48 კილოგრამი ვარო – ამანაც.

– სიგარეტს ეწევი? – ჰკითხა ექიმმა.

არა, რას ამბობ ექიმო, მოჭიდავე ვარო, ამან.

– ღვინოს სვამ?

არა, რას ამბობ ექიმო, მოჭიდავე ვარო, ამან.

– ქალებში დადიხარ? – ჰკითხა ექიმმა.

არა, რას ამბობ ექიმო, მოჭიდავე ვარო, უკვე გაწითლებულმა ამან.

არ მოგაცილებო, ხელები გაასავსავა ექიმმა.

რატომო, გადაირია მოჭიდავე.

– ბიჭოს! – უარესად გადაირია ექიმი, – კაცობის დამადასტურებელი მაგი ერთადერთი თმა თუ ბალანი გქონია და ცოდვას ვერ დავიდებო.

მადლობა და ბოდიში, ბაბუ!

(ნამდვილი ამბავი)

ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი.

პირველი – წერითი გამოცდა იყო მათემატიკაში. გამოცდა დილით იწყებოდა და სოფლიდან ძლივს ჩავუსწარი. წერაზე ორივე ვარიანტში საკითხები საკმაოდ მარტივი იყო. მეორე ვარიანტი დავწერე. შავი ფურცლებით თითქმის არ მისარგებლია, ნაშრომი პირდაპირ თეთრ ფურცლებზე გავაფორმე, ნაწერი მიმღებ კომისიას ჩავაბარე და გამოცდიდან პირველი გამოვედი.

მაშინ აბიტურიენტებს გამოცდებზე საგულშემატკივროდ უამრავი ახლობლები დაჰყვებოდნენ: ბაბუები, ბებიები, მშობლები, მამიდა-დეიდა-ბიცოლები...

ისინი იმ დღესაც ბლომად იყვნენ ინსტიტუტის ეზოსთან.

მე არავინ მგულშემატკივრობდა. ბაბუებიდან არც ერთს მოვსწრებივარ.

ბაბუებს კიარა და...

– რომელი სპეციალობიდან ხარ?

– რა გამოცდა გქონდა?

– საკითხები მარტივი იყო?

– ყველა წერს?

შუაში მომიმწყვდიეს და კითხვები დამაყარეს სხვისმა გულშემატკივრებმა.

მეც შეძლებისდაგვარად ყველას ვპასუხობდი.

– ამას ვიღაც დიდი პატრონი ეყოლება, თორემ ასე მალე როგორ დაწერდა, – გული მომიკლა ერთის ნათქვამმა.

– ამას დიდი პატრონისას რა უგავს, ვერ ხედავთ, როგორი გაჩხიკინებულია, – კიდევ უფრო მომიკლა გული მეორემ.

ვცდილობდი ამ აბეზარებისაგან თავის დაღწევას, მაგრამ ვერაფრით მომეხერხებინა.

უცებ ამ ხალხიდან განცალკევებით მდგარი ერთი კაცი გამოვარჩიე. კაცი საკმაოდ ასაკოვანი იყო. ჩუმად იდგა. მას შავი პერანგი ეცვა. ტანად მეტად თხელი იყო, ბეჭებში ოდნავ მოხრილი.

მოულოდნელად რაღაც ძალამ ხალხი გააყუჩა. მიდგნენ, მოდგნენ და ჩემსა და იმ კაცს შორის ღია ხელოვნური დერეფანი გაიხსნა. კაცი ნელი ნაბიჯით ჩემსკენ გამოემართა. მოვიდა. ერთმანეთს თვალებში შევსცქეროდით და მის თვალებში უზარმაზარი სევდა შევნიშნე.

მან ჩემი მარჯვენა ხელის მტევანი მისი ხელების მტევნებს შორის მოიქცია. დამჭკნარი, გრძელი თითები ოდნავ მომიჭირა. შევნიშნე, რომ მეტად ნაღვლიანი თვალები ახლა სიხარულით მოციმციმე ცრემლებით გაევსო.

ცოტა ხანს დაჟინებით მიცქირა, მერე ხელები ჩამოუშვა, მიბრუნდა, ნელი ნაბიჯით ქუჩა გადაკვეთა და გაუჩინარდა.

მე გაშეშებული ვიდექი და ხმას ვერ ვიღებდი.

გაშეშებულ-დადუმებული იდგნენ სხვისი და ახლა ნაწილობრივ უკვე ჩემი გულშემატკივრებიც.

მათემატიკაში ზეპირი გამოცდა გვიან ღამობამდე გაგრძელდა. გამოცდიდან რომ გამოვედი, უკვე ბნელოდა. გულშემატკივართა რიგები საკმაოდ შეთხელებულიყო.

ლამპიონების შუქზე დავინახე, ეზოს გარეთ ის ჩემი ნაცნობ-უცნობი კაცი იდგა. მივხვდი, მე მელოდებოდა. ჭიშკართან დამხვდა. არაფერი უთქვამს და უკითხვს. ისევ იმ ნაღვლიანი თვალებით შემომცქეროდა. მეც უსიტყვოდ გავუწოდე ჩემი საგამოცდო ფურცელი. გადაშალა. დიდხანს ჩასცქეროდა. მერე დახურა და უკანვე დამიბრუნა. თვალები ასევე ცრემლებით აუციმციმდა.

იგივე განმეორდა ბოლო ორ გამოცდაზეც.

გამოცდები დამთავრდა.

ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიებს 25 აგვისტოს, დილით გამოაკრავდნენ. უზარმაზარი კონკურსის გამო, მარტო მიღებული მაღალი ნიშნები არ იყო გარანტია ინსტიტუტში ჩარიცხვისათვის, რადგან უპირატესობა ლიმიტიანებსა და შრომითი სტაჟის მქონე აბიტურიენტებს ენიჭებოდათ.

ყანა-ბაღჩაში მუშაობით დაღლილი, ავტობუსით ქალაქში გვიან ჩავედი. ინსტიტუტის ვესტიბულში, სადაც სიები იყო გამოკრული, უკვე აღარავინ იყო.

ვნახე სიები.

ჩარიცხული ვიყავი. სიხარულის გამზიარებელი არავინ მყავდა. თავს ეულად ვგრძნობდი და წარმატება დიდად არც გამხარებია.

ის გასასვლელ კარებთან დამხვდა. გუმანით მივხვდი, სიები უკვე გამოკვრისთანავე ჰქონდა ნანახი და მოსალოცად მელოდებოდა.

მივედი. ვიფიქრე, ახლა მაინც მეტყოდა რამეს. ის კი ისევ უსიტყვოდ შემომცქეროდა, ისევ სევდიანი თვალები ჰქონდა და ამ თვალებში ისევ სიხარულის ცრემლები უციმციმებდა. მხარზე ოდ-

ნავ შემახო ხელი. მერე წასასვლელად გამზადებული ისევ შემობრუნდა. შემობრუნდა და მოულოდნელად აცახცახებული ხელებით მის გამხმარ მკერდზე მიმიხუტა.

მერე მიბრუნდა და წავიდა. წავიდა და მივხვდი, რომ ეს სამუდამო გამომშვიდობება იყო.

გულში რაღაც ჩამწყდა.

* * *

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ყველა ადამიანის მსგავსად ცხოვრებაში მეც ბევრი სიმწარე და ბევრი სიხარული ვნახე. საოცარია, რომ დიდი მწუხარებისა და დიდი სიხარულების ჟამს ჩემს გვერდით მუდამ იმ საოცარი კაცის უცვლელ აჩრდილსა თუ ხატებას ვხედავდი. ვხედავდი ცხადად და ეს მინახევრებდა წუხილს და მიორმაგებდა სიხარულს.

უკანასკნელად სამიოდე წლის წინ ვიხილე. ოჯახი საახალწლო სუფრას რომ მივუსხედით აჟრიამულებულ შვილიშვილებთან ერთად, ვნახე, მკრთალად განათებული ზალის კუთხეში ღრმა სავარძელში იჯდა. იჯდა და სიხარულის ცრემლებიანი შემოგვცქეროდა. კვლავ ვიგრძენი, ჩემი სიხარულით ხარობდა.

ზმანება მალე გაქრა.

ბავშვობიდან მორცხვმა და მორიდებულმა ადრე ვერც კი მოვიფიქრე, მეკითხა მისთვის ვინაობა, ვინ იყო, რა დარდი ჰქონდა, საიდან იყო.

ერთი მადლობაც ვერ ვუთხარი თავის დროზე. ამისათვის ვერც ბოდიში მოვუხადე. ერთხელაც ვერ მოვეფერე და მოვესიყვარულე.

ამის დარდი დღემდე მომყვება.

მომყვება და ყველას გასაგონად ახლა, ახლა მაინც უნდა მოვეფერო და მოვესიყვარულო:

– დიდი მადლობა ყველაფრისათვის, დიდი მადლობა და დიდი ბოდიში ამ მადლობის დაგვიანებისათვის, ბაბუ!

დედისა

ისმაილს ბახჩიდან დედის შეკივლება მოესმა. შეშინებულმა პირდაპირ დერეფნიდან ისკუპა ბახჩაში და უმალვე დედასთან გაჩნდა.

– რა იყო, ნენი, რა მოგივიდა! – ათრთოლებული ხმით შეეკითხა დედას, თვალი მოჰკრა რა მის გაფითრებულ სახეს.

დედა მიწაზე იჯდა და კაბის ქამარს იხვევდა შიშველ წვივზე.

– უხსენებელმა დამგესლა, შვილო, – დაიკვნესა დედამ, – ნაკბენთან ქამარი შემოვიჭირე, მაგრამ დაყოვნება არ შეიძლება, გველის შხამი საშიშია. სხვები რომ შევაწუხო, დრო არ ითმენს. შენ უნდა მიშველო, ნენი! უკვე დიდი ბიჭი ხარ. კარგად მომისმინე. გვარას გორაზე გადავლით მარადიდში უნდა გადაირბინო. იცი შენ ეს გზა. პატარობისას, კარგი ამინდი თუ იქნებოდა, დეიდაშენთან ამ მოკლე გზით დამყავდი ხშირად. იცი მარადიდში ისაკ ეფენდი ხალვაშის ყავახანაც. ნახე იქ ისაკ ეფენდი, უთხარი რაც მოხდა. მარტო ის თუ გვიშველის. შენი თვალის კაკლების ჭირიმე, ნენი, აბა, შენ იცი, ჩემო მოსწრებულო შვილო!

დედას სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, ისმაილი ბაღჩიდან რომ გაფრინდა. ნაცნობ ბილიკებზე ქარივით მიჰქროდა. შიშველ ფეხებს ხანდახან ქვის წვეტიან ნატეხებზე აბიჯებდა, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა. მისი გონება ახლა მთლიანად დედის, საყვარელი ნენეის გადარჩენაზე ფიქრს შეეპყრო.

მამა არ ახსოვდა ისმაილს. ეუბნებოდნენ, ის მაჭახლის ხეობაში ორი მოსისხლე გვარის შერიგებისას ვიღაცის სალახანა ტყვიას ემსხვერპლაო. ყოველთვის გრძნობდა ისმაილი, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მამა ძალიან სახელიანი კაცი უნდა ყოფილიყო.

ახალშექმნილ ოჯახში მხოლოდ ორნი დარჩნენ – დედა და ჩვილი ბავშვი. ობლად გაზარდა ნაადრევად დაქვრივებულმა დედამ ისმაილი. მასზე ამოდიოდა მზე და მთვარე. ხარობდა, როცა შვილი მამის ალიკვალი გამოდიოდა.

ისმაილის სოფელი მაჭახლის ხეობაში იყო, მარადიდი კი – ჭოროხის, იგივე ლივანის ხეობაში. ამ ორ სოფელს შორის მდებარე გვარას გორა ქარივით გადაიქროლა ისმაილმა. მალე ფრიალო გადასახედიდან მდინარე ჭოროხი და სოფელი მარადიდიც გამოჩნდა. ჭოროხის ნაპირზე სწრაფად რომ ჩასულიყო, შორიდან მოვლას დაკიდებულ დაღმართში მიმავალი გზაბაწარა არჩია. ბედად ნავი ჭოროხის გამოღმა ნაპირზე დახვდა. მენავეც ნავში იჯდა და თვლემდა. როცა ისმაილი ნავში ჩახტა, მენავე შეკრთა და თვალები გაახილა. ხომაა მშვიდობაო, ჰკითხა შეშინებულმა. პასუხს არ დალოდებია. მიხვდა, კითხვა უადგილო გამოუვიდა. სწრაფად ახსნა ნავი და კიჩო წყლის ჩქარი დინებისაკენ მიმართა.

– ჰარუნბიძავ, ნენეს გველმა უკბინა და საშველად ისაკბიძასთან მივრბივარ. – მეტად აღელვებული ისმაილი სანამ სათქმელს დაამთავრებდა, ნავი უკვე მიაპობდა ჭოროხის ტალღებს.

ნავიდან მეორე ნაპირზე რომ ჩამოხტა, მენავისათვის მადლობაც არ უთქვამს, ისე გაენთო ყავახანისაკენ. ყავახანაც ჭოროხის ნაპირზე იდგა და ნავის სადგომიდან შორს არ იყო.

ჩქარ ნაბიჯზე გადასული შევიდა ყავახანაში. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

ისაკ ეფენდი ნარდს ეთამაშებოდა ვიღაც უცნაურად ჩაცმულ კაცს. მეტად აღელვებული ისმაილი რომ დაინახა, შეტრიალდა და დაბალი ხმით ჰკითხა:

– რაზე შეწუხებულხარ, იეგენ?

ისმაილმა სხაპასხუპით აუხსნა საქმის ვითარება.

ისაკ ეფენდი მიუბრუნდა იმ უცნაურად ჩაცმულ კაცს:

– გიორგი ბატონო, ახლა თქვენ ყავა მიირთვით და მეც მალე დავბრუნდები.

ყავახანის მეპატრონე ისმაილს მეზობელ ოთახში შეუძღვა. დაბალ მაგიდას მიუსხდნენ. მთელს კუთხეში ნაკითხობით ცნობილმა კაცმა თაროდან ერთი უზარმაზარი წიგნი ჩამოიიღო, მაგიდაზე ფრთხილად დადო და ფრთხილადვე გადაშალა.

– რა ჰქვია დედაშენს?

– მერიემი, – უპასუხა ქვადქცეულმა ისმაილმა.

ისაკმა გაშლილი ხელისგული დაადო წიგნის ფურცლებს. წიგნში არ ჩაუხედავს. გაყუჩდა. ისმაილმა დაინახა, თუ მოეჩვენა, რომ მკურნალს, სანამ თვალებს დახუჭავდა, თვალის გუგები შუბლისკენ ამოუტრიალდა. თვალებდახუჭულმა ცოტა ხანს იყუჩა და შემდეგ ლოცვასავით დაიწყო: „ჯურნი, მურნი, დუიურნი, უსტუპ, დუბ...“.

ისაკ ეფენდიმ უცნაური სიტყვები ცოტახანს კიდევ იბუტბუტა. მერე ნელ-ნელა თვალები გაახილა. თითქოს სხვა სამყაროდან დაბრუნდაო. მოეშვა. თანდათან დამშვიდდა. ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა. დაუბრუნდა და ისმაილს უთხრა:

– სულზე მივუსწარით. გველი მეტად გესლიანი ყოფილა. გადავრჩით, ახლა ჩვენი ავადმყოფი კარგადაა. სულ გამოუვიდა რაც ბალღამი ჰქონდა. მე პირველად ვერ გიცანი, ისმაილ. ახლა მივხდი, ვინა ხარ და ვისი შვილი ხარ. კარგი მამა გყავდა. სახელოვანი ვაჟკაცი. ვხედავ, შენც მისი წყალი გადაგსხია. მიხარია. არც დედაშენია ჩემი შორებელი. ნუ გეშინია, უკვე ყველაფერი კარგადაა. ჰო, მოშიებული ხარ. გავიდეთ მთავარ ოდაში, ორიოდე ლუკმა მიირთვი და ისე წადი. დედასთან მიგეჩქარება, მაგრამ, დიდი გზით დაღლილისათვის, ეს აუცილებელია.

საკუთარ ეზოს რომ მიუახლოვდა ისმაილი, გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა. ღმერთს კიდევ ერთხელ შეევედრა, ღმერთო, ჩემი ნენეი, ჩემი ნენულაი კარგად მყოფი დამახვედრეო.

მომლოდინე დედა ეზოში დახვდა, ჭიშკართან. სახეგაბრწყინებულმა მკერდში ჩაიკრა შვილი და აჩურჩულდა:

– მადლობა, გამჩენელო, შვილის დავაჟკაცებას რომ მომასწარი!

დედა თვალებზე სიხარულის ცრემლებმომდგარ შვილს გულში იკრავდა და თვითონაც გულაჩუყებული საკუთარ ცრემლებს ლეჩაქით იმშრალებდა.

* * *

ამ ამბიდან ორიოდე დღეში ცხენით ბათუმისაკენ მიმავალი ერთი მაჭახლელი სოფელ მაჭახლისპირიდან უკან დაბრუნდა. დაბრუნდა და ამბავი მოიტანა. მაჭახლისპირში მარადიდიდან ბათუმისაკენ აჩქარებით მომავალი გიორგი ნაკაშიძე ვნახე. გიორგი ნაკაშიძე საქართველოდან, ოზურგეთიდანაა. ის მარადიდის ახლადგახსნილ სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. გიორგი მეტად დამწუხრებული იყო, მარადიდში ისევ თურქები შემოვიდნენო.

იდგა1914 წელი.

მსოფლიო ომი დაიწყო.

ქეიფი კაპოტზე

(ნამდვილი ამბავი)

ახლახან (რა კაი სიტყვაა!) ერთი ცნობილი კაცი, საუცხოო ადამიანი გაამტყუნა თვითონ ძალიან მაგრად გასამტყუნებელმა ვაიკაცუნამ, მანქანის კაპოტზე უყვარს პურმარილის გაშლა და ქეიფიო.

კაპოტზე კი არა, ჩვენში დარჩეს და, ჩვენ, მე და ჩემიანებს, ხეზე ასულებსაც კი გვიქეიფია. რას მიქვია ქეიფის სახეობათა კრიტიკა.

ის დროა, ვეებერთელა კომუნისტური ქვეყანა რომ დაინგრა, ყველაფერი რომაა არეული, საცოდავი ხალხი უკიდურესად რომაა გაღატაკებული.

ჩვენში იტყვიან, ქვეყანა იქცეოდა და შაითნებს ხორუმი ჰქონდათ გამარულიო. ე, ზუსტად ისე გვჭირს მე და ჩემიანებსაც. თითქმის ყოველ საღამოს, სამუშაოს შემდეგ, მივდივართ დუქანში, ჩვენს ნაცნობსა და ახლობელ ხემდი ბიძიასთან და გვიანობამდე დარდს ღვინის სმით ვიქარვებთ. ამ გაქარვებაში დუქანში მუდამ მყოფი ერთი „გარმონჯიც“ ძალიან გვეხმარება. ის ისეთ ჯაყდანანას ჩააკლავიშებს ხოლმე გარმონზე, კაცმა ცეკვა რომც არ იცოდე, სისხლის ყივილი მაინც აგაცუნდრუკებს.

იმ დღეს სუფრასთან სამნი ვიყავით, მე და ორი ჩემიანი. შუაღამემ როცა გადაიარა, გადავწყვიტეთ, სუფრაზე დახვავებული პურმარილის ნაწილი მანქანაში ჩაგველაგებინა და ქეიფი ზღვის პირას, ბუნებაში გაგვეგრძელებინა.

თქმა და შესრულება – ერთი იყო!

უკვე საკმაოდ შეზარხოშებულებმა ხორაგი ჩემს „ნივაში“ ჩავტენეთ და დავიძარით.

ვირსავით დამჯერმა „ნივამ“, როგორც ჩანს, ჩვენი უყურადღებობით ისარგებალა, ყველაზე ნაცნობი გზა თვითონ აირჩია და ზღვასთან, ჩვენი უნივერსიტეტის წინ, მიგვაგორა. არ დაგავიწყდეთ, შუაღამე გადასულია. ქალაქში და ქვეყანაში შუქი თითქმის არსადაა. ყველა და ყველაფერი უკუნეთშია ჩაძირული.

პურმარილი მანქანის კაპოტზე გავშალეთ. მანქანის შუქფარები ჩართულია, რათა უკუნში თეფში და ღვინიანი ჭიქა ერთმანეთში არ აგვერიოს.

იმ დროების შესაბამისად, მალე ჩვენთან საგზაო ინსპექციის დანჯღრეული „ჟიგულით“ სამი ინსპექტორი მოგრიალადა (ღმერთო, ტყუილს ნუ მათქმევინებ, თვითონ მანქანა ძლივს მოლახლახდა, გრიალით კი მანქანის ძრავა გრიალებდა!). როგორც ჩანს, ინსპექტორებმა გვიცნეს, მიხვდნენ, ვერაფერს გამოგვრჩებოდნენ უნივერსიტეტელებს უნივერსიტეტის წინ და უკან გაბრუნება დააპირეს. ჩვენ ისინი სუფრა-კაპოტთან მივიწვიეთ.

რავა იუარებდნენ.

ერთად შევუდექით ღვინის სმის აღმართს.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ღვინომ საკმაოდ შეათამამა, ერთმა იმათთაგანმა ჭიქა აიღო და ახალი სადღეგრძელოს თქმის უფლება ითხოვა.

– ეს კაცური კაცი მინდა დავლოცო და ვადღეგრძელო, – თამადიდან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ წარმოთქვა მან და ნახევარსიბნელეში გავარჩიე, რომ მეორე, ღვინის ჭიქისაგან თავისუფალი ხელი ჩემსკენ გამოიშვირა, – ამ ადამიანს ვენაცვალე, რაც მე ამ კაცმა გაჭირვების დროს საქმე გამიკეთა, არასდროს დავივიწებ...

კარგი კაცი ვარ და სულ სიკეთის კეთებაში ვარ-მეთქი, ამის მტკიცებას რავა დავიწყებ, მაგრამ არც იმას ვიტყვი, ისეთი მომსპარი ვარ, არასდროს არავისთვის სიკეთე არ გამიკეთებინოს. უბრალოდ, იმან გამაოცა, რომ ვერც ეს ინსპექტორი ვიცანი და, გამომდინარე აქედან, ვერც ის მივხვდი, იმ ერთი სადღეგრძელოს თამადა ჩემს მიერ შემთხვევით ჩადენილ რა სამადლო საქმეზე ლაპარაკობდა. კაცი კი მაქებს, ცაში ავყავარ. დანარჩენებიც, ჩემიანებიც და ისინიც, სადღეგრძელოს მთავარ გმირს აღტაცებულნი შემომცქერიან. ნაღვინრობის ბრალი იყო თუ რა, არ ვიცი, გულში საოცარი სითბო ჩამეღვარა, თვალებზე ცრემლებიც მომადგა და ყელში მშრალი ბურთიც ამიმოძრავდა.

მომდგარი ცრემლები რომ არ შეემჩნიათ და სახალხოდ არ შევრცხვენილიყავი, ერთი ნაბიჯით უკან, უფრო მეტი სიბნელისაკენ დავიხიე.

ჩემმა მდღეგრძელებელმა ჩემი ამოძრავებით დრო იხელთა და ერთ-ერთ ჩემიანს ხმადაბლა ეკითხება:

– ეს კაცი ავალიანი ხომაა?

აბაااა! ვიღაც ავალიანის ნაცვლად, კინაღამ მე არ ამასლუკუნა იმ შეჩვენებულმა!

სიკეთე მონაგონისა

(რეალური ამბავი)

ანდრო ბურდენაძემ გაუხარელი ცხოვრებით იცხოვრა.

ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად საბჭოთა კავშირს თავს რომ დაესხა, ანდრო დღედღეზე პირველი შვილის გაჩენას ელოდებოდა.

ის ომში გაიწვიეს.

ომში მიმავალი კი მშობლებმა დააიმედეს, სამშობლო ღირსეულად დაიცავი და ოჯახზე ნუ იდარდებ, ყველაფერი კარგად იქნებაო.

ფრონტზე მყოფმა საველე ფოსტით მეუღლის წერილიდან შეიტყო, რომ ვაჟი შეეძინათ. დედამთილი და მამამთილი თავს ევლებოდნენ, შვილიშვილსა და რძალს ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

მერე მძიმედ დაჭრილი ანდრო ტყვედ ჩავარდა.

ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ტყვეთა ბანაკში მყოფი ისე ეწამა, სიკვდილი სანატრელი გაუხდა.

ომი დამთავრდა.

ანდრო მონატრებულ ოჯახს მაინც ვერ დაუბრუნდა.

ტყვეობაგამოვლილი ახლა საბჭოთა სამართალს ჩაუვარდა ხელში. მას ბრალდებად სამშობლოს ღალატი წაუყენეს და დიდი ხნით ციმბირში, ამჯერად პატიმართა ბანაკში გაამწესეს.

ბედმა ესეც არ აკმარა.

პატიმრობაში მყოფს მისი უნახავი ექვსი წლის შვილი გარდაეცვალა. ანდროს მშობლები შვილიშვილის და შვილის დარდს გადაჰყვნენ.

მერე ცოლიც გათხოვდა.

ანდრო შინ რომ დაბრუნდა, მშობლების ბინიდან თავისუფალი მხოლოდ ერთი მომცრო ოთახი დახვდა. დანარჩენი სხვა ოჯახისათვის გადაეცათ.

ანდროს საბოლოოდ ჯანი მაინც იმან გაუტეხა, სამშობლომონატრებულ დაბრუნებულს ქალაქის იტალიურ ეზოში უკვე სპეციალურად დამუშავებულ-შემზადებული სამეზობლო დაახვედრეს, რადგან ანდრო სამშობლოს მოღალატეა და მისნაირების ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.

ამიტომ მეზობლები ანდროს ამრეზილად უყურებდნენ, არც კი ესალმებოდნენ.

* * *

ქალაქის იმ იტალიურ ეზოში, სადაც ანდრო ბურდენაძე ცხოვრობდა, მეზობელი სოფლიდან რესულ ხალაძე შეივლიდა ხოლმე. ის ხილსა თუ თავისი ხელით დამზადებულ სხვადასხვა საოჯახო ნივთებს დაატარებდა. თავის საქონელს ფასს არასოდეს ადებდა, მხოლოდ იმდენს იღებდა, რამდენსაც გულით შესთავაზებდნენ. ხშირად იმასაც კი არა. გაჭირვებულებს უანგაროდ ჩუქნიდა რამე-რუმეებს და შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდა. განსაკუთრებით ბავშვებს უხაროდათ ეზოში მისი გამოჩენა. ყველას უყვარდა სიკეთით სავსე ადამიანი.

ამას ისიც ემატებოდა, რომ რესული ოქროპირი კაცი იყო, საოცრად ტკბილმოუბარი.

ერთხელ, როცა რესული ეზოში რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად დიდ მაგიდასთან იჯდა, ანდრომ ჩაიარა. არავინ მიესალმა. ზოგმა მისგან პირიც კი იბრუნა. მხოლოდ რესული მიესალმა მას, წამოუდგა და მდაბლად თავიც დაუკრა.

რესული ანდროს ეზოდან გასვლამდე უყურებდა და სახეზე უზარმაზარი სინანული თუ მწუხარება ეხატა.

– ახალგაზრდებო, ერთი ამბავი მინდა გიამბოთ, – დინჯად წარმოთქვა რესულმა და როცა ყველა სმენად იქცა, დინჯადვე განაგრძო, – იცით, რა ომი გამოიარა ჩვენმა ქვეყანამ. მეც ამ ომის მონაწილე ვარ. ფრონტზე მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავვარდი. რაც იქ წამება და წვალება გამოვიარე, ენით აღუწერელია. ნაცისტები როგორც ცხოველებს, როგორც არარაობებს ისე გვეპყრობოდნენ, ათას რამეს იგონებდნენ და იყენებდნენ უკვე შიმშილითა და შრომით გასავათებულ ტყვეთა მოსასპობად. ტყვეთა სიკვდილი მათთვის თვალსეირი იყო.

ერთხელაც მათთვის სასეირო კიდევ ერთი რამე მოიფიქრეს. ხის ბოძზე, მაღლა, მავთულის ვიწრო რგოლი მიამაგრეს, ისეთი, მოზრდილი ვაშლი ძლივს რომ გაეტეოდა. მერე, მართლაც პატარა, ვაშლისტოლა რეზინის ბურთი მოიტანეს და გამოგვიცხადეს: ახლა შერჩევით ვისაც გამოგიყვანთ და ვინც პირველივე ცდით ამ ბურთს იმ რგოლში ვერ ჩააგდებს, გაზის კამერაში მოვახრჩობთო.

გამოგვიყვანეს ოცდახუთი ტყვე.

ბედის ირონიით მე, მაინცადამაინც, ოცდამეხუთე აღმოვჩნდი. ეს ნიშნავდა, რომ ჩემი სიკვდილის მოსვლამდე დანარჩენების სასაკლაოსთვის ბოლომდე უნდა მეცქირა.

ტყვეთა ბანაკში ცოდვის კალო ტრიალებდა.

რიგრიგობით ცხრამეტმა ისროლა სიკვდილის ბურთი და ცხრამეტივემ ააცილა.

ცხრამეტივე, ერთი მეორეს მიყოლებით, გაზის კამერაში მოაშთეს.

მხოლოდ ერთმა, მეოცემ იყოჩაღა. სრულიად აუღელვებლად, ვითომც არაფერიო, ისე ისროლა ბურთი და რგოლში ჩააგდო.

შემდეგმა ოთხმაც, ისე როგორც მეოცის წინ ცხრამეტმა, გაზის კამერაში დაამთავრა გაწამებული სიცოცხლე.

როგორც უკვე გითხარით, ბოლო მე ვიყავი.

ჩემი ჯერიც მოვიდა.

შიმშილისა და წამებისაგან ისე ვიყავი დასუსტებული და ჯანგამოცლილი, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ბურთის ჩაგდება კი არა, ბურთს რგოლამდეც ვერ ვუწვდენდი.

უეჭველი სიკვდილი მელოდა.

მაინც ვკვდებოდი და გავბედე. ვუთხარი მწვალებლებს, თუ შეიძლება, ჩემს მაგივრადაც იმ მეოცემ ისროლოს ბურთი-მეთქი.

ერთმანეთთან მცირე გადალაპარაკების შემდეგ დამთანხმდნენ. დამთანხმდნენ, ოღონდ ერთი პირობით, თუ ბურთს ვერ ჩააგდებდა, ჩემთან ერთად ის მეოცეც მოკვდებოდა.

ეს უკვე ჩემს უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა და სასოწარკვეთილმა გადავწყვიტე, ბურთი, რომელიც უკვე ხელში მეჭირა, საერთოდ არ მესროლა.

ყოყმანი რომ შემამჩნია, ჩემს გვერდით მდგომმა მეოცემ მოულოდნელად ბურთი გამომტაცა.

გამომტაცა, შებრუნდა, მცირე ყოვნი გააკეთა და ბურთი რგოლისაკენ დამიზნებით ისროლა.

თითქოს პატარა ბურთმა სული ჩაიდგაო. მან ჯერ მავთულის რგოლზე რამდენიმეჯერ შემოიბზრიალა. შემოიბზრიალა და გაჩერდა. რგოლზე შეყოვნდა, თითქოს ვერ გადაუწყვეტია, ყოყმანობს და ფიქრობს, საით გადაიწონოს თავი. ისედაც გამწარებული ჩემი სიცოცხლე, უკვე მერამდენედ, ბეწვზე დაეკიდა. სუნთქვა შემეკრა, ძარღვებში სისხლი გამეყინა.

მთელი ტყვეთა ბანაკიც, რომელიც გაფაციცებით გვადევნებდა თვალს, ისე გაიტრუნა, ისე დაიძაბა და ისე გაშეშდა, რომ ფართო ხედით გადაღებულ უზარმაზარ ფოტოსურათს დაემსგავსა.

ერთადერთი – მეოცე იდგა მშვიდად, უდარდელად, ისე, თითქოს მიმდინარე პროცესები მას არაფერში ეხებოდა.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ მართალი ყოფილა, სიკვდილის წინ ადამიანს მთელი თავისი გავლილი ცხოვრება კინოკადრებივით თვალწინ ცხადად ჩაურბენსო.

ბედმა თუ პატარა ბურთულამ არ გაგვწირა.

დიდი ლოდინის შემდეგ ბურთულამ ფიქრს თავი ანება, ჩვენი გადარჩენის გადაწყვეტილება მიიღო, ნელ-ნელა, ტაატით, ხვნეშით და სვენებ-სვენებით მარცხნივ გადაიხარა, გადაიხარა და მავთულის რგოლში დურთა თავი.

უზარმაზარი განსაცდელისაგან რეალობას მთლიანად მხოლოდ მაშინ დავუბრუნდი, როცა იმ მეოცემ ჩემსკენ უზარმაზარი ნაბიჯი გადმოდგა და მის ფართე მკერდზე მიმიკრა. ფეხზე მისმა ძლიერმა მკვლავებმა დამტოვეს, თორემ სრულიად მისავათებული უთუოდ ძირს დავეცემოდი და არ ვიცი, დაცემულს სული თან დამყვებოდა თუ არა.

ტყვეთა ბანაკმა ყიჟინა დასცა. რამდენიმე ფაშისტმაც კი უნებლიედ ტაში შემოჰკრა.

– ჩემო კეთილებო, – თხრობა მოულოდნელად დაასრულა რესულმა, – ის მეოცე, ბედუკუღმართი ცხოვრებით გაწამებული თქვენი მეზობელი ანდრო ბურდენაძე იყო.

– შენ გენაცვალე, ანდრო ბაბუ, მაგ ოქროს ხელებში! – ბურანიდან გამორკვევის შემდეგ აღტაცებით წამოიძახა რამდენიმე ახალგაზრდამ.

დანარჩენები კი...

დანარჩენები კი, თითქმის ნახევარი ეზო, ისხდნენ თუ იდგნენ გახევებულები და ხმას ვერ იღებდნენ.

* * *

ამის შემდეგ ანდრო სამეზობლოსთვის ხელმეორედ დაიბადა.

თვითონ ანდრო ვერაფრით მიმხვდარიყო, ასე მკვეთრად რამ შეცვალა მასთან მეზობლების ურთიერთობა.

მეზობლები კი, ადრე რომ არ ელაპარაკებოდნენ, ახლა მისდამი დიდი რიდისა და მოკრძალების გამო, უკვე ვეღარ ელაპარაკებოდნენ და ვერც ვერაფერს ეკითხებოდნენ მას.

* * *

ზემოთ რაც წაიკითხეთ, ჩემი დაწერილია.

მეც მაშინ ხსენებულ ეზოში ვცხოვრობდი. სკოლას ვამთავრებდი და რესულ ბიძიას მონათხრობი სრულიად გაოგნებულმა თავიდან ბოლომდე მოვისმინე.

იმის შემდეგ რესულ ბიძია ჩვენს ეზოში არ გამოჩენილა.

მეც მალე სკოლა დავამთავრე, სიმწიფის ატესტატი მივიღე და თბილისში წავედი. სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელე – ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ახალგამომცხვარი ჟურნალისტი მშობლიურ ქალაქს დავუბრუნდი. ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტად დავიწყე მუშაობა. მაქებდნენ, ძალიან საინტერესო წერილებსა და სტატიებს აქვეყნებო. მე კი უფრო მეტი მინდოდა და საინტერესო თემებს ვეძებდი.

ერთხელაც ზემოთ მოყოლილი ამბავი ამომიტივტივდა მეხსიერებაში. გადავწყვიტე, ანდრო ბურდენაძისა და რესულ ხალაძის ტყვეთა ბანაკში ყოფნა უფრო დაწვრილებით აღმეწერა.

ანდრო ბიძია უკვე ცოცხალი არ იყო. ის ჩემი სტუდენტობისას გარდაიცვალა.

ვიცოდი, რესულ ბიძია რომელ სოფელში ცხოვრობდა. ეს სოფელი ქალაქიდან შორს არ იყო და ერთ დღეს ამ სოფელში ჩემი მანქანით მარტო გავემგზავრე.

სოფლის ცენტრში ძელსკამზე რამდენიმე კაცი იჯდა. დინჯად მასლაათობდნენ. მათთან მივედი. მივესალმე. ყველა წამოდგა. სალამი ერთხმად დამიბრუნეს და კითხვით სავსე თვალები მომაპყრეს.

მოვახსენე, ვინც ვიყავი და დავამატე:

– მე ჩემი ბავშვობის ნაცნობის, რესულ ბიძიას ნახვა მინდა, რესულ ხალაძის. ალბათ ყველა იცნობთ თანასოფლელს და მიმასწავლეთ მისი სახლი, თუ ადგილსამყოფელი.

სახეზე ყველას დიდი მწუხარება გამოეხატა.

ცოტა ხანს დუმდნენ. მერე კი ერთმა დინჯად, სვენებ-სვენებით მომახსენა ყველას სათქმელი:

– რესულ ხალაძე ერთადერთი გვყავდა სოფელში. ამ გულალალ კაცს, მარტო ჩვენ და თქვენ კი არა, მთელი რაიონი იცნობდა და დიდ პატივს სცემდა. ვწუხვართ, ცოცხალი რომ ვერ დაგახვედრეთ. ის ორი კვირის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა. ჩვენც ახლა მასზე ვსაუბრობდით, თვალცრემლიანები ვიხსენებდით ჩვენს თანატოლსა და მეგობარს.

ძალიან დამწყდა გული, ძალიან. ძალიან ახლობლის დაკარგვამ რომ იცის, ისე.

მეგობრის გარდაცვალება ყველას მივუსამძიმრე.

– მეტად ვწუხვარ, რომ დამაგვიანდა, – ვუთხარი მათ, – მის შესახებ ნარკვევის დაწერას ვაპირებდი, სადაც დაწვრილებით უნდა აღმეწერა მისი ფრონტული ამბები, მისი ყოფნა საკოცენტრაციო ბანაკში.

დამხვდურებმა კოლექტიურად გაიოცეს, რა ფრონტსა და ბანაკზეა ლაპარაკი, ვერ მიგიხვდითო.

რა, რესულ ბიძია ფრონტზე არ იბრძოდა და ტყვეთა ბანაკში არ ყოფილა-მეთქი, მათზე კიდევ უფრო მეტად გავიოცე მე.

ომი რომ დაიწყო, რესული და ჩვენ ათი-თორმეტი წლის ბიჭები ვიყავით და მთაში თხებს ერთად ვმწყემსავდითო, კოლექტიურადვე ამიხსნეს მათ.

გონება უმალ გამინათდა. მივხვდი ყველაფერს.

მივხვდი და იქვე ახალი რამე ჩავიფიქრე.

ჩავიფიქრე და ეს ჩემი ჩანაფიქრიც ხმამაღლა განვუცხადე მათ: ჩემს ოქროსგულიან რესულ ბიძიაზე მკითხველს აუცილებლად მაინც მოვუთხრობ, ოღონდ მოვუთხრობ სხვა რამეს და სხვა სათაურით, რომელიც უკვე მოვიფიქრე-მეთქი: „სიკეთე მონაგონისა“.

სუდხან წულუკიძე

* * *

ისე მაგიჟებს მოძრაობა, ხალხი, ვაგზალი,
ასე მგონია – ბროდვეია, თაიმსკვერია
– თბილისი. მე ჩემს მყიფე ფიქრებს ვერსად ვაგზავნი,
დაიმსხვრევიან!
აღარც კი გახსოვს, როგორი ვარ, მაგრამ თუ ასე
შეუხებლად გსურს დამივიწყონ შენმა თითებმა,
უკანასკნელად გეხვეწები, გთხოვ, მადმუაზელ,
ne me quitte pas!
გრძნობ? მეტისმეტად მივეკედლე სენტიმენტალიზმს,
წლები კი ქარში ღრუბლებივით დაფრთხნენ, აიმღვრნენ
და ვხვდები ახლა კალამია მძიმე მეტალი,
რომელსაც შუბლთან მივიდებ და ვისვრი! გავიხვრეტ!
ხშირად ვიხსენებ სიყმაწვილეს, სოფელს. ჰო, კიდევ –
მესრის ღობეზე ბიჭუკელას ცარცით მინაწერს:
„მე იმდენს ვფიქრობ, შემიძლია შეგეხო კიდეც“
ოთარ ჭილაძე.
დღეს მინდა ურცხვად დავიბრალო ყველა შედევრი
და სიყვარული დაგიმარცვლო უცხო ფრაზებად,
როგორ აგიხსნა? რომ საკუთარ თავში ვეტევი,
ისე შემჭამეს მონატრების მეტასტაზებმა.
შენ ზაფრანისფერ ტყეში ცხოვრობ, შორის ღმერთების
და ნისლი ფარავს შენი მთების ყვითელ კალთებსაც,
სულელ მებადურს სულ მეგონა მოგიხელთებდი,
ერთ მშვენიერ დღეს დაგიჭერდი, ჩემო ქალთევზა!
მაგრამ... აქ, ჩემთან, სიგიჟეა, ხალხი, ვაგზალი...
თბილისი თითქოს ბროდვეია, თაიმსკვერია,
მე კი ჩემს მოხუც, ბებერ ფიქრებს ვერსად ვაგზავნი,
მეშინია, რომ მოკვდებიან... დაიმსხვრევიან...
მაპატიე!

უსაშველოა

უსაშველოა, უშენობის წვიმით ნაზავი –
ქარი, რომელიც შემოდგომას სიზმრებს უფლითავს,
მე ყოველ დილით ვიღვიძებ და გეძებ ბრმასავით,
რადგანაც პირჯვარს ვიწერ მხოლოდ შენი შუბლიდან.
ოთახი ჩემი ოცნებების არის საძვალე,
ღიმილით მხოლოდ უხარისხო ნიღაბს ვიზომავ,
და ამ ოთახში რა ხანია კედლებს აწვალებს,
ჟანგბადისა და სურათების უკმარისობა.
არადა ეშმაკს აღარ ერქვა (მახსოვს) ეშმაკი
და ღმერთიც აღარ მეპყრობოდა იმ დროს ღმერთივით,
როცა მძინარეს გიყურებდი. შენით შეშლა კი
იქნება ჩემი პოეტური ყოფის წერტილი.
და ახლა ისღა მეფიქრება – როგორ ვცდილობდი,
ყველა ტაეპი კრიტიკოსთა კილვას შემება,
თავს კი ვიმშვიდებ ერთადერთი ზუსტი პირობით,
რომ სიყვარულზე ცუდი ლექსი არ იწერება.
უსაშველოა უშენობის წვიმით ნაზავი
ქარი, რომელიც შემოდგომას სიზმრებს უფლითავს,
მე ყოველ დილით ვიღვიძებ და გეძებ ბრმასავით,
რადგანაც პირჯვარს ვიწერ მხოლოდ შენი შუბლიდან.

* * *

ის დგას ფანჯრებთან, ნაბიჯია ახლა ღმერთამდე,
გადავეხვევი, ვიცი, შიგნით თუ შემოვიდა,
ღმერთია, მხოლოდ იმის გამო რომ მას ერთადერთს
შესწევს უნარი წამიყვანოს უშენობიდან.
ციოდა წუხელ (ცივიაო მარტი, ნამდვილად
ასეა.) მე კი ფიქრითა და არყით გალეშილს,
ბუხართან როგორც ზარმაც კატას, ისე ჩამთვლიმა
და ცელქი ბავშვი დამესიზმრე გრილ სიმწვანეში.
იყავი ჩუმად, პაწაწინა, ბროლისთითება,
ზეცისთვალება, მზისყვავილა და კანხორბალა,
იმალებოდი, მაგრამ არა! ეს ჩვენ, დიდებმა,
გამოვიგონეთ ეს თამაში – „დამალობანა“.
რომ დაგვეკარგა ყველაფერი სუფთა, ნამდვილი,
უბოძებია უფალს ჩვენთვის რაც კი რაიმე,
შენ კი იდექი პაწაწინა, თითებგათლილი

და ნეკის წვერზე აცოცებულ ჭიამაიებს თხოვდი:
„ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენს დედას გაპოვნინებ,
ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე, მე შენს დედას გაპოვნინებ“.
გამეღვიძა და თითქოს იყო, თან არც იყო რა,
ყვავილებივით მომაგონდი, თხელი ნაკვთებით,
მე წელში თითქმის გაწყვეტილი, ხმელი ჭიგო ვარ
და შენი მკერდის მწიფე მტევნებს შემოვაკვდები!
და სანამ ძვლივსლა შერჩენილი რწმენაც გამშორდა,
მოდი! მხრებიდან ჩამომხსენი მლაშე ლოდები,
მოდი და კოცნით დავიბრუნოთ ჩვენი ბავშვობა,
მოდი და ყელში ჩამაწვეთე – „ბავშვს ველოდები“.
და მე გეტყვი, რომ შემიყვარდი სულით ხორცამდე
და ალმას ცრემლებს ჩამოგიკრეფ თვალზე სამძივე
ცრემლებს და სანამ რამეს გეტყვი, (მოგილოცავდე)
ჯერ ჩემს არყოფნას ორი სიტყვით მოგისამძიმრებ –
მჭირდები, ჩემო!
. . . . .
გამოიდარა. გავაყოლე მღვრიე ნაფაზებს
ლექსი და ფეხი გადავადგი ფიქრის ბარიერს.
ღმერთი კი სახლში შემოვიდა, ფანჯრის რაფაზე,
ვუყურებ წითელკოპლებიან ჭიამაიებს...

* * *

ვიცი, ვერაფრით ვერ იპოვი ძალას თავს ზემოთ,
მაგრამ თავს ზემოთ ცა არის და ღმერთის ფიგურა.
შენ ზომიერი წვიმებით და სხივით არსებობ,
ალბათ ამიტომ ვერ შეძელი სუბტროპიკულად
და უპროგნოზოდ გყვარებოდი. გული – ფილთაქვა,
ძველ კადრებს, როგორც დაფნის ფოთლებს, ისე დანაყავს,
და მე ვიცხოვრებ სწორედ ისეთ, ზუსტად იმდაგვარ
ხორცში, რომლითაც შეგიყვარდი. მხოლოდ ამაღამ!
და მე შეხების უკანასკნელ სიტკბოს ვიკმარებ,
საგზლად, სახსოვრად შევინახავ იმ სამყაროსთვის,
სადაც პოეტებს არ უმართლებთ და თავს იკლავენ,
რადგან წერა და სიყვარული აღარ გამოსდით.
დროა... კარს იქით ნაწვიმარი გზები მიცდიან,
მეც ამ ბილიკებს შევეხიზნე – სევდის ვასალი...
და მჯერა შენი დაბრუნების, როგორც ქრისტიანს,
სჯერა აღდგომა – წმინდა ცეცხლის გადმოსვლასავით.

შახსეი - ვახსეი

ასჯერ გაგონილს ხომ ჯობია ერთხელ ნანახი?!
ჰოდა, აქა ვარ! პოეზიის ძეგლად, ნაშენად,
მოიმარაგეთ სიძულვილი, ქვები, ტალახი,
მე – „დიდი“ სულხან წულუკიძე – თქვენს წინაშე ვარ...
ვწუხვარ! ვერაფრით ვერ ვიქეცი უფლის მორჩილად
და რა გამაჩნდა სამყაროში კიდევ ამ ფასის?!
მე – ერთი თვალებჩაცვენილი ძველი თოჯინა,
მე – ერთი სცენას აცდენილი ცირკის ჯამბაზი.
არადა, ერთ დროს მცენარეებს ფესვებს ვურწყავდი,
ბაღია ჩემი მარტოობის დიდი საგრაფო...
ზოგჯერ ისეთი მდუღარეა სუფთა კურცხალი,
დაიღუპები მცირე წვეთიც რომ გადაყლაპო...
ვიტირე! ცრემლით უწმინდესი მიწა წავბილწე,
ფარსია ცრემლში სიყვარულის სევდის ჩატევა,
არ შეგიყვარდე, გოგონია, დედას გაფიცებ!
არ შეგიყვარდე, გოგონია, მოღალატე ვარ!
წადით სახლში და მოუყევით ცოლებს, ქმარ-შვილებს,
რომ ამ ნაგავთან არაფერი არ გაკავშირებთ
და ახლა, სანამ უკანასკნელ სტრიქონს ვკითხულობ,
აღარ მსურს თქვენი თავებიდან გამოგიტყუოთ,
აღარ მსურს თქვენი ოცნებების სიტყვით ჩაქოლვა,
სირცხვილი ჩემი ნიშანია, ზოდიაქოა,
აღარ მსურს, რადგად მზისოდენა ტკივილს მივათრევ,
რომ ტყუილია ჩემი გზა და ჩემი სიმართლე...
გიბრუნებთ უკან ემოციით განცდილ სიამეს!
მე ვცოცხლობ ჩემი სინანულით,
მე ვკვდები ჩემი სინანულით,
მე ვყარვარ ჩემი სინანულით,
გამანიავეთ!!!

მარსელინს

დავუშენ ფანჯრებს ფიქრის „მოლოტოვს“,
იქნებ სახლიდან გამოგიტყუო...
არათუ წიგნებს,
მე ამ ბოლო დროს,
ძველ მეგობრებსაც აღარ ვკითხულობ..
სევდას ვატარებ, ტყუპს ჩემს – იდენტურს,

კუდში მომსდევენ ქუჩის ძაღლები,
თითქოს მანქანას საპრეზიდენტოს,
მიაცილებდნენ დაცვის თანხლებით...
შენამდე გზაა, მე არ დავუშლი
ნაბიჯებს შენკენ სვლას და დინებას,
ვიდრე ქალაქის მსუბუქ ხმაურში
შემოვა სოლო მოეძინების,
ღამეს გახეთქავს მთვარის კაუჭი,
გათენდება და მოგეძინება,
ვიდგები კართან, ვიდგე, რა უჭირს?!
მე გთხოვ, აქ დგომის მომეცი ნება!
დარაბები რომ ჩამოგიკეტავს,
იქნებ შორიდან მოსულ ქარს ელი
და არც კი იცი, იმ ქარს იქიდან,
ათასი წელი მოვსდევ, მარსელინ!
გააღე, სულში შემოგიხედავ,
გეტყვი, აქამდე როგორ გავძელი...
და ასრულდება ჩემი ოცნებაც,
და დამასვენებს ეჭვის ობობა,
როგორც აპრილში ყინვამოსწრებულ
ბაღებს ასვენებთ – უნაყოფობა...

მერაბ ჯიხაძეს

სამყარო თითქოს მოქნეული დათვის ტორია,
და მერამდენედ აიცილე – ვეღარ აჯამებ.
ძაღლი მიაკვდა სულში ყველა ყალბ ისტორიას,
აუქციონზე შეფასებულ ტკივილს, საჯაროდ.
ჩვენ ვიცით, თუმცა გვედარდება უკვე ნაკლებად,
რომ არწივობას აბრალებენ ყველა ღობის ჩიტს,
და სანამ ღმერთი გათენებით სიკვდილს მომისჯის,
მინდა ქუჩების შფოთიანი ლექსით აკლება.
აპრილიც ჩვენი დახატული წვიმით ციტირებს,
და მზეს შეჩვეულ სილუეტებს ბრაზი ერევათ,
ჯანდაბას, ძმაო! მეფეებმა უნდა იტირონ,
პაიკებმა თუ შევუცდინეთ ლაზიერები.
ახლა კი ლექსიც, ასე ვფიქრობ, ჰგავს ისტორიას,
ღამეა, ქუჩა, ნათურები, ვერცხლის ბოძები,
ძმაო! ცხოვრება მოქნეული დათვის ტორია
და თუ ამ ღამით შევეწირე, ნულარ მომძებნი!

* * *

შენზე ბევრი რამე ვწერე,
ვიცი, ბევრი რამეც დამრჩა,
მინდა გავიზომო ცერით –
პულსი, ძარღვები კი არ ჩანს.
გულით ვატარებდი რამდენ
სიცხეს, ტკივილებს თუ შავ ჭირს,
შენ რომ შეუცვლელად მყავდე,
აღარ ვიჩივლებდი – რა მჭირს.
რაღაც დასრულდება დღესვე,
თითქოს მენანება კიდეც,
ნეტავ, მაგნოლიის ფესვებს
ვინმე ეფერება კიდევ?
ნეტავ, თუ ეცნობათ გორებს,
სისხლში გორგილაძის ჯანყი.
მალე დავასრულებ, თორემ,
დარდი დასაწერად არ ღირს.
ბევრი გაელვების მიღმა,
ალბათ, გადაყევი სხვა ფერს,
მე კი ის ნარნარი მიყვარს,
თანაც რომ იცოდე – რაფერ,
თანაც რომ გესმოდეს – როგორ,
ფეხქვეშ გაგეცლება მიწა,
ვისთვის – თბილისელო გოგოვ,
ჩემთვის – ჩემებურო ციცავ.
და მეც თითო-თითოდ გფურცლავ,
ასე მშვენიერს და ლამაზს,
კუზი არ ერგუნა, თუმცა,
მაინც აქლემია ლამა.
ჰოდა ვიპოეტებ დღესაც,
ლექსებს ჩანჩქერებად ვიდენ,
ოღონდ მაგნოლიის ფესვებს
ვინმე ატირებდეს კიდევ.
ისევ უარაფროდ ვრჩები,
სუნთქვას მიყოლებით ვმიჯნავ,
მაგრამ პოეზია ჩემი,
შენით უკვდავებას ნიშნავს.

სალომე მიქაძე

სალომე ჩვენი თანაქალაქელია. დაამთავრა წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა. სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ფლობს ბაკალავრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. მუშაობს თავის მშობლიურ სკოლაში მასწავლებლად.

მიხარია, რომ სალომეს დებიუტი შედგა ჟურნალ „ქოროხში“ – რაც, იმედი მაქვს, მას კიდევ მეტად მძაფრ სტიმულს მისცემს, რათა არ შეეშვას და დიდი შემართებით შეეჭიდოს ამ რთულ, მაგრამ სილამაზით სავსე გზას, რასაც შემოქმედება ჰქვია.

ვულოცავ სალომეს, ვუსურვებ წარმატებას და დასახული მიზნების განხორციელებას.

გურანდა ნიჟარაძე

სცენა

სახლი... სკოლა... კერძო მასწავლებელი... სახლი... სპორტი... სახლი... დაუსრულებელი წრებრუნვა, რომელსაც ბოლო არ უჩანს. თხუნელა, რომელიც გაუჩერებლივ სათამაშო, სარბენ ბილიკზე დაუსრულებლად მიისწრაფვის, იმისკენ რაც მეორდება. ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს. უკვე რახანია კალენდრისთვის თვალი არ შემივლია. „ნეტავ რა მაწუწუნებს? უზრუნველყოფილი, განებივრებული და დაცული ვარ. ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში ვსწავლობ, სახლში პირადი სივრცე და კომფორტიც არ მაკლია. ფრენბურთი პატარა ასაკიდან მაგრად გამომდის. იმდენად შევეჩვიე განათებულ სპორტულ დარბაზს, არც წარმომიდგენია თავის დანებება და მიტოვება“.

– ეი, შენ! – მესმის მოგუდული მოძახილი, – ბიჭო? დაყრუვდი?

ფიქრების ღრმა მორევში ჩაძირულს უკან დაბრუნება გამიჭირდა. რეალობას იძულებით დაბრუნებულმა უკან ზანტად მოვიხედე. ლუკას შეწუხებულ მზერას წავაწყდი.

– რა იყო, მითხარი რამე? – ისეთი თანაგრძნობის გამომხატველი ინტონაცია გამომივიდა, რომ მე თვითონ გამიკვირდა. არადა, სულ ცალ ფეხზე მეკიდა რა უნდოდა ლუკას, უფრო მეტიც, მაღიზიანებდა მისი არაფრისმომცემი გადალაპარაკ-გადმოლაპარაკება.

– ეჰ, სულ წახვედი ხელიდან, რაც მაგ გოგოშკასთან დაიწყე სიარული, – თქვა და თან ღრმად ამოიხვნეშა. ისე, რომ რაღაც უფრო მეტი დარდი და გაცრუებული იმედები ამოთქვა.

შეშუპებული უპეები ისე ავატრიალე, რომ ცოტაც და ტვინის დაბწნილ და ერთმანეთზე გადახლართულ ხვეულებს დავინახავდი.

– რა ეჭვიანი შეყვარებულივით მიწყობ სცენებს?! არა, ძმაო, სასწრაფოდ ვინმე უნდა გაგაცნო ჩემთვის გულის შეწუხებას რომ მოეშვა.

– შენ რა გენაღვლება! არაფერი შენ არ გაკლია, არც სიმაღლე, არც მხარ-ბეჭი, არც განათლება! ახლა მე შემხედე! – თქვა და სახემოღრეცილი მოიბუზა.

„აჰა, ესეც ლუკას მორიგი პროტესტი!“ – გავიფიქრე და შევუდექი ბავშვობის მეგობრისა და ძმაკაცის დამშვიდებას: – ერთი-ორი წელიც მოითმინე და ნახავ, შენს გამო მთელი სკოლის მდედრები

ერთმანეთში გამართავს კონკურენციას და რიგები გეყოლება! – ვთქვი თავდაჯერებულად და დარწმუნებით, თან ღმერთს გულის სიღრმეში ვთხოვე, არ დამტყობოდა ტუჩის კუთხეში აზვირთული ირონიული ტალღა.

– აბა რა! – თავი ნიშნისმოგებით მაღლა ასწია და თვალებაბრჭყვიალებულმა სიამაყით თქვა: – მაგასაც მოვესწრებით!

„რა ცოტა რამეა საჭირო ადამიანის ხასიათზე მოსაყვანად. ტკბილ თაფლში ამოვლებული ტყუილი, რომელიც თავს წამში ქვეყნის ბატონ-პატრონად გაგრძნობინებს. გამამხნევებელი შეძახილი და მხარზე ძლიერი ხელის შემორტყმა საკმარისია ჩაკლული იმედის კლავ ასაგიზგიზებლად. ასე ვუმკლავდებოდი და ვუმკლავდები ლუკას საკმაოდ ხშირ და დაუსრულებელ თვითგაუფასურების შემოტევებს, რომლებიც ქართული გრამატიკის აუტანელ, მოსაბეზრებელ და გულისგამაწყალებელ დავალებებს მაგონებს“ – ჰე, ახლა... აღარ მეტყვი რისი თქმა გინდოდა? – ლაპარაკი დასრულებული არ მქონდა, რომ ლუკას აღფრთოვანებული სახის გამომეტყველებით მივხვდი, ჰაერში დაფრინავდა და ამქვეყნიურის აღარაფერი ეტყობოდა.

– აა, ისა, დღეს კალათბურთის თამაშზე ხომ წამოხვალ? ჩვენი სკოლის გუნდი და „გორდა“ ერთმანეთს ხვდება. ფინალია იცოდე და თავის დაძვრენაზე არც კი იფიქრო.

„გორდა“, ჩვენი მოსისხლე მტერი, მოუშორებელი ჭირი. „ბეტმენი“ და „ჯოკერი“, „ჰარი პოტერი“ და „ლორდი ვოლდემორი“, „ლაით იაგამი“ და „L“. საერთოდაც, ძალიან ცუდი ურთიერთობა გვაქვს ამ სკოლასთან. „გორდა“ სახელის გაგონებაზე თითოეულ ჩვენგანს ბრაზისგან თვალებიდან ნაკვერჩხლები გვცვივა“. – გაგიჟდი!? ერთი სული მაქვს ჩვენი ბიჭები დამარცხებულებსა და შერცხვენილებს როდის გაყრიან კინწისკვრით დარბაზიდან. – მოჩვენებითი ინტერესი და აღფრთოვანება ვირტუოზულად გავითამაშე.

– აუ, რა სანახაობა გველის წინ! გინდ დაიჯერე, გინდ არა, ფლეისთეიშენზე ფიფას თამაშიც კი გადავდე მანდ წამოსვლის გამო.

– რა�ა? სამყაროს დასასრული ხომ არ დადგა? არა, რა ძმაო, ასეთი მონდომებული მათემატიკის ტესტისთვის რომ ყოფილიყავი, სამჯერ გადაბარება აღარ მოგიწევდა, – სანამ ლუკა კვლავ მოასწრებდა წუწუნის დაწყებას დავასწარი, – კაი, ხო, ვხუმრობ! მოდი, დღეს, თამაშის მერე ლუდი დავლიოთ და ტრადიციულად, ბოლო ყლუპამდე სანამ არ ჩავცლით, არ დავიშალოთ.

– ეი, თქვენ! რა ხმაურია? – მშვიდსა და გაწონასწორებულ ნათია მასწავლებელსაც კი ამოეწურა მოთმინების ფიალა, – თუ არ გაინტერესებთ, სხვებს მაინც ნუ უშლით ხელს! – აი, მასწავლებლების კიდევ ერთი უკვდავი დასაშოშმინებელი ხერხი მოსწავლის წამის მეასედში გასაჩუმებლად.

– ბოდიში, მას! – დაუფიქრებლად წამოისროლა წინასწარ დაზუთხული სიტყვები ლუკამ, რომელსაც ამ დროს იშველიებდა ხოლმე. – ერთი არ დაგიპატიჟებივარ! – კბილებში გამოცრა ლუკამ ისე, რომ ცალყბად მასწავლებელს უყურებდა, თან იღიმებოდა.

და აი, ისიც, ზარის ხმა. ანგელოზთა გალობასა და სიმფონიური ორკესტრის ხმასაც რომ ჯობია. ჩანთაში ერთი ხელის მოსმით ჩავყარე წიგნები, ფურცლის ნაგლეჯები, კალამი და რვეულები. თავის დაკვრით დავემშვიდობე ლუკას და სასწრაფოდ გავედი საკლასო ოთახიდან. მუდმივად მომღიმარი, სათნო და ნეტარი მწეპარე ნიღაბი სახიდან ძლივს მოვიშორე და მხოლოდ დროებით შევინახე შარვლის უკანა ჯიბეში.

* * *

83:88

დაძაბულობა პიკს აღწევს. გინება, ხმაური, შეძახილები ერთმანეთში ირევა და ტორნადოსავით დაქრის.

ჩემმა შეყვარებულმა თამაშის წესს ვერაფერი გაუგო და კითხვას კითხვაზე მაყრის. მისი ხმაც კი ძლივს აღწევს ჩემამდე.

– ეს მსაჯი ბრმაა, ან მოსყიდულია! – პირდაპირ ყურში ჩამძახის ლუკა, – ერთი მიმიშვა და დამალეწინა ცხვირ-პირი!

მე თვითონ სრულიად არ მაინტერესებს რა ხდება. ახლა სახლში, თბილ ლოგინში გაშხლართული ვიყო გავიფიქრე. ხალხმრავლობა და ადამიანთა სიჭრელე სულს მიხუთავს, რკინის ბორკილები სხეულზე გველივით მედება და მბოჭავს. აქ მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ არ შემიძლია ვთქვა „არა“. სხვის სურვილებს ყოველთვის უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვიდრე ჩემსას. მეშინია სიტყვები „არ მინდა“ ან „არ შემიძლია“ წამომცდეს. მეშინია ყველამ ზურგი არ შემაქციოს და შემომხედოს, როგორც ნაკლულს.

– რა სჭირს დღეს ჩემს ბიჭს? – ხმა შენელებული კადრივით აღწევს ჩემამდე, – ზედმეტად გაფანტული და დაბნეულია. – ეუბნება ჩემს შეყვარებულს დადარდიანებული ლუკა. ნია ყურადღებას არ აქცევს და წინ, სივრცეში იყურება.

– ნახე! – ფეხზე უცებ წამოვარდნილი ნია, თითს იშვერს, – პლუს სამი ქულა! თუ ორ წუთში „გორდა“ ვერ წამოგვეწია, თამაში ჩვენია!

– ოჰ? – გაკვირვებულმა და გაოცებულმა წამოვიძახე: – ვატყობ, ამიერიდან აქაურობის ხშირი სტუმრები ვიქნებით.

– ხედავ? სანამ შენ ღრუბლებში დაფრინავ, აქ, ჩვენთან, მიწაზე ისტორიული მომენტის მომსწრენი გავხდით, – მეპასუხება გათამამებული ლუკა.

სანამ ჩვენ ვკინკლაობდით, დარბაზის შუაგულში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იატაკზე ტკივილით იკლაკნებოდა.

ყვირილში, შეხლა-შემოხლაში, გინებაში, ღმუილსა და ოფლის სუნში დავინახე შუა დარბაზში გამორჩეული მე-7 ნომერი როგორ ფორთხიალობს იატაკზე ტკივილისგან დაკრუნჩხული და ცდილობს ფეხზე წამოდგომას. გარკვევით ვიცანი საბა – ჩემი მეზობელი და ბავშვობის მეგობარი. „ხრიოკი და წვრილკენჭიანი ეზო. მტვრის ბუღი, ფანჯრებიდან გამომავალი მადისაღმძვრელი სუნი, რომელიც ყოველთვის სახლში დაბრუნების სურვილს გიჩენს. საყვარელი ბავშვობის მეგობრები. სანამ ერთ დღეს მიზეზის გარეშე, სათამაშოდ გარეთ გასვლა აღარ მოვინდომე და ეზოში გასასვლელი კარი მტკიცედ ჩავრაზე. მას შემდეგ, ჩემსა და საბას შორის ორიოდე სიტყვის ზრდილობის ნიშნად გაცვლის გარდა არაფერი დარჩენილა. და აი ახლა, ვხედავდი – როგორ უჭირდა მას და რატომღაც შევშფოთდი მისი სპორტული კარიერის მომავალზე. მაგრამ გაშტერებული მზერით გაშეშებული ვიდექი და სხვა არაფერი შემეძლო.

– საკაცით გაყავთ, – აშკარა გულდაწყვეტითა და სინანულით თავს იქნევს ლუკა.

– ხელსახოცი გაქვს? – აწყლიანებული თვალებით შემომყურებს ნია.

– აი, აიღე, – ვაწვდი და ისიც ჩქარ-ჩქარა იწმენდს ცრემლების შეუჩერებელ ღვარს.

თამაში გაგრძელდა. თუმცა ის ერთიანობის მუხტი და შემართება უკვალოდ გაქრა. ჩვენი სკოლის გუნდმა მოიგო. 91:95 ამდენი ხნის მანძილზე პირველად, გამარჯვებას არ მოუტანია სიხარული და მეტიც დამთრგუნველი, დაუმსახურებელი გრძნობა გამოიწვია.

* * *

წამლების სუნით გაჟღენთილი საავადმყოფოს მოსაცდელში ვზივარ და ჩემს რიგს ველოდები, რომ სულ ცოტა ხნით მაინც გამოველაპარაკო ჩემს ძველ მეგობარს. ამდენი მნახველი ალბათ, სიკვდილის სარეცელზეც რომ ვიყო მიჯაჭვული, მაინც არ მეყოლება. აი, რას ნიშნავს იყო პოპულა-

რული და თან სიმპათიური. საგანგებოდ გამოპრანჭულ, სუნამო სხვადასხვა არომატიან გოგოებს ერთი სული აქვთ როდის გამოხატავენ თანაგრძნობას და გადმოყრიან ცრემლებს მათთვის საოცნებო ბიჭის წინაშე. მყესის გაწყვეტა გავრცელებული ტრავმაა კალათბურთელთა შორის. ერთი არასწორი, გაუფრთხილებელი მოძრაობა და რამდენიმე თვე ან უარესი, სამუდამოდ ემშვიდობები სპორტს.

– ქიქოძე, შეგიძლიათ შებრძანდეთ, – თავშეყრით აშკარად შეწუხებულმა მედდამ გადაღლილი ხმით დამიძახა.

ჭრიალა კარებს ვკეტავ და ვხედავ – ლოგინზე წამოსკუპებულ საბას სქელ თაბაშირში შეხვეული ფეხით. ხმის ამოღება მიჭირს. სიტყვები ვერ ვიპოვე. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

– რა იყო, ასე შემცვალა საავადმყოფოში ერთ კვირიანმა ყურყუტმა? – ტკვილის არშემჩნევით თქვა საბამ.

– არა, ბიჭო, რას ამბობ! მგონი, მოგიხდა ხო იცი, აქაური ჰაერი, – მეც გასამხნევებლად ავყევი.

– რაღა მიჭირს! გაუნძრევლად წოლა და უსაქმურად ყოფნა ჩემთვის ყოფილა გამოწერილი და არ მცოდნია, – გააგრძელა თვითირონიით საბამ და კითხვით შემომხედა. ჩვენი სიტყვა-პასუხის სისხარტე მაგიდის ჩოგბურთის ბურთის გადაწოდება-გადმოწოდებას დაემსგავსა.

– ყველაფერში არის დადებითი, სამაგიეროდ ჩათვლები, დავალებები და პრეზენტაციები გამოტოვე! ამისთვის მყესი განზრახ რომ გაიწყვიტო, ღირს! – წამოვაყრანტალე და მიხვდი, ზედმეტი მომივიდა. ტკივილი გავახსენე. სახეგაყინულს თვალები წამიერად ჩაუქრა, თუმცა მალევე მოეგო გონს, ახლა სერიოზული, ცოტა სევდიანი გამომეტყველებით მომჩერებოდა.

– სავარაუდოდ, აქ, კიდევ რამდენიმე თვე მომიწევს გაჩერება. ექიმები ჩემთან ლაპარაკისას თვალებში არ მიცქერენ. ვატყობ, დამაიმედებელი არაფერია, – თქვა და მწარედ გაიღიმა.

„რა მეპასუხა? სიყალბეს, ცარიელ სიტყვებს, უაზრო ფრაზებს ისევ გაჩუმება ვარჩიე. მივხვდი, რომ ახლა ყველაზე მეტად საბას მსმენელი სჭირდება“.

– იცი, რა? იმ საბედისწერო დღეს ქუსლი დილიდანვე მტკიოდა, მიუხედავად ამისა, ქულის მოპოვების გამო თავი არ დავინდე, ბურთი კალათაში ჩავტენე თუ არა, აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. დანარჩენი შენც გემახსოვრება.

– მე მაინც მგონია, რომ შემთხვევითობა იყო. თავს ნუ დაიმძიმებ. რაც უფრო პოზიტიურად იფიქრებ, მით უფრო ადრე მორჩები.

„სხვა რა მეთქვა? მე თვითონ მიჭირდა ლაღი და უდარდელი საბას ასეთ მდგომარეობაში ნახვა“.

– აკა, მითხარი, დილით, გაღვიძებისთანავე ან დაძინებამდე რაზე ფიქრობ ხოლმე?

„უჰ, ეს საწყალი ბიჭი, რა დღეში ყოფილა“ – გულის გულში ვთქვი და ვუპასუხე: – დილით, ძირითადად, სულ ძილი მინდა, ხოლო საღამოს, ვოცნებობ, ნეტა მაღვიძარა რაღაც არაამქვეყნიური მაგიით აორთქლდეს, აღარ დარეკოს და სკოლაში წასვლა არ მომიწიოს-მეთქი.

უხმოდ გაიღიმა, აუღელვებლად, მშვიდად შემომხედა. სწორედ ამ წამს მის ფირუზისფერ, ნათელ და ღრმად ჩამჯდარ თვალებში დავინახე ისეთი რამ, რაც სრულებით არ შეეფერებოდა ამ ბიჭის ხასიათს. უდარდელი საბას მაგივრად ვიღაც ჭკვიანი, საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებული, ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მოხუცი კაცი მიყურებდა, რომლისგანაც სიძლიერის განცდა მოდიოდა. ტანში ცივმა ჟრუანტელმა დამიარა და ახორკლილ კანზე ხელი გადავისვი.

– ოდესმე, თუ შეეცდები, იპოვი იმას, რასაც ბედნიერება ჰქვია. შეხვდები ისეთ ვიღაცას და რაღაცას, რის გარეშეც დღესაც ვერ გაძლებ. სიცოცხლის სიყვარულით შეპყრობილს და გულანთებულს ლუკმის გადაყლაპაც კი, დროის ფლანგვად მოგეჩვენება. მაგრამ, საქმის სიყვარული ერთადერთი არ იქნება, რაც დაგჭირდება ბილიკის გასაკვალად. ამ გზაზე ბევრჯერ გადაიღლები, ზოგჯერ ყვე-

ლაფრის მიტოვებისა და გაუჩინარების სურვილიც გაგიჩნდება. თუმცა, მინდა, რომ მზად იყო, მოითმინო და მაინც გააგრძელო გზა. მთელი ძალით ჩაეჭიდე ოცნებას, არ გაუშვა, თორემ სინანულის ყოვლისმომცველი გრძნობა დაგატყვევებს და ცოცხლად დაგმარხავს.

დაასრულა. მძიმედ ამოიხვნეშა. საკუთარმა სიბრძნემ და სიღრმიდან ამოსულმა ხმამ თვითონ საბაც შეაშფოთა და დააბნია. მეც ლაპარაკის უნარი წამერთვა. მოულოდნელად, პალატის სარკმლიდან, ჩამავალი მზის ოქროსფერ-მოწითალო სხივები შემოიჭრა და ორივეს სახეზე ნაზად მოგვეკიდა. მთელი სიცხადით შევიგრძენი, რომ ჩემში რაღაც სამუდამოდ შეიცვალა და სრულიად გადასხვაფერდა. საბას სიტყვებმა დიდი გავლენა მოახდინა, თითქოს აზვირთებულმა ოკეანის ტალღებმა ჩამითრია, ჩამყლაპა კიდეც, მაგრამ გადარჩენილი სხვა ადამიანი გავხდი. ცხადად დავინახე ჩემი მიზნები. ამ მეტამორფოზის მოწმენი მეც და საბაც მივხვდით, რომ სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა ჩვენი ვადაგასული ძველი თავის ვერსიები.

– გამოწვევა მიღებულია, – ვთქვი თავდაჯერებით და თავი დავკარი.

საბამ შემომხედა და გამიღიმა.

უსიტყვო შეთანხმება შედგა.

* * *

მაღალ, დაძველებულ კარზე მტკიცედ დავაკაკუნე. პასუხს არ დაველოდე და შევაღე. წარმოვიდგინე ჩემი მოულოდნელი გამოჩენით გაკვირვებას როგორ ვერ ფარავენ, სახეზე გაოცება აღბეჭდიათ და გონიათ საკლასო ოთახი შეეშალაო. აბა, ამას, სპორტსმენს აქ რა ესაქმებაო? ჩემი წარმოსახვის მიერ შეთხზულ ამბავზე გამეცინა. სულ მინდოდა გამომეცნო და მქონოდა იმის უნარი, თუ რას ფიქრობდნენ სხვები ჩემზე. და მაინც ფაქტი იყო, თეატრალურ კლუბში, ჩემთვისაც და სხვებისთვისაც მოულოდნელად მოვხვდი.

– აკა-შემოდი, აქ რამ მოგიყვანა? – რომელიღაცა პერსონაჟის კოსტუმში გამოწყობილი ანა, რომელთანაც დიდი ხანია ვმეგობრობ, ჩემკენ წამოვიდა.

– მინდა თქვენი გუნდის ნაწილი ვიყო. – პირდაპირ, სწრაფად მივახალე.

ანას გამჭოლ მზერაში უნდობლობა ამოვიკითხე, მაგრამ მაინც მზრუნველი ხმით მიპასუხა.

– რა თქმა უნდა, მიგიღებთ, მაგრამ ჩვენ ახალი სპექტაკლისთვის ვემზადებით. დროში ვერ ვეტევით, მხოლოდ ერთი თვე გვაქვს დარჩენილი. როგორ ფიქრობ, მოახერხებ?

– ყველაფრისთვის მზად ვარ. – ისე წარმოვთქვი, თითქოს სასამართლოში ფიცს ვდებდე. მხოლოდ ბიბლიაღა მაკლდა.

– რახან ასეა, კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენს პატარა ოჯახში. – აციმციმებული, თბილი თვალებით დამიდასტურა ანამ თავისი ნდობა და კეთილგანწყობა.

* * *

ხდება ხოლმე, რომ ხანდახან, ერთი პატარა, მნიშვნელოვანი მოვლენა თავს ახლიდან აღმოგაჩენინებს და სულ სხვა გზაზე დაგაყენებს. ჰაერში გამოკიდებული ღრუბლის ფუმფულა ქულა, რომელიც უზარმაზარ მატყლის გორგალს ჰგავს. ძალაგამოცლილი და სიმხურვალისაგან დაცლილი მზის სხივი, რომელიც დღის მიწურულს, სახლისკენ მიმავალსა და დაღლილს გეფერება და გაძლიერებს. შენ გარშემო არემარის გამოკვლევისა და კიდევ ერთხელ თვალის შევლებისკენ გიბიძგებს. სამუშაო მაგიდასთან გატარებული დამთრგუნველი საათების შემდეგ, თვალის ფშვნეტითა და მთქნარებით ფარდის გადაწევისას უეცრად დანახული პეიზაჟი, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს მომხიბლველი, პირიქით ულაზათო და შეუხედავი. ერთმანეთზე მიჯრით მიდგმული მაღალ-

სართულიანი სახლები, რომლებიც ზღვის ხედს გიფარავს და აივანზე წამით, ცალი თვალით გაჭყეტვის სურვილსაც გიკარგავს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ეს სიტყვით გამოუთქმელი გრძნობა, რომელიც მთელ შენს სხეულს სქელი საბანივით გარს გეხვევა და გათბობს, არსებობს, მე სრული სიცხადითა და მღელვარებით შევიგრძენი. სულაც არ არის საჭირო რომ ამ ყოვლისმომცველ გრძნობას სახელი დავარქვათ, რადგან მის წარმოთქმისთანავე გაიფანტება, დაიკარგება და გაფრინდება. სამაგიეროდ, თუ მას მთელ გულისყურს მივაპყრობთ და მოვუვლით, იქნებ, უფრო მეტად ღრმად გაგვყვეს და წინ სავალ გზაზე სულ გვინათებდეს.

ჩემი გარდასახვა არ ყოფილა ერთბაში, წამიერი და მომენტალური. როგორც საბამ გამაფრთხილა და დამარიგა, ბევრჯერ დავეჭვდი საკუთარ გადაწყვეტილებაში. მრავალჯერ კლუბის კარამდე მივსულვარ და უკან გამოვბრუნებულვარ. სამაგიეროდ წარმოსახვაში, მრავალჯერ შემიღია ეს კარი მშვიდად და ახლის ჯადოსნური მოლოდინით შევსულვარ. ჩემს თავს ვეკითხები: რატომ მაინცდამაინც თეატრი? ვიპოვე! ვიპოვე ის, რაც ყოველდღიურობას აზრს სძენს და ქაოსურ ცხოვრებას ფასეულს ხდის. რასაკვირველია, ჩემი განთავისუფლება არ იყო სასიამოვნო ჩემი აწ უკვე ყოფილი შეყვარებულისა და საუკეთესო მეგობრებისთვისაც. ამ ადამიანებს ჩემი ყალბი, მოუქნელი, მაგრამ მათთვის მისაღები, ხელსაყრელი ნიღაბი ხიბლავდათ. მე კი აღარ მინდა, დავიღალე, ყელში ამომივიდა. მარტო ვარ, თუმცა თავისუფალი. სრულიად თავისუფალი სხვათა თავს მოხვეული რწმენა-წარმოდგენებისა და არაფრისმთქმელი მოსაზრებებისაგან. თეატრის სცენა კი, სწორედ ის ადგილია, სადაც თავიდან დაბადების საშუალება ყოველი ახალი პერსონაჟის თამაშისას მეძლევა. ჯერ ალმოდებული ვიწვი საკუთარ გავარვარებულ ცეცხლში, სულს ვღაფავ, კოცონის აღაჟღაჟებული ენა ჩემს ირგვლივ ხან როკავს და ხან ილხენს, საბოლოოდ კი ნაცრისფერ ფერფლად ვიქცევი, რისგანაც ისევ აღვსდგები და ფენიქსივით მოვევლინები სცენას.

– აკა, მზად ხარ? – თვალს მხიარულად მიკრავს ანა და თან თბილ ხელისგულს ხელზე მადებს.

– როგორც არასდროს, – მყისვე ვუბრუნებ პასუხს.

და აი, ისიც. პრემიერა. სხვადასხვა ფერის განათება და სასცენო შუქი თვალს მჭრის. არც კი მჯერა, რომ აქ ვარ. მე ეს გავაკეთე. ნუთუ რეალობაა? – ვეკითხები საკუთარ თავს. ფიქრიდან გამოვყავარ ნაცნობ სახეებს. ინტერესითა და მოლოდინით აღსავსე მაყურებლის თვალები. ვგრძნობ, როგორ მედება და მწვავს ცეცხლის ალი. მესმის აპლოდისმენტების ქუხილი და აი, ვიწყებ სვლას დარბაზის გაშლილი პოდიუმისაკენ.

მე ხელგაშლილი სცენაზე ვდგავარ!

წრფე

– დედიკოს დაუჯერე და რასაც გეტყვის შეასრულე, კარგი, პატარავ?

განაწყენებული და გაჯიუტებული მიკიტა ლოყებგაბერილი, ტუჩების ბურცვით მამის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს და გვერდით იხედება. ბორისკო უმალვე გრძნობს შვილის განწყობას, თუმცა ცდილობს, ამჯერად მაინც არ მიაქციოს ყურადღება, თვალს უკრავს და მას ქერა, ხუჭუჭა თმაზე ეფერება. ნასტასია ხვდება, რომ მეუღლის ერთი შეხედვით შეუპოვარი და ურყევი სახის მიღმა სასოწარკვეთილება და გამოუცნობის შიში იმალება. სხვა გზა არ აქვს, ოჯახისა და სამშობლოს დასაცავად ერთადერთი გამოსავალი, იარაღის ხელში აღება და სხვა თანამემამულეებთან ერთად დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაა.

ოჯახის ერთადერთ ქალიშვილს, სალომიას უსიტყვოდ ესმის მამის, გრძნობს, რას განიცდის ახლა ბორისკოს დამძიმებული გული.

– აბა, ჩემი წასვლის დროა, თავს გაუფრთხილდით, – ძლივს თქვა მამამ, გული უმძიმდა და უჭირდა განშორება. ფიქრობდა, ნეტავ შემეძლოს დროის უკან დაბრუნება, მაშინ, როდესაც არ არსებობდა ომი და ქუჩის კუთხეში ჩასაფრებული სიკვდილი. უკეთ მოვესიყვარულებოდი ჩემს შვილებს, მეტად დავაფასებდი მეუღლის ამაგს და ნაკლებად ვიჯუჯღუნებდიო.

ნასტასია და ბავშვები ერთად ეხუტებიან და ემშვიდობებიან აცრემლებულ მამას, რომელიც თვალზე მომდგარი სევდის დაფარვას შეყინული ღიმილით, უშედეგოდ ცდილობდა.

– მალე დაგვიბრუნდი!.. – ხელს იწვდის ნასტასია და ბორისკოს ნაზად ეხება მტევანზე, ხოლო მეორე ხელის გულს კი მეუღლეს დანამულ ლოყაზე უსვამს. მეტხანს დაყოვნება შეუძლებელია.

შიში, გაურკვევლობა, იმედი და განრისხება ერთმანეთში იხლართება, მძლავრი განცდა მატარებლის სადგურს ავსებს. თითოეულ აქ შეკრებილ ოჯახს წარმოდგენა არ აქვს, მომავალში რა იქნება, რა ბედი ეწევათ მათთვის საყვარელ ადამიანებს. ერთადერთი, რაც ამხნევებთ, არის აქ და ახლა, ანუ აწმყო. არავინ იცის, უკანასკნელად ხედავენ თუ არა მათ წინაშე ჯერ კიდევ ჯანსაღ ოჯახის წევრებს, ამიტომ ცდილობენ დაიმახსოვრონ თითოეული დეტალი, ჩაცმულობა და ჟესტი, რომელიც გონებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდება. უკლებლივ ყველა ლამობს, შეისრუტოს იქაური ატმოსფერო და მათმა თვალებმა ფოტოაპარატივით წამიერად გააჩეროს კადრი. იქნებ დადგეს ჟამი, როცა წარსული წარმავალ ბედნიერებად გადაიქცევა.

* * *

მეშინია. მთელი სხეულით ვკანკალებ. ხელის თითებს ვერ ვგრძნობ. მალე ფეხის თითებსაც ვეღარ ვიგრძნობ. წარმოუდგენლად რთულია შუა ზამთარში გაცხოველებული ბრძოლის დროს მთელი ღამით დარაჯი, რათა დაუნდობელი ტყვიებისა თუ ჩასაფრებული მსხვერპლის მომლოდინე რუსი ჯარისკაცისაგან დაიცვა დაქანცული და ძალაგამოცლილი შენი თანამებრძოლეები. წუთებს ვითვლი... ერთი სული მაქვს, როდის გათენდება, რომ ეს ჯოჯოხეთი დასრულდეს. ყველა მხრიდან ტყვიების შეუჩერებელი წუილისა და ყუმბარების აფეთქების ხმა მესმის. მენატრება თბილი ლოგინი, გათენებისას მაღვიძარას დარეკვის შემდეგ 5-10 წუთი ლოგინში ნებივრობა. მენატრება ჩემი ფუმფულა, მუდმივად უკმაყოფილო კატა, რომელიც სისხამ დილით, სასწრაფო დახმარების მანქანასავით უწყვეტ კნავილს მოჰყვებოდა და არ დაწყნარდებოდა მანამ, სანამ მისთვის განკუთვნილ საჭმელს არ მიიღებდა. უფერული, არაფრით გამორჩეული ცხოვრება შეიძლება იყოს სხვებისთვის, მაგრამ ჩემთვის სანატრელი და სუფთა ფურცლიდან დაწყებული ყოველდღიურობა გამაჩნდა. ახლა კი რა მაქვს? წარსულის ნაშთებითა და მოგონებებით ვიკვებები. ბოდიშს გიხდით, თუ მორიგი მამაცი, შეუპოვარი და გულადი ჯარისკაცის ისტორიას ელოდით. ომის დაწყებამდე, ბავშვობაში სათამაშო თოფით ვთამაშობდი, ამით შემოიფარგლებოდა ჩემი და იარაღის ურთიერთობა. მაქსიმალურად შორს ვიჭერდი თავს ბიჭებს შორის გარჩევებისა და გაუთავებელი კამათისაგან. ვცდილობდი, ყველასთან მშვიდი უთიერთობა მქონოდა.

რეალობა ასეთია. აქ ვარ და ვიბრძვი. არ გავიქეცი და მოვალეობებს არ დავემალე. ერთადერთი, რაც საკუთარ თავში მომწონს ალბათ, სწორედ ეს არის. ცხოვრება გაჩერდა. თანამედროვე და განვითარებული სამყაროდან დავუბრუნდით პირველი მსოფლიო ომისათვის დამახასიათებელ თხრილებს, ტალახში ამოსვრილ ხელ-ფეხს, მოთხვრილ სახეს, უძილო ღამეებსა და უმზეო დილას.

ამ ფიქრებში გადის დრო. დაძაბული, ხშირი და მძიმე სუნთქვით ვიკვლევ არე-მარეს, როცა ჩემგან ოდნავ მოშორებით, ფეხაკრებით, ყველასგან მალულად ცდილობს მტრის ტერიტორიაზე შემოჭრას ახალგაზრდა ჯარისკაცი, რომლის ცისფერ თვალებში მეთაურთა მიერ ნაკარნახევი ბრძანება იკითხება. იარაღისკენ ვაპარებ ხელს, პირი განწირული ხმით დასაყვირებლად გავაღე, როცა

მოწინააღმდეგის მიერ გასროლილი ტყვია მხარში მხვდება. კიდევ ერთი სისხლით გაუმაძღარი და დაუნდობელი ღამე იწყებს გათენებას.

* * *

მივდივარ. არ მინდა არც ერთი სიტყვის გაგონება. უნდა წავიდე. ვერ დავრჩები და ტელევიზორიდან ვერ ვადევნებ თვალყურს, თუ როგორ იხოცება ხალხი. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საკუთარ თავზე ვიწვნიე ომის დამანგრეველი და წარუშლელი კვალი. ვიცი და კარგად მესმის, რას განიცდიან ახლა იქ. ჯერ ყველაფერი არარეალურად გეჩვენება, ეჭვი გღრღნის, იმედის ნაპერწკალი გიღვივის გულში, იქნებ ყველაფერი გამოსწორდეს, იქნებ ეს ყველაფერი ჩემი წარმოსახვის ნაყოფია? ცოტა ხანში კი სასტიკი და უსამართლო რეალობა თავს შეუბრალებლად გატყდება. გიწევს რეალობის შეფასება და შესაბამისად მოქმედება.

ყველაფერი დავკარგეთ: მშობლიური სახლი, მეგობრები, მეზობლები და მას გაჰყვა ბავშვობის ტკბილ-მწარე მოგონებებიც. ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დავიწყეთ, როცა აგვისტოში გადმოვსახლდით ზღვისპირა ბათუმში. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, თუმცა ტკივილი ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანის გულივით ფეთქავს. სწორედ ეს მოუშუშებელი ჭრილობა მაცოცხლებდა დღემდე და ყოველთვის იქნება ჩემი არსებობის აზრი და მამოძრავებელი ძალა. ჩემი ვალია, დავეხმარო მათ, ვისაც ეს ყველაზე ძალიან სჭირდება. სამხედრო სასწავლებელში გატარებული თორმეტი წელი ტყუილუბრალოდ არ გამივლია. მუდმივი და დაუღლელი ვარჯიში, მუხლჩაუხრელი შრომა საკუთარი სხეულის გაძლიერებისა და სრულყოფილებისათვის არის ის, რითაც დავიცავ ხალხს. ოჯახში ნერვიულობენ, თუმცა იციან, რომ ჩემს შეჩერებას ვერ შეძლებენ, რადგან დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილება მივიღე. ყველაფერი მზად მაქვს. ხვალ მივფრინავ, რომ ვიბრძოლო. კარგად ვიცი, რომ შეიძლება ვერ დავბრუნდე, თუმცა ეს უკვე აღარ მადარდებს. მე ამ დღისთვის მზად ვარ.

* * *

დიდი ხანია, რაც მე და მიკოლა ერთმანეთს ვხვდებით. იმის მიუხედავად, რომ ორივე საკუთარი საქმიანობით და ყოველდღიურობით დატვირთულები ვართ, არასდროს გვავიწყდება ერთმანეთი. დღის განმავლობაში შეტყობინებითა და მოკლე სატელეფონო ზარებით ვატყობინებთ ერთმანეთს დღის განმავლობაში გადამხდარ უმნიშვნელო თუ საინტერესო დეტალებს. როგორც, ალბათ, ყველა შეყვარებული წყვილი, ბევრჯერ გვიფიქრია ოჯახის შექმნასა და ქორწინებაზე. თუმცა ეს გადაწყვეტილება დროის უქონლობისა და სხვა ცხოვრებისეული სირთულეების გამო ყოველთვის გადაგვიდია. ასე გავიდა წლები. ამ დროის განმავლობაში ჩვენ ყოველთვის გვეგონა, რომ სიცოცხლე მყარი და მტკიცე საფუძვლისაგან იყო შემდგარი, თუმცა მწარედ შევცდით, ოცდაოთხმა თებერვალმა მიგვახვედრა, რომ ყველაფერი წარმავალია. ერთი თვალის დახამხამებით თავზე ჩამოგვექცა მომავლის გეგმები, აშენებული ოცნების კოშკები კი ქვიშის გამოდგა. შრომითა და გარჯით ჩვენი სამომავლო კერა კოშმარული რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ყველაფერი შეიცვალა. თუ აქამდე მყუდრო და კომფორტულად მოწყობილ „ჰოსპისში“ მოხუცებულებს სიცოცხლის ბოლო წუთებს ვუმსუბუქებდით, ახლა ბრძოლაში დაჭრილებსა და სიკვდილის პირას მყოფ ჯარისკაცებს ვმკურნალობთ, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრში. შედეგად, საავადმყოფოში გატარებული დრო გაასმაგდა.

და როდესაც ჩვენთვის უკვე ჩვეულ ამბად ქცეული, მოულოდნელობებით სავსე და გადატვირთული დღე მიიწურა საავადმყოფოში, ხოლო დაღლილობა და ძილის დაუოკებელი შეგრძნება ორივეს მძიმე ლოდივით დაგვაწვა, მიკოლაი აღელვებული და შემპარავი ხმით მეუბნება: – ლიდია, კარგად უნდა მომისმინო.

გაკვირვებული, გაფართოებული თვალებით გადავხედე. მთელი დღის განმავლობაში სიარულისა და ოპერაციების ჩატარებით დაღლილს, წელის საშინელი ტკივილი მაწუხებდა. ზურგზე ხელი მოვისვი და ვუპასუხე:

– რა მოხდა, მიკოლაი? ჩვენი პაციენტის მდგომარეობა გაუარესდა?

– არა, საბედნიეროდ, უკეთაა. ამჯერად საქმე ჩვენ გვეხება. მშვენივრად მესმის, რომ, რასაც ახლა გეტყვი, შენთვის მოულოდნელია, თუმცა მაინც უნდა გითხრა.

– მეტყვი, რა გაწუხებს, თუ კიდევ დიდხანს მალოდინებ?

– ლიდია, ვიცი ეს დღე სულ სხვაგვარად წარმოგვედგინა, მაგრამ არც ერთს წარმოდგენა არ გვაქვს, ხვალინდელი დღე დადგება თუ არა, ამიტომ თანახმა ხარ ცოლად გამომყვე? – ამბობს მიკოლა და სისხლიანი ხალათის ჯიბიდან სპეციალურად შეფუთული კოლოფით ბეჭედს მაწვდის, თან იჩოქება და თვალებში მოლოდინითა და აღტაცებით შემომყურებს. სიტყვაშერჩენილს ხმა მიწყდება და მოულოდნელობისგან ვქვავდები, სპონტანურობა არ მახასიათებს, თუმცა მიკოლას გულწრფელი და სიყვარულით აღსავსე სიტყვები სულს სითბოთი მივსებს და დაუფიქრებლად, სიტყვების ნაცვლად გულმხურვალედ ვეხვევი, გულში ვიკრავ და ჩურჩულით ვეუბნები:

– კი, კი, კი!

მოზღვავებული ბედნიერებისა და ოდნავი სევდისაგან ცრემლები ღაპაღუპით მომდის, ვერ ვჩერდები და ვაგრძელებ უკვე მეუღლის მოფერებას. ირგვლივ შეკრებილი ადამიანები ინტერესით და აღტაცებით გვათვალიერებენ. მათი ტაში და მხიარული შეძახილები გაისმა. იმ წუთას ვიწამე, რომ სხვა ყველაფერი თუ არა, ჩვენი წრფელი და თანაც უბრალო სიყვარული სამუდამო იყო და ვერაფერს დააკლებდა საფრთხეებითა თუ გაურკვევლობებით აღსავსე ომი. წინ არ ვიცით, რა გველოდება, რას გვიმზადებს ცხოვრება, თუმცა ამ ყველაფერს მნიშვნელობა აღარ აქვს, ჩვენ ხომ ერთმანეთი გვყავს!

ოთახი

ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც დაწოლამდე, ძილის წინ საკუთარ ფიქრებში ჩაძირულებს წარმოგვიდგენია ხოლმე. ჩემთვის, მაგალითად – არ აქვს მნიშვნელობა სად ვიმყოფები, რას ვაკეთებ ან ვისთან ერთად ვარ. მეგობართან საუბრის დროსაც კი უნებურად, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად გონებაში გამიელვებს ის, რაც მინდა, რომ მოხდეს. წარმოვიდგენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ, მრავალფეროვან და საინტერესო სიტუაციებს, რომელთა მთავარი მოქმედი პერსონაჟი თავად მე ვარ. სამყარო, რომელიც ჩემი ტვინის ღრმა კუნჭულში ფეთქავს და არსებობს გაცილებით უფრო თვალწარმტაცი და ცოცხალია, ვიდრე თავად ცხოვრება, რომელიც გარს ქაოსურად მახვევია. გზააბნეული და მოხეტიალე მაწანწალასავით ვცდილობ გეზის გაკვლევას, რომელიც ათასნაირი სარეველათი და ხიფათითაა სავსე. გამუდმებით დავეძებ ჩემთვის განკუთვნილ საყუდელს, რომელსაც თავს მშვიდად შევაფარებ. იქნებ მაშინ მაინც შევიგრძნო უშფოთველობა, თვითკმაყოფილება და ბედნიერება. საშინლად დამღლელი და დამქანცველია ცხოვრების ასეთი რიტმი, როდესაც წარმოდგენა არ გაქვს რას გიქადის მომავალი ან რა გელის ხვალინდელ დღეს. იქნებ პრობლემა ჩემშია? კომფორტი, განცხრომა და დასვენება მახალისებს ყველაზე მეტად, ხოლო ყოველივე ახალი და გამოუცნობი კი საოცრად მაშინებს და საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტვის სურვილს მიჩენს. ხანდახან მიფიქრია იმაზეც, რომ თუ რაიმე სახის კატასტროფაში მოვყევი და კომაში აღმოვჩნდი, იქნებ სულაც არ მომინდეს რეალობაში დაბრუნება და ისევ ჩემს წარმოსახვით თავგადა-

სავლებთან მარტო დარჩენა გადავწყვიტო (ამ მაგალითიდანვე ნათელია, თუ რამდენად შემწევს უნარი წარმოვიდგინო ყველა შესაძლო ცხოვრებისეული შემთხვევა).

რატომ ვწერ ამ ყველაფერს? რა მიზანი მამოძრავებს გადმოვცე ის ყველაფერი, რაც მაწუხებს და არ მასვენებს? იქნებ ნუგეშს ვპოულობ დიდი ხნის განმავლობაში დაგროვებული საფიქრალის ცარიელ ფურცელზე გადმოტანისას? პასუხი დანამდვილებით არ მაქვს და არც ის ვიცი, ვიპოვი თუ ვერა. ოთხ კედელს შუა გამოკეტილსა და თეთრ, ქათქათა ჭერს საათობით მომზირალს, ხანდახან მახსენდება, რომ ამ ქვეყნად ცხოვრების საშუალება მხოლოდ ერთხელ გაქვს (იმედია, რომ მართლაც ასეა), მე კი მას დაუსრულებელი შფოთვითა და უწვრილმანეს დეტალებზე ნერვიულობით ვფლანგავ. იქნებ სულაც არ არის საჭირო, რომ ევერესტის მწვერვალი დავლაშქრო ან ველოსიპედით ათასობით კილომეტრი გავიარო, რათა მსოფლიოს შემოვუარო? იქნებ ყველაფერი გაცილებით მარტივია, შესაძლებელი და ხელმისაწვდომია? მხოლოდ გამბედაობა და ჩემს ხელში არსებული შესაძლებლობების რწმენა მჭირდება, რომ საკუთარი თავის ყველაზე საუკეთესო ვარიანტი გავხდე. სწორედ ამგვარ აზრებთან ჭიდილის დროს გადავწყვიტე, დაუფიქრებლად, ყოველგვარი ზედმეტი განსჯის გარეშე საკუთარი ბედი გამომეცადა და შემევსო ონლაინ განაცხადი, რომელიც საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების საშუალებას გთავაზობდა. პირველი ეტაპი უკვე გავლილი მაქვს, ხვალ კი უშუალოდ გასაუბრებაზე უნდა გავიდე. ყველანაირი მოლოდინი და ილუზორული წარმოსახვა გონებაში ჩავახშე, წნეხისა და არაფრის მომცემი ღელვისაგან კი გული გავითავისუფლე.

საკუთარი ფიქრებისგან გაქცევის მორიგი მცდელობის დროს, მობილურ ტელეფონში უაზროდ მაცქირალს ჩემთვის ზედგამოჭრილი, საჯაროდ გამოქვეყნებული ფრაზა შემხვდა, რომელიც ჩემს იმჟამინდელ მდგომარეობას ზუსტად აღწერდა: „თუ თქვენ ნაბიჯის გადასადგმელად სრულყოფილ და უნაკლო პირობებს ელოდებით, მაშინ მთელი ცხოვრების განმავლობაში მოგიწევთ მოცდა“ ახალგაღვიძებულმა და ჯერ კიდევ ბურანში მყოფმა, ვერც გავიაზრე რა წავიკითხე, თუმცა ის მივხვდი, რომ ამ მდგომარეობაშიც კი, ამ მოკლე წინადადებამ ჩემზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა და დროებით შემაჩერა სხვა გამოქვეყნებული პუბლიკაციების სწრაფად ჩამოთვალიერებისაგან. სწორედ ამ წამს მივხვდი, ის რაც ამდენი ხნის განმავლობაში მაკავებდა ერთ ადგილას. გავიაზრე, რომ იმდენად მშიშარა ვარ, სანამ იოტისოდენა ნაბიჯს გადავდგამ, წინასწარ განვსაზღვრავ, წარმოვიდგენ თითოეულ იმ ვითარებას, რომელიც ცუდად შეიძლება განვითარდეს და მხოლოდ ყველაფრის გადამოწმებისა და დარწმუნების შემდეგ ვიწყებ მოქმედებას.

დროა საკუთარი მყუდრო და კომფორტული, თუმცა განვითარებისა და პროგრესის ჩამკვლელი გამოქვაბულიდან გამოვიდე. დაე, შემხვდეს მრავალი წინაღობა, მთასავით აღმართული, მტკიცე და ურყევი კედელი, რომლისთვისაც მხოლოდ თვალის აყოლებაც კი შიშის ჟრუანტელს მომგვრის სხეულში. გაჩერება, ერთი ადგილის ტკეპვნა და საკუთარი ოთახის ფანჯრიდან, უკიდეგანო სამყაროს მხოლოდ ერთი ნაგლეჯის თვალიერება აღარ არის საკმარისი და კმაყოფილების მომგვრელი. დროა საკუთარ თავთან ვაღიარო და მე თვითონვე ვუბიძგო მას წინ, უსაზღვრო სამყაროს აღმოჩენისაკენ.

შუაღამე

00:21.

შუაღამეს გადასცდა. ამ დროს ღრმა ძილისა და გრძელი, დატვირთული დღის გონებაში კიდევ ერთხელ გადათვალიერებისათვის უნდა ვემზადებოდე, თუმცა არა. ძალიან სპონტანურად, პატარა ბლოკნოტს და კალამს ვიმარჯვებ, რომ დავწერო... აი, რა, კი წარმოდგენა არ მაქვს. სულერთია თავში რა გამიელვებს, მთავარია, რომ ვწერო. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ თუ არ დავწერე ვერ გავი-

აზრებ რა ხდება ჩემ გარშემო. იმდენად აჩქარდა ყველაფერი, რომ თვალის შევლებას ვერ ვასწრებ ვერაფრისთვის და უკვე ბნელდება. გამოფიტულსა და დაღლილს კი საწოლში შეძრომის მეტი არაფერი დამრჩენია.

სიცოცხლე მწყურია. დღის ისე გატარება, რომ მობილური ტელეფონის ხელში აღებისა და სოციალური ქსელის შემოწმების არც დრო და არც სურვილი მქონდეს. ისე მსურს ჩავეფლო სიცოცხლის ფერხულში, რომ ვირტუალური სამყარო სრულიად გადამავიწყდეს და მახსოვდეს მხოლოდ ის, რომ ვარ. ხანდახან მგონია, რომ მარტო იმიტომ დავდივარ სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეკრებებზე, რომ იქ თავს გადამხდარი ამბავი სოციალურ ქსელში განვათავსო და სხვებს ნიშნისმოგებით ვუთხრა: „აი, ნახეთ მე როგორი ცხოვრება მაქვს?! თქვენზე გაცილებით საინტერესო და მოვლენებით დატვირთული!“. რაღა დაგიმალოთ და გამოფენებსა თუ კულტურულ ღონისძიებებზე სიარული საუკეთესო საბაბია იმ ადამიანის ყურადღების მოსაპოვებლად, რომელიც გვიზიდავს და მოგვწონს. მხოლოდ ამ მიზნის გამო ავდგები, მოვწესრიგდები, გამოვიპრანჭები და წავალ, რომ მასთან რამდენიმე წუთიანი საუბრის გაბმის საშუალება მომეცეს. აი, რა არ მაძლევს მოსვენებას. ვიცი, რომ რასაც ვაკეთებ არც ისე სახარბიელოა და ეს ყველაფერი საკუთარი ხასიათის ნაკლოვანებებზე მიმითითებს, თუმცა ამის მიუხედავად, ერთი და იმავეს ვიმეორებ. დაუსრულებელი შეკრული წრეა, მუდმივად მოძრავი და უწყვეტი.

ყოველთვის მგონია, რომ სიცოცხლე სადღაც სხვაგან, ჩემგან შორს ჩქეფს. მე კი, ჩემს ოთახში ვზივარ და ჩახლართული, აბლანდული აზრებისთვის გზის გაკვლევას ვცდილობ. რატომ ვგრძნობ თავს დამნაშავედ? მე ხომ უბრალოდ ვარსებობ და თითოეული დღის ბოლომდე, უკანასკნელ წვეთამდე ამოსრუტვას ვცდილობ? მაგრამ რატომღაც ჩემი გონება გამუდმებით, შეუბრალებელი ჯალათივით მსჯის და მახსენებს, რომ გაცილებით უკეთესი შეიძლება ვიყო. საბოლოოდ კი, საკუთარი საძაგელი ფიქრებისა და უწყვეტი ღელვის ტყვე ვხვდები. საკუთარ ნაჭუჭში ვიკეტები და სინათლის სხივს შემოსვლის უფლებას არ ვაძლევ. აქ კი საათობით, დღეებით, ზოგჯერ კვირაობით ვიკეტები და არავის ვენახები.

უცნაურია, როგორ შეიძლება შემთხვევითმა და დაუგეგმავმა გადაწყვეტილებამ გადაასხვაფეროს შენი შეხედულება იმ ყველაფერზე, რაც აქამდე ურყევი გეგონა? ნუთუ ასე იოლია გამოემშვიდობო ძველ ჩვეულებას, რომელიც შენი გონებისა და სხეულის შეუცვლელი ნაწილი გეგონა? რატომაა, რომ ყველაზე ახლობელი სრულიად უცხო აღმოჩნდება ხოლმე? საკმარისია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის გაცვლა, ინტერესითა და აღმაფრენით სავსე თვალების გამომეტყველებით ერთმანეთისთვის შევლება, თითების ნაზად, ჰაეროვანი მოძრაობით შეხება და დაუვიწყარი თავგადასავლებით სავსე ღრმა, უძირო ზღვაში გადაშვება.

იქნებ ვაზვიადებ? მიჭირს საკუთარი დაუოკებელი ფანტაზიისა და წარმოდგენის შეკავება. ნეტავ რამდენჯერ უნდა გამიცრუვდეს იმედი, ოცნების კოშკები კი ჩამომენგრეს, რომ საბოლოოდ შევწყვიტო ან ვისწავლო როგორ მოვთოკო ჩემი ნიჭად ბოძებული წარმოსახვის უნარი?

ყველაფერს დრო გვიჩვენებს, ვუჩურჩულებ საკუთარ თავს და ამ სიტყვებით ვცდილობ დავმშვიდდე, დავწყნარდე და გონს მოვეგო. პატარა წიგნაკსა და კალამს გვერდით ვდებ. საწოლში მოუსვენარი ბორგვისა და წრიალის შემდეგ კი ღრმა ძილში ვეშვები.

გიორგი ტუღუში

ბათუმურო წვიმავ

ბათუმური წვიმა, სხვანაირი გახდა,
ცათამბჯენებს ესმის, არა მაგნოლიებს,
აორთქლების პირმშო ქმნის პოლიფონიას,
მეთევზე რომ ტბაში ანკესს გადაჰკიდებს.
მარგალიტის თავსხმა სხვანაირად გონგავს,
თუ ვერ მომხიბლავ და თუ ვერ დამამშვიდებ,
სული ამიმხედრე შენს უძველეს კოშკთან,
გამოცრილო წვიმავ, მოდი უფრო ღვაფად!
ზღვის უიღბლო ხილვავ, ნეტავ რა მაცინებს?!
შენთან ერთად უკვე არც მე აღარ მძინავს,
როგორც მოწყურება, ჩემში გადმოგწურეს,
ბათუმურო წვიმავ, ბათუმურო წვიმავ!
მზემ მოგწყვიტა მშობელს და თავისთან გიხმო,
თუმცა არ იკადრე, კვლავ დაბრუნდი ზღვასთან,
ახლა სამზევეთიც ვერა, ვეღარ გიტანს,
მაგრამ მიუტევე, ნუღარ მოხვალ ჩქაფად!
თუკი ჩემს ქალაქში ყვავილები გაქრა,
გალუმპული ია თუკი გადამიხმა,
ისევ ინავარდე მაცოცხლებელ წინწკლვად,
ბათუმურო წვიმავ, ბათუმურო წვიმავ!

და ახლა უფრო

(სიყვარულის ბოლო ფოტონი)

წახვედი მშვიდად, წახვედი წყნარად,
იქ, საიდანაც მოვედით სადღაც,
გეტყვი და უკვე აღარც დავმალავ,
რომ ახლა უფრო მეტად მიყვარხარ.

არც ერთი წყენა, არც გულისტკენა,
შენგან არ მახსოვს, არ მახსოვს მართლა,
ძალას ვიკრებ და გაგიმხელ კიდეც,
რომ ახლა კიდევ უფრო მიყვარხარ.
მე მატკბობს ჩვენი ყველა შენიღბვა,
ყოველი სივრცე, ყოველი პალმა,
სადაც პირველად მძაფრად მენიშნა,
რომ ხარბად, ხარბად, ხარბად მიყვარხარ.
შენი ბავშვობაც ჩემად ვაქციე,
მომნუსხა ნორჩი სხეულის ალხმა,
შენი დაცემით და შენი ჯვარცმით,
მივხვდი, რომ მართლა, მართლა მიყვარხარ.
აღარ ხარ უკვე მეათასეჯერ,
უშენობამ კი – შობა აღალმა,
თუმცა ვიცი, რომ სადღაც აენთე
და თუ გესტუმრე, სილას გამაწნავ!
მე მიყვარს ზეცა, რადგანაც გიცქერს,
მე მიყვარს მიწა, რომელზეც დგახარ,
შენი უბანი, შენი იერი
და ახლა უფრო, უფრო მიყვარხარ!
კვლავ ისე ხარბად, ხარბად მიყვარხარ,
რომ გავასახლე შენი სატრფონიც,
თვით უეპოქო გახელება ხარ
და სიყვარულის ბოლო ფოტონი!

ყოველი შენი დაღონება

ასე დამეწყო აღმაფრენა იმიერეთით,
ასე დამეწყო გადაცვეთა და დაოხება,
ყოველი შენი დაღონება, ყოველი ფეთი,
იყო წამება, გადალახვა, გადაოსება.
ახლა კი – წადი, გაუყევი მზის ფიანდაზებს,
აღარ შეშინდე ცეცხლის ენებს თუ გადააწყდი,
ეს განშორება ამაღლებას გაგიაღალმებს,
მერე თუ გაწყობს დაეცი და გადასამარდი.
ყოველი შენი უჩინარი ეჭვიანობა,
გსაზღვრავდა, როგორც ციხე-კოშკებს ფოლადის ბჭენნი,
გაგიმეორებს სული, თუმცა ერთიანობა,
ვერ შედუღდება გარდასული და დავიბენი.
ეს მონატრება ულმობელი, ტრანსიქაური,
აქაურობის ყოველ უჯრედს შემოაწვება,

ჩვენ არ გვჭირდება მიწიერთა ქათინაური,
რომელიც ხარბს და გაბრწყინებულს გეცოტავება.
ყოველი შენი დაღონება ოკეანდება,
რაც მოასწავებს მოზვავებას დასჯილთა გვემის,
მომათეთნულდებს ის, რაც აღარ მომეაფრება,
ბედისწერაა ჯვარცმულის და ტრფობით ნაგვემის!

ცივია, ცივი

(გენრიეტა ქუთათელაძეს)

ცივია, ცივი ეს ბულვარი, ხალხიც ცივია,
უსიცოცხლოა ქანდაკებაც „ალი და ნინო“,
აღარ მიტაცებს თოჯინური „მიყვარხარ გიო“,
მხიბლავს სიზმარში, რომ ასკდება ასტრალს მიმინო!
ცეცხლის მიმინო, უხედნავი და უტიფარი,
სიზმარში კაცის, რომლის სულმაც ვერ ჰპოვა შვება,
მაგრამ არასდროს არ ყოფილა მოუმწიფარი,
სწორედ ამიტომ დაემუქრა გადაშენება.
მაგრამ უეცრად თქვენ გამოჩნდით და თქვენი ქნარი,
ფრთოსანი ქნარი, მოკიაფე მზეების მილმა,
წამოიმართა, როგორც მყუდრო თავშესაფარი,
მეც დავყაბულდი სიზიფურად სიცოცხლის ზიდვას!
ეს ყოველივე ზმანებაა, ჩანაფიქრია,
ამიტომ უჭირს შემოქმედსაც ყოფნის ალაგმვა,
ცივია, ცივი ეს ბულვარი, ხალხიც ცივია,
იზიდავს შორი მაგისტრალი და გადაკარგვა!

ბათუმს

ეს დედამიწა, როგორც ლურჯი ხომალდი მიჰქრის,
როგორც ისარი, როგორც ქარი, როგორც ქარიბდა,
ჩვენ ამ ხომალდის მგზავრები ვართ და გამიღიმებს
თვით კეისარი, თორემ ჩავქრი, თორემ დაბინდდა.
და თუ დავდუმდი, გაჭირდება გადაცხოვრება,
ვეღარ შეგამკობთ ძარღვებიდან დაძრული ლექსით,
ვეღარ დაგმუხტავთ პოეზიის გაფართოება,
როგორც სამყარო ვერ გახიზნეს იმ აფეთქებით.
ვერ გახიზნეს და დაისაჯა არარსებობაც,
რადგან არსებობს უსასრულოდ – ბატიფეხურად,
აღარ ინდობენ მომაკვდავი შვილები დედებს,

არ გაისარჯა შაეთნობა, კვლავ იველურა.
ამიტომ მიჰქრის დედამიწა დამეხილივით,
ხოლო ეკიპაჟს დაღლილობის სევდა აიტანს,
მაგრამ გახსოვდეთ, იქროლებს და აღერღილივით
მომსპობს ემისართ, ვერ დაცხრება, ვერ გადამიტანს!
ჰეი, მესაჭევ, მოდი, ერთიც შემაზანზარე,
ვერ შეჩერდება მოძრაობა, ვერ შეჩერდება,
მოდი, მესაჭევ, შეფერებით და მეფარხმალე,
რომ აირიდო გორაობა, მზის შეხეთქება!
ეს დედამიწა, როგორც ლურჯი ხომალდი მიჰქრის,
მე ვიმზირები ღამისფერი ბორტის სარკმლიდან,
სარკმლიდან, რომლის სახელია საქართველო და
მოსჩანს ბათუმი ალხისფერი ზღვების ხახიდან!
ჩემო ბათუმო, ჩემო ციცქნავ, ო, რა დიდი ხარ,
შენს ირგვლივ ბრუნავს შავი სივრცე და იპარება,
რომ დავრჩეთ ორნი მიმავალთა ოსანისთვინა,
რომ ვიქორწინოთ, დაგვებედოს გაფრთიანება!

თოვლის ბუდა

(დათო გირკელიძეს)

იქნებ ნიღბები საჭიროა და არ გაცვითო,
თორემ დარჩები, დაისჯები ნიღბებმობრდღვნილი,
თუკი მერნები ისევ უნდა გამოაღვიძო,
წყნარად იომე, თან იყავი ჰიპერმოქნილი.
შორეულ ჭალებს სული უნდა შემოვათიბო,
ჯვარცმული მთვარე დაქუცმაცდა, დაეცა ყანებს,
ყინავდა სახლებს თოვლის ბუდა და სახალისოდ,
გუბეში ბაყაყს სასიკვდილოდ ააყაყანებს.
ააყაყანებს და დავრჩებით მხოლოდ ჩვენ ორნი,
მე გამაღმერთებს მოწყვეტილი ჭექა-ქუხილი,
ბაყაყს ჭაობი – ანასხლეტი უფლის დუმილის,
მაინც სიწმინდე, მაინც უფლის მეგასურვილი.
უდიადესი ნისლეულნი და ორიონი,
ჭრიდნენ სამყაროს სათავისოდ, თან უაეროდ,
არ დაუგეგმავთ არსებობა გონით-ოინით,
სთვლემდნენ უტიფრად, არსებობის საუარესოდ.
ებრძოლებოდით პირველსაწყისს, სამყაროს დანმთობთ,
აღარ გეცალათ, რადგან ძეგლებს ქმნიდით – ქაოსნო!
ერთი მარცვალი არსებობის უნდა დათესოთ,
ისევ აენთოთ, იქცეთ მეხად და სანაოსნოდ!

და თოვლის ბუდავ, ნუთუ შენ ხარ უტყვი აისი?
თუ ხარ უკვდავი, რად გაცვია ეს თოვლის ქურქი,
ვიგრძნე სიცივე ღმერთთაგანაც გაუსაძლისი,
ჩვენ ერთად ვძრწივართ, სად ვიშოვნოთ ნეტავ პატრუქი?!

მე ვიცინოდი

როდესაც მოკვდი, მე ვიცინოდი,
მაშინ კი ყველას ვეგონე გიჟი,
როგორ გაიგებს მოკვდავთა დასი,
რომ სხვა სიღრმეში მივქირქილობდი.

დალექილ ჭმუნვას ძალა აქვს დიდი,
ის არ დავხარჯე და მოვიპარე,
ყველას ვეგონე შეშლილი ფლიდი,
მაგრამ მე ძალა შემოვინახე.

მაგრამ მე დარდი შემოვინახე,
ზღვა ენერგია გოლიათური,
რომ მომავალში ლექსით შემემკო,
შენი თვალები გოთიანური.

შენი თითები გენიალური,
ეს წამწამები გენიალური,
ო, მერამდენედ ვიძმე სიკვდილი
და გადახრები ვნებიანური.

კვლავ მომენატრა შენი ხილვები,
გასაოცარი, იმქვეყნიური,
ო, როგორ მხიბლავს ეს მიხრა-მოხრა,
ეს მიხრა-მოხრა იმედიური!

სანტა-ფე

გადამავიწყდი, მაგრამ ტუჩებს კვლავაც ახსოვხარ,
მექანიკურად იმეორებს მომნუსხველ სახელს,
ბოლო შეხვედრამ დამიხეთქა ლამის აორტა,
მე ვერა, მაგრამ პოეზიის ეპოქა გამხელს.
გამხელს აღალმა, აღმართული შავი ზღვის პირას,
რომ დაინგრევა, მიჩუმდება ქალაქი ფეთში,

შენ გაიხსენებ იმ დღეს, როცა გამისიზმარდი,
მაგრამ შემქმენი წყალდიდობა ალისფერ მტვერში.
შეუცნობელის და მიღმურის გახმოვანებავ,
ალბათ შენა ხარ სიყვარულის სიკვდილის ექო,
სწორედ ამიტომ შემიყვარდი თავისებურად,
სწორედ ამიტომ მართლა მინდა, რომ დაგებედო.
და სანტა-ფეო, გადაგკვრია ნოემბრისფერი,
მე კი მიყვარხარ, ისე როგორც მშობელს ნაყოფი,
ნაყოფი, რომლის უცნობია თვალების ფერი,
შენს მოლოდინში ეროდივით ნაავადმყოფი.
ტობოსელივით უცნობო და უქალწულესო,
ნეტავ, მშობლიურ ქალაქს ასე რატომ არ ვამკობ?
შენს წინააღმდეგ უმეცრებმა ამაბუნტესო,
მაგრამ ჩავახშობ აჯანყებას, ვერ გადაგაქრობ!
ო, სანტა-ფეო, ჩასხმული ხარ უდაბნოს ფესვში,
მაგონებ შეშლილს, ვერდანახულს ათას ცხრაასის,
ცივ პალატაში მიგდებულს და თეთრ სამოსელში,
მაგრამ შენს პირმშოთ ქარიშხალი ვეღარ გადაღლის!
შენ გამიწიე უკვდავების სასაფლაობა,
უბრალოდ მოდი, პოეზია მიქე და მიქე,
ო, სანტა-ფეო, მე გაჩუქებ ჩემს მარტოობას,
შეისისხლხორცე, შეიბუდე, ან შეიფიფქე!

სიცარიელე

სიცარიელე რომ შევავსო, დაუსაბამოვ,
უნდა ბოროტთა გულისთქმანი ვაია-ვარდო,
უნდა ბუნების სასულეში გამოაზამთრო
ბოლო ზამთარი, გაავება საიანვარო.
აღარ შეჩერდე, იალქანო მოურკალავთა,
უნდა ურჩხულნი საზეიმოდ დაატუსაღო,
მეც დამესიზმრა აცრემლება მოუღალავთა,
მეც გამიტაცა დაშორებამ და საგუშაგომ.
იმ საგუშაგომ, რომლის ირგვლივ ნაიმპერიალს,
თავისი პირმშო დაუნდობლად მოუსროლია,
თუ მომენატრე, კი დავიწყებ ისევ ხეტიალს,
ზღვის პირას, სადაც თეთრ ბურუსებს ყლაპავს თოლია.
მე აქ ვარ, ჩემო ქალაქო და ჩემო მსოფლიოვ,
არ მაქვს სურვილი, არ მაქვს სახლი, არ მყავს მშობელი,
მაგრამ შემომრჩა აღტაცება საივერიო,
თუნდაც დამწამონ შეცოდება-შეუნდობელი!

როცა ვენახებს ალაზნის პირას

როცა ვენახებს ალაზნის პირას ჩამოადნება
კაშკაშა ქალი,
მაშინ მივხვდები, რომ თეთრი ღვინო იყო მზიური,
უფლის გორგალი,
რომელიც ზანტი სულის ყოველ უჯრედს მოედო,
როგორც ბარჯი და ამომქრალი ცივი ტანიდან,
ღმერთის დილეგში დემონებსაც კი გადაენთო.
გამიშრა ყელი, ვით გამოსულს ჯოჯოხეთიდან,
როს ვიხილე, რომ უკვდავი, თავნება ღმერთი,
შვილსა თავისსა
ცეცხლსა უნთებდა სხვა, უფრორე კეთილი შვილით,
რომ დახლეჩილი, გატანჯული ყოფილიყო დღისით და ღამით!
და ალბათ ასე შემოქმედმა თავი მოიკლა!

დღის შეკოწიწებული ხილვები

ცივ ნისლში შეზელილმა თქორმა
გადაათეთრა სივრცე და შვა ლოშქრი.
ვიმოგზაურე დედაჩემის ბავშვობაში და გული ამიჩქარდა.
მას კი კალთაში ჩემი შვილი ეჯდა
და მანქანით მივქროდით იმ სანაპიროს გასწვრივ,
რომლის დანახვითაც საზაფხულო არდადეგებიდან
დაბრუნებულ დედაჩემსაც გული უჩქარდებოდა.
ო, როგორ გავდა ეს გულისცემა ითაკისკენ მიმავალი
ოდისეას გულისცემას, ან კიდევ არჩიბალდისა...
გავისეირნე მამაჩემის ბავშვობაშიც და დავბრუნდი
1976 წლის ზაფხული, ხოლო ქალაქი უდაბნოდ მეჩვენა.
ტანსზემოთ შიშველი მამაჩემი თავის მეგობრებთან ერთად
დიადი რუსეთის ერთი პატარა პროვინციის პატარა ქუჩის
ერთ პატარა ეზოში ფეხბურთს თამაშობდა და თანასულებში
უცხო ვირუსებს ებრძოდა, რომლებიც იმპერიამ დაავირუსა.
დადგება დრო და ჩემი შვილიც მიეხიზნება ჩემს ბავშვობას.
უცებ გამომეღვიძა. გავხედე ზურმუხტისფერ ზღვაში მცურავ ბათუმს.
გავხედა და გავიაზრე, რომ დედაც, გრილი სანაპიროც და ჩემი მშობლების
ბავშვობის გათვითცნობიერებაც მკვეთრად უნდა აღმექვა,
დეტალურად დამემახსოვრებინა, რომ მომავალში, როდესაც ტკბილ
და სევდიან მოგონებად მოვიდოდა, ბუნდოვანი არ ყოფილიყო და დიდხანს
გაგრძელებულიყო, ასოებად ქცეულიყო, პოეზია დარქმეოდა.

აერიონზე

(კახა მიქელაძეს)

იმიტომ კი არ შედნობია მზეებს სიცოცხლე,
რომ ერთმანეთი მტერზე მეტად გვეჯავრებოდეს,
იმიტომ კი არ გენდობიან აერიონზე,
რომ გეპარდების გულის ფეთქვა გეხარბებოდეს.
მუშტში ვეჭირე ღმერთებს, როგორც ბახი სატანას
და სიყვარულნი ჩვენნი ერთურთს გადაეხამა,
კუშტი მელვინე უამოროდ გადაფარვანდა,
კვლავ ღმერთებს ვენდე, რომ ქარიშხლებს გადაეარათ.
მაგრამ რატომღაც შენი სატრფოც კი არ მიმოწმებს,
რომ ერთმანეთი მტერზე მეტად გვეზიზღებოდა,
მაგრამ რატომღაც, ფეთიანო, აღარ გიმონებ,
რომ მემალები, მინდა უფრო მეცივებოდე.
აერიონზე, აერიონზე-იქაურზე
და დაბრუნების უნაგირზე გამომაფხიზლე,
გადამეწიოს დაფიონი ქათინაურზე,
თუ გამრუდება უანგაროდ ამომაცილე!

მეგაფრთებით

(ბაქარ ძნელაძეს)

გადმოლორწილი უსახობის ფერად სარკისგან,
ჩვენ გავმთლიანდით, გავსპეტაკდით, გამოვღმერთკაცდით,
სიკვდილი ყველას, შოლტვა ვისაც ჩვენი სახითაც
ჰყავს ქვეყნად მტერი, განსასჯელი და კელაპტარი!

არ დავბრუნდებით, არ განვდგებით საფიცარისგან,
არ მივატოვებთ, რაც გვიყვარდა და დეკადანსით
შევხვდებით ერას დაფერდებულს, მერე ქარითაც
გავსწევთ ქროლვისკენ მეგაფრთებით, ან მეგაფანდით!

(გრიგალობდა ხორშაკი, მე კი – გადავიხარე)
დახლეჩილი ლერწამი ცეცხლსა შიგან ვიწვოდი,
არ დავდგები მაინცა ბრძოლის მეიავნანედ,
ვიყო თქვენგან დევნილი, თუმცა ფრიად მრისხანე!

აღარ ვიცი, უფალო, რატომ გამამთლიანე,
რად გადმომრგე შენსავე სულის ამონაზიდში,
მეგაფრთებით ვიარე, ვერ ავფრინდი, ვერა, მე
და ჩავვარდი სამყაროს ყოველ ამობარდნილში!

სულშიჩაკრულნი

თავგანწირვაა სიტყვა, ფუჭი სიტყვა რად მინდა,
აღმაფრენაა საქმე, თორემ სიტყვა რას მარგებს,
რად მინდა ფიცი, შეტყუება ან გადახიზვნა,
თუ უშენობამ ბოლო ლოცვაც გადამავიწყა.
და თუ არ მოხვალ, კვლავ ავიკრავ გუდა-ნაბადს და
კვლავ გავუყვები მონატრებით გულის ძგერის გზას,
თუკი უდაბნომ კიდევ ერთხელ მიმუხამბაზა,
დავუბრუნდები ლეგენდარულ ნურიგელის ტბას.
თუ დავბრუნდები და ვერ გნახავ, მინდა იცოდე,
დავტოვებ სახლ-კარს, ვინც მიყვარდა, ან რაც მიმძიმდა,
ბინას დავიდებ სასახლეში, სადაც ინოხებს,
კრახუნას ვასმევ ყოველ დილით წმინდა სასმისად.
თავგანწირვაა სიტყვა, ფუჭი სიტყვა რად მინდა,
ფიცი რას მარგებს, დანაპირი, ან გატაცება,
შენ ჩემი სული სამუდამოდ გულში ჩაგიკრავს,
რომ არ დამჭირდეს მორცხვი ღმერთის ახახავება!
აღმაფრენაა საქმე, თორემ სიტყვა რად მინდა,
წყენა რას გვარგებს, გამოთართხვა, ან გასამება,
მე შენი სული სამუდამოდ გულში ჩამიკრავს,
რომ არ მიწევდეს ყოველ ჯერზე გადაჭარბება!

და თუკი შევცდი

გაბრაზდა ღმერთი,
ნახევარმთვარე ბუმერანგივით
შემოგვსტყორცნა გარიბალდელებს.
დატენა დენთი,
მაშინ დავქოქეთ თვითმფრინავები,
ჩავუსახლდით მარსიანელებს!
და თუკი შევცდი,
თუკი მოცურდი გახელებული
მარსის გადამწვარ, წითელ მიწაზე,
კვლავ გამოგყვები და ძველებურად
ავღიღინდებით ფერეიდანზე.
იმ წამებაზე,
იმ დაქსაქსვაზე ქართული სულის,
რომელიც მაინც შემოგინახე,
ჩვენ გავილაშქრებთ,

ჩვენ გავილაშქრებთ დიდ თეირანზე!
და თუკი შევცდი,
თუკი დამზაფრა
უფალმა და მეც მიგატოვე,
ნუ გამიწყრები,
აპატიე ღმერთსაც ტრიუმფი,
მე შენს გარეშე
გამარჯვება ვერ მივაბოლტე!
მე ახლა მცხელა და წამწამები
შენი ირხევა, როგორც მარაო,
უდაბნოს გულში შენ ხარ სიგრილე,
ხარ ერთადერთი, ხარ საფერაო.
აწითლებული მარსის მარანში
ლექსი დავწეროთ უკვდავ ზეგონზე?
ო, არა, არა, საქართველოზე,
და ისიც მშვიდად
და ისიც სახლში.
სუნი მცემს ჩემი ბავშვობის ბაღის,
გთხოვ, მაპატიე ერთხელ დებოში,
ლექსი დავწეროთ და არა სხვაგან,
მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში!

მზის სიზმრებში

არ მოვიწყენ მოწყენით,
ზეკაცებს რომ უქიათ,
გავლაღდები მონტენით,
თორემ დენთის სუნია.
მდევნიან და მდევნიან,
მზის სიზმრებში ცეცხლია,
თუ მიხილავ ფეთიანს,
თოფი გატენილია!
ცა კი – მოთეთრილია,
ლურჯთოვლდება ატმები,
სიცივეა გარეთ და
ზამთარს ვეცოტავები!
ამომიღო მიზანში,
მაგრამ მე ვარ იდეა,
მთვლემარე მზის სიზმარში,
რომ გავართო მედეა!
ან დანგრევის მუქარით,

გამამეფოს მიდიამ,
სანამ ნაფირალარი,
აგიმხედრებთ ფიდიას!
ფოტონიც ვერ მექორფა,
რომ ავცივდი პირველად,
დავნავარდობ ფრთებქორფა,
სულის გაუგრილებლად!
გავეჯიბრე მასხარებს,
დავიბადე ღვთის ცრემლად,
თუმცა მაინც მრცხვენია,
რომ გაქციე პიესად!
გაიღვიძა უკვე მზემ,
რა საამო ხვედრია,
მიმავიწყდა შუადღე,
თალპიონიც ღვენთია!
არ მოვიწყენ მოწყენით,
ზეკაცებს რომ სჩვევიათ,
დამელოდე – მოვედი,
მომაქვს ინტერვენცია!

ნინი ჩხარტიშვილი

უსინათლო და ნუგეში

მზე კარგა ხანია ამოვიდა. ჩაიდანი დუღს. ამ სახლში არავის არსად აგვიანდება. ედუარდომ ლასლასით შეაღწია სამზარეულოში და ორთქლადქცეული ჩაიდანი გაზქურიდან გადმოდგა. – რომელი საათია? – გაიფიქრა და თვალი ფანჯრისაკენ მიაპყრო. მზის ნათებამ თვალებთან ნარინჯისფრად გადაურბინა და ამით შეიტყო რომ დილაა, თანაც მზიანი, რადგან ნათებამ ედუარდომდეც მიაღწია.

ედუარდოს სახლში სიცარიელეა მას შემდეგ, რაც მოხუცი დედა გარდაეცვალა. ორმოცდახუთი წლის ედუარდო ნაადრევად დაობლებულივით გრძნობს თავს. მან იცის დიდია, თუმცა მარტოობის წინაშე ყველა უმწეო ბავშვივითაა. დედის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ პირველად გაისმა კარზე ზარის ხმა. – მოვიდა, მოვიდა, – თქვა აღელვებულმა და კედელს ფეხაკრეფით გაჰყვა. კარი გააღო, ნაცნობი ხმა მიესალმა: – ბოდიში, აქამდე ვერ გინახულე, საქმეები მქონდა. – ეს რუნი იყო, მისი ნათესავი.

– ეგ არაფერი, ეგ არაფერი, რაც გითხარი, ის თუ შემისრულე?

– კი, აქ არის.

რუნიმ ედუარდოს ხელებში პატარა არსება ჩაუსვა. პატარა ჯერ აწკმუტუნდა, შემდეგ კი ახალ პატრონს ისე მიეკრა, თითქოს თანხმობა განუცხადა მეგობრობაზე.

– ბიჭია თუ გოგო? – იკითხა აღტაცებულმა ედუარდომ.

– ბიჭი.

– ძალიან კარგი.

– ედუარდო დარწმუნებული ხარ, რომ შეძლებ?

– შევძლებ. – უპასუხა მტკიცედ.

– თუ გადაიფიქრებ, დამირეკე.

– კარგი, კარგი.

ედუარდომ რუნი გაისტუმრა და ახალ ოჯახის წევრთან ერთად ოთახში შევიდა. – აბა, მობრძანდი, ეს ჩვენი სახლია. საწოლსაც თანაბრად გავიყოფთ, მაგრამ ჯერ ხომ სულ ციცქნა ხარ, პატარა ადგილიც გეყოფა ჩემს მხართან ახლოს. გამიგია, ლეკვს ბევრი თამაში უყვარსო, შენ რატომ არ მეთამაშები? თუ ჯერ ჩემი გერიდება? ანდაც ხომ არ გშია? – ლეკვი საწოლზე ჩამოსვა, ფეხსაცმელი ჩაიცვა, ძველი გახუნებული მანტო კარადიდან გამოიღო, მანტოში ცოტაოდენი ჩაკუჭული ფული ედო, რომელიც მთავრობამ დაურიცხა წინა თვეში, ახლა კი ცოტაღა შემორჩენოდა. კიბის მოაჯირს ხელი მოჰკიდა, ოცდაორი საფეხური გადაითვალა და უკვე სადარბაზოსთან აღმოჩნდა. სადარბაზოსთან იგივე უცნობის ნაცნობი ხმა გაისმა: – ვინც შენ არ გიყიდა პირველ სართულზე ბინა, იმას მოკლავს შენი ცოდვა. ედუარდომ გულიანად გადაიხარხარა და თქვა: – აშკარად მაქედან დაიწყო ჩემი უიღბლობა. ნაცნობმა ხმამ: –ჰმ, – ჩაილაპარაკა და გაეცალა. დღემდე არ უკითხავს ედუარდოს ვინ იყო ეს უცნობი, მას უბრალოდ ეს ხმა მიაჩნდა

შემხსენებლად, რომელიც ყოველ დილით ახსენებდა თავის უსუსურობას. აბა როგორ უნდა ეკითხა მისთვის სახელი, ან რაში სჭირდებოდა.

მაღაზიაში არ ჰქონდათ ლეკვისთვის საჭირო საკვები. საბედნიეროდ, ახალგაზრდა ყმაწვილი დაეხმარა და ყველაფერი მოუტანა, რაც საჭირო იყო. ედუარდომ გულითადი მადლობა გადაუხადა, დაკუჭული ფული ჯიბიდან ამოაძვრინა და ყმაწვილს გაუწოდა. ყმაწვილმა უარი განუცხადა, ედუარდომ კი სთხოვა, ფული აეღო, რადგან სიბრმავეს არ მისცემდა ნებას მაშინ შესცოდებოდათ, როცა თავისი ლეკვისთვის პირველი საკვების თანხა უნდა გადაეხადა, რადგან ეს მისი ამაღელვებელი წამი იყო. ყმაწვილმა გაუღიმა და ფული გამოართვა. მას დაავიწყდა, უსინათლო კაცამდე ღიმილი რომ ვერ მიაღწევდა, ამიტომ ედუარდომ ამოიკვნესა: – ეჰ, მგონი ვაწყენინე მე უგუნურმა. – სწრაფი ნაბიჯებით აიარა კიბე, ასვლისას ერთი-ორჯერ წაიბორძიკა, მაგრამ მერე რა, მთავარია სახლში მეგობარი ელოდებოდა.

ლეკვი ისევ იქ დახვდა, სადაც დატოვა. – შენ რა დამჯერე ყოფილხარ, ამიტომაც გაგანებივრებ, დამელოდე, ახლავე მოვალ. – სამზარეულოში შევიდა, საკვებისთვის პატარა ჯამს მიაგნო და სულ სხვა გრძნობა დაეუფლა, ახლა მას შეუძლია იზრუნოს ვიღაცაზე და ეს უცნაურია. თავი უკან მოაბრუნა, საითაც ლეკვი ეგულებოდა, თვალები ღრმად დაჭყიტა, იცოდა, არაფერი რომ არ გამოჩნდებოდა, მაგრამ სურდა სიბნელეშიც შეეგრძნო მისი არსებობა.

პატარა, სავსე ჯამი მიუტანა და იატაკზე დაუდგა, ეგონა, მისი დანახვისას საწოლიდან ჩამოხტებოდა და სულმოუთქმელად მიირთმევდა ყველაფერს, მაგრამ გაფაჩუნების ხმაც არ გაუგონია. – ასე არა? მეტად რთული ბუნების ყოფილხარ, – თბილად მიუგო ედუარდომ. ჯამი მუხლებზე დაიდო და ნაზად ჩააყოფინა პატარა ცხვირი მისთვის განკუთვნილ ულუფაში. – სლუპ, სლუპ – პატარა გემრიელად დაეწაფა პატრონისგან მირთმეულ ძღვენს. ედუარდო გაღიმებული ყურს უგდებდა უცნაურ ჟღერადობებს, მისი სახე იმდენად კმაყოფილი და ნეტარი იყო, თითქოს მოცარტის უკვდავ მელოდიას უსმენდა. ბურთად ქცეული ლეკვი ხელში აიყვანა და ფანჯარასთან მივიდა, სადაც გაზაფხულით გაგიჟებული ქარი ხეებს სიყვარულის ალში ხვევდა.

– შეხედე, როგორი სიცოცხლეა ირგვლივ, როგორ ლამაზად სტაცებს ქარი ხეს ფოთოლს, როგორ ანათებს მზე და სამყაროს ჩემთვის უხილავ ყვითელ ფერში ხვევს. მე, ვინც სამყაროს განაპირა მხარეს აღმოვჩნდი, მხოლოდ უძრავი სიბნელე და მისი სულისშემძვრელი ხმაური მერგო წილად. – ამას ამბობდა და წყვილ-წყვილი ცრემლი თავისით მოსდიოდა თვალებიდან. უეცრად ლოყაზე ხავერდოვანი ენის შეხება იგრძნო, მხურვალე სახეს მოელამუნა და მისი ცრემლი შთანთქა. – ნაუმი, – წამოიძახა ედუარდომ და სიცილ-ტირილით ჩაიკრა გულში პატარა მეგობარი. – შენ დღეიდან ნაუმი გერქმევა, რაც ძველ ებრაულად მანუგეშებელს ნიშნავს.

უძრავ სიბნელეში იდგნენ ედუარდო და ნაუმი, მოდიოდა დარდი – აქარწყლებდა ნუგეში.

დრო თვალის დახამხამებაში გავიდა. ნაუმი უკვე ექვსი თვისაა, მაგრამ ძველებურად ედუარდოს კალთას არ შორდება. ედუარდო ხშირად ეუბნება – ჩემი ერთადერთი მსმენელი ხარ, ხელჯოხის მოსატანადაც ვერ გაგიშვებ მომენატრებიო. ნაუმის ყველაფერი ესმის და ყველაფერს გრძნობს, ამიტომაც მოაქვს დაჟანგულ კარებთან მიყუდებული დაჟანგული ხელჯოხი იმაზე სწრაფად, ვიდრე შეუძლია. საერთოდაც, ამ სახლში ყველაფერი დაჟანგული და ძველია, თვით უმაღლესი გრძნობების გარდა.

ყოველი დილა კიბის ოცდაორი საფეხურის ჩავლით იწყება, ოღონდ ძველებურად მარტო აღარ უწევს ამ წინაღობის დაძლევა. ახლა მასთან ნაუმია, რომელიც ახალშობილი ბავშვივით ხელით დაჰყავს. გასუქდა, სიგრძეშიც გაიზარდა, მაგრამ არაფრის დიდებით ძირს არ დასვამს, ასე მიეჩვია და გადაჩვევას ვერ მოვთხოვო. ქალაქში ყველა ცნობს უსინათლო კაცს, რომელსაც ძაღლის ტარებისგან ხელები სტკივა, მაგრამ მაინც ბედნიერია. მთელი დღე

პარკში დახეტიალობენ და სახლიდან წამოღებულ კრუასანებს თანაბრად იყოფენ. არც ერთი არ გრძნობს თავს მაძღრად, თუმცა ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ედუარდო ნაუმის გამუდმებით ესაუბრება, უყვება უახლოესი მომავლის ამბებს, სად შეიძლება წავიდნენ ერთად, რომელი ჰაერი მოეწონებათ ზღვისა თუ მთის. ირგვლივ მყოფთ მუდამ აკვირვებთ მსგავსი სცენა, ისინი ფიქრობენ, რა აზრი აქვს მათ მოგზაურობას. ნაცნობებს ეცოდებათ, უცნობებს არ ესმით მისი, ედუარდო ნამდვილად იღბლიანია, მათ სახეებს რომ ვერ ხედავს.

ერთ დღესაც, სახლში დაბრუნებულებს, კარებთან ატუზული რუნი დახვდათ. როგორც ყოველთვის, იმის მტკიცება დაიწყო, რომ არ ეცალა, თორემ აუცილებლად ინახულებდა, შემდეგ კი ედუარდო მიიწვია თავისთან სტუმრად. ედუარდომ თავის დაძვრენა სცადა, რადგან იცოდა რუნი უანგაროდ არავის არსად დაპატიჟებდა, მითუმეტეს იმას, ვისი ბედიც არაფრად ადარდებს. – იქნებ ჯერ ჩემთან შემოხვიდე, ვის გაუგია მოსული კაცის უკან გაბრუნება. აქ გაგიმასპინძლდები, სხვა დროს კი შენ გამიმასპინძლდი შენთან, – უთხრა ედუარდომ. რუნიმ ჩაახველა, ხმა დაირბილა და მელიასებური ცბიერებით მიუგო: – დედაჩემს ძალიან მოენატრე, საგანგებოდ შენთვის გემრიელი კერძები მოამზადა, გთხოვ წამოდი იმედს ნუ გაუცრუებ მოხუც ქალს.

ეს უკვე სერიოზული მიზეზი იყო, ასე აღმოჩნდა ედუარდო რუნის მანქანაში, შემდეგ კი სახლში.

კარზე ზარის ხმა გაისმა თუ არა, მოხუცი ქალი ელვის სისწრაფით ეცა კარებს, თითქოს მოუთმენლად ელოდა საყვარელ სტუმარს. – ოხ, ედუარდო, როგორ მომენატრე, – უთხრა მოხუცმა. გაღიმებულმა ედუარდომ პირველი ნაბიჯი გადადგა თუ არა კარის ზღურბლიდან მოხუცის გადასაკოცნად, მოხუცმა წამსვე მიახლა: – ძაღლი გარეთ დატოვე. – ედუარდომ ნაბიჯი უკან გადმოდგა და გულნატკენი ბავშვივით თქვა: – ეს ჩემ გარეშე ვერსად მოიცდის. – რუნიმ ედუარდოს ხელი ჩაავლო და ნაუმისთან ერთად ოთახში შემოიყვანა. მოხუცმა ბრაზნარევი ხმით ჩაილაპარაკა: – კარგი, შემოიყვანე შენი ცხოველი.

სუფრა სავსე იყო ათასგვარი კერძით, მაგრამ ლამაზად გაწყობილი ანტიკვარიატი უფრო დიდ ყურადღებას იპყრობდა. მასპინძლებს თავიანთი სიამოვნებისთვის უფრო მოუწყიათ ეს ვახშამი, ვიდრე სტუმრისთვის. ედუარდო მორცხვად ჭრიდა ქათმის ნაჭერს და ნაუმის უწილადებდა, ნაუმიც აღტაცებული უღებდა პირს, რადგან ასეთი რამ თავისი ლეკვობის მანძილზე არ გაუსინჯავს. რუნის თვალს ეს არ გამოჰპარვია, ამიტომ ნიშნის მოგებით ჰკითხა: – ედუარდო, ალბათ ძალიან გიჭირს ძაღლის რჩენა, არა?

– არა, ვცდილობ, არაფერი მოაკლდეს.

– ხო, მაგრამ... ძაღლს ბევრი რამ უნდა, შენ კი არც ისე ბევრი გერიცხება მთავრობისგან.

რუნი არ ნებდება, რაღაცას ცდილობს, მაგრამ რას? ეს ჯერ ბუნდოვნად ჩანს. – ეტყობა საკმაოდ, უსუსური არ ვარ, – ჩაიცინა ედუარდომ.

ამჯერად მოხუცი ჩაერთო საუბარში და ნათლად გამოჩნდა საქმის ვითარება:

– მე და რუნის გული შეგვტკივა შენზე. გუშინ რაღაც მოვიფიქრეთ და მგონი, ეს დაგეხმარება. მარტოსული კაცი ხარ, არავინ გყავს დამხმარე. ღმერთმა დაიფაროს და რაიმე შეგემთხვეს, ვინ გიშველის? ძაღლი? მოდი ჩვენთან გადმოდი, ჩვენ კი შენს ბინას გავარემონტებთ და უკეთეს შემთხვევაში, გავაქირავებთ. ვეცდებით, არაფერი მოგაკლდეს, კმაყოფილი იქნები ჩვენთან.

ედუარდო ცოტა ხანი დუმდა, შემდეგ დუმილი დაარღვია: – როგორ გადაგიხადოთ ეს ვალი, როცა თქვენგან წავალ?

– ვალი? – გაიცინა მოხუცმა, – ედუარდო, ვერ გაგვიგე, შენ სულ აქ უნდა იყო.

– სულ აქ? – შეშფოთდა ედუარდო.

– დიახ, სულ აქ. იმ სოროში რა გესაქმება.

– სორო სულაც არ არის...

– ვერ ხედავ და იმიტომ, – მზაკვრულად გაიცინა მოხუცმა, შვილმაც ჩაიცინა უხმოდ.

ედუარდო მოწყენილი და დაბნეული ერთ ადგილას წრიალებდა: – კარგი, ვიფიქრებ, იქნებ მართლა გადმოვიდეთ.

– გადმოხვიდეთ? – იკითხა მკაცრი ტონით მოხუცმა.

– დიახ, მე და ნაუმის ვგულისხმობ.

– ნაუმი ვინ არის? – კვლავ მკაცრი ტონით ჰკითხა მოხუცმა.

– ჩემი ძაღლი, – სევდამორეული ედუარდო ხმას ვეღარ იმორჩილებდა.

– ოჰ არა, ძაღლებს ვერ ვიტან, – ამოაფრქვია შემზარავი ხმა, თითქოსდა უწყინარმა მოხუცმა.

ედუარდო ფეხზე წამოდგა, ნაუმი ხელში აიყვანა, უკან ნაბიჯი გადადგა და სკამს დაეჯახა, შემდეგ ინერციით წინ გაექანა და მომაკვდავივით ამოიკვნესა: – დროზე კარები მაჩვენეთ. – რუნი უკან დაედევნა: – სად მიდიხარ? – დაუყვირა მრისხანედ. მოხუცი შხამიანი გველივით გამოსრიალდა: – ნუთუ სოროში გეჩქარება ასე ძალიან? – ეცადა გესლში ჩაეძირა ედუარდოს თავმოყვარეობა.

– დიახ იმ სოროში, რომელიც ასე ძალიან გინდათ. გადმოფორმების საბუთებზე როდის მოგიწეროთ ხელი? თქვენი მიზანი ხომ ისედაც ეს არის? ლამაზად ცდილობთ, შეფუთოთ მზაკვრული ჩანაფიქრი, თუმცა ეს საერთოდ არ გეხერხებათ.

მოხუცი შეშფოთდა, თითქოს ცილი დასწამეს უანგაროდ სიკეთის მქმნელ ღვთისმოსავს: – როგორ არ გრცხვენია? ჩვენ შენნაირ უმწეოზე ზრუნვა დავაპირეთ შენივე კეთილდღეობისთვის, ასეთი სიკეთისთვის ბინას კი არა, მარადიულ სასუფეველსაც ვიმსახურებთ.

– გაივსო სამოთხე თქვენნაირი წმინდანებით... უსინათლო ვარ, თუმცა თვალხილულზე უკეთ ვხედავ, ამიტომაც მირჩევნია ჩემი ძაღლი თქვენნაირ ადამიანებს. – ამოიოხრა ედუარდომ.

ცალ ხელში ნაუმი ეჭირა, მეორე ხელით ცდილობდა კიბის მოაჯირს დაყრდნობოდა, თან ხელჯოხი ჰქონდა იღლიაში ამოჩრილი. უკუნითში კიდევ უფრო დაბნელდა ედუარდოსთვის, მარადიული სასუფევლისთვის მომლოდინენი კი მშვიდად აგრძელებდნენ ვახშამს, თითქოსდა არავინ ჩაუძირავთ მათი ცეცხლოვანი ფრთების ქვეშ.

შუაგულ ტროტუარზე მანქანების გუგუნში საკუთარი ფიქრის ხმასაც ვერ გაიგონებდით. საით წავიდეს ედუარდო? არსებობს გზა, რომელიც იხსნის ფერად ქაღალდში გახვეული შავი საწამლავისგან? იგი თვალხილული სულის ბოლო მელოდიაა, რითი უნდა აუხვიონ თვალები, რათა სამუდამოდ დაბრმავდეს. ედუარდო უტყვი, პირქუში ღამის ხაფანგებს თავისი სიმღერით ეგებება:

> უდაბნოა, ქარი სულში დაქრის
> და თვალს მივსებს მისი მწარე ჭავლით,
> რუდუნებით მომაქვს კლდიდან წყალი,
> თუ არ დავლევ მაინც ფუჭად დავღვრი.

ღამე ნაბიჯარეულ მგზავრს ხელს ჰკრავს და შეზარხოშებული მთვრალივით ერთი ადგილიდან მეორეზე გადაისვრის. სიბნელეში უხილავი სინათლის მაძებარი მგზავრი სასწაულებრივად უსხლტება რკინის საცეცებიან მტრებს და თილისმასავით ჩამოკიდებულ მანუგეშებელს უფრო მეტად იკრავს გულში, მანუგეშებელი ხავერდოვანი ენით სიმწრის ოფლს წმენდს და მწარედ იწყებს წკმუტტუნს. – ნუ გეშინია, სანამ ერთად ვართ სამყარო ვერ გადაგვივლის, – ჩასჩურჩულა ყურში მეგობარმა აფორიაქებულ მანუგეშებელს. მანუგეშებელი დამშვიდდა, პატარა თათები კისერზე მოხვია და სამყაროს ხმაურში სიჩუმით ჩაიძირა.

გზის გასაყარზე, ღმერთმა უწყის რომელ მხარეს – ტაქსი, ტაქსი, – გაიძახის ედუარდო. არავინ ჩანს მშველელი, არ უჩანს ლოდინს ბოლო – ამდენ რკინისკაციჭამიას რკინის გულები მართავს – გაიფიქრა ედუარდომ. გამთენიისას ძირს ჩამუხლული ედუარდოს ფეხებთან მანქანამ დაამუხრუჭა. ძილ-ბურანისკენ წასულმა თავი უმწეოდ ასწია, ძვლის გაიხსენა, რა ხდებოდა და, როცა ყველაფერში გამოერკვა, უმალვე იკითხა: – ტაქსია?

– დიახ, დაბრძანდით, – უპასუხა უცნობმა ხმამ.

ედუარდომ მძინარე ნაუმი ალერსიანად შეაღვიძა და მანქანაში შესვა, თვითონ ხელჯოხის ასაღებად მიბრუნდა, მაგრამ ვერსად ნახა. მძღოლს მოთმინების ფიალა აევსო, დაუსიგნალა და ფანჯრიდან გასძახა:

– საით მივდივართ, ბატონო, იქნებ მითხრათ?

ედუარდომ კარები გამოაღო, ნაუმი მუხლებზე დაისვა და შემდეგ გასცა პასუხი: – მარტოობის ქუჩაზე.

– მარტოობის ქუჩა არსებობს?

– არა, ვიხუმრე, წმინდა დანიელის ქუჩაზე წამიყვანეთ.

გზა სიჩუმეში მიილია, ხანდახან მხოლოდ ნაუმის გრგვინვა ისმოდა, სიცივისგან გათოშილს პატრონის მანტოსთვის შეეფარებინა თავი.

– მოვედით, – ამცნო მძღოლმა ედუარდოს.

ედუარდომ კისერი წინ წამოსწია, ჯიბიდან დარჩენილი გროშები ამოიღო იმის იმედად, რომ საკმარისი იქნებოდა. მძღოლი სახეზე დააჩერდა, ედუარდომ ეს იგრძნო და გროშები მალევე მიაწოდა. მძღოლმა გროშები გამოართვა, მანქანიდან გადავიდა და კარები გაუღო. ეუდუარდოს გულში ცხელი მზის სხივი ჩაეღვარა მძღოლის გულისხმიერების გამო. ჩვეული მორიდებით თავი დაბლა დახარა და მოულოდნელად უცნაური რამ ჰკითხა:

– თქვენს ადგილას ბევრი ჰკითხავდა უსინათლო კაცს, თუ რას აკეთებდა შუაღამით ძაღლთან ერთად ქუჩაში, თქვენ კი უცნაური სიჩუმით შემოსილხართ.

– მე საიდანაც ვარ, იქ ბევრი ლაპარაკი არ უყვათ. იქედან გამოქცეულებს საზეიმო კარნავალზეც სამგლოვიარო მარშის ხმა ჩაგვესმის.

– საიდან ხართ?

– ბრძოლის ველიდან.

– გასაგებია...

– თქვენ რატომ მიდიოდით მარტოობის ქუჩაზე?

– მე მუდამ მარტოობის ქუჩაზე ვარ, ვიდრე ჩემს ძაღლს არ ჩავეხუტები.

– თქვენ ნამდვილად გაგიმართლათ, – უთხრა თბილი ხმით და ჯიბეში თბილად ჩაუცურა მისივე მოცემული გროშები.

მანქანა ფრთხილად დაქოქა, ერთხელ კიდევ დაუძახა: – დარწმუნებული ხართ, რომ სახლთან ახლოს ხართ?

– წითელ შენობას ხედავთ? სამკუთხედი სახურავით? – ასე გამოიყურებაო, მითხრეს.

– დიახ, ვხედავ.

– ახლოს ვყოფილვარ, ერთი გზა დამრჩა გადასაკვეთი, ეს კი არც თუ ისე ძნელია, ყოველ დღე ამას ვაკეთებ.

ბრძოლის ველიდან მოსული ნელი სიჩქარით მოშორდა ეუდუარდოს. ჩაფიქრებული გაეშურა ვინ იცის სად, იქნებ კარნავალზე თავისი სამგლოვიარო მარშის ასახმაურებლად, მაგრამ ტაქსის ნიშანი არსად ჰქონია, არც აქ და არც იქ, საიდანაც წამოვიდა.

ეუდუარდომ თავი სამშვიდობოზე როცა იგრძნო მხნეობა შეემატა, ნაბიჯს აუჩქარა და პატარა მეგობარს სიმღერით მიეალერსა:

ჩვენ ორნი ვართ ღამის მცველნი,
ვერ გვაშინებს ქვეყნად ვერვინ.

ნაუმიმ ბანი მისცა, დაუყეფა და მხიარულად აუთამაშდა ხელებში საყვარელ პატრონს.

– თითქმის მივედით, ჩემო მომღერალო, – გაუცინა ედუარდომ.

რკინის მანქანა ახმაურდა – დრ, დრრ. სიმღერა შეწყდა, ნაცნობი ქუჩა სამტროდ ჩაუსაფრდა მომღერალ დუეტს.

ბრბოთა დამაყრუებელი ხმა გაისმა. ედუარდოს ხელებიდან სისხლი წვეთ-წვეთად ჟონავს, დასახიჩრებულ ხელებს ნაუმი ვეღარ დაუჭერია. ხაფანგმა ედუარდოს მაგრად ჩაავლო, ამიტომაც ვეღარ მღერის ღამის სიმღერებს. დაღლილ სხეულში ჯერაც ცოცხლობს დიდი იმედი, რომ ყველაფრის მიუხედავად ეს არ იქნება უკანასკნელი დღე თავის მეგობართან ერთად.

დილის ცხელმა მზემ ურცხვად შემოანათა ედუარდოს პალატაში. სიცოცხლესა და სიკვდილს შორის ამომავალი მზე ამ დროს ყველაზე გაბედული და თავხედია. ედუარდომ გაიღვიძა, დასახიჩრებული სხეულით ძვლივს გადმოტრია-

ლდა საწოლის მეორე მხარეს, თუმცა ჯერ ისევ ჰგონია რომ სახლშია და დილის საუზმე აქვს მოსამზადებელი. ექთანმა გონზე მოსულს გადარჩენა მიულოცა, მაშინღა გაახსენდა შორეულ ბინ-ბუნდში გახვეულს რკინის საცეცებიანი მტრის თავდასხმა. შეშფოთებულმა საწოლიდან წამოიწია, ექთანი უმალვე მასთან გაჩნდა, ხელი ჩაავლო და ისევ უკან დააბრუნა. ედუარდო ჩაფიქრდა, ცდილობს გაიხსენოს რა აწუხებს ასე ძალიან, რაც გულს ეკალივით კაწრავს, ხოლო სულს ნადირის ხახაში მოქცეული საკვებივით ღეჭავს და ღეჭავს დაუსრულებლად.

მარტოობა შთანმთქმელი ძალით შემოიჭრა ედუარდოს არსებაში და როცა მისი განდევნა სცადა, ორივე ხელი წინ წამოსწია, გულთან მიიტანა და შეჩერდა. ამ ხელებს რაღაც აკლდა, რაღაც, რაც ყველაფერზე ძლიერი იყო. უმწეო ცრემლი დაგორდა, არავინ ჰყავდა მომწმენდი, ედუარდომ გაიფიქრა ნეტავ – ის აქ იყოს, – ვინ ის? – გაისმა ისევ საკუთარი ხმა გონებიდან.

ედუარდომ თვალებზე ხელი აიფარა, ისე თითქოს რაღაცას ხედავს და მისი დანახვა არ უნდაო.

– რა სულელი ვარ, – აქვითინდა ედუარდო.

– რა გაწუხებთ, ბატონო? – ჰკითხა ექთანმა.

– საკუთარი უგუნურება.

– რატომ, ბატონო?

– როგორ დამავიწყდა, როგორ დამავიწყდა, – ქვითინებდა ისევ.

– რა დაგავიწყდათ?

– საკუთარი ძაღლი, ჩემი ნაუმი.

ექთანმა უხერხულად ჩაახველა, გაირინდა და ოთახიდან გასვლა სცადა.

– თქვენ იცით, სად არის ნაუმი? – დაეწია ედუარდოს ხმა, კარებისკენ მიმავალ ექთანს.

– დიახ, – ჩუმი ხმით უპასუხა.

– ცოცხალია? – თვალები ღრმად დახუჭა და მუშტი პირთან მიიტანა პასუხის მოლოდინში.

– ჯერ ცოცხალია, მაგრამ არ ინერვიულოთ ბატონო.

– რას ნიშნავს ჯერ ცოცხალია? – თვალებიდან ცხელი ცრემლი საწამლავივით გადმოეპკურა.

– სამწუხაროდ, პირდაპირ ბორბლების ქვეშ აღმოჩნდა, ძლიერ დაშავდა.

– ბორბლების ქვეშ როგორ? მე ხომ იგი ხელში მეჭირა.

– არ ვიცი, შეიძლება შეშინებულს დაგივარდათ.

– ოჰ, არა, ჩემო ნაუმი, რა ცუდი პატრონი გყავს, რა სულელი, – აგრძელებდა თვითგვემას.

– თქვენი ბრალი არ არის ბატონო.

– ჩემი ბრალია, მხოლოდ ჩემი. სად არის ახლა?

– ვეტერინართან გვინდოდა გადაყვანა, მაგრამ თქვენი მეზობელი იყო მოსული და გვირჩია, თუკი კვდება სჯობს აქ დატოვოთო, პატრონი აუცილებლად მოითხოვს მის ნახვასო.

– აჰ, მე არ ვიცნობ მეზობლებს, თუმცა მართალი უთქვამს.

– ის გიცნობთ, თქვენზე ყველაფერი გვიამბო.

– ვერაფერს გიამბობდათ. მე მკვდარი ვიყავი, მხოლოდ ექვსი თვის წინ დავიბადე, ახლა კი წამიყვანეთ ჩემს გამცოცხლებელთან.

ექთანმა ეტლით მიიყვანა საავადმყოფოს ყველაზე პატარა პალატაში, სადაც სიკვდილის კლანჭებქვეშ მოქცეული ნაუმი სიცოცხლეს პატარა თათებით ჩაბღაუჭებოდა.

– მოვედი, მეგობარო, ვერ გაგიფრთხილდი, – ცრემლების წვიმამ მზე დაასველა.

მომაკვდავ ნაუმის მეგობრის ხმის გაგონებაზე ძალა მიეცა, თავი წამოსწია ცრემლის მოსაწმენდად, მაგრამ ცრემლამდე ვერ მიაღწია, ახლა იგი თავად გახდა სანუგეშო. ედუარდომ თავი დახარა და მის ხელებში მოიქცია სასიკვდილოდ განწირული მეგობარი.

– მეშინია შენი დაკარგვის, იმიტომ კი არა, რომ მარტო საკუთარ თავზე ვფიქრობ, არ მინდა, სადღაც შორს მელოდებოდე, მე კი მოსვლას ვაგვიანებდე. მეშინია იმის გაფიქრების, რომ მოწყენილი ხარ, მეშინია, რომ არავინ გაგათბობს როცა შეგცივდება და დაძინებისას არავინ ჩაგიკრავს გულში.

ოთახის კუთხეში მდგარი ექთანი წუხილს ვერ მალავდა, გახშირებულმა სუნთქვამ ედუა-

რდოს ყურამდე მიაღწია, – აქ ხართ ექთანო? – ჰკითხა გულამოსკნილმა.

– დიახ, ბატონო, ვიფიქრე რაიმე დაგჭირდებოდათ.

– მითხარით როგორ გამოიყურება იგი, ლამაზია?

– ძალიან ლამაზია, მისი ბეწვი მუქი ნაცრისფერი შეფერილობისაა, ზემოდან პატარა შავი წინწკლები აქვს, კუდი უზომოდ გრძელი და თეთრია, ხოლო რაც შეეხება აღნაგობას გრძელ, შოლტივით ფეხებზე დგას, ნამდვილად არისტოკრატული გარეგნობა აქვს.

– ლამაზად ჟღერს, მაგრამ მისი წარმოდგენა არ შემიძლია. მე მას ვხედავ უიმედობაში იმედად, სევდისას მოსულ მხიარულებად, მაშასადამე, მე ვერ ვხედავ, ვგრძნობ, ეს კი ბევრად უკეთესია.

– გეთანხმებით, უკეთესია...

– მითხარით, ახლა იგი მე შემომცქერის?

– როგორ თუ შემოგცქერით?

– როცა ვსაუბრობ თუ აკვირდება ჩემს სახეს, თუ ეტყობა მის თვალებს მცირეოდენი იმედის ნაპერწკალი, იმედი იმისა, რომ გადავარჩენ.

– როგორ? თქვენ არ იცით? – ექთანს გაკვირვებისგან თვალები შუბლზე აუვიდა.

– რა უნდა ვიცოდე?

– ის უსინათლოა.

– ავარიისას დაბრმავდა? – სიმწრისგან მოღერებული მუშტი გულში ჩაირტყა.

– არა, ის მუდამ უსინათლო იყო.

– ცუდად მეხუმრებით, ნუთუ გული არ გაქვთ?

– რას ამბობთ?! ნუთუ შემიძლია ასეთ დროს გეხუმროთ. თქვენი ძაღლი უსინათლოა, ეს საავადმყოფოში მოსვლისთანავე შევნიშნეთ, თქვენმა მეზობელმაც იგივე გვითხრა.

– არა, არა! როგორ დავიჯერო ეს. მას ხომ ჩემთვის ხელჯოხი მოჰქონდა, ხოლო მწუხრ ღამეებში მდუღარე ცრემლებს მწმენდდა, – მოთქვამდა მწარედ.

– ის თქვენთვის ხედავდა, თქვენ კი მისთვის. როცა გულით გიყვარს, ყოვლისშემძლე ხარ.

– ძლიერ მიყვარს, ძლიერ ვუყვარვარ, – თქვა და ეტლიდან ძირს გადმოვარდა. მუხლებზე დაემხო, ნაუმის სხეულთან მომლოცველივით რაღაცას ბუტბუტებდა, თითქოს იპოვა გზა გადარჩენისთვის.

შეწუხებული ექთანი ადგილზე გაქვავდა, ვერ გაეგო ღირდა თუ არა მისი ფეხზე წამოყენება. მუხლებზე დაჩოქილს სასწაულებრივი ძალის სწამდა, ხოლო ეტლში უიმედოდ გოდებდა და მოთქვამდა. ექთანს ცნობისმოყვარეობამ სძლია, მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა, მდუმარე სივრცე გაარღვია და ედუარდოს ჰკითხა, – ნაუმი საიდან მოიყვანეთ?

– მე არ მომიყვანია, ნათესავს ვთხოვე მოეყვანა.

– არ გითხრათ რომ ბრმა იყო?

– არა, არ უთქვამს და ეს არც მაკვირვებს.

– რატომ?

– არიან ადამიანები, რომლებიც ბოროტებას სიკეთედ, ცბიერებას გულისხმიერებად ასაღებენ. ასეთი ადამიანები მხლოდ იმიტომ არიან ადამიანები, რომ ადამიანის სხეულით მოევლინნენ ამ ქვეყნად.

– მე მაინც ვერ ვხვდები, ასე რატომ მოგექცნენ?

– იმიტომ, რომ თავი უფრო უმწეოდ მეგრძნო, ჩამექნია ხელი... და როგორც ჩიტი გალიაში, გამოვკეტილიყავი საკუთარ სიბნელეში.

– რა საშინელებაა, მითუმეტეს როცა უმიზეზოდ გექცევიან ასე.

– მიზეზი იმდენად ამაზრზენია, შეიძლება შეშფოთდეთ, ანდაც ბევრი იცინოთ, რადგან სასაცილოა როცა ჩემნაირი ადამიანისთვის რამის წართმევა გინდა და ამას ათასგვარი ხერხით ცდილობ.

– სამწუხაროა, სამწუხაროა, – იმეორებდა ექთანი.

– თუმცა ერთს გეტყვით, მე მაინც მადლობელი ვარ.

– მადლობელი? რისთვის?

– მადლობელი ვარ ნაუმისთვის. მერე რა რომ უსინათლოა? მერე რა რომ უსინათლო ვარ? ჩვენ

ერთმანეთის გვესმის, მხედველობა კი უბრალო ფუფუნებაა.

აშრიალდა ქარი, არწევდა ტოტებს ახალშობილი ბავშვის აკვანივით. სადღაც შორს ბუდიდან ახლად აფრენილი ბარტყი ამ ტოტებში გაიხლართა, დედას ბევრი უფრენია შვილის საპოვნელად და მაინც გამოუხსნია ვეებერთელა ხის კლანჭებისგან. სიკვდილზე გამარჯვებას სხვანაირი ჟრიამული ახლავს, სხვანაირად ძგერს გული, სხვანაირად გიხარია სიცოცხლე. მხოლოდ ამ ოთახში იყო: უდაბური ტყე, გაყინული მზე და კლდეზე უმწეოდ შემორჩენილი ხავსი.

იწურებოდა დრო სიცოცხლისა. სიცივეს ტლანქი ხელები შემოუხვევია პატარა სხეულისთვის. ისე გაუყინავს, ისე შეუმუსრავს კუდიც კი ვერ მოუქნევია წინააღმდეგობის გასაწევად. ერთადერთი, რაც ღონემიხდილს ძალას აძლევდა, ეს ედუარდოს ცრემლი იყო, ღაწვზე დამჭკნარი ვარდის ფურცელივით რომ ჩამოჰკიდებოდა და გაჰკიოდა, ვიტანჯებიო. სწორედ ეს ცრემლი უხმობდა და ამ ცრემლს მიჰყვებოდა მუდამ, სწორედ ამ ცრემლმა წამოაყენა სასიკვდილო სარეცელიდან, პატრონის ეულად დარჩენილ მკლავებში გადაეშვა და ღაწვზე მიმდინარე ცრემლი მასთან შეიფარა. გული, რომელსაც არ უნდა დამარცხება მკვდარ საგულეშიც ფეთქავს. ნაუმის რომ ლაპარაკი შესძლებოდა, იტყოდა, – დარჩენა მინდა.

ედუარდო განათდა, რამოდენიმე ხანი მის გარშემო მკრთალი ნათელი ეშვებოდა. საიდან მოდიოდა ეს ნათელი ფანჯრიდან, თუ მისგან ძნელი გასაგები იყო, ალბათ, ასე გამოიყურება იმედი, ანათებს და გიკვირს რომ, ისევ ხედავ.

– ის კარგად იქნება, ის ჩემთან იქნება, – გაიძახოდა გახარებული ედუარდო და ეჭვების გასაქარწყლებლად ექთნის პასუხს ელოდებოდა, მაგრამ ექთანი სდუმდა. სახეწაშლილი და გაყინული მიშტერებოდა სცენას, რომლის ზემოდანაც მოულოდნელად დაეშვა ფარდა.

ედუარდომ მკლავებში მოქცეული ნაუმისკენ თავი დახარა და ყური დაუგდო სუნთქვას. აღარაფერი ისმოდა, აღარაფერს გრძნობდა, მხოლოდ ენის წვერზე გაყინული ცრემლი ითხოვდა შველას.

„ოცდამეერთე“

გაზაფხულობით, როცა ბუნება მკაცრ ზამთარს აღწევს თავს, ერთიანად გრძნობ, რომ ცვლილებები შენც გჭირდება, შენც გინდა გაფერადდე და თუ გარეგნული გამოხატულება ხშირად არ ემთხვევა სულიერს, მაშინ გაზაფხულის მოსვლა ორმაგად მტკივნეულია. ამ გაზაფხულს ქალაქში ნაკლებად პროდუქტიულად ვგრძნობდი თავს, მითუმეტეს, როცა უსაქმურობა ლამის სისხლში გამიჯდა, არც სამსახური მქონდა, არც ახლო მეგობრები იყვნენ ჩემს გვერდით, მოკლედ, ზურგჩანთა მოვიკიდე და სოფლისაკენ გავუდექი გზას. დამქანცველმა მგზავრობამ უფრო გამომაცალა სიცოცხლის ხალისი, მაგრამ ბებიაჩემის დანახვისას ზანტი გულისცემა სასიამოვნოდ ამიჩქარდა. იგი იყო ქალი, რომელსაც შეეძლო გაეცინა მაშინაც კი, როცა პრობლემებში იყო ჩაფლული და დაენახა ნათელი სხივი, სადღაც მიჩქმალული და მიყირჭებული. ვაკეთებ დასკვნას და ვხვდები ჭიანჭველა უნდა იყო თავზე დიდი პურის ნატეხით სახლისაკენ მიმავალი, მერე რა რომ მის წასაღაბად დიდი ძალისხმევა გჭირდება, ის უფრო უარესია მარტო რომ ხარ და პასიურობ, რადგან სამყაროსგან გადმოსროლილი წყალობა არც თუ ისე ლამაზად გეჩვენება, უკეთესს ელი და ფიქრობ ეს ჩემთვის მძიმე იქნება, ვერ გავუმკლავდები, პაწაწინა ვარ ამისთვოსო. მაშინ სოფელში ყოფნისას რაღაცას ვეძებდი, ამოუცნობს და მიძინებულს, ოდესმე თუ რაიმე აღმომიჩენია, ისიც ჩემში იყო და სევდისა და მწუხარების მეტი არაფერი მოუტანია, მე არ ვიყავი ჭიანჭველა და ეს ვიცოდი.

მოსაღამოვდა, მზე მწვანე ხეებში ჩაიკარგა. ტერასაზე ვიჯექი და მეც ვღამდებოდი, ვბნელდებოდი, მუქ ჩრდილებს ვერწყმოდი და ვუჩინარდებოდი. მიყვარდა ჩემი სოფლის ეზო, ჰაერი, ყვავილები, მაგრამ მაინც არ ვიყავი მისი ნაწილი, მაინც ისე ვიყავი, როგორც ქალაქში, თურმე ადგილს მნიშვნელობა არ აქვს. ფიქრს დროებით შევეშვი, ტერასიდან ქვემოთ ჩამოვედი, ჩემი საყვარელი მოხუცის ნახვა თუ გამამხიარულებდა, მაგრამ მოხუცი დასჯილი ბავშვივით იდგა კედელთან და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, აშკარად არ იყო ხასიათზე. – ბებო, რას აკეთებ? – შევძახე ომახიანად, მაგრამ პასუხი არ გამცა. მივუახლოვდი და დავინახე, თუ როგორ ამოიყვანა მკვდარი წიწილები ბუდიდან და განაწყენებულმა მეორე ყუთში გადასვა, ასეთი იმედგაცრუებული პირველად ვნახე. – რა დაემართათ? – ვკითხე ისევ.

– ინკუპატორიდან წამოვიყვანე, ოცდაერთი იყვნენ და უკვე მეორე დღეა მიყოლებით კვდებიან...

ბუდეს დავხედე, ორი წიწილაღა დარჩენილიყო, ერთი სიცოცხლის ბოლო წამებს ითვლიდა, მეორე კი არც თუ ისე სახარბიელოდ გამოიყურებოდა. ბებომ ხელი ჩაიქნია და გამოვიდა ეზოში, მეც გამოვყევი. შენიშნა დავდარდიანდი, ხელი მკლავზე შემომხვია და უხასიათო მზერა წამებში ხალისიანად გარდაქმნა.

დილით ჩიტების ჟღურტულმა შემოაღწია ჩემი ოთახის ბნელ და ხმაურიან სიცარიელეში. გაზაფხულია, რით ვერ დავიმახსოვრე, გავიფიქრე და ზამთრის ყინულიანი საწოლიდან საკუთარი განწყობილება გადმოვაჟღერტე. სარკეში ჩავიხედე, სასურველი ღიმილი და მზერა მოვირგე, ვეღარავის დავამძიმებდი ჩემი სევდით. შესანიშნავი ჯამბაზი ვიყავი ბასრი გულისცემით, ვჭრიდი და მერე ისევ ვკერავდი საკუთარ გულს.

ეზოდან ბებიაჩემის ღიღინის ხმა მოდიოდა. აივნიდან გადავიხედე და დავინახე წელში მოხრილი, შრომისაგან დაბეჩავებული მოხუცი. ცალი ხელით ყვავილს რგავდა ქოთანში, ცალით ოფლს იწმენდდა. მერე უცებ შეჩერდა, მინდორზე დაჯდა და ჩემთვის უცნობი სიმღერა წაიმღერა:

> რას უფრთხი ან რას ეტრფი?
> ვის გაჰყურებ თოლია?
> მე სიცოცხლის წყურვილი,
> ჯერაც არ დამცხრომია.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ეს სიმღერა ჩემთვის შეიქმნა, მე ვიყავი თოლია, ჩემზე მღეროდა ბებია. თავდავიწყებით მსურდა სიცოცხლე ისეთივე ძალით შემეგრძნო, როგორც ჩემს საყვარელ მოხუცს. კისერში არ განცდილი სიცოცხლის მჩქეფარე სურვილი მაწვებოდა, ახალგაზრდა გვამი ვიყავი და მაოცებდა მოხუცის სიცოცხლისუნარიანობა. ბებიამ შეამჩნია ჩემი დაჟინებული მზერა და მასთან მიმიხმო. კიბეს ნელი ნაბიჯებით ჩამოვუყევი, ისევ სიმღერა ჩამესმოდა ყურში და მაფიქრებდა.

ბებომ ხელი ნიკაპზე მოისვა და ნიშნის მოგებით მითხრა – ეტყობა, კარგად გეძინა, ისეთი ხალისიანი ჩანხარ.

სულ ამირია ამ სიმღერამ თავგზა. ჩემი საგულდაგულოდ შერჩეული ღიმილი და მზერა გადამავიწყა. მეც არ დავიბენი და ვეცადე ჩემი შეცდომის გამოსწორება. – ცოტა ბევრი მომივიდა ძილი, ჯერ ვერ გამოვფხიზლდი, – თბილი ხმით მივუგე, თან ღიმილი ავიკარი სახეზე.

როგორც ბავშვობაში, ახლაც ხელგადახვეულები მივდიოდით მწვანე გორაკისაკენ, ოღონდ ახლა მე ვიყავი ბებიაზე მაღალი. მწვანე, მაღალი გორაკი, საიდანაც კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა სოფელი, თუმცა ამ მშვენიერებაზე მეტად მერჩივნა ბებიისთვის მეცქირა.

ბებია გაუჩერებლად საუბრობდა, ახალგაზრდობაზე, ბაბუაზე, ჩემს ბავშვობაზე, თუ როგორ ვიმალებოდი გაბრაზებისას სხვენში და პატარა სარკმლიდან თვალს ვადევნებდი უფროსებს, ამ დროს ისინი მეძებდნენ, ბოლოს კი როცა თავადვე მომწყინდებოდა მარტო ყოფნა, ჩამოვდიოდი და ვამბობდი, აღარ დავიმალები

თუ აღარ გამაბრაზებთ-მეთქი, ისინი უფრო მეტად მტუქსავდნენ, მე კი ამ დროს უცნაურ გამომეტყველებას ვიღებდი და პროტესტის ნიშნად ისევ სხვენს მივაშურებდი. ერთადერთი ვინც ჩემი ადგილსამყოფელი იცოდა, ეს ბებია იყო და არასოდეს დავუბეზღებივარ მათთან, მეტიც, ყველას გზა-კვალს ურევდა, რომ ჩემამდე არ მოეღწიათ. ამდენი წლის შემდეგ, როცა ბოლოს და ბოლოს ვკითხე, რატომ არ უნდოდა ვეპოვნე მათ, პასუხი ასეთი იყო, – დიდი ხანია მენატრებოდა ბავშვობა, დახუჭობანას სათამაშოდ კი უკეთეს დროს ვერ ვნახავდი. გაკვირვებულმა გავხედე, თვითონაც გამომხედა სიცილმორეულმა და გადაიხარხარა, მეც ამიყოლია მისმა სილაღემ, ჩავები საერთო მხიარულებაში.

გორაკიდან რომ დავბრუნდით კარგა ხანი იყო გასული. შიმშილის მძაფრი გრძნობა მომეძალა, აშკარად იმოქმედა სოფლის ჰავამ ჩემს უმადობაზე. ბებომ სამზარეულოდან უამრავი კერძი გამომიტანა, თვითონ კი ისევ გარეთ გავიდა ყვავილების მოსავლელად, ისიც იყო შევუდექი ჭამას, რომ ბებიის ხმა შემომესმა – არა, არ მჯერა, ვერც ვიფიქრებდი. დამაინტერესა, რამ გამოიწვია მისი გაოგნება და მეც სასწრაფოდ გავედი გარეთ. ხელის გულზე პატარა შავი არსება დაესვა და სიხარულით შესცი‌ცინებდა. გული რომ იჯერა მისი მოფერებით, მაშინღა შემამჩნია: – ეს არის ოცდამეერთე, გუშინ ორნი დავტოვე ბუდეზე, დილით ერთი მკვდარი დამხვდა, ეს კი სულს ღაფავდა, ძირს გადმოვსვი და გავეცალე. ეჰ, ვიფიქრე ესეც მის ბედს გაიზიარებდა, რა ძალა ჩაუდგა ამ ონავარს, შეხედე როგორ ფრთხიალებს ახლა.

– თავისით გამოვიდა გარეთ?

– კი. ყველას აჯობა და მაინც დაუსხლტა სიკვდილს.

ჯერ ნაადრევი იყო იმაზე საუბარი აჯობა თუ არა ყველას. ხელის გულზე ფართხალებდა, თითქოს გაფრენა სწადიაო, მიწაზე კი ბარბაცებდა და მთვრალი კაცივით ძირს ეხეთქებოდა. ამ პატარა წიწილას შორიდან ვადევნებდი თვალს და ვხედავდი ერთ მთლიან სიცოცხლეს, რომელიც სამყაროსთვის არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ თავად წიწილა მიისწრაფვოდა მისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა რა იყო სიცოცხლე, ინსტიქტურად მაინც ებღაუჭებოდა. ძირს ეცემოდა და დგებოდა, რადგან იცოდა დაცემაში რაღაც ცუდი იყო. გრძნობა, შეგრძნება თუ ინსტიქტი ამას მნიშვნელობა არ აქვს. მე ვხედავდი ცოცხალ ინდივიდს, რომელიც გაუაზრებლად იბრძოდა რაღაცისთვი და ეს რაღაცა სიცოცხლეა. ერთი შეხედვით, დაუძლურებული და მოწყენილი ჩანდა, თუმცა მინდორში მყოფი ქათმებისკენ მაინც მიუწევდა გული. მოღუშული ბუმბული გაასწორა, გაიმართა და გაბედულად შეერია მათ ჯგუფს. თავიდან მორიდებით ახედა თავისნაირ ბუმბულიან არსებებს, ეტყობა აქამდე არ ენახა მასზე მაღალი და ბუმბულიანი ფრინველები. ის-ის იყო თავი ნაცნობ წრეში იგრძნო, ერთ-ერთმა ქათამმა თავში ნისკარტი უთავაზა. ოცდამეერთემ სხვაგვარი ტკივილი შეიგრძნო, ამ ტკივილმაც იგივენაირად დააჟღერტა მიწაზე. თვალი რომ გაახილა, მის წინ მე ვიყავი, ჩემს ხელის გულზე, ისე ცახცახებდა, მინდოდა მისთვის თავზე მეკოცნა, გამეთბო და ტკივილი ამერიდებინა.

ოთახში შევიყვანე, საწოლზე წამოვწექი და გულზე დავისვი. ერთ ხანს იწვა უძრავად, მერე აკანკალდა, წამოდგა და ჩემსკენ წამოიწია. მოდიოდა, მაღლა და მაღლა, თითქოს ხიდი უნდა გაევლო ჩემს თვალებამდე მოსასვლელი. მოვიდა, შავი წერტილისოდენა თვალებით შემომხედა და ამ მზერაში დავინახე სურვილი... სურვილი ისევ და ისევ სიცოცხლისა. ის ისეთი პატარა ჩანდა, ერთი ცრემლიც რომ დამგორებოდა, იქვე დაახრჩობდა, მაგრამ ასე არ იყო. პატარა, შავი წიწილას მიღმა, უფრო დიდი სიცოცხლის ჟინი და მოთხოვნილება იმალებოდა. ვგრძნობდი, რომ მისთვის ვიქეცი იმედად, რომელმაც იხსნა ბოროტი ქათმებისგან, ახლა კი უნდა მეხსნა სიკვდილისგანაც. სევდა მომეძალა, ამ პატარა არსების წინაშე. როგორ უნდა გამემარჯვებინა

სიკვდილზე, როცა ქვეყნად ვერავისზე და ვერაფერზე გამემარჯვა...

გარეთ გავედი, მჭირდებოდა ისევ და ისევ მარტოობა, ფიქრი წარმავალზე და მარადიულზე. მივაბიჯებდი მწვანე გორაკისაკენ, იქ არ იყო ბებია, მარტო მინდოდა მენახა მზის ჩასვენება უზარმაზარ მთებში. ბავშვობაში მეგონა მზე მიწაში ჩადიოდა, აქედან წასული ადამიანების გასათბობად, რომლებსაც ბნელი მიწა ეფარათ მოყინულ სხეულე. ახლა მგონია, რომ სიკვდილი, ისეთივე ცრუ სიტყვაა, როგორც ბედნიერება. არაფერი ვიცით მათ შესახებ, არც ის ვიცით, როდის დადგება ერთი ან მეორე.

ვუახლოვდებოდი გორაკს და ყურში ჩამესმოდა უცნობი ხმა, ეს ჩიტების ჟღურტულს ჰგავდა, ოღონდ სხვანაირი იყო, უფრო მკვეთრი, მომთხოვნი, ხმამაღალი. უკან მოვიხედე, მთელი ძალითა და ღონით ჩემსკენ მორბენალი ოცდამეერთე დავინახე. ეს წიწილა კი არა, არაამქვეყნიური ფრინველი იყო, რომლის დანახვამაც ისევ გამაოცა. ეს შავი წერტილი ჩემი სულის უზარმაზარ შფოთვას შეერია. ხელში ავიყვანე, დაუძლურებული სხეული მშვიდად მანდო, მეც ვანდე ჩემი ხელისგული მხურვალე და ცრემლით სავსე, რომელსაც ჯერაც არ ჰქონდა შემშრალი ღაწვებიდან ჩამოწმენდილი, გაუგებარი ცრემლი.

ყოველთვის მარტო ვუყურებდი მზის ჩასვლას და არასდროს მითქვამს არავისთვის რას ვფიქრობდი ამ დროს. ოცდამეერთესთან ერთად ხმამაღალი ხმით შემეძლო მეთქვა თუ სად წავიდა მზე, ოცდამეერთე კი თვალებს გაახელდა და მეტყოდა – კვლავ დაბრუნდება ცოცხალთათვის. მე რომ არ მეგრძნო მისი თვალებიდან ეს სიტყვები, რას გავაკეთებდი? ჩვეულებრივად ჩაესვენებოდა იმ დღეს მზე და ყოველთვის ერთი მომენტი იტრიალებდა დაუსრულებლად, ვიდრე მზე ერთხელაც აღარ ჩავიდოდა ჩემთვის, ამავდროულად კი აღარასდროს ამოვიდოდა.

მისტიკურად ვერეოდით სიოს, არავინ გვიმღეროდა სევდიანი ღამის სიმღერებს, მხოლოდ ორიოდე სიტყვით წავიჩურჩულე ოცდამეერთესკენ, როცა მზემ უკანასკნელი სხივი გვესროლა, – შენ თუ გაიმარჯვებ, მეც გავიმარჯვებ რაღაც უხილავზე.

გავაცილეთ მზე ჩვენთვის უცნობ სამყოფელში, ციცინათელების მკრთალი შუქი მზეზე უფრო გვინათებდა გზას. ჩემი ხელის გული ნაზ თრთოლვას გრძნობდა და ღამეში მარტოობა სულ არ მადარდებდა, იქნებ იმიტომ, რომ მარტო აღარ ვიყავი. სახლში დაბრუნებისას ოცდამეერთე ბუდეში უნდა დამებრუნებინა, გადავსვი და ისევ უკან შემაფრინდა მხრებზე. ამ პატარა გულში დიდი სიყვარული გაჩენილა. ერთხელ მეც შემიყვარეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ხელის გული გავუწოდე. ბავშვურად ჩამეღიმა, იქნებ დედა ვეგონე, რომელიც არასდროს უნახავს. მეტისმეტად ეულად იგრძნობდა თავს, მეტისმეტად შეეცდებოდა ჩემთან მოსვლას, მაგრამ უნდა შეჩვეულიყო, მე ხომ სულ მის გვერდით ვერ ვიქნებოდი. ერთხელ კიდევ დავუგდე ყური მის ჟღურტულს, ეგოისტურად მოითხოვდა ჩემთან ამოხტომას, თავზე ხელი გადავუსვი და დავემშვიდობე, – ოცდამეერთევ, შენ ხომ ფრინველი ხარ, რატომ მაეჭვებ...

ღამე წამებში მიილია, გარიჟრაჟი ახარებდა კაცს. გულში ჩნდებოდა ხვალინდელი დღის იმედი, გზაზე მანათობელი შუქურა გვახსენებდა თავის დანიშნულებას, მაგრამ მაშინვე ფერმკრთალდებოდა, როცა ბნელი სრულიად მიილეოდა თვალსა და ხელს შორის. მომიახლოვდა შორეული გრძნობა წარსულსა და აწმყოში ვერ შემოღწეული. ეს გრძნობა იყო არსებობამდე, დაბადებამდე, სადღაც მიკარგული, მივიწყებული, საკუთარი გონებიდან გარეთ გასული, სულს იქეთ გაუხსენებელ მელოდიებში. მთელი ცხოვრება სულში გამოჭედილი სარკმლიდან ვიყურები, იმის იმედად, რომ ეთხელაც მეც მომჭრის მზე თვალს სარკმლის მინასთან. ახლა, როცა არაფერი არ მგონია შემთხვევითი, არც ოცდამეერთესთან გატარებული დღე, არც ციცინათელების შუქში ჩამქრალი ჩემი მარტოობა, სხვანაირი იმედით გამითენდა დილა. ჩემნაირი

ადამიანისთვის სიმშვიდე და თავისუფლება ამ-ბოხებაშია, რაც უბრალო თვალისთვის შეუმჩნე-ველია, უსარგებლოა, არაფრისმომცემია, მასში ვხედავ ყველაზე დიდ იდეას და გზავნილს. შე-საძლოა, არავინ ირჯება ჩემთვის დაშიფრული ამოცანების გამოსაგზავნად და ეს ზეცა უბრა-ლოდ ცისფერია, მზე ყვითელი და ჩემი არსე-ბობა მცდარი მათი ჭეშმარიტი არსებობის შესა-ხებ, მაგრამ ვინ იცის? არავინ. ამიტომ მეც იმ გრძნობით ვცოცხლობ, რაც არსებობიდან მომ-ყვება.

მაშინ, სოფელში ყოფნისას მინდოდა მიმე-გნო, აღმომეჩინა, თუნდაც ერთი მიზეზი, რი-სთვისაც მომინდებოდა ბრძოლა გადარჩენის-თვის. ერთადერთი, ვინც ეს ბრძოლის უნარი გააღვიძა ჩემში, ოცდამეერთე იყო და ამიტომაც მივისწრაფვოდი მისკენ. თვალებანთებული ჩა-მოვქროლდი კიბეებიდან, ბებოს თბილად მი-ვესალმე და ხელზე ვეამბორე, ბებომ მაშინვე დაიწყო სუფრის გაშლა, მე კი ოცდამეერთეს პა-ტარა ყუთისკენ გავემართე, ამ დროს კი მოხუ-ცის ხმა წამომეწია: – აღარ არის საწყალი, ვერ გადაიტანა.

„ვერ გადაიტანა. ვერ გადაიტანა“, ჩამეს-მოდა ყურში. რა ვერ გადაიტანა? ნუთუ ის ღამე, როცა მე არ ვიყავი მის გვერდით. გულში დიდი სიცარიელე ვიგრძენი. ოცდამერთეჯერ მოვ-ტყუვდი, ოცდამეერთეჯერ გამიცრუვდა იმედი. ოცდამეერთემ თავის და-ძმებზე ერთი დღით მეტი იცოცხლა და რა ნახა ამ დროს? ბალახი, დიდი ქათმები, ჩემი ხელის გული და მზრუნვე-ლობა. ნეტავ უნდა ამეყვანა ხელში, როცა შუა-გულ მინდორში ეგუებოდა თავის უსუსურობას? იქნებ, მე გავუღვივე სიცოცხლის წყურვილი და რა ტყუილად... ზოგჯერ, არსად გინდა წასვლა, როცა გვერდით ვიღაც გეგულება, სწორედ ესაა მთავარი ძალა, რომელიც ადამიანსაც და ფრინ-ველსაც მარტოობით გამოწვეულ სიცარიელეს უყუჩებს.

ყუთს მივუახლოვდი, არაფერი კრთოდა, არ-აფერი ფრთხიალებდა. არ დამიხედავს, უკან გამოვბრუნდი. ღამე ციცინათელების შუქში იქ იყო ოცდამეერთე და არა ამ ყუთში უძრავად, გაშეშებული.

მახსოვს, გორაკზე, როცა მზე ჩვენს სახეებს უკანასკნელად მოეალერსა, მე მას ვუთხარი – შენ თუ გაიმარჯვებ, მეც გავიმარჯვებ, რაღაც უხილავზე-მეთქი. ჩვენ გავიმარჯვეთ, რადგან იმ ღამით ვიხილეთ ისეთი რამ, რასაც ცალ-ცალკე ვერასოდეს ვიხილავდით.

ნინო ჭელიძე

ომის ჩანახატები

* * *

თამარაშენში უპოვიათ.

მაცხოვრის ეკლესიასთან.

ცალ მუხლზე მდგარა. თავდახრილი. ნატყვიარი ზურგით.

ეკლესიის კედელს მიყრდნობილი.

დედას უპოვია.

ჯერ ფეხი... ფეხსაცმლიანი, სხეულის გარეშე.

შემდეგ კვალი შეუნიშნავს ყაყაჩოსფერი.

გული გაჰყოლია ნაკვალევს.

ეკლესიისთვის შემოუვლია, სათითაოდ გადაუთვლია ქვის ლოდები...

სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრები ამოუკითხავს...

ის კი, ისევ იქ იდგა თითქოს.

თვალი დაუხუჭავს დედის გულს... საკუთარი ნერვები დაუგლეჯია. ცალმუხლმოდრეკილის მიღმა მიუმართავს მზერა...

გულს ვერ გრძნობდა... თავისას არა.

შიშმა მიიყვანა.

დაკოჟრილი ხელები შემოახვია მის ზურგს და მოაბრუნა..

. . . . . .

ყაყაჩოსფრად იწვეთებოდა ცარიელი შუასაყარი.

. . . . . .

ქვის ლოდად ქცეულა დედის სხეული.

გული კი ახლაც დაიარება ლიახვის პირას...

შვილის ამოგლეჯილ გულს დაეძებს...

მაცხოვრის ეკლესიასთან მლოცველ შვილის გულს...

თამარაშენში უპოვიათ. მაცხოვრის ეკლესიასთან.

დედას უპოვია.

* * *

შინდისის ბიჭებს...

მარიამობისთვე იდგა ფერფლისფერ სამყაროში. დაკორტნილ ლილიფარებს შორის მოაბიჯებდა... ძლივს მოათრევდა სისხლის წვეთებით გადაწითლებულჩექმიან ფეხებს... უმოწყალოდ ტეხდა თავჩაქინდრულ მზესუმზირებს. ა-ღრიალ-ებული ლიახვი უშედეგოდ ცდილობდა მზის თავების კვნესა-გოდების ჩახშობას... სისხლის შინდისფერ კოლტებს დაეხშოთ შინდისის და-ნაპრალ-ებ-ული მიწა...

. . . . . .

ჩვიდმეტი გული. სიკვდილმისჯილი. ზარ-ჩამოკრული სამშობლო ჩემი.

. . . . . .

ნანგრევებს შორის მოსჩანდა. ფეხი. მარჯვენა. ერთი. ხელი მარცხენა, ხელი მარჯვენა. ადამიანის თვალი. ცალი. იმზირებოდა სამყაროს მიღმა. გაფართოებულ გუგებში ჩარჩენილი დარდით. ერთმანეთის ძახილით კვნესოდნენ ქართული სახელები. პასუხი იყო მკვდარი და ცოცხალი. ცოცხალ პასუხში ამოხეთქილი დარდი უმალ ესმოდა არეულ გონებას.

გულს წვდებოდა, დედამიწის გახეთქილ გულს. რუსის ჩექმის ნატერფალ სხეულს, ულმობლად ეპარებოდა ალისფერი ცეცხლი... ცას წვდებოდა ა-ღრიალ-ებ-ული ლიახვის ხმა. . . .

. . . . . .

ჩვიდმეტი გული. სიკვდილმისჯილი. ზარ-ჩამოკრული სამშობლო ჩემი.

. . . . . .

ზოგი იდგა, ზოგი იჯდა, ზოგი იწვა. იდგა-თითქოს კლდეს მიყრდნობილი, უფსკრულში ჩაჩეხილი გულით.

იჯდა – თითქოს კლდეს მიყრდნობილი, საუკუნეებში ჩაზრდილი გენით.

იწვა – თითქოს კლდის ძირში, საკუთარ ტკივილს ჩაჭიდებული.

სადღაც დედები ელოდნენ თურმე, შუასაყრიდან ამოგლეჯილი გულებით ხელში.

რძე გაშრობია სადინარებში. მეტყველი თვალების უტყვი მზერით მისჩერებოდა საკუთარ პირმშოს. დიდხანს ელოდა. დუმდა სამყარო.

გამთენიისას ამოვარდნილმა ქარმა ოდნავ შეაღო კარი ღრჭიალით...

. . . . . .

ჩვიდმეტი გული. სიკვდილმისჯილი. ზარ-ჩამოკრული სამშობლო ჩემი.

* * *

აღარც ძაღლები ყეფდნენ სოფელში,
აღარც ჩიტები ჟღურტულებდნენ.
მზით გადახრუკულ,
ცეცხლით გადამწვარ ველ-მინდვრებს
სისხლის ნაკადულები შერეოდა და...
ყაყაჩოსფრად ირეკლებოდა ფერფლისფერ ჰორიზონტზე.

. . . . . .

ფრთხილად ჩქარობდა,
ცდილობდა დაფლეთილი ფეხისგულები,
ეკლიანი ბაყაყურებისთვის აერიდებინა.
ახალგაზრდა ქალი,
გამთენიისას რომ შევერცხლოდა თმა,
ისე ძლიერ იკრავდა საკუთარ ჩვილს,
თითქოს მისი, საკუთარ სხეულში დაბრუნება სურდა.
სამყარო დუმდა და სამყარო კიოდა.
დედა-მიწას გული სტკიოდა,
სადღაც, შუასაყარში ჩაჩეხილი.
სდუმდნენ სევდიანი მინდორ-ველები,
განსაკუთრებით რომ გრძნობდნენ ადამიანურ ტკივილს,
ერთგულად უნახავდნენ დედებს საკუთარ შვილებს,
ზოგს ის ხელი დაუტოვებია მისთვის დედას ჭაღარა თმას რომ გადაუწევდა...
ზოგს ფეხი,
ზოგს საკუთარი მზერა,
ზოგს კი ხელისგულები გადაუშლია და ზედ...
მზის წნულში გახვეული საკუთარი გული დაუბრძანებია.
ახალგაზრდა ქალი კი გზას განაგრძობდა.
სასტიკ სიჩუმეს მხოლოდ ჩვილის ტირილი არღვევდა ზოგჯერ.
. . . . . .
ნაფეხურები რომ დაინახა,
ორი ცოცხალი მოუკვდა თურმე,
მზერა და გული.
ნაფეხურების გვერდით,
ხელისგულისოდენა ნაფეხურები რომ დაინახა
ჩუმმა ტკივილმა ცემა დაუწყო...
ისე გამალებით ურტყამდა ტკივილი...
შევერცხლილი თმა დაუბერდა.
. . . . . .
ორნი იყვნენ,
არა, სამნი. ჩვენთვის,
ისინი მესამეს არ სთვლიდნენ.
მესამეს ხელისგულისოდენა ნაფეხურები ჰქონდა.
ერთმა, ფართოხელისგულებიანმა...
მესამეს რომ შეხედა, კლდეს ნატეხები ჩამოუგორდა.
სროლა რომ დაუპირა,
ჩვილმა იტირა,
ქალმა იკივლა...
ტყვიის ზუზუნმა სამყარო შესძრა.
. . . . . .
„მესამე“ იქვე, მინდვრის პირას დაესვა ქალს,
საკინძე გაეხსნა და ისე მისჯდომოდა თავად.

ცრემლით ნამავდა გაქვავებულ მიწას,
დასისხლიანებული ხელებით ხან მიწას სთხრიდა,
ხან სამყაროს დარდად ქცეულ ჩვილს ეფერებოდა უკანასკნელად...
ჩიტებს შეავედრა,
გაზაფხულზე მისი ამბავი მოეტანათ მისთვის.
. . . . . .
ფრთხილად ჩქარობდა,
ცდილობდა დაფლეთილი ფეხისგულები,
ეკლიანი ბაყაყურებისთვის აერიდებინა.
ახალგაზრდა ქალი,
თმა რომ დაჰბერებოდა,
ისე ძლიერ იკრავდა „მესამეს“, საკუთარი ყოფილიყოს თითქოს.
. . . . . .
სოფლის ეკლესიაში, ღვთისმშობლის დამტვერილ ხატზე, გზა გაუკვალავს ღვთისმშობლის ცრემლებს.

ომის გოგონა

ოდესღაც თვალებციმციმა.
წამწამებზე დაკიდებული ცრემლებით.
ალბად სამიოდე წლის.
ცალფეხსაცმლიანი, შეუკრავი თასმებით...
სახლადყოფილის ჩამოგლეჯილ კარს მიჰყუდებოდა...
. . . . . .
მძიმედ სუნთქავდა შავი ფერფლით სავსე სამყარო...
ომის გოგონა დედას ეძებდა.
შიშველი ტერფით გადადგა პირველი ნაბიჯი,
შემდეგ მეორე, მუხლგაგლეჯილი ფეხი მიაშველა...
მესამე.
მეოთხე.
ხანდახან, შემდეგ ხშირად...
მკვნესავ მამა-პაპასა და ძია-კაცებს ეჯახებოდა... ეცემოდა.
აცახცახებული, სისხლიანი ხელები ეხმარებოდნენ წამოდგომაში.
დედა კი არ სჩანდა.
პატარა დაიკოს მოსაყვანად წასულიყო სათამაშოების მაღაზიაში, როგორც წინა დღეებში ჰპირდებოდა ძილის წინ...
ცრუობდა პატარა გული.
დედა! – ცრუობდნენ შერცხვენილი თვალები...
დიდი ომის პატარა გოგონა...
ბორძიკ-ბორძიკით მიიწევდა წინ... რატომღაც უცებ გადიდებულ ტანკებს შორის... სათამაშოების მაღაზიიდან... რომ ახსოვდა.

ძლივს მიათრევდა გული უმძიმესს ტკივილს...
მარადისობაგამოვლილი ომის გოგონა...
დედას ეძებდა...
დასერილი, სისხლმდინარი ტერფებით ტოვებდა კვალს...

„ცხოვრება კაცურად“

ვარცლი შემოედგა ნორა-დედას,
თავზე თავშალი წაუკრავს, სევდისფერი ღერი რომ არ ჩამოვარდნოდა შემთხვევით.
„ფართუკი“-ის კიდეები ერთმანეთში გადახლართულ თასმებთან ჩაუმაგრებია.
თახჩიდან „ხაში“ გამოიღო და იქვე ვარცლის გვერდით დადგა.
პურის ცხობას აპირებდა სოფლის გამრჯე ქალი.
ხელები აიკაპიწა და თავისი დაკოჟრილი ხელებით შეუდგა ცომის ზელას.
დიდი ხანია მაჯები სტკიოდა...
თავს არ უტყდებოდა, შვილების შეწუხების ერიდებოდა.
ოთხი გული ძგერდა მის შუასაყარში,
სამ დას ერთი ძმის გული გაეყოთ ერთმანეთისთვის.
. . . . . .
სოფლის შესასვლელში მდგარა ის სარდაფი,
გომარეთ-სოფლის ბიჭებს მოეყარათ თავი,
შორს იყვნენ საკუთარი სახლისგან,
მაგრამ საკუთარ მიწას იცავდნენ ნერვებ-დაწყვეტილს.

სარდაფის ირგვლივ მიწით სავსე ტომრები შემოელაგებინათ მეომრებს, ახალი შეტევისთვის ემზადებოდნენ... ბრძანების მოლოდინში, სარდაფის სხვადასხვა კუთხეში მიწოლილიყვნენ ბიჭები ძალების მოსაკრებად. კართან ახლოს ჯონი იჯდა, ნუგო ჩაჩანიძე და დათო ირემაძეც იქვე, მასთან ახლოს დამსხდარიყვნენ, თაზო მუჯირიშვილი და ჰამლეტ ბერიძე კარის მოპირდაპირედ, ერთმანეთის პირისპირ დაეკავებინათ ადგილი.

გომარეთ-სოფლის სისხლით ფეთქავდა მათი გულები!

ჭურვის დაცემის გულის გამგმირავმა ხმამ შესძრა დედამიწა, ნამსხვრევებით აივსო სარდაფი, უზარმაზარმა ძალამ წონასწორობა დააკარგვინა დაღლილ სხეულებს...

სისხლის გუბეებით აივსო იქაურობა.

საკუთარ ბიჭებს გადახედა ნუგო ჩაჩანიძემ, მიწისფერი დასდებოდათ სახეზე. მაგრამ სისხლისფრად იწვეთებოდა ჯონის სხეული... სისხლძარღვები გაეგლიჯა მისთვის ნამსხვრევებს.

შეგრძნება დაეკარგა საკუთარი სხეულის,
ფეხი სტკიოდა, გულის მხარეს რომ არის, ის ფეხი.
მტვრად ქცეულა მისი მზერა.
უჭირდა საკუთარი სხეულის დანახვა.
ბიჭებს ჰკითხა: „ბიჭებო, ფეხს ვერ ვგრძნობ, ფეხი აღარ მაქვს?“
. . . . . .
უპასუხოდ მიაქანებდნენ ბიჭები ჯონის,
ოჩამჩირეში უჭირდა გომარელ ბიჭს,

თავს დასტრიალებდა დათო,
საკუთარ მზეს უყოფდა,
საკუთარ მზერას,
საკუთარ სისხლსაც მისცემდა და არც გომარეთის ერთი მტკაველი მიწა დაენანებოდა მისთვის.
. . . . . .
არ კვნესოდა-ო, ჯონიზე უთქვამთ.
მათ რა იცოდნენ საუკუნეებით გამოწვრთნილი გენი რომ დაიარებოდა ჯონის სხეულში.
იმ დღეს დედა-მიწა ნაპრალებად ქცეულა,
საკუთარი გული მოჰკვდომია და იქვე,
დახეთქილ ნაპრალებში ჩავარდნილა.
გომარეთ-სოფელში ვარდობისთვე იდგა. რიცხვი 11.
მზეს სხივები ჩამოსტეხია,
ხრამის ხეობაში ჩავარდნილა ერთი მოკიაფე ვარსკვლავი.
. . . . . .
ისე ღრიალებდა ქცია,
ცა დედამიწას შეურთდა.
წითლად შეფერილ ჰორიზონტს მიღმა იმალებოდნენ
ჩიტის ბარტყები,
ხიზანიშვილების სახლს უახლოვდებოდნენ ადამიანები საკუთარი გულებით ხელში.
. . . . . .
ღამის წყვიადში მოასვენეს ბიჭი, მხოლოდ 20-ჯერ რომ ნახა ის დღე,
„დაბადების დღე“ რომ ერქვა ადამიანებისთვის. სინამდვილეში ეს 20 წელი „ადამიანობის შეხსენების“ წელი იყო სამყაროსთვის...
იქვე სახლის კართან დაასვენეს.
ბევრნი იყვნენ.
სოფლელები, თანა-სოფლელები.
ცხედართან ჩამუხლულიყვნენ თაზო და ჰამლეტი.
ზოგს ხელში ეჭირა გულის ტკივილი, ზოგს თვალებში ჩაჰბუდებოდა, ზოგს მაჯებში...
დილამდე იდგნენ.
მეორე დილამდეც იდგებოდნენ, ან მესამე, ან მეოთხე. არავის შეეძლო. ბოლოს გოდერძის გაუბედია, ბერუაშვილს. გარეთ გამოსვლა უთხოვია მამისთვის.
. . . . . .
ცის კაბადონს სწვდებოდა ნორა-დედას ხმა.
საკუთარ გულს დაეძებდა მამა ვლადიმერი...
ბოსტანში, ხრამში, ჭოჭიანში.
იქნებ ქციაზე გაპარულა, იქაც მიუკითხია გულისთვის.
მთელი ზამთარი უხმოდ ყმუოდნენ მგლები გომარეთის სასაფლაოზე.
. . . . . .
უბრალო ჩითის კაბით დაფრიალებდა მზის გოგო მინდორ-ველებზე,
ხან ღიღილოების გვირგვინს დაიდგამდა, ხან გვირილებისას...
იქნებ მზის ნაწილს დაეძებდა საკუთარს, დაკარგულ მეორე ნახევარს.
მზის კვალი რჩებოდა ღიღილო-ყაყაჩოებით გადაპენტილ პურის ყანებში...

„ნანა, მე მალე ჩამოვალ ჩემს ადგილ-მამულში,
ცხოვრებას დავიწყებ კაცურად“
ვარდობისთვე იდგა გომარეთ-სოფელში, რიცხვი 11.

* * *

ენკენისთვე იდგა ფერფლისფერ სამყაროში.
შეშინებული დედამიწა მდუმარედ დაჰყურებდა საკუთარ ჭრილობებს
იმდენი სისხლი დაეკარგა, ნახეთქები გასჩენოდა სხეულზე.
. . . . . .
სოფელი იაშტუხა.
ენკენისთვის გადახრუკული მინდორ-ველი,
ერთმანეთში არეული სული და ხორცი,
დაჭრილ მეგობარს,
შვიდჭრილობიანს,
შვიდი ნატყვიარიდან რომ იცლებოდა სისხლით...
ზურგზეაკიდებულს მოარბენინებდნენ ბიჭები...
ჩვენი ბიჭები, გომარული ფესვებით.
წინ თაზო მოდიოდა ცალმუხლმოდრეკილი,
საკუთარი გულმკერდით ეფარებოდნენ გია და დათო,
სამშვიდობოს რომ გაიყვანეს...
თითქოს ერთი ჭრილობა შეუხორცდა შეშინებულ დედამიწას...
ავისმომასწავებელმა მდუმარებამ დაისადგურა,
ადამიანის სხეულის ნაწილებით სავსე მიწიერ სამყაროში.
. . . . . .
შუაგულ მინდორში იდგა,
სკოლა სადაც ოდესღაც ბავშვები სწავლობდნენ...
ის ბავშვები, რომელთა დედები საკინძეგადახსნილი,
ტერფებდაგლეჯილი დაიარებოდნენ საკუთარი ქმარ-შვილის მოსაძებნად.
გამთენიისას განახლდა სროლა,
ადამიანების არაადამიანური ხმები ახშობდა იარაღის ხმას...
პოზიცია შეიცვალეს ბიჭებმა,
ახალი შეტევისთვის მოსამზადებლად იხელთეს დრო...
. . . . . .
უეცარი ჩურჩული ატყდა მეომრებს შორის,
17 წლის ბიჭები მოიკითხეს ერთმანეთში,
მათთან ერთად რომ იბრძოდნენ უშიშრად.
ელვასავით დაურა საშინელმა აზრმა დაღლილ სხეულებს.
სკოლის ფანჯრებში გაელვებულმა სილუეტებმა,
ჭეშმარიტებად აქცია შეშლილ გონებაში დაბადებული აზრი...
ალყა შემოერტყათ სკოლისთვის...

მხოლოდ ერთ მხარეს...
იქ, სადაც სკოლის ფანჯრების დამსხვრეულ მინებზე,
უშიშრად დაიკლაკნებოდა მზის საკუთარი, ერთი ჩამოტეხილი სხივი...
თითქოს განგებ დაეტოვებინათ შესასვლელი.
სისხლი აუჩქროლდა გომარელ ვაჟკაცს,
საკუთარი ძმის გული შეიგრძნო მტკივნეულად.
პირველი წავიდა სკოლისკენ...
უშიშრად მიყვებოდნენ გია და დათო.
უკანმოუხედავად მიდიოდა,
წინ, ალყაშემორყმულ სკოლაში...
ხუთი თანამებრძოლი ემშვიდობებოდა ქვეცნობიერად საკუთარ ოჯახს.
მძიმე წუთები ედგა სამშობლოს.
საკუთარი შვილების წინ მოედრიკა მუხლი...
მაშინ როდესაც ხუთივე „სამშვიდობოს“ გამოიყვანა,
სკოლის კართან შეჩერდა წამიერად,
ანაზდად გამოაღო კარი, თითქოს საკუთარი ბავშვობა დაუდგა თვალწინ.
მხრებგაშლილი, ფეხზე მტკიცედ მდგომი იდგა კარის ზღურბლზე...
უეცრად იგრძნო მწვავე ტკივილი,
მზის წნულს ტყვიამ ნერვები რომ დაუწყვიტა მაშინ,
შიში არ უგრძვნია,
მხოლოდ უკიდეგანო მონატრება ძმების და მშობლების.
. . . . . .
ისე უყვარდა საკუთარი სამშობლო,
ჭრილობიდან გადმოწვეთებული სისხლიც კი მას დაუტოვა.
იაშტუხადან მოყოლებული წვეთობით იცლებოდა მისი სხეული...
ყველგან ტოვებდა საკუთარ სისხლს და საკუთარ გენს.
. . . . . .
სასწრაფო დახმარების მანქანა დახვდათ აღმართზე,
ქალაქიდან მომავალ ძმებს...
იქვე გზის პირას ჩამომსხდარიყვნენ დიდგულა ბიჭები...
თვალებში ჩამშრალი ცრემლით...
მანქანის კარი რომ გამოაღო ლერიმ,
მაშინ მიხვდა გულიც რომ კვდება თურმე.
დედასთან, სახლში რომ ავიდა...
ისე ღრიალებდა პატარა, ქვიან კალაპოტში მოქცეული ქცია
ისე ეხეთქებოდა ქვიან ნაპირებს...
როგორც ადამიანის სულში ჩაბუდებული ტკივილი...
. . . . . .
ხუთი... ახლა უკვე მეტი ვიდრე ხუთი,
ხშირად დგას მის საფლავთან,
მათ შორის...
ერთი პატარა კაცი, სახელად თაზო..

მამის სიცოცხლისთვის მადლობას რომ უხდის საკუთარ სეხნიას.

. . . . . .

ენკენისთვე იდგა, რიცხვი 21. წელი 1993.

საკუთარ გულს გლოვობდა დედამიწა.

#ჩემიქვეცნობიერიდან

* * *

მზენატრული... ვიცი რომ სუნთქავდა. მაგრამ არ ვიცი რა ფერის იყოს მისი სუნთქვა... ალიონშე-რეული ნარინჯისფერი თუ გაფით-რებული ტუჩებისფერი.

სუნთქვაშეკრული სუნთქავდა და გაძვალტყავებული ხელე-ბით ცდილობდა მზეს მოსჭიდებოდა. მაგრამ არ შეეძლო, მზე შორს იყო თითქოს... სინამდვილეში ხელები უკანკალებდა. მზეს ვერ იჭე-რდა...

მზე კი დადიოდა ხელიდან ხელში, სულიდან სულში, სხეუ-ლიდან სხეულში, მაგრამ მას შორ-დებოდა... მზის მოყვარულ მზენატრულს... სუნთქვას რომ ცდილობდა ხან ნარინჯისფრად, ხან კი უფეროდ.

თვალდახუჭული, მზერადქცეული გრძნობით კვდებოდა მზენატრული. წამწამებით ელამურე-ბოდნენ თავდახრილი ლილიფარები, ათრთოლებულ პირ-სახეს!

უცებ, ძლიერად შეირყა დედამიწად წოდებული გული... და!

ჩიტად ქცეული სული ჭიკჭიკით გაფრინდა მზისკენ, მზენატ-რულის ამბის მოსაყოლად... წიოკით ბრუნავდა დედამიწა და-ღონებული მზის ირგვლივ...

. . . . . .

რცხვენოდა მზეს... გვერდზე გაწეული სიცოცხლის გამო. საკუ-თარი ჩრდილივით მუდამ თან სდევდა ლილიფარების მოყვარუ-ლი მზენატრული...

* * *

ჩემს მერცხლის ბუდეში გეპატიჟები... ჩემი მერცხლების ნაშენ ბუდეში...

. . . . . .

თითო-თითოს... ზოგს გამთენიისას, ზოგს შებინდებისას, ზოგს მო-დღე-ვებისას მოჰქონდათ ადამიანური ამბები.

. . . . . .

ზოგს ბუმბულად ქცეული სევდა, ზოგს პურის ნამცეცების ძებნაში გა-ავებული შიმშილი... ზოგი ქვად ქცეულ დარდს ვერ ერეოდა და ბუდეში მოფრენამდე უვარდებოდა ძირს...

ტეხდა ტოტებს:

გაზაფხულის ხისას... ზაფხულის ხისას... შემოდგომის ხისას... ზამთრის ხისას... ეცემოდა ძირს... ხის ძირში ელოდებოდნენ ადამიანები. საკინძეგახსნილი დედები, წელში მოხრილი მამები. დაღლილი შვილები დედის ძებნაში გაზრდილი გულებით. სადღაც იქვე ისმოდა წყლის ჩუხჩუხი... ურცხვად რომ ერწყმოდა ადამიანური ცრემლის არა-ადამიანური ხმა...

. . . . . .

ჩემს მერცხლის ბუდეში გეპატიჟები, ჩემს გულში. შუასაყრიდან ამოვარდნას რომ ლამობს მუდამ ჩიტად ქცეული სული რომ ჭიკჭიკებს... ადამიანური გასაჭირის მოჭიკჭიკე სული...

* * *

ღიღილოების ველს რომ გასცდები..

. . . . . .

იქვე, ტყის პირას შეგხვდება...
დედის დარდი, მოკრძალებული.
ხავსიან ქვებს ამოფარებული.
ჩუმი. ძლიერი. მარტოსული.
უხმო ნაბიჯებით გამოგყვება უკან...
შენს გულისძგერას მიყვება ფეხდაფეხ.
დრო-და-დრო წინ შემოგხვდება...
ოღრო-ჩოღრო გზას გადაფენილი ან ხრამის პირას... ციცაბო ბილიკზე.

. . . . . .

შებინდებისას ჩაიმუხლებს... დაკოჟრილ ხელებს გადაგატარებს...
ძილ-ღვიძილის ზღვარზე მყოფს...
დაჟინებით აცქერდება მილულულ ნაკვთებს...
ჯერ შეუცნობელი სამყაროს დარდს ეძებს დედის დარდი შვილის სახეზე.
გამთენიისას ჩასძინებია წამწამების თვლაში გართულს.
ხის საწოლთან...

. . . . . .

ღიღილოების ველს გასცდენია დედის დარდი...

* * *

პატარა იყო. დიდი სამყაროს წინაშე. დიდი გული და დიდი კაცის მხრები ჰქონდა. გულს უკან დამალული დიდი ტკივილი. დიდრონი თვალებიდან რომ იმზირებოდა დიდ სამყაროში.

. . . . . .

ცისარტყელა უყვარდა. დედის კალთაში თავს ჩადებდა და დაუსრულებლად გაჰყურებდა ჰორიზონტს... სხეულით დედის გულის ფეთქვას გრძნობდა... მარადიული რომ ეგონა. დედის თბილ ტუჩებს... კისერში რომ ჰკოცნიდა გამუდმებით. დედის დაკოჟრილ ხელებს... მხოლოდ ჰორიზონტს გაჰყურებდა, თვალს არიდებდა მის ფერფლისფერ სახეს...

. . . . . .

თანდათან შორდებოდა მარადიულობის შეგრძნება, თითქოს აღარც ცისარტყელა უყვარდა ისე ძალიან...

ახლაც იქ დგას. მზედქცეული ცისარტყელას წინაშე.

გუშინაც იქ იდგა. არც ხვალ აპირებს წასვლას. ჩვენ, მხოლოდ ზურგს ვხედავთ. სამყაროსხელა გამხდარიყო მისი გული.

* * *

ფერი შესცვლია ტკივილებს, შემოდგომის ოქროსფერი დასდებია დარდისგან გაფერმკრთალებულ ნერვებს...

წინ მიმავალს, მზის ჩამოტეხილი სხივი დასთამაშებდა ზურგზე,

ალაგ-ალაგ ნაცრისფერი სამოსის ნაკეცებში რომ იკარგებოდა.

მისი, მარადიულად ქცეული ნაწნავიც უჩვეულოდ უძრავად გარინდულიყო სივრცეში...

თითქოს დედამიწის ზურგზე მოთამაშე მზის ჩამოტეხილ სხივისთვის დაეთმო ადგილი...

ის კი, წინ მიდიოდა. ამაყად, თავმომწონედ.

ან უკან დასაბრუნებელი გზა წაელეკა უეცრად მოვარდნილ ღვარცოფს.

გზა რომ წაულეკავს და მისთვის გვერდი აუვლია, თითქოს მზის ჩამოტეხილ სხივს უფრთხილდებოდა.

ის კი, წინ მიდიოდა. ჰორიზონტს უახლოვდებოდა უკვე.

. . . . . .

საკუთარ გულს დაეძებდნენ ადამიანები.

დაკარგულ გულს.

. . . . . .

ფერი შესცვლია ტკივილებს,

შემოდგომის ოქროსფერი დასდებია დარდისგან გაფერმკრთალებულ ნერვებს.

მზისფერს ყვავილებს ეპარებოდა მზის ჩამოტეხილი სხივი...

* * *

როცა დავბერდი, თავი მაშინ ვიგრძენი ახალგაზრდად... ასაკს ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ დაბადებიდან განვლილი წლები ჩქეფდა ჩემს ძარღვებში.

თავს გაზაფხულის დედამიწის ტოლად ვთვლიდი... მთელი სიცოცხლე რომ წინ აქვს.

. . . . . .

ჯერ არარსებული ფიქრი ცდილობდა ჩემს ქვეცნობიერში ჩაეღწია...

თუმცა ალაგ-ალაგ შემორჩენილი შიშის ნაფლეთები ხელს უშლიდა და ისე იმზირებოდა ტვინის ნერვულ წნულებს შორის თითქოს დედიშობილა დაიარებოდა ჯერ არშობილი... მიწისფერ დედამიწაზე.

. . . . . .

სხვადასხვა მზერით უმზერდნენ სხვადასხვა ფერის თვალები...

მწვანე, ცისფერი, ლურჯი, აუმღვრეველი ტეხურასფერი, სევდისფერი, დაღლილი სულისფერი...

. . . . . .

მე კი, ულმობელ გზას გავყურებდი,

ჩემს ირგვლივ, ჩემს მიღმა, ჩემს გვერდით რომ იკლაკნებოდა მთის ბილიკებად... ალაგ-ალაგ კლდიდან ჩამოგორებული ნატეხები დაღლილ კოჭებს სტკენდა და სვლას უშლიდა დაბადებიდან წამოსულ გზაზე...

მაინც მიდიოდა. დაბადებიდან გარდაცვალებამდე. გზად ცხოვრობდა... გზად დაბადებიდან გარდაცვალებამდე.

ჩამოგორებული კლდის ნატეხები კი ძალიან სტკენდნენ კოჭებს...

...ყვითელ ყვავილებს შორის იპარებოდნენ მზის ურჩი, კაშკაშა სხივები.

* * *

თვალხატულა ერქვა. მაშინ როდესაც დედამ-მისმა შვილის შობისას... მისი არსებობა დედამიწისთვალება მზეს შეავედრა და მაშინაც... როდესაც საუკუნის ზღვარს გადავლებული ცისთვალა მზეს ეკედლებოდა ქვეცნობიერად.

. . . . . .

თვალხატულა მზეს არ ჰგავდა, უფრო დედამიწას. მზესავით მწველი მხოლოდ ტკივილი ჰქონდა. მისი დაღლილი ხელისგულები დედამიწას გაგონებდათ, ბორცვებივით გასჩენოდა კოჟრები ყოველი თითის ბოლოს. ხელისგულებზე გავლებულ ხაზებში... რომ იწვეთებოდა სისხლისფრად. ფეხის ტერფებში, თითებსშორისი ბაყაყურას ყვავილებით ამოვსებულიყო,

საკუთარ ნაჩხვლეტს რომ მალავდნენ უტიფრად ფეხის გულებში. თვალხატულა ფრთხილად გადადიოდა ქვიდან ქვაზე... ნატეხიდან ნატეხზე. სოფლის შარაზე ალაგ-ალაგ კაკლის ნამტვრევი მიმოებნიათ ონავარ ბავშვებს...

მაგრამ თვალხატულა, დაჩხვლეტილი ფეხისგულებით ვერც ამჩნევდა...

ისე მიემართებოდა წინ... უსასრულობისკენ, მარადიულობისკენ... მარადიული უსასრულობისკენ. ცისა და მიწის გზაგასაყარზე ხვდებოდა სევდა, განსაკუთრებით რომ წუხდა მისი დასერილი ფეხისგულების გამო.

. . . . . .

თვალხატულას მზე ორნაირია... დედამიწის და ცისთვალება. დედამიწას ერთი საკუთარი მზე ჰყავს, ცასაც. მხოლოდ თვალხატულას ჰყავდა ორივე.

. . . . . .

თვალხატულა ერქვა. მაშინ როდესაც დედამ-მისმა შვილის შობისას... მისი არსებობა დედამიწისთვალება მზეს შეავედრა და მაშინაც...

როდესაც საუკუნის ზღვარს გადავლებული ცისთვალა მზეს ეკედლებოდა ქვეცნობიერად.

მარიამ მსხალაძე

ეჯვიანი წვეთი

ვდგავარ და წვიმის უზომო წვეთებს
ვითვლი უაზროდ ნოტების გამად,
და მერე ვწუხვარ ეჭვიან წვეთზე,
ნუთუ ყოველი ეს ღირდა ამად?

სამყაროს სევდა დაერქვა წვიმას,
თითების ცახცახს სიცივე მხოლოდ,
ამ ბოლოს მარტო ერთს მივხვდი იმას,
რომ მხოლოდ სევდა დაგვრჩება ბოლოს.

და მერე წლებში ჩატეულ სევდას
დავუდარაჯებთ ორივე ჩუმად,
შენს შენს სარკმელთან მე კიდე ჩემთან,
სადაც წვეთები შემკრთალი დუმან.

ქარიშხლებს ჩუმი ხმაური სდევდა,
მე და შენ წვიმა გვეხვია ამ დროს,
და უცებ გულში ჩაჩხვლეტა მკერდთან,
მე იჭვნეულად უეცრად მაკრთობს.

ეს ყველაფერი სიგიჟე იყო,
იყო ხმაური და გულის ძგერა,
მე მხოლოდ ღვთისგან სიმშვიდეს ვითხოვ,
წვიმა შეჩერდეს და დათბეს ბგერა.

ამდენ სიცივეს ვერ უძლებს გული,
ხმაურით პულსი გაანგრევს ვენებს,
მდუღარე სისხლი ისხმება ირგვლივ,
აქ დავინახავთ მოკლულს და მკვლელებს.

და ახლა მხოლოდ მე ვდარდობ შენზე,
აქ მიმოფანტულ წვიმების შხეფზე,
და შენ კი ამ დროს საუბრობ ლექსზე,
რომელიც გიჟმა დაწერა წვეთზე...

ბედისწერა...

შორი გზიდან ჩამოთოვლილ სევდას ახლავს შენი მზერა,
ეს ტკივილი იმ ტკივილთან ფერმკრთალდება ღია ფერად,
ქრება ფიქრი, ქრება დარდი, და იწყება ის სიმღერა,
როცა ქვეყნად ორი ვიყავთ, მიყვარდი და მსურდა მღერა.
მერე მტკივა, მერე ვმღერი, ხან ვიცინი, ხანაც ფერად
სიზმრებს ვხედავ, მიხარია, ვსევდიანობ ნაცრისფერად.
და ეს გლოვა, ეს წუხილი ქრება, როგორც ლექსის წერა,
ყველაფერი ცხოვრებაში იყო, არის ბედისწერა.
რომ გიყვარდი, რომ მიყვარხარ,
გცივა, მაშინ როცა ცხელა, ხან სევდაა და ტკივილი,
ფუჭი სიტყვის ნაზი ბგერა, მელოდია,
ეს ჰანგები დღის დასასრულს ქრება ყველა,
ცხოვრებაში ყველაფერი იყო, არის ბედისწერა.

„სიჩუმე“

არაფერი მძულს, გარდა სიჩუმის,
წყვდიადმა შობა სამყარო მკრთალი,
აღარც მანქანა არ დადის ირგვლივ,
აღარც ცოცხალის არ მოჩანს კვალი.

ბუნებას მწვანე ეცვლება ფერი,
გაზაფხულს მოაქვს თავისი სითბო,
მაგრამ სიცივე ზამთრისა მღერის,
თავს არ გვანებებს ჩვენშია თითქოს.

ცრემლები მოსავს მოხუცის თვალებს,
შიშია მასში სარკმლიდან მოჩანს.
სიცოცხლის დარდი მას რომ აწვალებს,
მის სულში ჩუმად ჩურჩულით ბორგავს.

შინ ყოფნა ყველამ არჩია ბოლოს,
რადგან სამყაროს აკვრია სევდა.

ყველა მათგანი თავისით ბრძოლობს,
ბევრ მათგანს სევდა მანამდეც სდევდა.

სიცოცხლის ნება დაკეტავს კარებს,
მინებზე ორთქლი ქრება და შრება,
მაგრამ ყოველ წუთს მომზირალ თვალებს,
ვიღაც ქუჩიდან შესცქერის ნებად.

წუთიერ დუმილს სამყარო აკრთობს,
ბრძოლაში ბევრჯერ იმარჯვა რწმენამ.
ჩვენს გულებს იგი უზომოდ ათბობს,
ყველა შეიგრძნობს ამას მეც, შენაც.

გლობუსი ბრუნავს, ჩერდება ყველა,
დედამიწაზე მოძრავი ძალა,
ზეცაში მხოლოდ სულები ბრუნავს,
მათაც ფიქრისგან ეხდებათ ქალა.

სამყარო ნათელ ბგერებს ჩაახშობს,
არაფერი მძულს სიჩუმის გარდა.
ველარ ვცნობ ირგვლივ ზღვის ხმას და ხეებს,
ქვეყნად ყველა დუმს, მე რაც მიყვარდა.

ისევ

ისიც მამშვიდებს, რომ სუნთქავ სადღაც,
რომ შენი გული მალიმალ გიცემს,
ოცნებებს ჩუმად ეხდება ფარდა,
ალბათ, იქნებ, ან ისევ და ისევ...
ამაო სიტყვებს არ უჩანს ბოლო,
ფიქრები ხანჯლად მესობა სულში
და ერთადერთი სურვილი მხოლოდ
ადგილი მქონდეს შენს წყეულ გულში...

ნინო
დარგაისელი

გალაკტიონოლოგიური ოპუსები

1. ბიოგრაფია ანუ მანძილი პოეტად დაბადებიდან – პოეტად ქცევამდე

ამ ბოლო დროს რაღაცნაირად ამეკვიატა ფიქრი ვ. ხოდასევიჩის წიგნზე „ნეკროპოლისი“.

ამ მემუარულ წიგნში რუს სიმბოლისტთა შესახებ მას ნათქვამი აქვს: „ზოგმა მათგანმა ირჩია სიმბოლისტი ყოფილიყო პოეზიაში, ზოგმა პირიქით, გადაწყვიტა, ეცხოვრა სიმბოლისტად და საბოლოოდ თითოეულ მათგანს სწორედ იმ გზაზე მოუხდა დამარცხება ბედისწერასთან, რომელსაც თავად დაადგა“.

ნაღვლიანი სიტყვებია!

მე კი ფიქრს განვაგრძობ: რა დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს პოეტი-ავტორის ბიოგრაფიასა და მის შემოქმედებას შორის?

მომიწევს აქ გარკვეულ თეორიულ გამარტივებაზე წასვლა!

თუ მაგალითად სიმბოლიზმის ისტორიას ავიღებთ, გამოჩნდება, რომ თითოეული პოეტის ბიოგრაფია აქ მართლაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ოღონდ ეს ბიოგრაფია სახე-სიმბოლოებად ტრანსფორმირებული, გარდაქმნილია ნაწარმოებში.

პოეზიას, მეტადრე ლირიკას ხომ ისედაც ახასიათებს საკუთარი ცხოვრებისეული თუ მენტალურ-სულიერი გამოცდილების მასალად გამოყენება.

ეს იმდენად ნიშნეული მხარეა პოეზიისა, რომ მკითხველს არცთუ იშვიათად უჭირს, ერთმანეთისგან განასხვაოს ლექსში ავტორისა და აქტორის, ტრადიციული ტერმინოლოგიით, ლირიკული გმირის ინსტანციები.

ქართულ ენაში დაბნეულობის საფუძვლად შეიძლება კიდევ ერთი რამ – გრამატიკული სქესის უქონლობაც ექცეს შემოქმედს.

მაგალითად, როცა გალაკტიონი წერს „მას გახელილი დარჩა თვალებიო“, უცხო ენაზე სქესს მაინც გავიგებდით გარდაცვლილისა, ქართულად კი ინტერპრეტირების ამოცანა გვიორმაგდება. თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა, საკითხს დავუბრუნდეთ!

სიმბოლისტები საკუთარ ცხოვრებას შემოქმედების ნაწილად, მის სფეროდ მიიჩნევდნენ, „ამითებდნენ“ მას და ამ მხრივ, რომანტიკოსთა მემკვიდრეები იყვნენ.

ხომ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ გალაკტიონის სწავლის დროს თბილისის სასულიერო სემინარიაში „მოდაში იყო“ თვითმკვლელობა საწამლავით, მაგალითად კარბოლიუმის მჟავით. ამ საბედისწერო მოდას გალაკტიონი სასწაულებრივად გადაურჩა, თუმცა სცადა კი, აი, მისი კერპი და მეგობარი, დემონი (ქუჩუ ქავთარაძე) ამ შემთხვევიდან ხუთი თვის შემდეგ დაიღუპა.

მისი გადარჩენა ვეღარ შესძლეს!

გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ გალაკტიონს უახლოესი სულიერი მეგობარი-პოეტი აღარც ჰყოლია, თუმცა რეალურად, ერთგული მეგობრები არ აკლდა. ორ და მრავალგულა მტრების რიცხვს მათი რაოდენობა ცხადია, ვერ გაუტოლდებოდა. მაგრამ ასე არ არის ზოგადად ცხოცრებაში?

ყველა ჩვენგანს მტერი – გაცილებით მეტი გვყავს. მეგობარი – თან იმგვარი, მთელი ცხოვრება ასეთად რომ დაგრჩება, ფედია ჩუდეცკივით, სულ რამდენიმე გვეძლევა.

მინდოდა ცივი გონებით მემსჯელა პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ურთიერთმიმართებაზე და მაინც ვერ დავეხსენი ამ სევდიან მოსაგონარს!

ახლიდან ვცდი:

ავტორის ბიოგრაფია მის შემოქმედებასთან ძირითადად სამგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს:

1. ავტორი ახდენს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების ზედაპირულ პოეტურ ტრანსფორმაციას, პოეტიზაციას, ანუ მის „წაკითხვას“ სიტყვიერი ხელოვნების იმ ენაზე, რომელიც პრევალირებს მის დროს (ამ მიმესისურ, ანუ მიბაძვით მიდგომაში ცხადია, არ გამოირიცხება გამონაგონის ან გამოცდილების სუბიექტური ინტერპრეტირების როლიც).

2. ავტორი ფანტაზიის წყალობით ქმნის ახალ მხატვრულ რეალობას, როგორც სინთეზს, სადაც მონაწილეობს მისი ბიოგრაფიული რეალიებიც. თუმცა ამას წარმმართველი როლი არ ეკისრება, ასე ვთქვათ „კადრს მიღმიდან მუშაობს“. წარმმართველი კი პოეტური ფანტაზიაა.

3. ავტორი პრინციპულად გარიდებულია საკუთარი ბიოგრაფიის რაიმე ფორმით დაფიქსირების მცდელობას. „იუცხოებს“ პოეტურ გამონაგონსაც. დისტანცირდება თითქოს არც კი მონაწილეობს საკუთარ პოეტურ ტექსტში (ეს ძალზე უახლოვდება იმას, რასაც ობიექტურ ლირიკას უწოდებენ, თუმცა არ ემთხვევა მას).

შესაძლებელია, ერთი და იგივე ავტორი სხვადასხვა ქმნილებაში სხვადასხვაგვარად ავლენდეს საკუთარი ბიოგრაფიისადმი დამოკიდებულებას. შესაძლოა, სამივე გზას იყენებდეს მონაცვლეობით, შესაძლოა, მხოლოდ ერთს – მუდმივად.

რაც შეეხება საკუთრივ გალაკტიონს, ჩემი ჩამონათვალიდან მეორეში მოვუძებნიდი ადგილს. ზოგადად უნდა ითქვას, რომ მის შემოქმედებასა და რეალურ ცხოვრებას დიდი წყალგამყოფი აცალკევებს. არც მისი შემოქმედება იძლევა ბიოგრაფიის თუნდაც ზოგად ხაზებში რეპროდუცირების გასაქანს და არც ჩვენთვის ცნობილი მისი ბიოგრაფია თვისი რეალიებით, გვეხმარება დიდად შემოქმედებით საიდუმლოებათა ამოხსნაში (ამ მხრივ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს სულ, წარმატებულ კვლევას რომ დაედო საფუძვლად). ამ გაგებით, მას მართლა შეეძლო ეთქვა „სინამდვილეს არ ვემდური, არ ყოფილა თითქმის, არყოფილზე სამდურავი არასოდეს ითქმისო“... და თან საუბარი გვაქვს ქართული ლირიკის ერთ მწვერვალთაგანზე!

„თითქმის“ სიტყვა, რომელიც საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ტაეპის ბოლოში, სარითმო წყვილის ცალად შერჩეულ სიტყვადაც მოეჩვენება (თითქმის/ითქმის), შესაძლოა მივიჩნიოთ თავისებურ

მენზურის სულ ქვემოთა დანაყოფად, გალაკტიონის, როგორც ავტორის დამოკიდებულებისა საკუთარი ყოფითი ბიოგრაფიისადმი.

მესამე ტიპისთვის უმეტესად დამახასიათებელია არა პირველ ან მეორე, არამედ მესამე პირის ფორმების გამოყენება. ანუ თავისებურად ფიქციური დისტანცირება ავტორისა აქტორისაგან. რაკი გალაკტიონის სივრცეში ვტრიალებთ, მისგანვე მოვიხმოთ ერთი იშვიათ მაგალითთაგანი:

ის მიდიოდა ქუჩაში ერთი,
მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი;
მისთვის იმ წამში არ იყო ღმერთი,
მისთვის არ იყო ქრისტე და ჯვარი.
იგრძნო, რომ მაინც საოცრად ცხელა,
გადიძრო ქუდი. მხურვალე შუბლი.
წვიმის წვეთები მარცვლების ხელა,
სიამოვნება ამ გრილი ღრუბლით.
თითქმის არ გრძნობდა სახლებს და კედლებს,
ძილით დაბურულს არ გრძნობდა მხარეს.
ეტლები ცვლიდნენ მიმავალ ეტლებს,
როგორც სიზმარში მხარე ცვლის მხარეს.
როგორ, საიდან... არ იცის თვითონ.
ის უცნობ ხიდზე დგას. სხვაა ხიდი.
მძიმეა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ,
ის ეხლა გახდა წყნარი და მშვიდი.

ჩვენს პოეზიაში ამ სამი სახესხვაობიდან დღეს ძირითადად პირველია აქტუალიზებული, განსაკუთრებით უახლეს ახალგაზრდულ პოეზიაში.

მეორე და მესამე შედარებით ძნელი მისაღწევია... თუმცა რამდენიმე კარგი მაგალითი მართლაც მეგულება.

იმედია, ამ ეტიუდის წამკითხავებიც შემომაშველებენ იმ ავტორთა სახელებსა და ნაწარმოებებს, სადაც ბოლო ორი სახესხვაობის მაგალითებია.

რაკი დასაწყისი მინორული გამომივიდა, დასასრულს შევეცდები, რამდენადმე მაჟორული ჟღერადობა შევურიო.

ბესიკ ხარანაული ერთ ლექსში მიმართავს დედას:

„ეს შენ დამბადე მე პოეტად
და რა ძნელია,
იმად იქცე,
რისთვისაც გაჩნდი,
რისთვისაც ხარ ამ ქვეყანაზე“.

და მართლაც, იმისათვის რომ იყო პოეტი, აუცილებელია, ჯერ დაიბადო პოეტად, მაგრამ ესეც არ კმარა, საჭიროა, პოეტად დაბადებული გაიზარდო კიდეც პოეტად. ანუ იქცე იმად, რადაც დაიბადე.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ბოლომდე გაძლო პოეტად!

გალაკტიონმა გაძლო!

გაძლო თითქმის სამოცდაათი წელი – 1959 წლის ავბედით, 17 მარტამდე.

2. შეიძლება, ლექსი დაძველდეს?

ამ ორიოდე დღის წინ ერთმა ახალგაზრდა პოეტმა მთხოვა, ინტერვიუსთვის მეპასუხა კითხვაზე: „შეიძლება ლექსი დაძველდეს? ან ლექსის ფორმა იყოს მოძველებული ან მელოდია?“

ვფიქრობ და ჯერ ვერ მივაგენი გზას, როგორ ავხსნა ძალიან მოკლედ და ნათლად, რომ ლექსი, ვიწრო გაგებით, პოეზიის – სიტყვიერი ხელოვნების ფორმობრივი მხარეა და არათუ მხოლოდ იგი, თვით პოეზიის მთელი ენაც განუწყვეტლივ ცოცხლობს, ახლდება და ძველდება კიდეც.

ასე რომ არ იყოს, პირველპოეტთა შემდგომ, ათასწლეულების მანძილზე ადამიანებს აღარ დასჭირდებოდათ რაიმე ახლის შექმნა ამ სფეროში.

იცვლება ეპოქები, ესთეტიკა, ადამიანური პრობლემატიკა, მიდგომებიც მარადიული თემებისადმი და ყოველივე ეს „აძველებს“ იმას, რაც უწინ სიახლის ჰაერით სუნთქავდა. უეჭველია, ეს „დაძველება“ არაერთ რჩეულ ლექსს ისევე რგებს, როგორც რჩეულ ღვინოს. ჩვეულებრივ ეს ის ლექსებია, რომელიც მარადიულ თემებს, პრობლემებს ეძღვნება და მათი ავტორი მარადისობას თავისი ეპოქის სამზერიდან უსწორებს თვალს.

ახლა კონკრეტული მაგალითი ავიღოთ!

ქართულ პოეზიაში რუსთველური შაირი სრულყოფილების ერთ-ერთი მწვერვალია. დღეს რომ ამ შაირით დაიწეროს ლექსი, უკეთეს შემთხვევაში პაროდია გამოვა.

გასული საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებში, როცა გალაკტიონის პირველი და მეორე სალექსო რეფორმაც დიდი ხნის განხორციელებული იყო და მაშინდელი ქართული ლექსის რიტმსა და მელოდიკას მონოტონიის აშკარა ნიშნები დაეტყო, ინტონაციური პლანის გამომსახველობამ იწყო გაძლიერება-გამრავალფეროვნება.

ამაზეც თავიდან გვიანდელმა გალაკტიონმა დაიწყო ზრუნვა და შემდგომ მიმდევრებმა განაგრძეს.

ქართული ვერლიბრი, რომელსაც მანამდე უკვე დაახლოებით სამოცწლიანი ისტორია ჰქონდა, მაშინ დიდ, მაგრამ მწვავე სიახლედ აღიქმებოდა.

დღეს ვერლიბრს უკვე საუკუნოვანი ტრადიცია აქვს, მაგრამ ფორმა, რომლითაც იმ დროს (სამოც-სამოცდაათიან წლებში) მკვიდრდებოდა იგი, გაცვდა, მხატვრულად ვეღარ მუშაობს, იგრძნობა საჭიროება მისი ერთფეროვნების დაძლევისა, ახალგაზრდა პოეტთა ერთი, გამორჩეული ნაწილის მზერა ერთი მხრით ხალხური პოეზიის შელოცვების, მაგიური ტექსტების, ნატირლების, ძველი ეპოსის და ა.შ რიტმებში ეძიებს გამოსავალს, მეორე მხრით ინტენსიურად ითვისებს უცხოურ გამოცდილებას. მეორე ნაწილი „ახალ ვერლიბრისტთა“ ეპიგონობის გზას ადგას. მეოცე საუკუნის დასაწყისის პოეტთა გამოცდილება ამ მხრივ – არააქტუალიზებულია, ჯერ ვერ მუშაობს.

არსებობს ასეთი მოვლენაც: რაღაც პერიოდის მანძილზე გაცვეთილი ფორმა კარგა ხნით „ისვენებს“, თვალთახედვას მიეფარება, ამ დროს კი პოეტურ ენაში განვითარება თავისი გზით მიდის და აი, ერთ დღესაც ეს „ნასვენი“ ფორმა რომელიმე ნიჭიერი პოეტის ხელში მოდერნიზაციას განიცდის და ახალი ელვარებით წარმოგვიდგება.

მოკლე პასუხი მაინც არ გამომივიდა, მაგრამ რა გაეწყობა!

რჩევა კი ახალგაზრდა პოეტებისადმი ასეთი მაქვს: იკითხეთ გალაკტიონი!

გპირდებით, შიგ ისეთ რაღაცეებს აღმოაჩენთ სათქვენოდ, ჯერაც რომ არავის შეუნიშნავს.

3. გალაკტიონი და ეროტიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთა პოსტში, გალაკტიონის სასიყვარულო ლირიკის ერთი, მცირე ნაწილისათვის ძირითადად დამახასიათებელია ეროტიკული შეფერილობა, რომლის შემდეგაც ლექსის მდინარებაში ქალი იდუმალების საბურველით იმოსება.

და მაინც, შეუქმნია თუ არა გალაკტიონს ოდესმე საკუთრივ ეროტიკული ლექსი?

გალაკტიონის ლირიკაში სიყვარულის გამოსახვის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ასეთი აზრი:

„გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკისათვის უცხოა სიყვარულის გრძნობად-ხორციელი განცდა. ათიანი წლების მიჯნაზე დაწერილი რამდენიმე ლექსი („არ მშორდება სევდა მწარე“, „შუაღამეა“, „მარტონი ვართ“) ერთგვარი ხარკია იმ დროს პოპულარული ფსევდოსენტიმენტალური ლირიკისადმი, ხოლო „მაისის ღამე“ – ერთადერთი გამონაკრთომი აღმოსავლური მგრძნობელობით შეფერილი ეროტიზმისა“ (თეიმურაზ დოიაშვილი, „გზა არტისტული ყვავილებისკენ“. გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად, ტ. I, თბ., 2007, გვ. 353).

გადავშალოთ გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის პირველი ტომი, სადაც შესულია მისი ადრეული ლირიკა და გავიხსენოთ ლექსი, რომელსაც მკვლევარი აქ ასახელებს:

გალაკტიონ ტაბიძე

მაისის ღამე

მაისის ღამეს, გაბრწყინვებულ მაისის ღამეს
ლამაზ ლეილას ფანჯარასთან მე მივეპარე.
მე ფეხაკრეფით გავიარე ბაღის ბილიკი
და მეშინოდა, რომ ღამის ლანდს მპარავდა მთვარე...
მე შევიხედე ფანჯარაში. ლეილა ამ დროს
ფიქრს მისცემოდა უდარდელად წამოწოლილი,
სჩანდა, რომ რაღაც ოცნებებით შორს გატაცებულს
გულმკერდს ურხევდა და ჟინს გვრიდა სიამე ფრთხილი.
აი, წამოდგა... ტყის გედივით ყელმოღერილმა
ვარსკვლავთ გახედა დაფიქრებით და გაიღიმა,
იგი შვენოდა – ნაზი, როგორც პირველი ვარდი
და მკვირცხლი, როგორც უდარდელი მაისის წვიმა.
წიგნი მიაგდო, ბროლის თითით თმა გაიშალა,
შემდეგ გაიძრო ტანსაცმელი – ასძრა საბანი,
და მე სპეტაკი, ვით მაისის თეთრი ყვავილი,
წინ წარმომიდგა ახალგაზრდა ქალწულის ტანი!
მაისის ღამეს, გაბრწყინვებულ მაისის ღამეს,
როცა ვარდები იშლებოდა, ყვაოდა ველი,
ბევრჯერ ლეილას ფანჯარასთან მიდარაჯნია,
ბევრჯერ მდენია ტრფობის ცრემლი შეუწყვეტელი.

/1914 წლის ივნისამდე/

ვნახოთ მისი „გეტერა“, ლექსის საკვანძო იდეა ექსპლიცირებულია ფინალში, მოკვდავთა ენაზე ასე გამოითქმის. ხელოვნება საფუძველში შეიძლება ქალის მიწიერი, ეროტიკული მშვენიერებაც ედოს, მაგრამ დიდ ოსტატს აქვს მიწიერი სილამაზის ღვთაებრივ მშვენიერებად გარდაქმნის უნარი, ხელოვნებაში ეროტიზმი იგრძნობა, მოქმედებს და ზემოქმედებს, მაგრამ ცნობიერად არ გვეძლევა.

ხოლო ლექსად ასე ჟღერს:

ან რომელს ვხედავთ ამ ერთ სახეში
ან რაა ჩვენი ლოცვის საგანი,
წმიდა ტაძარში თვით აფროდიტა
თუ სათაყვანო გეტერას ტანი?

გავიხსენოთ მთლიანად ლექსი:

გალაკტიონ ტაბიძე

გეტერა

ღამის ლეგენდა დაჰქრის, დასცურავს,
ჩანგის სიმების მოისმის ჟღერა,
თავდავიწყების სავსე მორევში
დღეს ლხინს ეძლევა ქსანტე, გეტერა.
ტკბილ ნეტარების მდუმარებაში
აჰა, სიმღერის გაისმის ქარი,
ხან ნაზი, როგორც თოლიას კვნესა,
ხან მწველი, როგორც სატანის ქნარი.
ველური ცეკვა, თასთა წკრიალი,
მოწყენილ კაცთა ხარხარი მწარე,
მელოდიური, გაძაფული ხმა
და სინანულის ჰანგი მგზნებარე.
ყველა ამ ხმებში დაგუბებულა,
შეერთებულა და ადის ცამდე
ჰანგი, შექმნილი ღვთის დასაგმობად
და დაშვებული სინანულამდე.
გაშუაღამდა. თასები ღვინით
დაიცალა და ისევ ივსება,
მოწყენილია რაღაც გეტერა,
სხვა ყველა დათვრა, ის კი არ თვრება.
საცაა ხომლი ჩაჰქრება ცაზე,
მთვარის ნათელი დნება და ჰკვდება.
ფანჯრის ფარდიდან დილის რიჟრაჟი
აღმოსავლეთით ოდნავ იღვრება.
და განთიადის თეთრი ღრუბელი
აცურდა ისე, ვით იალქანი,
და თრთის მხიარულ დღის მოლოდინში

გაშიშვლებული გეტერას ტანი.
უეცრად ვიღაც სტუმართაგანმა
ფანჯარას ფარდა გადააცალა
და განთიადის ელვარე სხივი
მსწრაფლ გადმოიჭრა, ვით ცეცხლის ძალა.
გააცხოველა და გაანათა
გაშიშვლებული გეტერას ტანი,
გარინდდა ამ დროს მთელი დარბაზი,
არ ზის არც ერთი სტუმართაგანი.
მათ წინ გეტერა იდგა, რომ სული
სხეულისათვის მიეცა გრძნობით,
მწუხარე – თავის უმიზნო ბედით,
ამაყი – თავის მიმზიდველობით.
ოქროსფერ თმებით შემობურულ შუბლს
ღვთაებრივობის აჩნდა ნიშანი,
მზის სხივზე თითქოს ოქროსი იყო
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
იმგვარად თეთრი, ვით მარმარილო,
თრთოდა, ტოკავდა ძლიერი მკერდი,
როცა იქავე მდგომმა მხატვარმა
ურცხვ ქალს შესძახა: „ქსანტე, შეჩერდი!
ქსანტე, მაგგვარად განაბე სული,
ოჰ, არ დაიძრა, გთხოვ, გევედრები,
გავავუკვდავებ მე მაგ შენს სხეულს,
საუკუნეთა წაგიღებს ფრთები.
ქარიშხლიანი შენი წარსული
აღსდგება, რომ კვლავ გაიღოს ხმები,
იცხოვრებ ქვეყნად მაშინაც, როცა
სხეულით ქვეყნად აღარ იქნები!“
სთქვა მოქანდაკემ... მაშინვე მიწა
გადაურია, დასწნა, დაგრიხა,
და წუთის უმალ უკვდავ ქანდაკად
გადააქცია უბრალო თიხა,
და აფროდიტას სახედ ტაძარში
დასდგა, რომ მისთვის ეცათ თაყვანი,
და დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს კიდევ
გაშიშვლებული გეტერას ტანი.
გამოგვიქროლებს ძველი ფიქრები,
ოდნავ შეარხევს ოცნების აკვანს.
არვინ იკითხავს, თუ რას ჩავდივართ,
არვინ იკითხავს, თუ ვის ვცემთ თაყვანს,

ან რომელს ვხედავთ ამ ერთ სახეში
ან რაა ჩვენი ლოცვის საგანი,
წმიდა ტაძარში თვით აფროდიტა
თუ სათაყვანო გეტერას ტანი?

4. მოხუცი მამა სასხლავით ხელში

არსებობს ამ ლექსის საუკეთესო ანალიზი, რომლის ავტორიც თეიმურაზ დოიაშვილია.

ამ უპირველესი გალაკტიონოლოგის ყველა გამოკვლევას ერთი საერთო რამ ახასიათებს. არა მარტო ახლიდან, ახალი თვალით გაკითხებს თითქოს აქამდე კარგად ნაცნობ ტექსტს, ახალ სიღრმეებსა თუ პლასტებს აღმოგაჩენინებს, არამედ მუდმივი დიალოგის რეჟიმში გტოვებს, როგორც მკითხველს. გაიძულებს, კვლავ და კვლავ მიუბრუნდე ტექსტსაც და მკვლევრის ნააზრევსაც მასზე.

მცირე დაკვირვება, რომელსაც აქ გთავაზობთ, უთუოდ ამ გარემოებით არის ინსპირირებული.

ჩემი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გალაკტიონის შესწავლას მიეძღვნა.

მისი ლექსებისა თუ ცალკეული სახეების განსხვავებული, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციების გაცნობის დროს არ მტოვებდა რაღაც, დაახლოებით ასეთი ფიქრი:

– რატომ ან ასე ან ისე?

ერთი პოზიცია რატომ გამორიცხავს მეორეს, მესამეს და ასე შემდეგ.

– იქნებ ერთდროულად ასეც, ისეც და კიდევ სხვანაირად?

უნდა გასულიყო დრო და მივსულიყავი დასკვნამდე, რომ ეს სწორედ გალაკტიონის ჩანაფიქრი იყო, ერთ ლექსში, ერთ სახეში, ერთ სიტყვაში მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი პლასტი შეეთავსებინა, მოეხდინა ერთ სახედ ინტეგრირება.

ასე ჯდება იგი სიმბოლისტური ესთეტიკის კონტექსტში, და არ მგონია, მთლად ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ სწორედ ეს განსაზღვრავს მისი, როგორც პოეტი-სიმბოლისტის ინდივიდუალურ სახეს.

უნდა ვაღიარო, რომ მე თავის დროზე ხელიდან გავუშვი უნიკალური შანსი, ერთ ლექსის „უცნაური სასახლის“ შესახებ კვლევაში გამოკვეთილად მეჩვენებინა ეს გარემოება. დღემდე მახსოვს ჩემი საყვარელი მეგობრისა და კოლეგის კოკა ბრეგაძის სავსებით სამართლიანი, საჯარო შენიშვნა, მოხსენების კითხვისას, იქ შეწყვიტე კვლევა, საიდანაც განვითარებას მოველოდიო.

მივუბრუნდეთ ლექსს „ცვრიან ბალახზე“.

ვინ იგულისხმება აქ მოხუც მამაში, ვინც „სასხლავით ხელში დადის ვენახში“?

1. აკაკი, რომელსაც გალაკტიონი აღმერთებდა,

2. ილია, რომელსაც საქართველოში მევენახეობის განვითარებაზე ბევრი აქვს ნაზრუნი და წერილებიც – გამოქვეყნებული, ამავე დროს მისი ალუზიებითაც მდიდარია გალაკტიონის ეს ლექსი, თუ,

3. გ. ტაბიძის კონკრეტული მამა (პროფესიით პედაგოგი, რომელიც პოეტის დაბადებამდე, ახალგაზრდა გარდაიცვალა),

4. თუ ყველა ეს და კიდევ ვიღაც?

ხომ არა გვაქვს აქ „კონკრეტულ“ პოეტურ ხატში შენივთული რაღაც, უფართოესი გაგება მამისა?

ყმაწვილ გალაკტიონს საულიერო აღზრდა-განათლება ჰქონდა მიღებული ჯერ ქუთაისში, შემდგომ თბილისში.

არ ვიცი, დღეს რამდენად სრულყოფილადაა შესწავლილი ქრისტიანული ლიტერატურის პლასტები მის პოეზიაში, იქნებ რის თქმასაც ახლა ვაპირებ და სიახლედ მეჩვენება, ჩემს არყოფნაში გალაკტიონოლოგიამ მოიწყინა კიდეც, მაგრამ მე ვიტყვი და თუ ვინმე ქართულ წყაროს მიმითითებს, მადლიერებითა და სიხარული მივიღებ.

იოანეს სახარებაში (15:1-9)... თუმცა რატომ გადმოვცე ჩემი უბირი სიტყვებით, ბარემ სახარებიდანვე დავიმოწმებ:

1. მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა.

2. ჩემს ყველა ლერწს, რომელსაც არ გამოაქვს ნაყოფი, მოჭრის, და ყველას, რომელსაც გამოაქვს ნაყოფი, გაწმენდს, რათა მეტი მოისხას.

3. ხოლო თქუენ აწვე წმიდა ხართ სიტყჳთა მით, რომელსა გეტყოდე თქუენ.

4. დარჩით ჩემში და მე დავრჩები თქვენში. როგორც ლერწი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩა ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში.

5. მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ლერწები ხართ, ვინც ჩემში რჩება, ხოლო მე მასში, დიდძალი ნაყოფი გამოაქვს; ვინაიდან უჩემოდ არაფრის ქმნა არ შეგიძლიათ.

6. ვინც არ დარჩება ჩემში, ლერწამივით გადაიგდება და გახმება; შემდეგ კი აგროვებენ, ცეცხლში ყრიან და იწვის.

7. თუ დარჩებით ჩემში და ჩემი სიტყვები დარჩება თქვენში, ყველაფერი, რასაც ისურვებთ, ითხოვეთ და გექნებათ.

8. ამით იდიდება მამაჩემი, თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს და იქნებით ჩემი მოწაფენი.

9. როგორც შემიყვარა მე მამამ, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ; დარჩით ჩემს სიყვარულში.

ეს – ქრისტეს ბოლო ქადაგება მაფიქრებინებს, რომ ვენახში სასხლავით მოსიარულე მამა კიდევ ერთ მთავარ მნიშვნელობასაც შეიცავს და მასში მამა-ღმერთი იგულისხმება.

არ ვიცი, ვისთვის როგორ, ჩემთვის კი ამგვარი გააზრება-განცდა აპოკლიპტური სიმძაფრით ავსებს მთელს ლექსს.

გალაკტიონი

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!
წინაპართაგან წავიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული.
გაშალა ველი ნელმა ნიავმა,
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის ვენახში.
აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება!
ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!..
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

5. რიდე – ციური თუ ცბიერი

„გალაკტიონის ცეცხლი და ბურუსი“ ზურაბ კიკნაძის საუკეთესო გალაკტიონოლოგიური წერილების რიგს მიეკუთვნება. (https://burusi.wordpress.com/…/12/09/galaktion-tabidze-29/)

იგი ეძღვნება გალაკტიონის ერთი ლექსის ანალიზს. გავიხსენოთ იგი:

სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს,
ნუ მოაცლი ციურ რიდეს,
რომ ბურუსში ჩნდებოდეს.
თითქო სული სადმე ვლიდეს,
და გულს ცეცხლი სდებოდეს.
სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს.

ავტორი შესავალშივე, ვიდრე ვარიაციების გზით ამ ერთი ქმნილების სამყაროში გაგვიძღვებოდეს, დეტალურად აღწერს ხელნაწერს:

„ჩვენს წინ არის პოეტის ერთი ობოლი ლექსი, რომელსაც არც სათაური აქვს და არც თარიღი უზის. ავტორს მისი გამოქვეყნება არ უცდია. პირველად მისი სიკვდილიდან თოთხმეტი წლის შემდეგ დაიბეჭდა აკადემიური გამოცემის VII ტომში. ავტორი ამ, ერთი შეხედვით, მინიატურულ ლექსს, როგორც ჩანს, არ მიბრუნებია. დაუწყია მისი ჩაწერა ფანქრით, გაუგრძელებია მწვანე მელნით და მწვანე მელნითვე უსწორებია მთელი თხზულება, და ასე დაუტოვებია“.

ზურაბ კიკნაძის წერილში წინ მკითხველს მართლა ვრცელ მისტიკურ სივრცეში მოგზაურობა მოელის. ეს სივრცე არა მხოლოდ ევროპული აზროვნების ჰორიზონტებს მოიცავს, არამედ კაცობრიობის ისტორიის უღრმეს ძირებს სწვდება, ჩვენ წინ იშლება მისტიური სანახები: ბიბლია, დაო დე ძინის, სუფისტების სამყარო…

ამ წერილის წაკითხვა მართლაც ერთი სიამოვნებაა.

საკუთრივ ბიბლიასთან დაკავშირებით ნათქვამია რიდისა და კულულის, როგორც ღვთაებრივი ემანაციის, გამოსხივების, ასევე საიდუმლოს დამფარავი საგნის მნიშვნელობასა და არსზე. აქვეა ვერლენისა და ფრანგული სიმბოლისტური გამოცდილების კონტექსტი.

ხომ მართლა შთამბეჭდავია ეს ყველაფერი, არა?

შთამბეჭდავადაც დარჩებოდა, რომ არა ერთი, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ კონცეპტუალურად უაღრესად მნიშვნელოვანი რამ:

გალაკტიონის ანუ ავტორისეულ ხელნაწერში არის არა „ციური რიდე“, არამედ „ცბიერი რიდე“. რაც გარკვევით იკითხეება და აკადემიური თორმეტტომეულის გამომცემლებს ან კორექტურა გაეპარათ, ან თვითნებურად „გააშინაარიანეს“ ტაბიძის ლექსი, ხოლო წერილის ავტორი ენდო მათ გამოცემას და ააგო ვარიაციათა მთელი შენობა ისე, რომ საბოლოოდ ძალიან, ძალიან კი არა საერთოდ ასცდა და დაუპირისპირდა გალაკტიონის ჩანაფიქრს.

მართლაც, თითქოს გარეგნულად დაწერილობით, დიდად არც განსხვავდება ორი სიტყვა „ცბიერი“ და „ციური“, ფონეტიკურადაც ახლოა, ჟღერადობა, მარცვლოვანება და ასე შემდეგ. კონცეფციას თუ არ გავითვალისწინებთ.

„ციური რიდე“ სავსებით ითავსებს ყველა იმ ბიბლიურ, დადებით მნიშვნელობას, რასაც წერილის ავტორი აღნიშნავს. იფარავს იდუმალს, აკავებს ემანაციის მოქმედებას და ასე შემდეგ. მაგრამ ეს როდია რიდის ერთადერთი სახეობა ბიბლიაში.

არსებობს მისი საპირისპირო, ასე ვთქვათ, „სატანური რიდეც“ (პირდაპირ ასე მოიხსენიებს ყურანი), სხვაგვარად – ცოდვის რიდე, რომელიც გვეფარება რა, უფლისგან ჩვენს ადამიანურ სახეს ფარავს, ანუ იგი „ცბიერი რიდეა“. მის შესახებ საუბრობს პავლე მოციქული (მეორე კორინთელთა 3: 7-13-15, 16-8 და ა. შ.):

7. და თუ მსახურება სიკვდილისა, ქვაზე ასოებივით გამოსახული, იმდენად სასახელო იყო რომ ისრაელის ძენი თვალს ვერ უსწორებდნენ მოსეს სახეს, მისი დიდებული იერის გამო, რომელიც, თავისი დიდებულების მიუხედავად, მაინც წარმავალი გახლდათ,

8. რამდენად უფრო სასახელი იქნება სულის მსახურება დიდებით?

9. რადგანაც, თუ განკითხვის მსახურება დიდებაა, მით უფრო მეტი იქნება დიდება სამართლიანობის მსახურებისა,

10. იმდენად, რომ იმ დიდებას აღარც კი ეთქმის დიდება ამ უზენაეს დიდებასთან შედარებით.

11. ვინაიდან თუ წარმავალს ჰქონდა დიდება, რამდენად უფრო მეტია დიდება წარუვალისა.

12. ამიტომ ასეთი სასოების მქონენი უფრო თამამად ვმოქმედებთ,

13. და არა როგორც მოსე, რიდე რომ ჩამოიფარა სახეზე, რათა ისრაელის ძეთ არ ეხილათ დასასრული წარმავალისა.

14. მაგრამ დაჩლუნგდა მათი გონება, რადგანაც იგივე რიდე, ძველი აღთქმის კითხვისას, დღემდე ჩამოუხსნელი რჩება, ვინაიდან მხოლოდ ქრისტეში იხსნება იგი.

15. ასე რომ, დღემდე, მოსეს კითხვისას, იგივე რიდე უბურავთ გულს.

16. მაგრამ როცა უფლის მიმართ მიიქცევიან, ჩამოეხსნებათ საბურველი.

17. უფალი სულია, ხოლო სადაც უფლის სულია, იქვეა თავისუფლება.

ქრისტეში შესვლა არის გათავისუფლება ამ „ცბიერი“ რიდისგან, ანუ გალაკტიონისეულ ხელნაწერში გვაქვს, საიტ galaktion.ge-ზე (https://galaktion.ge/?page=Poetry&id=2520)

სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს,
ნუ მოაცლი ცბიერ რიდეს,
რომ ბურუსში ჩნდებოდეს.
თითქო სული სადმე ვლიდეს,
და გულს ცეცხლი სდებოდეს.
სანამ წვიმა გადივლიდეს,
გზები გამშრალდებოდეს.

თუ ლექსს წავიკითხავთ ისე, როგორც ხელნაწერშია, იგი კვლავ შეინარჩუნებს მისტიკურ საბურველს, ოღონდ ქრისტიანული კონცეფცია ზურაბ კიკნაძისეულის საპირისპიროდ შეიცვლება.

გამოვა, რომ ლექსი ამბობს, ვიდრე ავდარია, ვიდრე წვიმს და გზები სველია, დაე, ფარავდეს მას, (ვიღაცას თუ რაღაცას) ცბიერი რიდე, ღმერთს, ქრისტეს არ ეჩვენოს თავისი ნამდვილი სახით, იყოს ბურუსოვანი, ამის გამოა, რომ სული სადღაც ვალს, გულს ცეცხლი ედება, მაგრამ გზები გამშრალდება, ანუ გამოიდარებს, საბოლოოდ დადგება დარი და ყოველივე ცხადი შეიქმნება.

გალაკტიონი ამაყობდა, რომ მოსკოვში უმაღლესი სარეჟისორო კურსები დაამთავრა, იგი ძალზე განიცდიდა, რომ ხელმოკლეობის გამო არ მიეცა საშუალება, მიეღო უმაღლესი განათლება საკუ-

თარი ბიძაშვილი ტიციანივით. მას რეალურად, მიღებული ჰქონდა სასულიერო განათლება, ჯერ ქუთაისში, შემდგომ თბილისში.

იგი არ ყოფილა ორთოდოქსი მორწმუნე, ცალკე შესწავლის თემაა და ვინ იცის, უკვე შესწავლილიც დემონიზმის გამოვლინებანი მის შემოქმედებაში, მაგრამ ბიბლიურ ცოდნას კი ნამდვილად ფლობდა, რაც ვფიქრობ, ამ რეფრენული რკალით შეკრულკომპოზიციიანი, პატარა ლექსის მისეული ჩანაფიქრითაც დასტურდება.

ერთი პერიოდი, ვფიქრობდი, რომ როდესაც ავტორის ამა თუ იმ ქმნილებას ვაანალიზებთ, აუცილებელია, წარმოდგენა შევიქმნათ მის მაშინდელ თეზაურუსზე. რათა ჩვენი ცოდნის პირობებში, გარედან არ შევიტანოთ მის შემოქმედებით, კონცეპტუალურ ველში რაიმე ისეთი, რაც მას არ შეიძლება, იმ დროს სცოდნოდა. (მაგ. დაო დე ძინი)

ახლა ვფიქრობ, რომ ეს არის მეტისმეტად ბუკვალური მიდგომა, რადგან გამორიცხავს სწორედ იმას, რითაც გალაკტიონი არის დიადი – გენიალურ ინტუიციას.

გენიალური ინტუიცია არის სწორედ ის რაც განაპირობებს „უეცარ ფეთქებას“, ნახტომს დროსივრცულად დაშორებულ სამყაროში.

დასასრულ, მინდა გარკვევით განვაცხადო: ამ ჩემი მცირე ოპუსის მიზანს არ წარმოადგენს ზურაბ კიკნაძის ნააზრევის კრიტიკა. ეს ჩემი მხრით უდიდესი კადნიერება იქნებოდა. მკითხველს ვურჩევდი, გულდასმით წაიკითხოს მისი ყოვლისმომცველი წერილი, რომელსაც ერთადერთი ნაკლი აქვს, – გალაკტიონის რეალურ ჩანაფიქრს ასცდა, იმის გამო, რომ შემდგენლებმა, რომელთაც თავის დროზე მართლაც დიდი შრომა გასწიეს, თავიდან არასწორად ამოიკითხეს ორიგინალი და შემდგომ ყველა გამოცემაში შეცდომით გავრცელდა ლექსი.

P.S. ეს მინაწერი კომენტარში კითხვის პასუხად დაიწერა და საჭიროდ ვთვლი, რომ აქაც გადმოვიტანო.

ერთი მეგობარი კითხულობდა, თუ რას ვგულისხმობ, როცა ვწერ სიტყვას „თვითნებურად“.

ნინო დარბაისელი: – ძალიან კარგი კითხვაა. მადლობა. ალბათ ცოტა ვრცელი პასუხი დამჭირდება. დღეს გალაკტიონის მემკვიდრეობა და სახელი საუკეთესოდაა ნაპატრონები. მეტი მართლა აღარ ვიცი, რა უნდა გაკეთდეს. მისი იუმორისტული ჩანაწერებიც კი გამოცემულია. რასაც ვიცნობ, იმათზე დაყრდნობით ვერ ვიტყოდი, უზადო გემოვნებითა და იუმორის გრძნობით არის-მეთქი შედგენილი, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ მთლიანად წიგნი – კარგი იყოს. ყოველ შემთხვევაში, ეს საქმეც გაკეთებულია. ეს ჩემი გალაკტიონოლოგიური ოპუსები – უფრო ჩემი გულის გასახარად იწერება, მოცალეობის ხანს, თორემ არ მაქვს ილუზია, რომ გალაკტიონოლოგიას, როგორც ქართული ლიტმცოდნეობის დარგს რამეს ჰმატებს. პროცესსმერე და პროცესსგარეთაა.

ახლა რაც შეეხება საკუთრივ სიტყვას „თვითნებური“.

ქართული ლიტერატურის ისტორიას არ გააჩნია სხვა ასეთი დიდი არქივი, როგორიც გალაკტიონისაა.

დღეს იგი საუკეთესოდ მოვლილი კია, მაგრამ ამან ადამიანთა ცხოვრება წაიღო, – იზა ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ენთუზიასტების მთელი ჯგუფი მუშაობდა მასზე და დღეს საარქივო მასალების 25 ტომეულიც კია გამოცემული, მის ბაზაზე საიტიც არსებობს... მაგრამ აკადემიური თორმეტტომეულის შემდგენელთა ნაწილს პირადად ვიცნობდი, რამდენიმე მათგანი ისევ ლიტერატურის ინსტიტუტში დამხვდა და მათი ნაამბობიდან ვიცი, პოეტის გარდაცვალების მერე ბინიდან მუზეუმში მასალები ტომრებით გადაჰქონდათ, დროზე რომ გაეცალათ იქაურობა და ფურცელ-ფურცელ უხდებოდათ გარჩევა ხელნაწერებისა, წარმოუდგენელი იყო თან იმ ქაღალდების იდეალუ-

რად მოწესრიგება და თან – აკადემიურ გამოცემაზე მუშაობა. ფიზიკურად რაკი ვერ აუდიოდნენ სამუშაოს, ახალგაზრდა მკვლევარებსაც იხმარიებდნენ და როგორც ჩანს, შედარებით დაბალკვალიფიციურმა პირმა ხელნაწერი ტექსტი კარგად ვერ გაარჩია, თან „ციური რიდე“ კონოტაციურად უფრო ჯდება გალაკტიონის ესთეტიკაში, ვიდრე „ცბიერი რიდე“.

ცხადია. ეს არაა ერთადერთი შეცდომა თორმეტტომეულისა. ამიტომ გახდა მოსამზადებელ-გამოსაცემი ახალი ხუთტომეული, რომელიც საარქივო მონაცემებთან შეაჯერებდა უკვე გამოქვეყნებულ ტექსტებს და შეცდომებს გაასწორებდა.

როცა დიდი საქმე კეთდება, აუცილებლად გაიპარება მასში რამე შეცდომა.

ნათქვამია, „ვინც მუშაობს, შეცდომებსაც ის უშვებსო“. საქმის გაუკეთესების მოტივით გამოთქმული ყოველი ასეთი შენიშვნა მე – პირადად მადლიერების გრძნობით მისაღებად მიმაჩნია.

6. თარგმანი? ორიგინალი?

რა არის საკმარისი, რომ უცხოური ტექსტის თავისუფალი თარგმანი ორიგინალურ ლექსად მივიჩნიოთ?

საკითხი, რომელსაც აქ ვაყენებ, – ჩემთვისაც ბოლომდე უპასუხოა.

ამას წინათ აკაკი წერეთლის ორიგინალური, პატრიოტული ლექსი განვიხილეთ „ღამურა“, რათა ცხადგვეყო, რომ ტყუილია ინტერნეტში მავანთა მიერ კონიუქტურულად გავრცელებული აზრი, თითქოს იგი რუსული პოეზიიდან თარგმანს წარმოადგენდეს.

იქ სურათი ცხადი და აშკარა იყო, ფაქტები მთლიანად ჩემს მხარეს ამაგრებდა; აქ – საკითხი ცოტა სხვაგვარადაა. არსებობს ასეთი ლექსი გალაკტიონისა, რომელსაც სავარაუდო თარიღად 1927 წელი უზის:

როგორც კი დილა გათენდება
როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით,
მთელი დღე ყველა ხევებში ისმის,
რომ თქვენ მინდვრებში მიეშურებით –
რომ უმანკოა თქვენი კისკისი.
მწარე სიცხისგან დაგიფარავთ ქუდი ჭილოფის,
სამოსი რაა? უბრალო ჩვარი!
არ გეშინიათ არც ეკლების, არც დაღლილობის,
უფრო კარგი დღე ქვეყნად არ არის.
თქვენ, ახალგაზრდა გატაცების უმანკო თასი
ნაზ და ცბიერი სიტყვების მახეს,
ამ ჭრილობისგან ყველამ იცის სიცოცხლის ფასი...
შეხედეთ თვალებს, შეხედეთ სახეს,
ამაო არის უსულგულო ზრუნვა და შრომა –
აი დღეებს რა აიადონებს.
ტყეთა კაბების ყვავილოვან ნაოჭთა კრთომა,
რითაც არ რთავენ თვითონ მადონებს.

[1927 წლამდე]

https://galaktion.ge/?page=Poetry&id=590

ალბათ ნებისმიერი პოეტი იქნებოდა დღეს კმაყოფილი, ასეთი თავისუფალი ლექსი რომ დაეწერა, ტრადიციული რიტმი რომ თითქოს არის და არც არის, იქვეა, „უკანა სცენიდან“ მოქმედებს…

რითმა – ჯვარედინი, სალექსო აქცენტების უცნაურობა...

და მაინც, თითქოს რაღაც, გალაკტიონისეულ ნახევარფაბრიკატს ვეხებით.

გალაკტიონი – თითქოს არის და არც არის. ფრაგმენტია, აშკარად სხვისი ინტონაციაც ისმის. იქნებ რამე ახალი სცადა?

ამონახსნი ამავე საიტ galaktion.ge-ზეა.

ეს არის ფრაგმენტი ტექსტისა, რომელიც

თარგმანთა რუბრიკაში თუ განყოფილებაშია შეტანილი, თუმცა,

ფრაგმენტის გარდა, კიდევ რაღაცას შეიცავს და მთლიანი სახე კი ასეთი აქვს.

პოლ ვერლენ

* * *

გულუბრყვილო და იისფერი ჩვენი თვალები
ძველ წელიწადთა რომანებში თუ იმალება.
და ყვავილები ჩვენი თეთრი თავსაფარავის
ისე, როგორც ჩვენ, აღარ ახსოვს ეხლა არავის.
ერთმანეთისთვის კარგის მეტი ჩვენ არ-რა გვინდა,
დილის სხივებიც არ არიან იმგვარად წმინდა,
ვით ჩვენი ფიქრი, სამუდამოდ გულს რომ დაყვება;
ცის ლაჟვარდივით სპეტაკია ჩვენი ზრახვები.
როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით,
ჩვენ მინდვრებისკენ სიხარულით მივეშურებით.
ვეძებთ ყვავილებს, ვიჭერთ პეპლებს, ისევ ის ისმის
ჩვენი სიცილი, ჟრიამული, ჩვენი კისკისი..
ამ სიცხისაგან ჩვენ გვიფარავს ქუდი ჭილოფის,
არ გვეშინია არც ჭორფლისა, არც დაღლილობის.
ჩვენი სამოსი უბრალოა – მსუბუქი ჩვარი,
ო, უფრო თეთრი ამ სამოსზე ქვეყნად არ არი!
კავალერები – რიშელიე და თვით აო-ბლაზი,
ან დე კოსადი – მათ იციან რა ჩვენი ფასი,
გვიგებენ ნაზი და ცბიერი სიტყვების მახეს,
რა ეშმაკურად ინაზებენ თვალებს და სახეს.
მაგრამ ამაო არის მათი ზრუნვა და შრომა,
ჩვენი კაბების ირონიულ ნაოჭთა კრთომა –
აი, პასუხი ღირსეული ამ ვაჟბატონებს,
არ დაინდობენ ისინი ხომ თვითონ მადონებს.
ამ გიჟებს ჩვენი სისპეტაკე უფრო აგიჟებს.
მართლა რომ ხელში ჩავუვარდეთ, აღარ გაგვიშვებს.
წმინდაა ჩვენი გულგრილობა და სულთა ცნობა,
თუმცა ხანდახან ჩვენი გული და ჩვენი გრძნობა

ამღელვარდება უცნაური რაღაცა ფიქრით,
ვაი თუ სადმე უფსკრულების ნისლებში მივქრით –
ჩვენ შიში გვიპყრობს, ჩვენ ვფითრდებით და ღელავს მკერდი,
მართლა არავინ შეგვიყვარდეს, არ გაწყრეს ღმერთი!

1925

https://galaktion.ge/?page=Translations&id=3147…

თვალსაჩინოებისთვის, ცალკე ვდებ მონაკვეთს, რომელიც ემთხვევა ან ნაწილობრივ ემთხვევა ჩემ მიერ ამ ოპუსის დასაწყისში დადებულ ლექსად მოხსენიებულ ტექსტს, რომელიც სავარაუდოდ დათარიღებულია 1927 წლით:

როგორც კი დილა გათენდება ცისკრის ბურებით,
ჩვენ მინდვრებისკენ სიხარულით მივეშურებით.
ვეძებთ ყვავილებს, ვიჭერთ პეპლებს, ისევ ის ისმის
ჩვენი სიცილი, ჟრიამული, ჩვენი კისკისი...
ამ სიცხისაგან ჩვენ გვიფარავს ქუდი ჭილოფის,
არ გვეშინია არც ჭორფლისა, არც დაღლილობის.
ჩვენი სამოსი უბრალოა – მსუბუქი ჩვარი,
ო, უფრო თეთრი ამ სამოსზე ქვეყნად არ არი!

რამდენადაც მე ვიცნობ ვერლენის პოეზიას, იქ ასეთი ლექსი არ იძებნება.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არც არსებობს. მე აქამდე მოვედი და ამის იქით კონკრეტული სიტყვა უკვე ფრანგული პოეზიის მცოდნეებმა უნდა თქვან.

ორი რამ მაინც გასასწორებელი მგონია:

1. თავში მოყვანილი ტექსტის თარიღის დაზუსტება შეიძლება, იგი წარმოადგენს მეორე, 1925 წლით დათარიღებული ტექსტის ფრაგმენტს, იქნებ ფრაგმენტის ერთ-ერთ საწყისს, სამუშაო ვერსიას.

2. მისი გატანა დამოუკიდებელ ლექსად – გაუმართლებელია.

არ ვიცი, იქნებ ეს უკვე ასეცაა, გალაკტიონის აკადემიურ გამოცემაში, რომელიც ამ ორიოდე წლის წინ გამოვიდა და რომელზეც მე ხელი არ მიმიწვდება.

7. გალაკტიონ, მტრები არ დაგლეოდეს!

დღეს შენი დაბადების დღეა, გალაკტიონ!

ეს იმას ნიშნავს ჩემთვის, რომ ამსიშორესაც კი მთელი დღე შენი პოეზიით და შენზე ფიქრებით ვარ სავსე, ჩემი ახლო მეგობრებივით.

თუმცა მანძილი აქვს მხოლოდ სხეულს, სულმა – მანძილი – არ იცის!

წარმომიდგენია, რა ძნელია,

შენ რომ ადამიანს მეგობრად მიიჩნევ, ნათესავ-ახლობელთა სიაშიც რომ ჩაწერ, და გულსაკლავად იტყვი:

„აქ ოდესმე ჯანსაღი 33 კაციდან 20 ცოცხალი აღარ არისო“ (1954 წ. 24 ნოემბერი). შენი შთამომავალი-მკვლევარებიც, „შენი პატრიოტები“, როგორც თავად მოიხსენიებდი ასეთ ადამიანებს, სადმე კომენტარებში მიუთითებენ, იოსებ მჭედლიშვილი – გალაკტიონის მეგობარიო, გავა წლები,

ათწლეულები, ნახევარი საუკუნე, სამოცი წელი შენი გარდაცვალებიდან და გამოსცემენ იმ ადამიანის დღიურებს, სადაც შენზე უსაზიზღრესობა უწერია, თანაც არა ერთგან.

შენ რომ ჩვეულებრივი მოკვდავი ყოფილიყავი, დაიმკვიდრებდი სასუფეველს სადმე და იქნებ ვერც ვერაფერი გეგრძნო, მაგრამ გალაკტიონ, შენი სული ხომ ჩვენში მარად მიმოიქცევა, აქაა, არასოდეს გვტოვებს!

ხანდახან ჩვენ თუ გავექცევით, ან გვგონია, მართლა გავექეცით, მიწიერი საზომებით, თითქოს დავშორდით კიდეც, თავსაც ვიჯერებთ, მაგრამ როგორ ვგრძნობთ ასეთ დროს შენს მოწყალე ღიმილს!

და იცი, ამ დროს რა შეგრძნებაა?

ქვების მძიმე ქუსლებით პოლიუსს კი ეყრდნობოდი და ეყრდნობი, მაგრამ მაინც არ გეცოდინება შენ სპორტის ეს სახეობა, შედარებით ახალია, უკვე საქართველოშიც მისდევენ ახლა, „იქსტრიმ ჯამფინგი“ ჰქვია ზოგან.

მოგაბამენ წელზე კარგად უსაფრთხოების ელასტიკურ ქამარს, უნდა გადახტე სიმაღლიდან წყლის ან რამე უფსკრულის თავზე, „იო-იოსავით“ ზემოთ-ქვემოთ მოძრაობ, ფრენის რისკსა და აღტაცებას განიცდი, ადრენალინი – უხვად!... მაგრამ დროის ლიმიტი ამოგეწურება და საწყის წერტილში აგქაჩავენ.

დღეს მე ამ საწყის წერტილში ვარ ამოქაჩული და ახლოს გგრძნობ.

ახლოდან გელაპარაკები.

ჰო, მე საერთოდ, არ ვემხრობი აზრს, რომ ნებისმიერი ხელნაწერი ტექსტი, მუზეუმში რომ ინახება, უნდა გამოიცეს წიგნად და ტირაჟირებული ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე დაიდოს.

ვთვლი, რომ მუზეუმში დაცული ორიგინალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მეცნიერ-მკვლევარისთვის, ადამიანისთვის, რომელსაც ელემენტარული ცოდნა-გამოცდილება გააჩნია ხელნაწერებისადმი მოპყრობისა.

ამის გამო ძველმოდური და ჩამორჩენილი ვარ, ცენზურას ვუჭერ მხარს?

ვიყო!

აი, სულ არ მედარდება, ასე იტყვიან თუ არა ჩემზე ისინი, ვინც წიგნის ბაზარზე და უფრო ფართოდ, საზოგადოებაში გამორჩენითი ან თუნდაც კომერციული მოსაზრებით, სკანდალურ გზას ირჩევენ.

მესმის, წიგნი – პროდუქციაა, მის წარმოებაზე – თანხა იხარჯება და დამხარჯავი – რაღაც სახის მოგებას რომ მოელოდეს, არც გაემტყუნება, მაგრამ ამაზე აქვთ დიდ მოაზროვნეებს ნათქვამი, „რასაც ვერ მოიცავს კანონი, იმას – მორალი განაგებსო“.

დავსვათ საკითხი პირდაპირ ასე:

რაც ამ წიგნის გამოცემა დაჯდა, იმ ფასისა რა შეიძინა ქართულმა ლიტერატურამ და კულტურამ?

მე თუ მკითხავ, ზედ გადასხმული ბალღამის მეტი – არაფერი!

საერთოდ, დღიურები, პირადი მიმოწერა, მოგონებანი ვინმე სახელოვანი პირის შესახებ – დიდი სიფრთხილით გამოსაყენებელია წყაროდ. მათი არსობრივი მახასიათებელი, – სუბიექტური ხედვა საგანთა და პრობლემათა, რაოდენ გულწრფელადაც არ უნდა იყოს გადმოცემული ყველაფერი, სანდოობის ხარისხს უკიდურესად დაბლა სწევს და ხშირ შემთხვევაში აუქმებს კიდეც.

ეს მით უფრო საფრთხილოა, როცა ინფორმაციის ვერიფიცირება არ ხერხდება.

ამისგან განსხვავებით, დოკუმენტები – სხვა ამბავია!

თუმცა რაიმე მოტივით ფალსიფიცირების საფრთხე – მეტადრე დღეს, ფოტოშოფის არსებობისას, აქაც გასათვალისწინებელია.

კარგი ტექსტოლოგივით, მსჯელობამ გამიტაცა და არ მინდა, შენი ყურადღებით უდიერად ვისარგებლო, უბრალოდ, იმ მომენტებს წაგიკითხავ იოსებ მჭედლიშვილის დღიურიდან (2014), სადაც შენზე ლაპარაკობს: „გუშინწინ წავიკითხე „მნათობში“ გალაქტიონ ტაბიძის უგუნურება. კაცს ფულს აძლევენ იმისთვის, რომ თავისი თავი დაამახინჯოს და თავისი დამახინჯებული თავი მოეწონოს. ესეც ცოტაა; იმისთვის აძლევენ ფულსა, რომ სხვასაც მოაწონოს, მაგრამ ყველაზე საშინელი ისაა, რომ მილიონებსაც მოუწოდებს სიმახინჯის მოწონებისათვის – მათ ასწავლის მახინჯობას“.

ახლა, ხომ წარმოგიდგენია, შენზე მსჯელობისას ამას რომ პირდაპირ ენდოს და დაეყრდნოს ვინმე ახალთაობელი მკითხველი, რომელიც საქმეში ჩაუხედავია, სპეციალისტობას ხომ ყველას ვერ მოსთხოვ, წიგნს კი ტირაჟი აქვს და ყველას შეუძლია შეძენა!

ვინმემ რომ ჩათვალოს, ადამიანი საკუთარ დღიურში ტყუილს ხომ არ ჩაწერდაო, თან რა ბიოგრაფია აქვს თვითონ! რამდენჯერ დასჯილ-რეპრესირებულიც ყოფილა!

ხანდახან არ მინდა დავიჯერო, რომ ყველაფერი მართალია, რასაც მტრებზე ამბობდი. მაგრამ ალბათ ეს მტრები იყვნენ, პირში მოცინარენი და გულით შენი... შენი... ალბათ ასეთები იგულისხმებოდნენ, როცა ამბობდი, ო მებრალება ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობაო.

მაგრამ დღეს ხომ შენი დღეობაა!

იცი, რა გამახსენდა?

ერთხელ გურჯაანში, ნათესავებში ქეიფისას თამადამ ერთ ცნობილ კაცს უთხრა: – გისურვებ, მრავალჟამიერ, მოყვრები რომ თავისთავად და, მტრები არ დაგლეოდესო.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და გამიკვირდა. ასე მტერი დაგეცალოსო, დაცლილი ჭიქის ცერზე დაპირქვავება ბევრჯერ მენახა.

ახლა მინდა, იგივე გისურვო:

– მტრები არ დაგლეოდეს!

დაკლებით – შენ ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს და საკუთარი ნათქვამით, არსებობით კი შენდამი ქართველი მკითხველის თაობათა ყურადღებას ააქტიურებენ, „ცინცხლად ინახავენ“!

ბრალი იმისი, ვისაც ამქვეყნად მტერ-მოშურნე არა ჰყოლია და არც დარჩენია!

მემორია

1. ჩუბჩიკა და ჩემი „პრიჩისონი“

ერთხელ სუფრაზე ვართ.

ჩუბჩიკა დიდად არც ჭამდა და სმითაც, მარტო ცხელ წყალს სვამდა, მეც დამაჩვია დღემდე.

ვსაუბრობთ გალაკტიონის ლექსზე „შინდისის ჭადრებს“. ხომ გახსოვთ:

შინდისის ჭადრებს

ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო,
შემოხვეულნო შუქთა ბადრებით, –
ო, მე არ ვიცი, რას შეგადაროთ,
ან უცხოეთში რად მენატრებით?

კვლავ გახვევიათ ოქროს ზეწარი
და შემოდგომის მკრთალი ბლონდები?
მე, უთვისტომო და გარეწარი,
თქვენ გაგიხსენებთ და დავღონდები.
თქვენთან რბიოდენ ნათელნი დღენი,
ლოცვა ბავშური, ფერი გედური,
ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი,
როგორც ტირილი და საყვედური?
[1925]

მე ვამბობ, რომ „შუქთა ბადრები“ – ბადრი მთვარის შუქია, რომ ეს პოეტური სახე სიმბოლისტური ესთეტიკის პრინციპზეა აგებული და მეტონიმიაა გამოყენებული. საერთოდაც, ამ ლექსში „რბიოდა“– ქართველი რომანტიკოსებიდან პირდაპირ დევს, აი ბარათაშვილი:

„სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის“.

ამაზე მპასუხობს:

– იქნებ გალაკტიონი განგებ ამბობს მაგ სიტყვას, რომ მიგვანიშნოს ლექსის იდუმალებაზე. აბა გაიხსენე, ბარათაშვილის მაგ ლექსს ხომ „ხმა იდუმალი“ ჰქვია?“

მე ხუმრობის ხასიათზე ვდგები, რატომ მაინცადამაინც ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“, უფრო ადრე ორბელიანმა არ თქვა „სადღეგრძელოში“? –

„ვინ არ შევსტრფით მას ადგილს, სად აგვეხილნეს პირველ თვალნი,
სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი”.

იქნებ იდუმალებისკენ კი არა და გალაკტიონი ლხინისკენ მიგვანიშნებს?

მოკლედ, კლიშეა ეგ, კლიშე!

ეს „ოქროს ზეწარი“ – ხომ მთლად უბედურებაა! მანდ – ილიას გვახსენებს? სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილსაო, ხოლო ტექსტის ფინალისკენ ესენინისგან – უხვად ალუზიებია.

გალაკტიონის ხმა დასაწყისში ისმის და მერე იკარგება. მისეული სიახლე – ნაკლებია.

ჩუბჩიკა იმეორებს და იმეორებს ფრაგმენტებს თავისი დაბალი, რაღაცნაირი, ცრემლშერეული ხმით, თითქოს ლოცულობს და ამბობს, რომ ეს ლექსი – მთელი მისტიკაა, დიდი საიდუმლო და „შუქთა ბადრები“ – სრულყოფილებას, სისავსეს ნიშნავს, მიღმიერის ემანაციაა, მაგრამ ამას გრძნობა, შინაგანი თვალით დანახვა უნდა და მე – ამისთანა ლექსს ვკლავ...

მიხსნის, მიხსნის მთელი გატაცებით და ჰგონია, ვერ მაგებინებს. ფურცელიც მოითხოვა, მთელი დასტა წინ დაუდეს, ფანქარი თუ კალამიც მოუტანეს, ჰგონია, თუ დამიხაზავს, უცებ ყველაფერს მივხვდები, ვუყურებ ერთმანეთის მიყოლებით ავსებულ ფურცლებს და ზედ მარტო ზიგზაგებს ავლებს.

მიდი და გაიგე, რაო!

ამ დროს გადასარევადაც გავიგე, მაგრამ ვერ დავრწმუნდი, ჭკუაში არ მიჯდება მისი ნათქვამი და მომკალი!

მოკლედ, ჩიხში ვართ.

ეს ის დროა, წინა საუკუნე, დედიკოს დამჯერი შვილი რომ ვარ და მისი ბრძანების თანახმად, გარეთ საპარიკმახეროში წაუსვლელად რომ არ გავდივარ.

ველარც საუბრის თემას ვცვლით, რადგან სულ გალაკტიონოლოგები არიან და იმათაც აინტერესებთ უკვე, რა დასკვნამდე მივალთ.

უცებ ჩუბჩიკა თავისი ადგილიდან დგება, ჩემთან მოდის და მეუბნება, შეიძლება კეფა გაგისინჯოო.

ჩემი „დაპრიჩისონებული“ თმა, ტონა ლაქი რომ მასხია, უკნიდან სულ დამიტკეპნა და იძახის:

– ეგრეც ვიცოდი! კაცო, რატო ადრევე არ ვნახე, ისეთი სიბრტყელე გაქვს თმისქვეშ დამალული, ვისაც ასეთი ფორმის თავი აქვს, ერთხელ ნათქვამს აღარ გადათქვამსო.

ჩემი რეაქცია?!

ვარიანტების მთელმა სპექტრმა გამიელვა და კახურმა გენმა აჯობა:

– ჰოდა ძალიან კარგი, ამის მერე გეცოდინებათ, რომ ჩემთან კამათი არ ღირს-მეთქი.

ეჰ, ნეტა იმ დროს!

2. „ვწუხვარ, ერთადერთი ვარ!“

როცა გალაკტიონის მემორიალური მასალის კორპუსზე ვმუშაობდი, ერთმა ქალმა მიამბო:

ფილოლოგიურის სტუდენტები ვართ მე და ჩემი მეგობარი, მის პოეზიაზე გვაბოდებს. ორმოცდაათიანი წლებია,

გვიანი გაზაფხულის საღამო, რუსთაველზე მივსეირნობთ და ისეთი გოგოები ვართ, თავი მოგვწონს.

დავინახეთ გალაკტიონი, ელბაქიძის დაღმართს ჩაუყვა, ჩანთის ქნევით მიდის, მიბარბაცებს...

ავედევნეთ, ხიდზე გაჩერდა, მიბრუნდა, ჩანთა ძირს დადო. მტკვარს უყურებს. მივუახლოვდით, ძალა მოვიკრიბეთ და ვეუბნებით:

– იცით, ბატონო გალაკტიონ, ჩვენ ძალიან გვიყვარხართ!

იჭვნეულად შემოგვხედა:

– მერე, მე რომ ერთი ვარ?

– ვიცით, ბატონო გალაკტიონ, ერთადერთი ხართ!

– თქვენ კი ორნი, როგორ გამოვა ეგ ამბავი?

ამ სიტყვებზე უცებ, სრულიად მოულოდნელად ჩემს მეგობარს ტრაკზე უბრწკინა და ჩვენ წივილ-კივილით გამოვიქეცით.

3. მთვრალი ჭია და ფხიზელი ფიზკულტურელი

თურმე უნივერსიტეტელებს ფიზკულტურას ასწავლიდა ერთი იმერელი კაცი.

გაკვეთილები კარგ ამინდში გარეთ უტარდებოდათ, ჰაერზე.

დგანან, თურმე, ერთხელ მწყობრში, რიგზე გათვლა მოილიეს და დაინახეს, ტროლეიბუსიდან მთვრალი გალაკტიონი ჩამოვიდა, წონასწორობა ვერ დაიცვა, დაბარბაცდა, თან პაპიროსს ეწეოდა, ხან აქეთ წავიდა, ხან – იქით, ამათკენაც გამოიხედა, მერე პაპიროსი ძირს დააგდო და ზემოთ აუყვა გზას.

– ა, ბატონო, ხომ ნახეთ, რას უშვრება ადამიანს სმა და პაპიროსი! მე და მაგი კლასელები ვიყავით. მაგი სულ წიგნის ჭია იყო, მე – დილით ადრე ვდგებოდი, გამამხნევებელ ვარჯიშს ვაკეთებდი, სველი ტილოთი ვიზელდი ტანს, ყოველდღე დავრბოდი, არც ვსვამდი, არც ვეწეოდი... და შეხედეთ, რა გამოვიდა მაგისგან და მერე მე შემომხედეთ!

ამ სიტყვებზე პატივცემული გაიჯგიმა, თავი ამაყად აიღერა და ასეც დარჩა მთხრობელის მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი...

სახელი?

ჰო-ო, სახელი მთხრობელმაც ვეღარ გაიხსენა.

ირმა ვადაჭკორია

ალბერ კოენი – „დედაჩემი“

„როცა თბილისში გადმოვედი, დედაჩემს ძალიან უყვარდა ყოველდღიური დარეკვა. დღეში 3-4-ჯერ მირეკავდა და საათობით მელაპარაკებოდა. მე უნივერსიტეტში გავდიოდი, სასწავლი მქონდა, მერე კლინიკაში მივდიოდი პრაქტიკებზე, დაღლილი ვბრუნდებოდი. არ შემეძლო საათობით ტელეფონზე საუბარი, უკვე მეზარებოდა, საათობით როგორ შეიძლება ილაპარაკო?...

როცა დედისთვის ერთადერთი ბიჭი ხარ, აბა, სხვას ვის უნდა დაურეკოს?!..

როცა დედა გყავს, ჯერ ხომ ბავშვი ხარ, გგონია, რომ ყოველთვის გეყოლება. ხვალაც დაგირეკავს, ზეგაც, მაზეგაც, მაგრამ ცხოვრებაში დამიდგა ის დღე, როცა ერთ დღეს დედაჩემს აღარ დაურეკავს ჩემთვის...

ძალიან დამაკლდა“.

გიორგი ბერიძე

ახალგაზრდა ექიმის ამ სიტყვებმა გადამაწყვეტინა საბოლოოდ ამ წერილის დაწერა...

რა უნდა დაწერო დედაზე, როცა ის უკვე აღარ არის?..
როცა სიცოცხლეში წერილის მიწერა გეზარებოდა...

„არ მინდოდა დამეწერა ათი სიტყვა?
ჰოდა, წერე ახლა ორმოცი ათასი“.

ალბერ კოენი

წერე და ყოველი ფრაზის დაწერისას მოკვდი...
ეგებ შეძლო და დაიმშვიდო აფორიაქებული სინდისი...
– რა უნდა დაწერო დედაზე???
– მოგონებები?
– დღიურები?
თუ ტკივილით სავსე წერილები?
– ეგებ წიგნი დაწერო?
– ჰა, წიგნი სჯობს!

წერილი და დღიური რას ეყოფა გულიდან ამოგლეჯილ იმ ტკივილს, სევდას, ემოციას, განცდას, რომელიც სინდისად ჩაგისახლდა სხეულში და გღრღნის, ყოველი უპასუხო წერილისთვის, თვალებით გამცილებელი დედის უკანმიუხედაობისთვის, უმადურობისთვის, მიუხვედრელობისთვის, მოუცლელობისთვის, გულგრილობისთვის, დამადლებული პასუხისთვის...

– ჰოდა, ადექი, დაწერე წიგნი, ყველა ტკივილი, სულის კვნესით ამოძახილი ჩატვირთე და ყველა უდედოდ დარჩენილს, საკუთარი დედასთან ერთად, კიდევ ერთხელ დაატირებინე დედა...

იქნებ ამან დაამშვიდოს სინდისი...

ან იქნებ დუმილი სჯობს?!..

გლოვას ხომ დუმილი ყველაზე მეტად უხდება...

მაგრამ როგორ დადუმდები, რა დაიტევს ამხელა სევდას?!...

„დედის დატირება შენი ბავშვობის დატირებაა. ადამიანს თავისი ბავშვობა სწყურია, უნდა ხელახლა განიცადოს... რადგან დედა მისი ბავშვობაა“.

ალბერ კოენი

– ჰოდა, დაიტირე ის, რაც დასრულდა და აღარასდროს დაგიბრუნდება...

„ფაქიზი ამბები იქმნება დიდი სიყვარულით“.

ალბერ კოენი

ფაქიზი ამბები ის ამბებია, რომელსაც დედაშვილობა ჰქვია...

ალბერ კოენის „დედაჩემი“ ყველა შვილის სათქმელი, ყველა შვილის წასაკითხი წიგნია!

წიგნის კითხვისას ბევრჯერ იგრძნობ უმაღლეს სევდას, ძალიან გეტკინება, ცრემლებიც ბევრჯერ მოგერევა, მაგრამ ჯოჯოხეთი მაშინ იწყება, როცა აღმოაჩენ, რომ ეს წიგნი შენზეა, რომ მწერალი შენი სულის ბნელ ლაბირინთებში დასეირნობს ჩირაღდნით ხელში, ფანტავს სიბნელეს და გახსენებს იმას, რისი გახსენებაც არ გსურს, რადგან ვეღარაფერს გამოასწორებ, ვეღარაფერს შეცვლი...

მწერალთან ერთად დაიტირებ აწგარდაცვლილ დედას და ბავშვობას...

ალბერ კოენის „დედაჩემი“ ძეგლია ყველა დედისა, კითხულობ ნაწარმოებს და ამ ძეგლს შენს თვალწინ აქანდაკებს მწერალი, საბოლოოდ მკითხველი ხედავს ქალს, რომლის ყოველი დეტალი, ნაკვთი, სამოსიც კი უდიდესი ზრუნვითა და სევდით არის გაჟღენთილი, ღრმა, უთქმელი, მრავალგზის მოთმენილი, არაღიარებული, საკუთარ თავთანაც კი არგამჟღავნებული და ართქმული ტკივილით თვალებში. დედის ასეთ ხატებას ხედავ წიგნის დასასრულს და გესმის ავტორის მთავარი გზავნილი: „თუ გაგიმართლა და დრო გაქვს, ყველაფერი გააკეთე ამ სევდისა და ტკივილის გასაქრობად!!!“

ვინ არის ალბერ კოენი?

ფრანგი მწერალი, პოეტი, დიპლომატი და დრამატურგი ალბერ კოენი დაიბადა 1895 წლის 16 აგვისტოს საბერძნეთში, რუმინულ-ებრაულ ოჯახში, კუნძულ კორფუზე, მშობლები საპნის ქარხნის

მფლობელები იყვნენ. ხუთ წლისა მშობლებთან ერთად გადავიდა საფრანგეთში, მარსელში. ჩაირიცხა კერძო კათოლიკურ სკოლაში, 1904 წლიდან სწავლა განაგრძო ტიერსის ლიცეუმში, სადაც დაუმეგობრდა მარსელ პანიოლს. უმაღლესი განათლება ჟენევაში მიიღო, დაამთავრა ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პარალელურად სწავლობდა ლიტერატურის ფაკულტეტზე.

ლიტერატურით გატაცებულმა დაიწყო ლექსების წერა, რომლებიც კრებულის სახით გამოსცა 1921 წელს სათაურით **„ებრაული სიტყვები“.**

სიონიზმისადმი ერთგული 1925 წელს გახდა პარიზის **„ებრაული მიმოხილვის“** დირექტორი, რომლის რედაქტორებად ითვლებოდნენ ალბერტ აინშტაინი და ზიგმუნდ ფროიდი.

1926 წლიდან ის ჟენევის შრომის საერთაშორისო ოფისის საჯარო მოხელე ხდება, ეს იყო განსაკუთრებული პერიოდი, რომელმაც შთააგონა დაეწერა მისი ყველაზე ცნობილი რომანი **„Belle du Seigneur“ (1968).**

1930 წელს მან გამოაქვეყნა თავისი პირველი რომანი, რომელსაც უწოდა **Solal** და რომელსაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ჯერ საფრანგეთში, შემდეგ დანარჩენ მსოფლიოში, წიგნი ითარგმნა რამდენიმე ენაზე.

რვა წლიანი პაუზის შემდეგ წერს **„Mangeclous“**, რომელიც საბოლოოდ ადასტურებს მწერლის გენიალურობას. მეორე მსოფლიო ომის დროს ალბერტ კოენი მუშაობდა ებრაულ სააგენტოში, რომელიც დატოვა 1944 წელს ურთიერთნდობის პრობლემების გამო. ერთხანს საერთაშორისო ურთიერთობების ბიუროს დიპლომატიური ატაშე იყო. ომის დროს კი ლონდონში ლტოლვილთათვის არსებულ სამთავრობათაშორისო იურიდიულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა, რომლის შემადგენლობაში საფრანგეთი, ინგლისი და შეერთებული შტატები შედიოდა. ამავე მისიით ის ხელმძღვანელობდა 1946 წლის ოქტომბერში დადებულ საერთაშორისო შეთანხმების შემუშავებას, რომელიც ლტოლვილთა ინტერესებს იცავდა. ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთ-ერთ ინსტიტუტს უძღვებოდა. ომის ბოლოს მას გაეროს ერთ-ერთი დაწესებულების დირექტორის თანამდებობა ეკავა. მას შესთავაზეს გამხდარიყო ისრაელის ახალი ერის ელჩი, მაგრამ ალბერტ კოენმა უარი თქვა, მისი მთავარი მიზანი საკუთარ შემოქმედებაზე, მწერლობაზე კონცენტრირება იყო.

გარდაიცვალა 1981 წლის 17 ოქტომბერს ჟენევაში.

ალბერ კოენის „დედაჩემი“

„ალბერ კოენის დედა ყველა დედის კრებითი სახეა, აქ ყველა ამოიცნობს რაღაცით საკუთარ დედას და ეგებ ამიტომაც არის წიგნი ძალიან მნიშვნელოვანი“.

გიორგი ლობჟანიძე

ქართველმა მკითხველმა ალბერ კოენი გაიცნო ავტობიოგრაფიული რომანით „დედაჩემი“, რომელიც პირველად 1954 წელს გამოიცა. როგორც მისი ბიოგრაფები აღნიშნავენ, ამ რომანით იწყება ალბერ კოენის შემოქმედების ავტობიოგრაფიული ნაწილი. ტკივილით, ემოციებით, განცდებით სავსე წიგნით მან პატივი მიაგო გარდაცვლილი დედის, ლუიზ ჯუდიტ კოენის ხსოვნას, ქალის, რომელიც წიგნის გამოსვლის შემდეგ ყველა დედის კრებით სახელად იქცა, ქალს, რომელშიც გაერთიანებულია ყველა ჭეშმარიტი დედის თვისებები: უსაზღვრო მზრუნველობა, სათნოება, სულის სიფაქიზე, გმირობამდე მოთმენის უნარი, უკიდეგანო სათნოება და კეთილშობილებით აღსავსე გული. ეს ის დიადი, შეუფასებელი გრძნობებია, რომელსაც ბავშვობიდან ვიღებთ დედისგან უანგაროდ.

„დედაჩემის მზერა სიმშვიდეს მგვრიდა, იმედიანად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ჩემი ბედნიერება მაშინ არ მესმოდა“.

ალბერ კოენი

სავარაუდოდ, ალბერ კოენის მიზანი არ ყოფილა მკითხველის გრძნობებზე თამაში, მას უბრალოდ სურდა საკუთარი ტკივილის ხმამაღლა ყვირილი იმგვარად, რომ მკითხველს მთელი სიცხადით შეეგრძნო, განეცადა მისი ჭრილობების სიღრმე და სიმწარე, მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ, მკითხველი თავად გახდა ისტორიის ნაწილი და იმ ტკივილებისა და ჭრილობების მოზიარე, მკითხველი თავად იქცა ალბერ კოენად და ნაწარმოების რამდენიმე გვერდის შემდეგ ალბერ კოენის ტრაგედია საკუთართან გააიგივა.

„რა იშვიათია ადამიანურობა, რა უცებ იქცა სამყარო უდაბნოდ“.

ალბერ კოენი

დიდი წიგნები დიდ ფიქრებს აღძრავენ. ალბერ კოენის „დედაჩემი“ სწორედ ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება. იგი ყველა დროში, ყველა ასაკის მკითხველს შეძრავს და ააფორიაქებს სულში ჩამწვდომი მოგონებებით და გულწრფელობით, რადგან ალბერ კოენის დედაში ყველა მკითხველი საკუთარ დედას დაინახავს. ეს არის ნაწარმოები, რომელიც ორი პერსპექტივიდან იკითხება, მათთვის, ვისაც დედა ჰყავს და აქვს შანსი სხვაგვარად განაგრძონ ცხოვრება.

„ჯერ კიდევ ცოცხალი დედების შვილებო, ნუ დაივიწყებთ, რომ ისინი მოკვდავნი არიან. ჩავთვლი, რომ ამაოდ არ დამიწერია, თუ ერთი თქვენგანი მაინც უფრო სათნო და მოსიყვარულე იქნება დედისადმი იმის შემდეგ, რაც ერთ საღამოს წაიკითხავს ამ სიმღერას დედაჩემის სიკვდილზე. ყოველდღე იყავით თბილი, გიყვარდეთ მეტად, ყოველდღე გაახარეთ დედა“.

ალბერ კოენი

მეორე, ვინც ველარაფერს შეცვლის...

„ვიგონებ, ვიგონებ და რა ბედენაა ეს მოგონება?!..“

ალბერ კოენი

კითხულობ ამ საოცარ ნაწარმოებს და გრძნობ აღმავალ ემოციას, როგორ გიჩქარდება გულისცემა და გეყინება ნელ-ნელა სისხლი, მთელი არსებით შეიგრძნობ ტკივილს და გაოგნებს ის ინტერაქცია, რასაც ყოველი მომდევნო ფრაზის წაკითხვამდე გრძნობ, ავტორთან ერთად, უდედობით შეციებული, უდიდეს ტკივილს ეზიარები. ყოველი ახალი ფრაზა განახლებული ჭრილობაა, მძაფრი ტკივილია, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვასა რომ დაგანანებს.

„მე ის ვარ ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვას შორის დედას რომ ხედავს“.

ალბერ კოენი

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ეს ნაწარმოები საფრანგეთში საპროგრამოდ ითვლება და თითქმის ყველა სახელმძღვანელოშია ნაწყვეტი ან მთლიანად ავალებენ მოსწავლეებს და სტუდენ-

ტებს მის წაკითხვას. მე მშურს ყველა ფრანგი მოსწავლის და იმ მე-11 კლასელი ბიჭის, რომლის რჩევითაც წავიკითხე წიგნი, რომელზეც წიგნმა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა, ხოლო იღბალმა დიადი საჩუქრით დააჯილდოვა და მისცა შანსი, ცოცხალ დედას გაუფრთხილდეს, იყოს კარგი შვილი, რომელიც ოდას სიცოცხლეშივე უძღვნის დედას და არა მონანული აღმსარებელი.

„დედებო, თქვენ მარწმუნებთ, რომ ღმერთი არსებობს“.
ალბერ კოენი

ალბერ კოენის „დედაჩემი“ **ელფის გამომცემლობამ** გამოსცა ასეთი ანოტაციით:

„იშვიათია ყველა დროში წარმატებული წიგნი. ალბერ კოენის „დედაჩემი“ სწორედ ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება. ეს სულში ჩამწვდომი მოგონებებია დედაზე, თითოეული ჩვენგანი იქ საკუთარ დედას დაინახავს: წმინდას, სათნოს, ამავდროულად ვაჟკაცურს, კეთილს, სიყვარულითა და სითბოთი აღსავსეს. დედის სიკვდილის გამო თვალცრემლიანი შვილები აქ ამოკითხულ საყვედურს გაითავისებენ, გაიხსენებენ რა იმ დროს, როცა გულგრილნი, უმადურნი და მიუხვედრელნი იყვნენ. სინანული და სინდისის ქენჯნა გვიან მოდის. შვილებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედა აღარ ეყოლებათ. უბრაზდებიან და მოთმინებას არ იჩენენ მის მიმართ, ამიტომაც უგუნურები ნაადრევად ისჯებიან“.

წიგნი ქართულად პირველად ითარგმნა, მთარგმნელი მარინე ჭილაშვილია, მხატვარი ნინო ლომსაძე.



გურამ ჩაგანავა

მგლის კულტის კროსკულტურული (სოციალურ-ფსიქოლოგიური) პარალელები ინდოევროპულ, თურქულ და ქართულ ცივილიზაციებში

მგლის კულტის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს (35, 242-243). აღნიშნავენ (28, 442-514), რომ ინდოევროპულ ენებში „მგელს“ გარკვეული რიტუალური როლი ენიჭებოდა. ძველი ხეთური ტრადიციის თანახმად, „მგელი“ საკრალური თვისებების განმასახიერებელია. „მგელი“ და „მგლების ხროვა“ ერთიანობასა და ყოვლისმცოდნეობასთან არის გაიგივებული. მაგალითად, მეფე ხატუსილი, როდესაც მეომრებს მიმართავს, მოუწოდებს მათ ისეთივე ერთიანობა დაიცვან, როგორიც „მგლის მოდგმას“ ახასიათებს. მგლის ტყავების ჩაცმა (ადამიანი-მგლები) ადამიანებისა და მგლების გაიგივებას უკავშირდება, რასაც მაგიურ ძალას მიაწერდნენ და განსაკუთრებული იურიდიული მდგომარეობის აღმნიშვნელიც იყო. ძველბერძნულ ტრადიციაში მკვლელობის რიტუალური ფორმის დროს ადამიანი „მგლად გადაიქცეოდა“. ასეთ მდგომარეობას შეესატყვისებოდა გერმანული ტრადიციაც, როდესაც მკვლელი „მგლად იწოდებოდა“. ძველ ხეთურ რიტუალთან პარალელებს ვპოულობთ გერმანულ ჩვეულებებში (28, 495), როდესაც შობის დღესასწაულზე მგლის ტყავში ჩაცმული მეომრების ცეკვები სრულდებოდა. საყურადღებოა, გერმანულ (და არა მხოლოდ) კულტურაში საკუთარ სახელებში ლექსემა „მგლის“ გამოყენება. მგლის სახელს უკავშირდებიან ე. წ. მაქცია-ვურდალაკები, რომლებიც ყველაფრის „მცოდნენი“ იყვნენ. მგელს ძაღლთანაც აიგივებდნენ; მაგალითად, ლატვიურში გვხვდება „ღვთის ძაღლი“, ბალკანეთის ძველ ინდოევროპულ ენებში დაფიქსირებულია „კანდავლას“-ი, მგლის ღვთიური კულტი, რომელსაც მსხვერპლად ძაღლებს სწირავდნენ.

გავრცელებული იყო სიტყვა „მგლის“ ფუძესთან დაკავშირებული ეთნონიმები და ტოპონიმები. მრავალი ხალხი და ქვეყანა „მგლის სახელით“ მოიხსენიებოდა, რაც, ალბათ, ტოტემურ წარმოშობას (28, 495) ადასტურებს. მაგალითად, ძველ იტალიაში ტომი „ლუკანი“ „მგლის“ ფუძეს უკავშირდება; ბალკანეთში „დაკების“ სახელწოდება „მგლის“ ფუძემდე დაიყვანება; საბერძნეთში და მცირე აზიაში „ლიკაონია“ მითოლოგიურ მეფე „ლიკაონასთან“ არის დაკავშირებული, რაც, აგრეთვე, სიტყვა „მგლის“ ფუძეს ასახავს; ასევე, მცირე აზიაში, ფრიგიაში ძველ დროში მცხოვრები ტომი „ორკა“,

სარმატული ტომი „ურგი“ და ძველსპარსულად ქვეყნის სახელწოდება „ჰირკანია“ მგლის სახელიდან წარმოდგება (28, 495).

ინდოევროპულ ტრადიციაში ეტიმოლოგიურად „ტურა“ და „მელია“ უკავშირდება „მგელს“. პარალელები სხვა ენებშიც დასტურდება. მაგალითად, აფხაზურში „აბგა“ (მგელი) აღნიშნავს „მელიასა“ და „ტურას“. საყურადღებოა, რომ ქართულ ხალხურ ლექსებშიც „მგელი“ და „ტურა“ ხშირად ერთმანეთის იდენტურ ცნებებად გამოიყენება. ასე რომ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქ არა მხოლოდ ამ ცხოველთა მსგავსების, საერთო წარმომავლობისა თუ საერთო ფუნქციის გამო ხდება ასეთი გაერთგვაროვნება, არამედ იმის გამო ხდება ამ სიტყვების სინონიმური განთავსება, რომ ეს რაღაც გარკვეული წესის ასახვაა, რომლის მიხედვით ქართულში სხვა ენიდან ნასესხებ სიტყვა „მგელს“ (28, 495) სჭირდებოდა განმარტება იგივე მნიშვნელობის (38, 356-357) ძველი, ქართველური ჰიპოტეზური სიტყვა „თურა“-თი, რომელიც მისი საკულტო, ტოტემური მნიშვნელობის გამო ტაბუირებული იყო (28, 495); ამიტომ მის ნაცვლად გამოიყენებოდა ფონეტიკურად მასთან ახლო მდგომი სიტყვა „ტურა“, რომელიც ამავე დროს მგელსაც მოგვაგონებდა ჟღერადობით. სხვანაირად ძნელია სიტყვა „მგლის“ გამოყენებისას პარალელურად სიტყვა „ტურა“-ს გამოყენების ახსნა. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

ავავსე დიდი მინდორი
თათრის ხოჯაის ძვალითა;
მგელს დავაცვითე კბილები,
ტურას – ლოყები ჭამითა (22, 39).
.....
სტუმართად ცუდი დიაცი
მყინვარის წვერზემც დარჩება,
ხელთ ბალღი, ზურგთ აკვანი,
ზედ ნიაღვარიმც ასტყდება!
„მიშველეთ“ იმას იძახის,
მეშველი არვინ დაჰხვდება.
აირთვენ მთისა ნიავნიმც,
სული ალ-ქაჯებს დაჰრჩება.
მყინვარის წვერზე მგელ-ტურა
იმასამც ლეშით გაძღება! (20, 51).
.....
აჩუ აჩუ, არღანჩიკო,
ფული არ მაქვს, რა გაჩუქო!
ბატონმა ცხენი მაჩუქა,
ახირებული ბახია,
ნეტამც არ ეჩუქებია,
მამალმა მგელმა გახია.
რო დავაბი პალატში,
თავი სტიკა ტალახში,
დაუყარე თივა-ქერი,
გადააჯდა ტურა-მგელი,

ვითამაშოთ შაურით,
მუზიკით და დაურით (20, 163).
.....
გიორგობისთვე რა დადგა,
სიცივეა ძაან ძნელი,
ქრისტიშობისთვე რო დადგა,
თოვლი ჩამოყარა ბევრი,
იანვარი მოწიწინებს,
როგორც შავი ყორის გველი:
„გავწყვიტე ხარი, კამეჩი,
არ გავუშვი ქურა ცხენი,
ხევები ლეშით ავავსე,
დავასუქე ტურა-მგელი (15, 194).

როგორც ზემოთ ითქვა, ზოგიერთ ინდოევროპულ დიალექტში „ძაღლი“ აღნიშნავს „მგელს“. ასეთი რამ მითოლოგიაშიც შეინიშნება. მაგალითად, გერმანულ „ოდინა-ვოტანის“ ორი წმინდა ცხოველი (მგელი) ძაღლებად იწოდება. მეომრები აღინიშნებიან როგორც „მგლები“ და „ძაღლები“. ადამიანის „მგლად“ გარდაქმნის პარალელურად მიუთითებენ ადამიანის ძაღლად გარდაქმნაზე. ინდოევროპული მითოლოგია მგელს მითოლოგიურ ძაღლს უახლოებს (35, 242-243).

ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა საქართველოშიც. ვ. ბარდაველიძე წერს, რომ სვანების რწმენით, ზოგიერთ მათ ღვთაებას ჰყავდა თავისი მგლები და ამ მგლებს მათი შინაური სახეობის, ანუ ძაღლის სახელს უწოდებდნენ (ჟეღ). მაგალითად, მგლები ჰყავდა „დიდ ღმერთს“ და ისინი „დიდი ღმერთის ძაღლებად“ იწოდებოდნენ (2, 153). ხევსურული ღვთაებების ძაღლებს „მწევარნი“ ერქვათ, ე. ი. შეწევნის, შემწეობის მომცემნი (2, 153). ე. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. „ჩემო ყურშაოს“ ციკლი ფოლკლორში (3, 65-73), რაც, აგრეთვე, მგლისა და ძაღლის იდენტიფიკაციისა და საბოლოოდ მგლის კულტის გამოხატულების შედეგი უნდა იყოს.

მგლისა და მგელ-ძაღლის კულტი ძველ საქართველოში კარგად ჩანს სამეცნიერო მასალებიდანაც (1, 31-36; 26, 35-102; 4, 17; 31, 82-90; 25, 42-48 და სხვა).

რუსეთში მგლის კულტი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მგლებისაგან ძროხების ჯოგის დასაცავად, წინ მიმავალ ძროხას ტომარას ჩამოკიდებდნენ, ხოლო რუხი მგლებისაგან ცხენების რემის დასაცავად მათ შემოატარებდნენ ბოქლომს, რაც სიმბოლურად რუხი მგლების ხახის ჩაკეტვას ნიშნავდა (37, 234).

ქართული ფოლკლორის ნაწილი ნადირის პირის შესაკრავ შელოცვებს ეძღვნება და ხშირად ისინი მგლის პირის შეკვრას ითვალისწინებენ. მოგვყავს ერთ-ერთი ასეთი შელოცვა:

სახელო, სახელითა მამითა ძითა, სულითა წმინდითა,
შაულოცამ მგლისას, ნადირისას,
ერთო ღმერთო, ჩამოყარე
ცხრა კლიტური რკინისაო!
შენ შაკარ და შტაბეჭდე
პირი მგლისა, ხელი მეკობრისა!

შენ მიე ყური ბანდისა,
თვალი ფისისა,
კბილი გაზმი სანთლისა,
ენა ნაბდისა.
ლოცვა ჩემი, რგება ღვთისა! (13, 235).

საფრანგეთში, გერმანიაში და სლავურ ქვეყნებშიც მგელი და ძაღლი განასახიერებდნენ პურეულის სულს. აქაც მგლის კულტთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგალითად, სილეზიაში ხორბლის უკანასკნელი ძნის შემკვრელს „ხორბლის ძაღლს“ უწოდებდნენ. მგლის კულტი დასტურდება, აგრეთვე, თურქულ ენობრივ სამყაროში (30, 24-25; 29, 483 -500). კანონზომიერია, ვილაპარაკოთ ქართველურ-თურქულ პარალელებზე ამ უძველესი კულტის გააზრების საკითხში.

მგლის კულტი ქართველურ ცივილიზაციაში ცხადად არის წარმოდგენილი. „მგლის ნიღბიანი“ ადამიანები ქართველური კულტურის სახვითი ხელოვნების მნიშვნელოვანი მოტივია. „მგლის“ კულტის ნაკვალევი განსაკუთრებით კარგად ჩანს სვანურ ტრადიციაში, სადაც „მგელი“, ძველი ინდოევროპული რწმენა-წარმოდგენის მსგავსად, გარკვეული სოციალური ორგანიზაციის სიმბოლოდ გვევლინება, ხოლო სვანური დროშა „ლემი“ კი „მგლის“ კულტთან არის დაკავშირებული (2, 141-156.)

„მგლის“ კულტის ასახვასთან უნდა გვქონდეს საქმე ვახტანგ მეფის ზედწოდებაში „გორგასალი“, რაც სპარსულად „მგლის თავს“ ნიშნავს, ხოლო თვითონ სახელი „ვახტანგი“ კი – „მგლის სხეულის მქონეს“. თვით ძველი იბერიის სახელწოდებაც „ჰირკანია“ „მგლის“ სახელს უკავშირდება. როგორც ჩანს, ადრინდელი ზოგადქართველური „მგლის“ აღმნიშვნელი სიტყვა ტაბუირებული იქნა ქართველურ ცივილიზაციაში და ამიტომ ამჟამინდელი ქართული „მგელი“ და მეგრული „გერი“ სომხურიდან ნასესხები ჩანს, ხოლო სვანურში შესატყვისი სიტყვა ბერძნულიდან უნდა იყოს შეთვისებული (28, 496).

ინდოევროპული ტრადიცია რომაელების წარმოშობას უკავშირებს მგელს, რომელმაც გამოკვება ძმები **რემი და რომული**. აქ სავსებით კანონზომიერია, ვივარაუდოთ ძველ რომში მგლის კულტის არსებობა. ასეთი ინდოევროპული ტრადიცია სავსებით შეესატყვისება ძველ თურქულ ტრადიციას, რომლის შესაბამისად თურქების წარმოშობა მითოლოგიურად აგრეთვე უკავშირდება მგელს, სახელდობრ – ჰუნების მეფისწულისა და მგლის ქორწინებას (30, 24-25). ისტორიული წყაროები (30, 10-30) ადასტურებენ, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში ცხოვრობდა **აშინა**-ს ტომი, რომელიც 500 ოჯახისაგან შედგებოდა. ჩინელები **აშინა**-ს ხანის ქვეშევრდომებს **ტუ-კიო-**ს უწოდებდნენ. ამ სიტყვას განმარტავენ, როგორც **თურქ+იუტ**, ე. ი. „თურქები“, მაგრამ მრავლობითი რიცხვის მონღოლური და არა თურქული სუფიქსით. თვითონ სიტყვა **თურქ** ნიშნავს „ძლიერს“, „მაგარს“. ეს კრებითი სიტყვა შემდგომში სატომო გაერთიანების ეთნიკურ სახელწოდებად გარდაიქმნა. სიტყვა **აშინა** მონღოლური წარმოშობის უნდა იყოს, რადგან ამ ენაზე მგელი **შონო/ჩინო-**ა, ხოლო პრეფიქსი **„ა“** პატივისცემის აღმნიშვნელი პრეფიქსია ჩინურში. ამრიგად, **აშინა** „კეთილშობილურ მგელს“ ნიშნავს (30, 24-25). ცნობილია, რომ თურქულად „მგელი“ აღინიშნება სიტყვებით **ბური** ან **კასკირ**-ი (30, 24-25) (**კურტ-ი**). ჩინელი ავტორები თვლიდნენ, რომ „თურქი ხანი“-სა და „მგლის“ ცნებები სინონიმებია. დედოფალი საკუთარი ქმრის შესახებ ამბობს – „ხანი მისი თვისებებით მგელია“ (30, 26), ხოლო თურქებზე შეტევის ინსტრუქციაში ნათქვამია: „უნდა დევნოთ მომთაბარეები და თავს უნდა დაესხათ მგლებს“. ამ შემთხვევაში საინტერესოა ქვემოთ მოხმობილი ქართული ხალხური ლექსი, სადაც ადამიანი საკუთარ თავს მგელთან აიგივებს:

ერთი მგელი გავიზარდე,
ვიყავ ნადირობის თვალი (20, 152).

მგლის ოქროს თავი გამოსახული იყო ძველი თურქების დროშებზე (30, 26). აქ პარალელების თვალსაზრისით საყურადღებოა ის, რომ სვანური ლემის დროშაზე სინამდვილეში ლომი კი არა, მგელია გამოსახული. გ. ჩიტაია წერდა, რომ ტოტემური ცხოველებიდან საქართველოში, კერძოდ კი სვანეთში, მგელია დადასტურებული. მგელს ზებუნებრივი ფიზიკური და მაგიური ძალა მიეწერებოდა. მისი მოკვლა ტაბუირებული იყო. მოკვლის შემთხვევაში, სვანური ჩვეულების თანახმად, მონადირე ებოდიშებოდა მოკლულ მგელს, რომ შემთხვევით მოუხდა ეს ამბავი, თორემ მას ისევე არ გაიმეტებდა სასიკვდილოდ, როგორც საკუთარ ძმას. მგლის ტოტემიდან მომდინარეობს სვანური დროშა – **ლემ**-ი. მგლის ტოტემთანაა დაკავშირებული მრავალრიცხოვანი უქმეები და დღესასწაულები: მგელთუქმე, მგელთკვერაობა, სვანური „ლითხრი“ და სხვა. ამ დროს სრულდებოდა მაგიური ქმედებები, ლოცვა და შელოცვები, ცხვებოდა რიტუალური კვერები და სხვა (24, 222). მგლის კულტისადმი მიძღვნილ თამაშებს თურქულ სამყაროში ადასტურებს ვ. გორდლევსკი (29, 144). ორი თურქული ლეგენდა თურქების წარმოშობას მგლის მიერ შობილ შვილებს უკავშირებს (30, 26). ლ. გუმილევი თვლის, რომ **აშინა**-ს სახელწოდებით ცნობილი ტომი პირველად მონღოლურად საუბრობდა და მხოლოდ მოგვიანებით, თურქულენოვან სამყაროში მოხვედრის შემდეგ, მოხდა მისი ასიმილაცია (30, 26), თუმცა, **მგლის** კულტისადმი თაყვანისცემა შენარჩუნებული იყო. მნიშვნელოვანია, რომ არსებობს მრავალი ვერსია თურქების ეთნონიმის თურქული ენისა და, აგრეთვე, ინდოევროპული ენების საფუძველზე ასახსნელად (39), მაგრამ ყველა ასეთი ვერსია ნაკლებ სანდოა. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, თურქების ეთნონიმის ასახსნელად ახალი ვერსიებისა და ჰიპოთეზების შემუშავება.

ქართულმა ფოლკლორმა არ შემოგვინახა ისეთი ლეგენდა თუ მითი, რომლის მიხედვით შეგვეძლო ქართველთა მითოლოგიური წარმოშობა მგელთან ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ ზოგიერთი სიუჟეტის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ ასეთი ლეგენდის არსებობა.

გავიხსენოთ, ყველასათვის ცნობილი ხალხური ლექსი:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი (16, 81).

ამ ლექსიდან კარგად ჩანს, რომ შურისმაძიებელი „ლეკვები“, რომლებიც, რა თქმა უნდა, ქართველი ვაჟკაცების ტოლფასი ცნებებია, მგლის ნაშობნი არიან და ამ თვალსაზრისით კანონზომიერად უნდა დავასკვნათ, რომ ქართველთა მითოლოგიური წინაპარი, ისევე, როგორც ინდოევროპულ და თურქულ მითოლოგიაში დასტურდება, მგელი უნდა ყოფილიყო.

ზემოთ მოყვანილი ლექსი ერთადერთი რომ ყოფილიყო, მაშინ ეჭვი შეგვეპარებოდა ჩვენს ვარაუდში, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართული ფოლკლორი ინახავს მრავალ ანალოგიურ სიუჟეტს. მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი:

ცოლს-შვილს ნუ სჯავრობ, ყაჩაღო,
ორ ლეკვ გასწირე მგლისაო.
ორივაც ღმერთმა გაზარდას!
ჯავრი არ სჭამან მტრისაო (22, 170).

.....
დამალაჴვივა ქისტეთი,
მემრ მამკლა, დამასვენაო!
ნუ ასჩქარდები, წვრილაო,
ხან არ გასულა ბევრაო.
შურის საძებრად მგლის ლეკვთა
საველოდ უდგას ღრენაო (22, 199).
.....
გახედე ჩობოლაურთასა,
გაპტყელებულსა ცასავითა,
შიგ ნადგომ შენ ძმას მარტიასა,
გაბუსანებულს მთასავითა.
ბერო ბეჯიავ, რას უდგახარ?
დგახარ უსტოვოს ხესავითა,
გადაიქცევი და ხმა არ გაქვ
ამ შენს ძმას მარტიასავითა.
რას ტირი ჯალაბურთ ქალო, –
მგელს ლეკვნი კიდევ მორჩომნიან
დაიზრდებიან მგლის ლეკვები,
მამის ნადგომზე დადგებიან (18, 83).
.....
შურის საძებრად მიდიან,
ჯავრნი ჰქონ ბუსურბნისანი,
შონით ჰყავ სახლის კაცები,
მსწავლენ არ უნდან გზისანი.
ბებერმ ფარმ გადაიარა,
გადიყოლნ ლეკვნი მგლისანი“ (17, 56).
.....
რა გიხარიან, ძაღლებო,
ლეკვნ იქავ მარჩეს მგლისაო,
ა იმავ მამის შვილნია,
არ შეგარჩენენ ჭირსაო (17, 85).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ისევე, როგორც თავის დროზე მგლის დასახელება სვანურ დროშაზე შეიცვალა ლომის დასახელებით, ასევეა ქვემოთ წარმოდგენილ სიუჟეტში. მოგვყავს ტექსტი:

ის უუბნია დუშმანსა:
„აღარ არიან წახდესო“,
ის კი აღარვის უთქომის,
თუ ლომს ლეკვები დაჰრჩესო,
აისხეს იარაღები,
სამტეროს გზაზე შადგესო,

ისევ მოიდენ ცოცხალნი,
მამის კერაზე დასხდესო (16, 82).

აქ უეჭველი პარალელი გვაქვს ძველ ინდოევროპულ ტრადიციასთან, სადაც მეომრები მგლებთან არიან გაიგივებულნი (28, 495-496). ქართული ფოლკლორი გვიდასტურებს, რომ მთლიანად სამხედრო ორგანიზაცია, ერთობა „მგლის“ კულტს უკავშირდებოდა. ეს მოტივი კარგად ჩანს ხალხურ ლექსში „ჰევსურები აწყურთან“.

სანეს ჴევსურებ იყრების,
უფროსებ თემ-თემისაო:
„წასვლა გვი, არ გვეშველების,
არ წასვლა არ იქნებისა?
არაგვი ჩამაამტვრიეს,
ქავ აღარ დაუდგებისა.
ლელ-უბან გადმოდიოდეს,
ელვა დგა ჩაჩქნებისაო;
კუკიას ჩამადიოდეს,
ჭექა მახქონდა ცისაო;
ქალაქს მიუვა ბატონსა
ჯოგი ლეგისა მგლისაო. (22, 51)

საყურადღებოა, რომ მეომრები რუხ (ლეგა) მგლებთან არიან გაიგივებულნი, რაც სლავურ და თურქულ ტრადიციებში პოულობს ანალოგიებს. მიიჩნევენ, რომ რუსულ ფოლკლორში „რუხი მგლის“ ფრაზეოლოგიზმი თურქული სამყაროსაგან უნდა იყოს ნასესხები (29, 483-500). სლავურ მითოლოგიაში **„Волкодлак“, „Волколак“ –** ადამიანი-მაქცია ხასიათდება ზებუნებრივი შესაძლებლობით გადაიქცეს მგლად. ითვლებოდა, რომ გრძნეულებს შეეძლოთ საქორწილო მსვლელობათა წევრების მგლებად გადაქცევა. ასეთი არქაული წარმოდგენები დასტურდება, აგრეთვე, სხვა ინდოევროპულ კულტურებში, მაგალითად – ხეთურში. საქმროს მგლად „გადაქცევა“ დაკავშირებული იყო საცოლის გატაცებასთან. ზოგ რუსულ დიალექტში „ხელისმომკიდე“ სიძის მხრიდან აღინიშნება სიტყვა მგლით – **„Волк“** (35, 242-243).

სიტყვა **„ლეგა“** არსებობს ბაცბურში (წოვა-თუშურში) (7, 84) და ამრიგად ტერმინი **ლეგა,** ალბათ, ვაინახურ ენობრივ სამყაროშიც ნახულობს პარალელებს. **ლეგა მგლის** გამოთქმა გვაქვს ქართულ ხალხურ ლექსში „სჩივიან თუშის შვილები“.

მამადიმ შაისშვილმა
ყმაწვილმ დასცადა თავიო,
ამხანაგთ ეუბნებოდა:
„ფერ ვიდოთ ლეგა მგლისაო,
სასაცილოთაც გვიგდებენ
ჩაღმ-გომეწრელთა ყმანიო“ (16, 160).

სიტყვა **„ლეგა**“ ქართველ მთიელებში ადამიანის სახელადაც გამოიყენება, რაც უთუოდ ამ სიტყვის დაფარულ მითოლოგიურ მნიშვნელობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მოგვყავს მაგალითები:

ლეგასა და ქიტესასა
არ ამბობენ ქრისტიანსა“ (21, 82).
.....
მიგრაულ ლეგას მოვკლავ,
წოწკურაულს მოკლიასა (21, 88).

მნიშვნელოვანია, რომ მეომრული სულისკვეთება პრინციპების შენარჩუნებასთან, დაუმორჩილებლობასთან, უდრეკელობასთან, პიროვნულ სიმტკიცესთან, ზეგავლენის მიუღებლობასთან არის დაკავშირებული, რაც მეომრის, ისევე როგორც მგლისა და არწივის, დამოუკიდებლობაში გამოიხატება. ასეთი იდენტიფიკაცია თვალსაჩინოდ ჩანს შემდეგ ხალხურ ლექსში:

კაი ყმა, მგელი, არწივი,
არც ერთ არ გაიწურთნება;
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა-მამაცობასა,
არწივი-არწივობასა,
მთის ყურეს ნადირობასა.
მგელი გაივლის მთაზედა,
ნამგაბერტყილი დარჩება.
დაიხუილებს არწივი,
მთით ბარად ჩამოვარდება,
დაიჭერს შუნის თიკანსა,
ხორცი ძველადვე დარჩება (19, 21; 16, 94).

ისევე, როგორც ინდოევროპულ ტრადიციაში, „მგელთან“ არის დაკავშირებული მრავალი ქართული გვარი („მგელაძე“, „გელაძე“, „გელავა“) და სახელი (მგელიკა). იგივეს ადასტურებს ფოლკლორიც:

აკუშოს მგელაის შვილნო,
დედა ვაცხოვნე თქვენიო (22, 82).
.....
აბეჩავ, მგელიკას შვილო,
მუჴლნ შენაც გქონდენ მგლისანი (17, 56).
ჴმალს ნუ სტეხ მგელათ სუმბატავ,
ნაცად არ გეკარგებისა,
ბაბუა მგელაიშვილი (17, 250).

ქართულ კულტურაში მეომრული სულისკვეთება მგლებთან გაიგივებით აღინიშნება. „მგელი“ ძლიერ, ენერგიულ, შემტევ, დაუნდობელ არსებად მიიჩნევა, რაც კარგად ჩანს შემდეგი ხალხური ლექსებიდან:

ბატონო, ოღომც ნუ მომკლავ,
თათრებს გავჟლეტ მგელივითა,

ძილს გავუფრთხობ, შევეჭრები,
კუდს მოუქნევ მელივითა (22, 58).
.....
ომობენ კავკასიელნი,
მთა და ბარს შეზდვეს ზარია,
მტერს მიხყვებიან კვალზედა,
მკვდარზე შეყარეს მკვდარია,
უკენ არ იწევს ლაშქარი,
ქართველთ ვაჟების ჯარია,
გვერდს უდგან მთისა არწივნი,
ვეფხვივით მეომარნია,
მგელივით ეტანებიან,
შტიკებს გააქვის ჩქამია (22, 185).
.....
მგელივით ველზე გასულსა
მიძევს რაზმელთა ჯარები,
მიაც ასნაირ ხერხითა
ასნაირ დავემალები.
ხელთ და თვალთშუა უძვრები,
რჩებიან ხახამშრალები.
ვერ დაიჭერენ ხევსურსა
დამჭერებ თქვენისთანები! (19, 121).

ადამიანის თავდაუჭერლობა, თავაწყვეტილობა იგივდება, აგრეთვე, მგლის ქცევასთან:

ამ დროს გურიელი,
მებრძოლ მუშებს დაერია,
ყველას კბენდა როგორც მგელი.
ბევრსა სცემა, ბევრი მოკლა,
მიმოფანტა მშრომელთ კრება (22, 136).

მგლის უშრეტი ენერგიულობა, დაუღლელობა არა მხოლოდ მებრძოლურ სულისკვეთებაში გამოიხატება, არამედ, აგრეთვე განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობაში:

...დავლოცოთ ყველას მარჯვენა
ვინც შრომაშია მგელია,
დავგმოთ, დავძრახოდ ისინი,
ვინც ჩვენი შრომის მტერია (23, 206).

აგრესიულობა, დაჟინებულობის უძლიერესი ტენდენცია, რომელიც უმარტივეს, საწყის, დაუხვეწელ, „ბუნებრივ“ მამაკაცურ მიდრეკილება-თვისებას შეესატყვისება, ხშირად გამოიხატება ადამიანის მგელთან შედარებით. მოგვყავს შესაფერისი მაგალითები:

ეხვეწება მურღაშვილი
– დამპატიჯე ხინკალზედა!
– არა, დავით გენაცვალოს,
თავადა ვარ იშტაზედა,
ბასილი და მურღაშვილი,
გიყურებენ მგლის თვალზედა,
თუ სად გაგიმარტოხელეს,
შაგაჭრიან ხმლის ფხაზედა (23, 207).

მგლისმაგვარი ბრძოლისუნარიანობა ქართულ ფოლკლორში ხშირად **მგლის ფერის** მიღებასთან არის დაკავშირებული:

მაშინ გულს ხკითხა ოშკაცმა;
დღე გამითენდა ცდისაო".
ჴელი დაიკრა ხანჯარსა,
ფერი დაიდვა მგლისაო (22, 172).
.....
ორ-სამ უნცროსიც მინდაო,
აიკრა ჴელი ხანჯარზედ,
ფერი დაიდვა მგლისაო,
უნადრიკს ჩამოუქნივა,
ნათოს ჩამოდის მჴრისაო (22, 170).

მეომრის, ვაჟკაცის ამტანიანობა, გამძლეობა ქართულ ხალხურ პოეზიაში არცთუ იშვიათად მგლის გამძლეობასთან არის გაიგივებული, რაც ისეთი ფრაზეოლოგიზმით გამოიხატება, როგორიცაა **მგლის მუხლი**:

ამანდით გამაბრუნვილმა
მუჴლი მაიბა მგლისაო (22, 197).

როგორც ჩანს, **მგლის მუხლი** გაიგვებულია მგლის აქტიურობასთან, შეუდრეკელობასთან, გამბედაობასთან, სიყოჩაღესთან, უკიდურესად რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნის შესაძლებლობასთან. **მგლის მუხლის** ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ქვემოთ მოყვანილი ბრწყინვალე ლექსითაც დასტურდება.

ჩაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
თან ჩაგვიყოლე სწორები,
ვისაც თავი აქვს ცდისაო.
შიში არ არის მტრისაგან,
ლოცვაა სამებისაო,
ნუ ეხუმრებით მინდიას,

მთების არწივის შვილსაო.
კაცია – გულად მამაცი,
ქვასაც კი ხელით სთლისაო.
გულად მამაცსა ვაჟკაცსა
ვერვინ დასწამებს ცილსაო,
მტერს დაუხვდება მამაცად,
გულს მისცემს ამხანაგსაო.
ჩაგვიძეღ! ჩავყვეთ ყველანი
ასეთ გულითად მგზავრსაო (17, 32).

საბრძოლო განწყობილების გამომხატველია სიქველე, მოხერხებულობა, სიმამაცე, მეომრული შემართება, რომელიც ქართულ პოეტურ ფოლკლორში მგლისათვის დამახასიათებელ ქცევასთან არის გაიგივებული:

ვინამც სთქვა, ენამც გაჰხმება
„წოწრეს პაპაი ბერია“,
ბერია, არცრა ბერია,
სიახლე, ხელთა სჭერია,
ცხენზე შეჯდება – ქორსა ჰგავ,
დაუქვეითებს – მგელია“ (16, 92).

გამოთქმა „მშიერი მგელი“ მჭრელ, გალესილ ხმალთან იგივდება:

„მთიულო, მთაში გაზრდილო,
ხმალს როდის მოგიშავდება;

ანდა:

ხმალი მშიერი მგელია (16, 67).

მგლის ქცევა პრინციპულობასა და გაუტეხლობას აღნიშნავს, რაც შეესაბამება ინდოევროპულ ტრადიციას. ამ მოსაზრების დასადასტურებლად მოგვყავს კიდევ ერთი ბრწყინვალე ქართული ხალხური ლექსი:

არცარას მოჯაბრეს ვაძლევ,
ვერცარას მტერი მრჩების,
ძველთაგან მოდის თქმულება;
მგელი არ იცარცვების:”
რაც არა სცვავ ტანზედა,
არც-არა გაეხდებისა (23, 127).

მგელი სიჯანსაღესთან, სიმწიფესთან, ენერგიით სისავსესთან გაიგივდება:

ჩემს წაწალს რამ რა ჩაუხსნა
წითელ თვალნი მგელივითა (23, 174).

საყურადღებოა მგლის კულტის ასახვა მეტყველებაში. მაგალითად, მეგრულში დადასტურებულია „ბა“ პრეფიქსიანი სიტყვა – „ბა-თურ-ა“ (ბათურას) – ძაღლის მსუქან ლეკვს, თამაშის მოყვარულს, გადატანით მსუქანს, ბუთხუზას (ბავშვი) ნიშნავს (8, 213).

ამავე დროს გვხვდება „ბა“ პრეფიქსის გარეშე სიტყვა–თურ-ი (თურს), რაც მოგვარეს, სისხლით ნათესავს, ტომის, მოდგმის წარმომადგენელს აღნიშნავს (9, 67). ლაზურში „თირი“ (მთირი) – სიმამრია, ხოლო „მთირე“ – დედამთილი, „დამთირე“ – სიდედრი. (33, 138-167).

ამრიგად, სიტყვები „ბათურა“ და „თური“ არა მხოლოდ ფონეტიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ ეტიმოლოგიურადაც. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ შემდეგ ჰიპოთეზას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძველი ინდოევროპული ტრადიცია და მითოლოგია ხშირად აიგივებს ადამიანებსა და ძაღლებს. მგლისა და ძაღლის ერთ ხატში გაერთიანება არც ძველი ქართველური ტრადიციისათვის იყო უცხო. მაგალითად, სვანური რწმენა-წარმოდგენით ძაღლები და მგლები ღმერთების „ძაღლ-მგლებთან“ იგივდებიან (2, 15-153). შესაძლებელია, რომ „მგლის“ აღმნიშვნელმა სიტყვამ ქართველურში ტაბუირება იმიტომ განიცადა, რომ ტოტემურ ცხოველთან დაკავშირებული ნათესაობის აღნიშვნა უნდა შეცვლილიყო უბრალოდ ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვით, რისი განხორციელებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ტოტემური **მგლის** სახელწოდება (ამ შემთხვევაში ჩვენი ვარაუდით **„თური“ – თირი**) შეიცვლებოდა. ქართველურ ენებში კი ამჟამად ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებში შემორჩენილი „მგლის“ აღმნიშვნელი უძველესი, პირვანდელი ფუძე – **„თურ“-ი, „თირი“** ასახულია შემდეგ სიტყვებში: მეგრული – „თურ-ი“ – მოგვარე, **„ბა-თურ-ა“ –** ძაღლის მსუქანი ლეკვი, „**მუა-ნ-თილ-ი**“ (**მუა-ნ-თირ-ი**) – მამამთილი, სიმამრი, ლაზური – „**მ-თირ-ი**“ – მამამთილი, სამამრი, ქართულში – „**მამა-მ-თილ-ი**“. ლაზურში პირველად ნ.მარის მიერ დადასტურებული „**ანდერი“**, რომელიც ოხერს, უპატრონოს ნიშნავს (33, 126), ლაზურის განმარტებით ლექსიკონში **„ანტერი**“-ს სახით არის წარმოდგენილი (40, .3). მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა **„ანტერი**“ აბსოლუტურად იგივე მნიშვნელობით დადასტურებულია აჭარულ დიალექტში (6, 89) და ის ლაზურიდან ნასესხები უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვაც მგლის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან აქაც გამოიყოფა ჰიპოთეზურად მგლის ქართველური სახელწოდების პირვანდელი ფორმანტი **„ტერ“ (თერ),** რაც „**თურ“–„თირ**“-ის ვარიანტებად გვაქვს წარმოდგენილი. შეიძლება, **„ანტერი“** უკავშირდება მითოლოგიურ ღვთაება (მგლის კულტის ამსახველ) **„ანთარ**“-ს. სავარაუდოდ, იმის შემდეგ, როდესაც ქართველურ კულტურაში მგლის კულტმა დაკარგა თავისი ღირებულება, ზოგიერთმა მასთან დაკავშირებულმა სიტყვამ, მაგალითად, **„ანტერმა“** უარყოფითი ელფერი შეიძინა. „მგლის“ ძველ სახელწოდებას უნდა უკავშირდებოდეს სიტყვა **„ტურ-ა“**ც (ლაზურად **„თურა”**), როგორც ეს არის ინდოევროპულ ტრადიციაში (28, 513).

საყურადღებოა, რომ „შუამთობის“ ხალხური დღესასწაულის ერთ-ერთ მონაწილეს „**მემთევრი“** ეწოდებოდა. ხომ არ არის ეს სიტყვა მეგრულ-ლაზურ **„თურ“-**თან (სისხლით ნათესავი) და აქედან მგლის კულტთან და მგლის ტოტემთან დაკავშირებული? რ. მალაყმაძის მოსაზრებით, შუამთობის დღესასწაულზე დამკვიდრებული წესით ხდებოდა საპატარძლოს ან ახალმოყვანილი რძლის მიპატიჟება –გადაპატიჟება ნათესავებს შორის (11, 125). ასეთი ტრადიცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის მითოლოგიურად შეუღლების ტრადიციის ანარეკლი უნდა იყოს, ხოლო ასეთი ჩვეულება შეიძლება დაკავშირებული იყოს წინასწარ დანიშვნასთან, „დანახვასთან“, მოტაცებასთან და ასე შემდეგ. მაგრამ თუ ჩვენ მგლის კულტს დავუკავშირებთ შუამთობის დღესასწაულს, მაშინ „მგლის

ქცევასთან“ უფრო შესატყვისი **„მოტაცება“** იქნება. ზ. თანდილავა წერს, რომ „ყველგან, სადაც შუამთობა იციან, მტკიცედაა დაცული ამ დღესასწაულზე საპატარძლოს ან ახალმოყვანილი რძლის მიპატიჟების წესი... გასამგზავრებლად დათქმულ დღეს სასიძოს ოჯახი საპატარძლოს ოჯახს მიჰგვრიდა მოკაზმულ ცხენებს... ცხენებს მოჰგვრიდა მაზლი ან, უკეთეს შემთხვევაში, სამამამთილო... სასიძოს მხარე ვალდებული იყო, საპატარძლო და მისი ნათესავ-ახლობლები წაეყვანა იმ იაილამდე, სადაც თავისიანები იმყოფებოდნენ... შუამთობის დღესასწაულზე საპატარძლოს მიპატიჟება–წაყვანის ძირითადი მომენტები, – დედოფლისა და მხლებლებისათვის ცხენების მიგვრა, მამამთილის თუ მაზლის გაძღოლა ქვეითად, – საქორწილო ჩვეულებას ემსგავსება და, ერთი შეხედვით, შეიძლება, იგი ქორწილის ინსცენირებად მივიჩნიოთ, მაგრამ თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალები ამის მტკიცებისათვის საკმარისი არ არის. მთქმელ-ინფორმატორები დაბეჯითებით მიუთითებენ, რომ შუამთობაზე ქორწილი არ ტარდებოდა“ (5, 20). აქ საყურადღებოა ზ. თანდილავას მოსაზრება, რომ შუამთობაზე ქორწილის ინსცენირებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შუამთობის დღესასწაულზე იმიტომაც არ ტარდებოდა ქორწილი, რომ ის ქორწილის ინსცენირება კი არა, არამედ **პატარძლის მოტაცების იმიტაცია-ინსცენირება** უნდა ყოფილიყო. პატარძლის მოტაცება კი სავსებით შეესატყვისება მგლის კულტის მითოლოგიურ ფუნქციებს და, როგორც ზემოთ აღინიშნა, კარგად არის დადასტურებული ინდოევროპულ ტრადიციაში.

ვს. მილერის ცნობით, **„თუთირი“ –** „მგელთა მფარველი და მბრძანებელი სულის სახელია“ (12, გვ. 121). აღნიშნავენ, რომ ოსების მრავალი ღვთაება დაკავშირებულია მეცხოველეობასთან და მონადირეობასთან. **„თუთირ“**-ს თხოვდნენ ოსები საკუთარი ჯოგების დაცვას მგლებისაგან. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი მზადდებოდა „**თუთირი**“-ს დღესასწაულისათვის, რომელიც დიდმარხვის პირველ კვირაში ტარდებოდა და რომელიც მგლების მფარველად იყო წარმოდგენილი. სათესლე მასალა აგრეთვე ამ პერიოდში შეირჩეოდა, რაც ამ დღესასწაულს აგრარულ კულტთან აკავშირებს (36, 333). ამ ღვთაებასთან ფონეტიკურად ახლო მდგომი ქართველური ღვთაება **„ანატორი**“-ს შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ივ. ჯავახიშვილი. ის წერს, რომ ხევსურები თაყვანსა სცემენ ერთ ღვთაებას, რომელსაც **„ანატორი“** ჰქვია. არ არსებობს რაიმე ცნობა ამ ღვთაების ფუნქციების შესახებ ხევსურეთში. ამის გამორკვევისათვის საყურადღებოა ერთი ჩვეულება, რომელიც შენახულია სამეგრელოში. დიდმარხვის წინა დღეს მეგრელები იხსენებდნენ ხოლმე ერთ ღვთაებას, რომელსაც **„ჟინი ანთარი“**, ზენა ანთარი ეწოდება. დილაადრიან სიმინდის ფქვილის ნაფუვარს დიდ ოთხკუთხ კვერს ამზადებენ და ვახშამად კერაზე აცხობენ, რომელსაც სახლის უფროსი მერმე რამდენიმე ოთხკუთხ ნაჭრად ჰყოფს და თანაც შემდეგ ლოცვას წარმოთქვამს ხოლმე: „ჟინი ანთარი, პატენი გომორძგვილი! ჩქიმი სი ამიშინი“ და სხვას. ესე იგი „ზენა (ზეციური) ანთარო, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი (საუნჯე) შენ მომიშენე“-ო და სხვას. ვინც ამ მოვალეობას პირნათლად აასრულებს, იმას სწამდა, რომ მისი საქონელი და ყანები ზარალისაგან უზრუნველყოფილია ერთი წლის განმავლობაში.

ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ მეგრული **„ანთარი“** და ხევსურების **„ანატორი“** ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. ამ ღვთაების სახელი შენახულია აფხაზურშიც, რომელიც გვხვდება **„აჲთარ“-**ის სახით. აფხაზების მითოლოგიაში ამ საქონლის ზედამხედველს პირველი ადგილი უჭირავს. **„აჲთარ“-ი** შეიძლება წარმომდგარიყო „**ანთარი“-**საგან თვით მეგრულ ნიადაგზედაც, სადაც **„ნ“** ჯერ **„ლ“-**დ ქცეულა, ხოლო შემდეგ **„ლ“-**ასი **„ჲ“**-დ გარდაიქმნა. სიტყვა **„აჲთარ“-**ი შინაური საქონლისა და მოსახლეობის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა. სწორად მას ევედრებოდა ყოველი, რომელსაც უნდოდა, რომ მისი საქონელი გამრავლებულიყო, და ნადირს არ გაეფუჭებინა. აქედან ჩანს, რომ **„ანთარ“-**საც სწორედ ამგვარი ვედრებით შეჰღაღადებს მეგრელი მეურნე, როცა უნდა, მოუშენდეს

და გაუმრავლდეს საქონელი. ამ ღვთაების უძველეს და სრულ სახელად ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია **„ანატორი“,** რომელიც აგებულების მიხედვით რთული, ორნაწილედი, სიტყვა უნდა იყოს და შედგებოდეს **„ანა“** და **„ტორ“-**საგან (27, 122-124). მეგრულ-ქართული ლექსიკონი ასე განმარტავს სიტყვა **„ანთარ“-**ს: **„ანთარ-ი (ანთარს)** კოლხურ მითოსში მეცხოველეობის მთავარი ღმერთი (8, 187). იგივე ლექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს **„ჟინი ანთარ**“ –ზეციური ანთარი, – საქონლის მფარველი ღვთაება (9, 500).

ვფიქრობთ, რომ აქ მგლის კულტის ამსახველ ღვთაებასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან, უპირველეს ყოვლისა, შინაურ ცხოველს ზუსტად მგლები აყენებდნენ უდიდეს ზიანს და ამიტომ ადამიანებისადმი მგლის დადებითად განწყობისათვის, ბუნებრივია, საჭირო იყო მგლის „გულის მოგება“, მისი სიამოვნება. ცნობილია, რომ, „სვანების რწმენით, მგლებს ჰქონდათ ადამიანის სასიკეთო მაგიური თვისებები; საერთოდ მგლები ყოველნაირად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ ადამიანებს. სწორად ამით ხსნიდნენ სვანები, რომ მგლის კბილის ავგაროზი მავნე სულებისა და ავი თვალისაგან ფარავდა, ხოლო მგლის ხორცისა თუ ქონის შეჭმა, მისი ხორცისა და ძვლების ნახარშით შემზადებული სასმელით „ზიარება“ ადამიანს სხვადასხვა ავადმყოფობისაგან გადაარჩენდა“ (2, 149). ამავე დროს, ვფიქრობთ, რომ თვითონ სიტყვა **„ანთარი**“ შეიძლება მართლაც ორ ნაწილად დაიყოს – **„ან“ და „თარ“**-ი. აქედან **„ან“** ჩვეულებრივი პრეფექსია, რომელიც ზანურისათვის და განსაკუთრებით ლაზურისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო **„თარ“-**ი აგრეთვე ზანურისათვის (მეგრულისათვის) დამახასიათებელი სიტყვა **„თური“-**ს ვარიანტი უნდა იყოს, რომელიც ამჟამად, როგორც ვიცით, მოგვარეს, სისხლით ნათესავს, ტომისა და მოდგმის წარმომადგენელს ნიშნავს (9, 67). ეს სიტყვა **(„თური“)** კი, ჩვენი ჰიპოთეზით, უკავშირდება უძველეს, ჩვენ მიერ აღდგენილ ქართველურ სიტყვას **„თურ“ (თარ)**-ს, რომელიც „მგელს“ აღნიშნავდა და მოგვიანებით იქნა ტაბუირებული და ამოღებული ხმარებიდან. ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ძველ თურქულ ენებში **„ტრ“** თანხმოვნების შეთავსებას, როგორც წესი აქვს გარკვეული სემანტიკა. ის დაკავშირებულია კანონიერის, პრესტიჟულის, სისხლით ნათესაურის ცნებებთან (39). ამდაგვარად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ჩვენი ვარაუდი ქართველურ-თურქული პარალელების შესახებ საკმაოდ საფუძვლიანია, გამოვლენილი ანალოგიები სისტემურ ხასიათს ატარებენ და ამიტომ წამოყენებული ჰიპოთეზა იმსახურებს ყურადღებას, თუმცა ქართველური და თურქული ცივილიზაციების დაშორებულობა ძველ დროში გარკვეულ წინაღობას ქმნის ამ ჰიპოთეზის სრულყოფილად აღსაქმელად.

შუამთობის დღესასწაულთან დაკავშირებული ტერმინები – **თივრობა||თევრობა,** შუამთობა||-**შუამთევრობა, მემთევრი, ნამთივრი, მთური** (15,16-24) **„თურ“-**ს უკავშირდება. აქედან შესაძლებელია შუამთობის დღესასწაულის მგლის კულტის დღესასწაულთან იდენტიფიცირება. ამას ადასტურებს ცხოველთა ტყავების ტანზე მოსხმა, მსხვერპლშეწირვა, წმინდა ადგილების მონახულება, შეჯიბრება და ცეკვებში მხედრული ელემენტები (5, 16-30). ამავე დროს შუამთობის ხალხური დღესასწაული ჰიპოთეზურად შეიძლება არა უბრალოდ **„ანატორის“, „თუთირის“, „ანთარისა**“ თუ **„აჲთარის“** ღვთაებებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია, არამედ სპეციფიკური ხასიათის რიტუალია, რომელიც თეატრალიზებული სახით გადმოსცემდა მგლის მითოლოგიურ ფუნქციას **საცოლის გატაცების** თვალსაზრისით, როდესაც სიძე და მისიანები მგლების მითოსური როლის (იძულებით გატაცება ისევე, როგორც მგელი იტაცებს ცხვარს) შემსრულებლებად გვევლინებიან. აქ ყურადღებას იპყრობს ის თავისებურება, თუ როგორ ტარდება შუამთობის დღესასწაული: დღესასწაულის წინა დღეებში ქალები მამაკაცების თანხლებით მიდიან დღესასწაულზე, რომლის მონაწილეები მემთევრები არიან. ტერმინი მემთევრე ჩვენი ვარაუდის მიხედვით, შეიცავს **თერ, თირ** ფორმანტებს და მგლის ტაბუირებულ სახელწოდებას ძირითად ფორმანტ **თურ, თირ**-თან შეიძლება იქნენ გაი-

გივებულნი. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ **მემთევრები** მითოსურ გამტაცებლებთან იგივდებიან. აქ გარკვეულ როლს ასრულებს **მამამთილი**. ამ სიტყვის ფორმანტი **მთილი** იგივე უნდა იყოს, რაც ლაზური **მთირე** (დედამთილი) (33, 138-146), რომელიც თავის მხრივ **მგლის** სავარაუდო სახელწოდება **თურ**-ს უკავშირდება. თუ მითოლოგიურად სიძის (სიმბოლური **„მგელი“**) მხარე მგლებთან არის გაიგივებული, მაშინ სიძის მამა, მომავალი **მამამთილი**, რა თქმა უნდა **„მამამგელი**“ ანუ **„მამამთილი“** იქნება, ხოლო სიძის (**მგელი**) დედა კი **„დედამგელი“** ან **„დედამთილი“**. საყურადღებოა, რომ ქართულში ფორმანტი **მთილი (მთირი)** მხოლოდ სიძის მხრივ მშობლის აღსანიშნავად გამოიყენება, რაც მითოლოგიურად სიძის მხარის მგლის კულტისადმი უფრო მეტი დაქვემდებარების აღნიშვნის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, თუმცა ლაზურში სიდედრი (**დამთირე**) და სიმამრი **(თირი, მთირი)** (33, 138-146) შეიცავენ **თირ** ფორმანტს აგრეთვე; ეს ნიშნავს, რომ საერთოდ მგლის კულტი მეუღლეების ნათესავების ორივე მხარისათვის მისაღები იყო. ხშირად ამგვარი დღესასწაულის კულმინაციურ ნაწილს წარმოადგენს წარმოსახული ქორწილი; მაგალითად, აჭარაში გავრცელებული რიტუალის – „ფადიკოს“ დროს (5, 30). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ვარაუდის საფუძვლიანობას.

მიუთითებენ (34, 333-346), რომ უძველეს პერიოდში ადამიანთა ერთიანობის განცდა კონკრეტულ ცხოველს დაუკავშირდა. წარმოიშვა რწმენა, რომ ადამიანთა ერთობა და მასთან დაკავშირებული ცხოველი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. ამგვარად წარმოიშვა ტოტემიზმი (34, 333), როდესაც ასეთი ცხოველი ადამიანთა ერთობისა და ერთობის ყველა წევრის ტოტემი ანუ პირვანდელი კულტი იყო. ტოტემთან ერთიანობა კი ადამიანთა „ნათესაობასთან“ იქნა გაიგივებული, რომლებიც ერთ „სისხლსა და ერთ ხორცს“ წარმოადგენდნენ.

ჩვენი ჰიპოთეზა კანონზომიერად გამომდინარეობს არსებული მონაცემებიდან და ქართველურში ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინთა ნაწილი ნამდვილად შეიძლება უკავშირდებოდეს მგლის კულტს. ძველთურქულ ენებში **„ტრ“** აღნიშნავს სისხლით ნათესავებს, ისევე როგორც მეგრულში **„თური**“ მოგვარეს, სისხლით ნათესავს, ტომის, მოდგმის წარმომადგენელს ნიშნავს (9, 67). მიუხედავად ამისა, თურქების ეთნონიმს მაინც ვერ ხსნიან თურქული ენის საფუძველზე. ამავე დროს, მნიშვნელობითა და ფონეტიკური ჟღერადობით ჩვენს მიერ აღდგენილი საერთოქართველური მგლის სახელწოდება **„თური“ („თირი“)** ახლოს დგას თურქების თვითწოდებასთან **„თურქი“** და ორივე მითოსურად **„მგლის“** კულტს უკავშირდება. საყურადღებოა, რომ მგლის აღსანიშნავად არც თანამედროვე და არც ძველთურქულში **„თურ“** ძირის მქონე მგლის აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობს. ასე რომ, შეუძლებელია თურქების ამჟამინდელი სახელწოდება თურქული ენების საფუძველზე წარმოშობილიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დ.ე., ერემეევის მოსაზრება, რომლის მიხედვით ეთნონიმი **„თურქი“** ირანული წარმოშობისაა. მისი სიტყვებით ძველი ირანელების საღვთო წიგნი **ავესტა** აღწერს მომთაბარეების ნაწილს, რომლებიც შორს აღმოსავლეთით წავიდნენ და ცნობილი იყვნენ **„სწრაფი ცხენების მქონე თურების“** სახელწოდებით. **ავესტა** გვიყვება ამ ტომზე, რომელიც თავს ესხმოდა ბინადარ ირანელებს, მათ წინამძღოლზე, მძლავრ **თურ**-ზე, ქვეყანა **თურანის** მფლობელზე. ისტორიკოსებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ **ავესტაში** მოხსენიებული **თურები** იგივეა, რაც სპარსული წყაროებით **საკები**, რომლებსაც ძველბერძნული წყაროები **სკვითებს** უწოდებენ. ერემეევის მიხედვით, **თურები** ირანულენოვნები იყვნენ. შემდგომში იქ, სადაც უწინ **თურები** ან ძველბერძნული წყაროებით **სკვითები** ცხოვრობდნენ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნიდან უკვე **ჰუნები** ცხოვრობდნენ (მათი დიდი ნაწილი თურქულენოვანი იყო) და მათ შორის ირანულენოვანი **თურები** ასიმილირდნენ, თურქულ ენაზე გადავიდნენ, თუმცა შეინარჩუნეს ეთნონიმიო – წერს ერემეევი (39).

ქართველურ-ინდოევროპული პარალელები, რომლებიც მგლის კულტთან არიან დაკავშირებული, არ იწვევენ ეჭვს, მაგრამ იმავე კულტთან დაკავშირებით, საფუძველი გვაქვს, ვისაუბროთ ქართველურ-თურქულ პარალელებზე, თუმცა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. არ არის გამორიცხული, რომ ირანულ საღვთო წიგნში – **ავესტაში** დასახელებული **თურები (იგივე სკვითები)** სულაც არ იყვნენ ირანულენოვნები, რადგან ჯერ კიდევ ნიკო მარი ცდილობდა, **სკვითური ენა** ქართველურის საფუძველზე აეხსნა (32, 207). საკითხის გასარკვევად უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ე. წ. **ნოსტრატული** ჰიპოთეზა (10, 335-338), რომლის მიხედვითაც ინდოევროპული, ალთაური, ურალური, დრავიდული, ქართველური და სემიტურ-ქამიტური ენები გარკვეულ ნათესაობაში არიან ერთმანეთთან.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.
2. ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან დროშა „ლეგ“, მგელი-ძაღლი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბ., 1963.
3. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964.
4. თავდგირიძე ხ., აჭარული სამონადირეო მითოსი, ბათუმი, 2004.
5. თანდილავა ზ., შუამთობის ტრადიცია და ფოლკლორი, თბ., 1980.
6. მალაყმაძე რ., ლიგანის ხეობა (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), დისერტაცია, ბათუმი, 2002.
7. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 171.
8. ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
9. ქადაგიძე დ., ქადაგიძე ნ., წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
10. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001.
11. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.
12. შამილაძე ვ., ცნებისათვის „მთური მესაქონლეობა“ – აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1967
13. შიოშვილი თ., ქართული ხალხური შელოცვები, ბათუმი, 1994.
14. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვეთი I, თბ., 1972.
15. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. I, ნაკვეთი II, თბ., 1973.
16. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. II, თბ., 1974.
17. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. IV, თბ., 1975.
18. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. V, თბ., 1976.
19. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. VII, თბ., 1979.
20. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. VIII, თბ., 1979.
21. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. IX, თბ., 1981.
22. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. XI, თბ., 1984.
23. ჩიქოვანი მ., (მთავარი რედ.) ქართული ხალხური პოეზია, ტ. XII, თბ., 1980.
24. ჩიტაია გ., შრომები, ტ.IV, თბ., 2001.
25. ჩოლოყაშვილი რ., ცხოველთა ეპოსი, თბ., 2005.
26. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979.

27. ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, სსმმ, XVI, თბ., 1950.
28. Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В., Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
29. Гордлевский В.А., Избранные сочинения, т. II, М., 1961.
30. Гумилев Л., Древние тюрки, М., 2004.
31. Куфтин Б., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
32. Марр Н., Избр. работы. т. V, М-Л., 1935.
33. Марр Н., Грамматика Чанского (Лазского) языка ,Спб.,1910.
34. Семенов Ю. И., Как возникло человечество, М., 1966.
35. Токарев С. А., Мифы народов мира, т. I, М., 1980.
36. Толстова С. П. (ред.), Народы Кавказа, т. I, М., 1960.
37. Фрэзер Д., Д. Золотая ветвь, М., 1983.
38. Чаганава Г., О некоторых картвело – тюркских параллелях культа волка, Археология, этногафия и фольклористика Кавказа, Махачкала, 2007.
39. http://kyrgyz.tsu.ru/.
40. Feurstein W. Didi Nenapona, 2000.

ალექსანდრე ჯიგლაძე

ეჰ, ჩემო ნუგზარ!

(ნუგზარ ჯაფარიძის გახსენება)

მოვდივარ ბათუმის გორკის ქუჩაზე, ახლა ზურაბ გორგილაძის ქუჩა რომ ჰქვია, სხვებმა იციან, რომ „ოჰოი ნანას“ ავტორი ზურაბ გორგილაძეა, თორემ მას შენ „ბულბულაი“ დაარქვი. მარტო მივდივარ გრიბოედოვის ქუჩისკენ, სახლისკენ, დავით თედორაძესთან მეგობრული შეხვედრის შემდეგ, მთვარე, ჩვენი ამ ქუჩაზე მგზავრობის მთავარი მოწმე, სევდიანად დამცქერის, შენ აღარ მაცილებ, მაგრამ მაინც ჩემთან ერთად მოაბიჯებ, ჩაბნელებულ ქუჩაზე ხმა მესმის, შენ მეძახი, ალი, დამიცადე, უკან ვიხედები, აღარსად ჩანხარ, ათიოდე ნაბიჯის შემდეგ, გარკვევით მესმის ეს შეძახილი, ასე განმეორდა ქუჩის ბოლომდე, შენი სახელობის ბაღთან ჩამოვჯექი, გრიბოედოვის ქუჩაზე.

სახლში მისული, მეუღლეს ვეუბნები, ნუგზარი მეძახდა-მეთქი. ნანულის არ გაკვირვებია, ერთად იყავით და ცოცხლებს არ გავდით, ნუგზარის სიკვდილის შემდეგ, ახლაც თუ აგრძელებთ ცხოვრებას, არც ესაა გასაკვირიო.

ამ ქუჩაზე მას შემდეგ ფეხით არ გამივლია. სამაგიეროდ, მე გეძახი, სადა ხარ, ნუგზარ! უჩვენოდ როგორ ძლებ? ჩვენ მოგონებებში გაცოცხლებთ, შენ კი იმქვეყნიურ ამბავს რად არ გვიყვები, ამქვეყნად ყველა ამბის უპირველესი მთხრობელი?

ამან გამახსენა: 1975 წლის აგვისტოს დასაწყისში, მთა ჩირუხში, შუამთობის დღესასწაულია, ეს ის ჩირუხია, ადრე ქურთლუღს რომ ეძახდნენ, რადგანაც გასული საუკუნის 30-იან წლებში, კახაბრის ველზე და დღევანდელი გონიოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მომთაბარე ქურთებს 30.000-მდე ცხვარი საზაფხულოდ იალაღებზე აქ დაჰყავდათ, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, საფლავებიც იქ ჰქონდათ მოწყობილი, სინამდვილეში კი ძველ ქართულ ანალებში ეს ადგილი ჯანალად მოიხსენიება, სწორედ იმ ჯანალად, 1235 წელს მონღოლთა მზვერავმა ჯარმა მარცხი რომ განიცადა. სამხრეთ საქართველოს გზასაყარზე, ამის მოწმე დღეს არსიანის მთაა, პირით საქართველოსკენ მობრუნებული, ზურგით მიტაცებულ ქართულ მიწას დარაჯად რომ უდგას გამეხებული.

შუამთობა სილაღის, შრომის, სიყვარულის, მეგობრობის, ოჯახური ტრადიციების, ზნეობის ზეიმია. საერთო ხალისის შემდეგ მთის ყაიმაღის დაგემოვნების, ქეიფისა და სიტყვაკაზმული ურთიერთობის დღესასწაულია. აქ ყველა თანაბარია, მთის სიმაღლე სხვა განზომილებებს არ სცნობს, ჰოდა, ამ ხალხმრავალ სუფრას მისი ჟამთაღმწერი ნუგზარიც, როგორც ჩემი ბათუმელი მეგობარიც, ესწრება. იგი უსადღე-

გრძელოდ, როგორც წესი, ღვინოს არ დალევს, თანაც ისეთს იტყვის, რომ ყველას ყურადღება მისკენაა, თამადა კი, იმჟამად, ნუგზარისთვის „უცნობი“ რაიკომის პირველი მდივანია. ჩვენმა საერთო მეგობარმა, პარტიულმა მუშაკმა, შოთა მაკარაძემ მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, თამადა მდივანი წინასწარ გააფრთხილა, ჩვენს სტუმარს, ნუგზარს „ჩვეული უფროსობით“ ნუ შეეხმიანებიო. ამ შეგონების თუ ღვინის გავლენით, თამადა ხმამაღლა მიმართავს ნუგზარს, ე, მანდ, ჩვენს სტუმარს, გამორჩეულ მოენეს, ალავერდს ვეტყვიო, მოენე, ჩამშვები და კიდევ ჩ... რაიკომის მდივნები ხართო, – იყო ნუგზარის ხმამაღალი პასუხი და ხალხის ხორხოცი. ამას ნუგზარის ლექსი მოჰყვა და ყველამ ომგადახდილ ჯინალში თავისუფლად ამოვისუნთქეთ. იქვე ნუგზარისა და თამადის დაძმაკაცება მოხდა.

მთაში ყოფნისას, ნუგზარი დარჩიძეების იეილებიდან, გოგაძეების იეილებში ჩემს სიდედრთან, ზინა თურმანიძესთან გადავიყვანე, რომელმაც შუამთობის სამზადისი, გევრეგი (ყაიმაღში მოზელილი მჭადი) დაგვახვედრა, სუფრა მდელოზე გავშალეთ. არსიანის მთას გაუმარჯოსო, წარმოთქვა ნუგზარმა, ნახევარი ჩვენი რომ არის და ნახევარი იქაურებისო, შეწუხებული, სულ მუდამ ღრუბლიანია და ქართველთა გამოფხიზლებას რომ ელოდებაო.

მერე იკითხა, იმ მთის დასაწყისს რა ჰქვიაო, განვუმარტე, უნაგირას სერია, შავშეთის ქედის დასაწყისი, იქაურ საქართველოს აქაურთან რომ ჰყოფს, თუმცა უნაგირა სერი ჩვენია, მაგრამ საზღვრის ნეიტრალური ზონაა და იშვიათად გვიხდება მისი მონახულება-მეთქი.

ჰოდა, მოდი, ისეთ საქართველოს და ისეთ ქართველს გაუმარჯოს, მთა უნაგირად რომ მიაჩნია, სანამ ქართველისათვის მიწა მისი უნაგირი იქნება, მას გადაშენება არ უწერიაო. მთისა და ადამიანის ამ ურთიერთობას მიწის სიყვარული, მიწის ყივილი ჰქვიაო. რა უნდა მეთქვა მაშინ, ახლა კი ვხვდები, ქართველთა უცხო მიწისაკენ დაუოკებელი ლტოლვის მნახველი, რაოდენ ეროვნული ტკივილის შემცველი იყო ეს სიტყვები. ისე, ნამეტანი თავი არ მოიწონო ამ მთის პატრონი რომ ხარო, ჩვენ, გონიოში 1944 წელს გადასახლებული ქურთების მამულში ვაგრძელებთ ცხოვრებასო და თუ აქ ქურთლუღი იყო, მეც მეკუთვნის წილიო, თქვა და იქვე ბოსტანში, ფუმფულა მიწაზე მოწეული ნიორი შაქარა ვაშლივით ჩაახრამუნა.

უკან დაბრუნებულებს შუახევში, დავითაძის სასტუმროდ წოდებულ „აპარტამენტში“ მოგვიწია ღამის თავგადასავლის გადახდა – მე რედაქციის გვერდი მელოდება, წერილი უნდა გავგზავნო შუამთობაზე, აქვე ლოგინში წამოწოლილი წერილზე ვიმუშავებ, თქვენ კი რაიმე საინტერესოს თუ იტყვით, თითო ჭიქა შემომიტანეთო, ისურვა ნუგზარმა.

მეორე დღეს, გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ მთელ შიდა გვერდზე განთავსებულ წერილში ვკითხულობთ ჩვენს ამბავს, რომელიც ზღაპრის გმირებივით თვალნათლივ დაგანახებს მთის ხალხის სიბრძნეს, სითბოს, საქმისა და ქვეყნისადმი მათ თვითნაბად ერთგულებას. ნუგზარის თვალით დანახული აჭარისწყლისა და ჭოროხის მარადიულ დავას: – როგორი სუფთა, ანკარა გიერთდები, ჭოროხო და შენ რატომ მამღრევ, სისხლისფრად მღებავ და დასაღუპად ზღვაში მიმაქანებო?!

იტყვიან, მეხუთე გრძნობის კაციაო, ამ გრძნობების თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ იმ უცნაურობებზე კი გეტყვით, რომელიც ჩვენი დანახვით ნუგზარს ახასიათებდა.

პირველი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ჩაფიქრებული, ბლოკნოტით ხელში დადიოდა და ბათუმის ძველი თუ ახალი თაობის ცალკეულ წარმომადგენლებს ბათუმის ბულვარში ადრე არსებულ ქანდაკებებზე ეკითხებოდა. ნუგზარისათვის ესოდენი ინტერესის მქონე თემას მაშინ ვერ გავუგეთ, სამაგიეროდ, ნუგზარს „ძეგლების მაძიებელი“ შევარქვით.

ახლა კი მეც ნუგზარივით მედარდება ბარათაშვილის ქუჩაზე, ბავშვთა კლინიკაში, პირველ სართულზე შემაღლებულ პოსტამენტზე ჩვილ ბავშვთან ერთად მწოლარე დედის ქანდაკების

ბედი, კბილის ამოსაღებად მისულ პატარებს ტკივილს რომ ავიწყებდა.

ბულვარში არსებული ქანდაკებების ისტორია მომავალ თაობებს მაინც შემოუნახა ნუგზარმა თავის წიგნში „მოგზაურობა ბათუმში“.

ცალკე სათქმელია მოგონებები მის თანამედროვეებზე, იმ ღვაწლმოსილ ადამიანებზე, ვინც ქმნიდა ბათუმის ისტორიას, მეგობრებზე, რომლებიც ახალგაზრდობიდან შეეჭიდნენ ქვეყნის ჭაპანს და ახლა, ამ სიმძიმის ტარებით, ფასობენ კიდეც.

არაფერს ვამბობ უბრალო ადამიანების ხასიათების აღწერაზე, რითაც შეგვიძლია შევაფასოთ დროის სუნთქვა, წუთისოფლის ცვალებადი ბუნება, ნოდარ დუმბაძემ ორი სიტყვით „მარადისობის კანონი“ რომ უწოდა.

ხშირად ამ დაუწერელი კანონით სარგებლობდა და მისთვის სულ ერთი არ იყო ადამიანთა ლხინისა თუ ჭირის მოკითხვა. ბევრჯერ მეც განმიცდია მისგან ასეთი დამოკიდებულებით ანთებული გულის ღადარის სითბო.

მეტყოდა, თავად სამი შვილის მამას, შენს გამო შვილების სადღეგრძელო ვერ მითქვამსო, რადგანაც შვილების გაჩენა შეგვაგვიანდა.

ერთხელაც ნუგზარი შუახევში ამოვიდა, პარტიის რაიკომის მეორე მდივანი კი ხარო, მაგრამ მოიცალე და თბილისში უნდა წამომყვე, შენს გარეშე ჩემი საქმე წასულიაო, თანაც 500 მანეთი წამოიღეო.

თავსა და ბოლოს არასოდეს ვარკვევდით, წავყევი სამთავრობო მანქანით ქ. თბილისში, საღამო პირას მცხეთაში ვართ, ახლა ჯვარზე უნდა ავიდეთო, ვიფიქრე, რა ექსკურსია აუტყდა-მეთქი, ჯვარზე ასვლამდე ტრიალ მინდორში მეცხვარეები ცხვარს აძოვებდნენ, მწყემსს დაელაპარაკა და მითხრა, რა ფასსაც გეტყვის, ის გადაუხადე და ცხვარი – მანქანაშიო. გუნება შემეცვალა, რაიკომობით დაკავებული კაცი აქ საქეიფოდ ამისთვის წამომიყვანა, გულში გავიფიქრე. ავედით ჯვარზე, ცოტაც და პაატა ნაცვლიშვილი, „ოქროს საწმისის“ თანამედროვე „არგონავტიკის“ შემოქმედი გამოჩნდა. ალი, ამაღამ აქ ვრჩებით, ცხვარს ესენი მიხედავენ, ჩვენ კი დილამდე ჯვარში ვილოცებთ, რომ შენ ჩემი საზიარო შვილი არ გყავდეს და უფალი ამაში დავარწმუნოთო.

მაშინ ჯვრის მონასტერი მოქმედი ეკლესია არ იყო, ანთებული სანთლებით მუხლებზე რამდენჯერმე შემოვუარეთ ტაძარს, პირღია ქვაფენილმა ჯინსის შარვალს მუხლებზე ხვრელები გაუჩინა, ჩამონადენი სისხლი ტკივილის ნაცვლად სიმშვიდეს მგვრიდა, დუმილში, წყვდიადის ნაცვლად, სინათლის ფარდას ვხედავდი, ასე დასრულდა ის ღამე წინაპართა სულებთან ლაციცში და ლიტანიობაში.

ეს რომ ვუამბო ჩემს 40 წლის ვაჟკაცს, ბადრის და ქალიშვილს, სოფოს, არ დამიჯერებენ, არადა, ნუგზარს არასდროს შეუხსენებია ეს ამბავი, ჩემი შვილების დაბადების დღეებისა და ნათლობის შეუცვლელ თამადას.

ერთხელ კი, დედაჩემმა, ნუგზარიც დედას რომ ეძახდა, გაგვიმხილა, ღმერთს ჩემი შვილისათვის მომავლის გაჩენა არ სურდა, მაგრამ ისე შევაწუხე ვედრებითა და ხვეწნით, იძულებული გავხადე ბედნიერება მისთვისაც მიენიჭებინაო. ჰო, დედი, უფლისადმი ლოცვა უკვალოდ არ იკარგება, დაუდასტურა ნუგზარმა.

ხშირად იტყოდა ნიაზ დიასამიძის სიტყვებს, მეგობრობამ დღე და ღამე არ იცის, იგი „კრუგლოსუტოჩნიაო“. ამდენად, მასთან შეხვედრებს დრო არ ჰქონდა, გაგანია სამუშაო პროცესს მიგატოვებინებდა და სხვის დასახმარებლად წაგიყვანდა. მას როცა გაუჭირდა, მისგან დანექტრილნი მის ტკივილს ჩვენც განვიცდიდით, უკვე მერამდენე ოპერაციის შემდეგ აქეთ გვამშვიდებდა, ჯერ ჩემი დრო არ დამდგარა, სხეულში ჯანსაღი ნაწილები კიდევ დამრჩაო, გვეტყოდა, მიწას აქედან საღ ორგანოს შესაჭმელად არ მივუტანო. აკი, თქვა კიდეც, დიდმა დოსტაქარმა, ჩვენმა უფროსმა მეგობარმა, აკაკი ბერიძემ, ტვინის გარდა ნუგზარს იმქვეყნად ჯანსაღი არაფერი წაუღიაო.

ტვინს აჭარლები ჭკუას ეძახიან, ჭკუა კი ნუგზარს დაუშრეტელი ჰქონდა. ერნესტ ჰემინგუეიმ „მოხუცი და ზღვა“ მოთხრობაში მეთევზის უბედობით კაცობრიობის სატკივარი თქვა, რისთვისაც მას ნობელის პრემია მიენიჭა, ნუგ-

ზარმა თავისი „მოგზაურობა ბათუმში“ სამტომეულით გააცოცხლა და უკვდავყო ქ. ბათუმის წარსული, გამოხატა უდიდესი სიყვარული თავისი ქალაქისადმი და მკითხველს ისეთი შთამბეჭდავი სურათები წარმოუდგინა, რომ ბათუმის უნახავ ადამიანს მისი ცხოვრების მონაწილედ აგრძნობინებს თავს.

ლექსების კრებული „ჭინჭრის კრეფა ყვავილების ქვეყანაში“ ტკივილიანი ამოძახილია, რომელიც შეიძლება შეადარო ხალხურ „ურმულს“, „დაიგვიანე“, უფრო მეტად „ჩაკრულოს“, არაფერს ვამბობ ლექსში გამხელილ სიყვარულსა და გოდებაზე, ავტორის უშუალო მონაწილეობით მხატვრულ სახე-ხატებაზე. ისე, ახლაც ბევრი ჭინჭარს ჰკრეფს სავარდო ქვეყანაში, ოღონდ გარკვეულია მკრეფავთა ვინაობა, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს ქართველთა ორ ნაპირზე ყოფნას, იმ ჭირს, რომელსაც ჩვენი გადაშენების მსურველი შაჰ-აბასი ნატრობდა: ქართველთა ერთიანობა არ მანახოს ღმერთმაო. სამაგიეროდ, ურთიერთკინკლაობაში ნელ-ნელა ვუახლოვდებით ევროპას, ვკანდიდატობთ კიდეც, იმ ევროპაში, ერთ დროს, ცხენისწყლის პირას გაზრდილი ბიჭი რომ ამაყობდა, ევროპელი არა ვარო.

ცხოვრებაც ცისარტყელასავით შეგვიფერადდა, დღეს ძნელად თუ გაგიგებს ვინმე შენს მამაკაცურ სურვილებს, ერთხელ ჩემს ოჯახში შეკრებილ ანზორ გოგიტიძეს და დავით თედორაძეს ივანოვოდან ჩამოსულ სტუმრებს საქეიფოდ გამზადებული სუფრა რომ დაგვაშლევინე, ქეიფი მე კაცებთან ვიცი, ქალებს კი მისი ადგილი აქვთო. ახლა, ამისთვის გენდერულ შევიწროებაში დაგდებდნენ ბრალს და დარწმუნებული ვარ, რამინ ჯიბლაძის ადვოკატობაც ვერ გიშველიდა.

ჰო, მართლა, აჭარისწყალი ჭოროხს აღარ ედავება, იგი ერთვის მას და ქმნის ჰიდროელექტროსადგურის უზარმაზარ აუზს, თითქოს შავ ზღვას გადმოესროლოს, ჭოროხი კი ზაფხულში ისე პატარავდება, რომ ადრე რასაც გვიმტკიცებდი, მარადიდელები ფელუკა ნავებით ეზიდებოდნენ ტვირთს ჭოროხზე ბათუმშიო, ამას არავინ დაგიჯერებს, რადგან დაპატარავებულ ჭოროხს კრუხის შეჩერებაც კი აღარ შეუძლია.

ცალკე სათქმელია ნუგზარის პუბლიცისტიკა, რომლის შეკრება და გამოცემა ჩვენი ვალია, თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელმა თაობამ იცოდეს „სისხლიანი კომუნისტები“ რისთვის აძლევდნენ ნუგზარს პრემიებს, წოდებებს, ლაურეატობასა და დამსახურებას, ანდა როგორ უნდა განიცადო შენი ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემა და იგი როგორ გადმოსცე შთამბეჭდავ ქართულ ენაზე.

ვინც არ მოსწრებია, იმათ ვურჩევდი, წაიკითხონ ნუგზარის სტატიები „თბილისქალაქობაზე“, ხულოში ეთერი დეკანაძის ინიციატივით გამართულ „დედის დღეზე“, გმირ დედებთან შეხვედრაზე, რომლის სცენარის ავტორი თავად იყო, ხოლო რეჟისორი ჩვენი სასიქადულო მსახიობი ლევან ღლონტი გახლდათ, რომლის გამოც ასე აღფრთოვანებული ნუგზარი არასოდეს მინახია, წერილები „შუამთობაზე“, „მარადიდზე“, „მაღლაკონის“ ხიდის გახსნაზე, ტრადიციულ „ბათუმელობაზე“ და მიხვდებით, როგორ უნდა გიყვარდეს შენი ხალხი, კუთხე და როგორ უნდა გინდოდეს სამშობლო, ყველა ღირებულების სათავე.

გლეხს ვაზი უყვარს, მეთევზეს ზღვა, მწყემსს ნაბადი და მთა, დედას შვილები და ა. შ. ნუგზარის შეეძლო განურჩევლად ჰყვარებოდა ყველა ისინი, რადგან მათ ნაწილად მიაჩნდა თავი. ჭკვიანი ქართველის აღმოჩენა მისი სულის ზეიმი იყო. ამიტომ მეგობრობდა მწერლებთან, მხატვრებთან, თეატრის მსახიობებთან, ქართული ცეკვისა და სიმღერის კორიფეებთან, მეცნიერებთან, მაგრამ უყვარდა რიგითი სონია, კალაიჯი მოხელეები, შავ-თეთრი სურათის ფოტოგრაფი და ჩვენ, მისი მეგობრები, რომლებიც მისი არსებობით ვიძენდით სიცოცხლის ენერგიას.

ერთხელაც, ჩემ აღმზრდელ ბიძას და ნუგზარის მიერ აღიარებულ ენციკლოპედიური განათლების მქონე უფროს მეგობარს, პროფესიით ასევე პუბლიცისტს ანზორ დავითაძეს, საბოლოო გზაზე მივაცილებთ და ვახტანგ (ალიმემედ) ბერიძემ შეუძახა: „ანზორ, ჩემ ჩამოსვლამდე, იქ, კარტი არავის დაუჭიროო“. ნუგზარმა ჩაილაპარაკა, ახლა ვისი უნდა მერიდებოდეს, ანზორის გარეშე, რასაც მინდა და როგორც მინდა, ისე დავწერო.

მეც დაგაბარე, ნუგზარ, ჩემს ჩამოსვლამდე, იქ, ჭიქა არავის აუწიო-მეთქი, მაგრამ შენი ამბავი რომ ვიცი, იქაც არავის დაუთმობ თამადობას, თუ-ნდაც ამ თხუთმეტ წელიწადში იმდენი მეგობარი, „კაი ყმა“, სუფრის ალავერდი და გენია შეკრიბე შენთან, უთამადოდ მართლაც ვერ მოისვენებ.

მინდოდა, როგორც შენ გჩვეოდა, მოგფერე-ბოდი, ისევე შენეულად: „თვალები მიძებნის შენ თავს“, რომ მეტყოდი, ვერც შენი შენიშვნა გა-ვითვალისწინე, შენს წერილს ერთი სათაური არ ჰყოფნისო. ამიტომ უსათაუროდ, მაგრამ ამოძა-ხილით გითხარი: ეჰ, ჩემო ნუგზარ!

ბედნიერია ერი მისი შვილებით, შვილები ბედნიერნი არიან, როცა ისინი ერს ეკუთვნიან ყველა დროში: წარსულში, აწმყოსა და მომავა-ლში. შენი ბათუმი უკვე სხვა ქალაქია, მას აღარ ჰყოფნის ხმელეთი და ზღვაში იჭრება, ამ მოვ-ლენებს კი შენნაირი დამნახავი ჯერ არ ჰყავს.

დაბოლოს, ახალგაზრდობაში, ნუგზარმა, ზე-პირად შეგვასწავლა გიორგი შატბერაშვილის „ტივის ხე“, ამ შეუცნობ მწერალს მან დაგვაა-ხლოვა, ხოლო აღნიშნული ლექსით იგი გამოხა-ტავდა ბედის ძახილისადმი დაუოკებელი ბრძო-ლის ჟინს და იმ განცდას, რომ ცხოვრება ტივის ხეს წააგავს, მიუხედავად მისი ერთიანობისა, დაშლაც და გათითოკაცებაც მარადიული ხვედ-რია, თუმცა გონება, სიყვარული, გახსენება ის ნაპერწკალია, კაცთა ცხოვრებას უკვდავების შარავანდედით რომ მოსავს. ამ ლექსის გახსენე-ბაც ნუგზარის სიყვარულის ნაყოფია.

ტივის ხე

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდევ დაუდგრომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარეც მომეცა...

დროც მიდის, როგორც მდინარე...
თურმე შენ გადამივიწყე,
დაშლილა, ტივი დაშლილა.
მივცურავ ერთი ტივის ხე.

არ ვიცი, ბედი ავბედი
წამიღებს რომელ მხარესა,
მიმატივტივებს მდინარე
გულაღმა მწოლიარესა.

ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ვიხსენებ შენსა ღიმილსა,
ხანდახან მომენატრები.

ხანდახან... გესმის? ხანდახან...
თურმე მეც გადაგივიწყე.
მზე ჩადის, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე...

ᲥᲝᲠᲝᲮᲘ 1

2024